დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისათვის

სკოლამდელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში[1]

[1] „წინასასკოლო ჯგუფი“- „kindergarten” - აშშ-ში დაწყებითი განათლების პირველ კლასამდე სავალდებულო მოსამზადებელი გარდამავალი ჯგუფი სკოლამდელიდან სასკოლო განათლების საფეხურზე

ეძღვნება ჩემს ბავშვებს, კოლინს და გვენს, მართალია, ახლა უკვე ორ შესანიშნავ მოზარდს, თუმცა კი, ბავშვობაში, ორ წარმოსახვით და გასაოცრად შემოქმედებით მოთამაშეს, Mr. Earl and Melody Legs!

სარჩევი

ავტორის მადლობა 4

შესავალი: ადრეული ასაკის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებული აღმოჩენები და გამოწვევები 5

თავი 1 კურიკულუმის განხორციელება დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლის მეშვეობით 16

თავი 2 დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმები 37

თავი 3 სასწავლო მიზნებისა და აკადემიური ცოდნის საფუძვლების ჩართვა თამაშში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და მასწავლებლის მიერ მართულ ჯგუფურ აქტივობებში .. 75

თავი 4 მაღალი დონის თამაშის დაგეგმვა და განხორციელება სკოლამდელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში 108

თავი 5 ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია: თითოეული ბავშვი განსხვავებულია 133

თავი 6 ორიენტირება ბავშვის და არა უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობების დაგეგმვაზე 171

თავი 7 ოჯახებთან ურთიერთობის დამყარება და მათთან კომუნიკაცია 195

თავი 8 ავთენტური შეფასების და კურიკულუმის ინტეგრაცია 206

თავი 9 დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლი 236

დანართი „ა“ დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმები 243

დანართი „ბ“ სასწავლო მიზნები სათამაშო ადგილებისთვის 256

დანართი „გ“ შეფასების ფორმები 260

გამოყენებული ლიტერატურა 267

ავტორის მადლობა

გულწრფელი მადლობა

- ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელობას და კონსულტანტებს, რომლებიც ყოველთვის ზრუნავდნენ ჩემი ნაწერების დახვეწასა და პრაქტიკაში განხორციელებაზე, შეისწავლიდნენ მაღალი ხარისხის სკოლამდელი აღზრდის გამოცდილებებს ოთხი წლის ასაკის ბავშვებისათვის ნიუ მექსიკოში
- ჩემს მეგობარს და კოლეგას, მერინ ჯეიმსს, რომელიც მხარს უჭერს და ამავდროულად ოპონირებას უწევს ჩემს ნააზრევსა და პრაქტიკულ საქმიანობას
- ადრეული ასაკის ბავშვთა პრაქტიკოსებს, რომლებმაც მოსაზრებები არ დაიშურეს ამ ხელნაწერისთვის
- ჩემს რედაქტორს, ჟან ენგელმანს, რომლის დახმარებაც შეუფასებელია.

შესავალი: ადრეული ასაკის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებული აღმოჩენები და გამოწვევები

ჩემი საქმიანობა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში ოცდაათ წელს ითვლის. ვასწავლიდი ადრეული ასაკის ბავშვთა სხვადასხვა დაწესებულებაში: კოოპერატიულ ბაღში, უნივერსიტეტის ლაბორატორიულ სკოლაში, Head Start-ის პროგრამაში, სპეციალური განათლების სკოლამდელი აღზრდის ჯგუფებსა და საჯარო სკოლის წინასასკოლო ჯგუფში როგორც კონსულტანტს და ავტორს, საშუალება მქონდა მემუშავა ათასობით მასწავლებელთან ქვეყნის მასშტაბით და დავხმარებოდი მათ, განესაზღვრათ საუკეთესო გზები რეკომენდებული კურიკულუმის და შეფასების სტრატეგიების განსახორციელებლად და თავიანთ უნიკალურ დაწესებულებებში ბავშვთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ვხედავ, რომ მოლოდინი სკოლამდელი განათლებისა და წინასასკოლო დაწესებულებების მიმართ წლიდან წლამდე მკვეთრად იცვლება. ადრეული ასაკის ბავშვებისათვის აღარ არის საკმარისი მხოლოდ გასართობ, მიმზიდველ სოციალურ გამოცდილებებზე დაფუძნებული აქტივობები შევთავაზოთ. მასწავლებლები ვალდებულები არიან დაეხმარონ ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის და წინასასკოლო სტანდარტების მიღწევაში, რომელიც განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს არა მხოლოდ სოციალურ, არამედ სხვა სფეროებშიც. ეს სფეროები (წიგნიერება, მათემატიკა, მეცნიერება და სოციალური მეცნიერებები) თავისი არსით, ტრადიციულად, უფრო აკადემიურია. საკმარისი არ არის, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პედაგოგებს უყვარდეთ და სიამოვნებდეთ მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობა. მათ ასევე უნდა იცოდნენ თავიანთი ქვეყნის სტანდარტები, კურიკულუმის ამ მოლოდინების გათვალისწინებით დაგეგმვა და იმგვარი შეფასება, რომელიც მათ თითოეული ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარება. დღეისათვის აკადემიური სწავლება წარმოადგენს ფოკუსს და თითოეული ბავშვის შეფასება აუცილებელია.

ვფიქრობ, რომ რთულია, მაგრამ ჩემი აზრით *კარგი იქნებოდა* ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებაში ასეთი ცვლილების შეტანა.

რადგან სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულებების და მასწავლებლებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით ვმუშაობ, ჩემთვის, გასაგებია მათი დაბნეულობა და იმედგაცრუება ამ ცვლილების რთული ასპექტების მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ უნდა შეეწინააღმდეგონ ადრეული ასაკის ბავშვებისათვის შეუსაბამო საგანმანათლებლო გამოცდილებებთან დაკავშირებულ ზეწოლას. მათ უჩნდებათ შემდეგი კითხვები:

- როგორ უნდა დავნერგო განვითარების შესაბამისი პრაქტიკა, როცა სხვები მეტ ანგარიშვალდებულებას ითხოვენ?
- როგორ დავგეგმო თამაშები ისე, რომ ბავშვებსაც მივცე არჩევანის საშუალება და თან არც ქაოსი წარმოიქმნას?

- როგორ უნდა მივმართო მთელი ჩემი ყურადღება სწავლებასა და სტანდარტებზე, რომ ჩემმა საქმიანობამ კვლავ მომანიჭოს სიამოვნება?
- მისაღებია თუ არა მასწავლებლის მიერ მართული აქტივობების დაგეგმვა? რა დრო უნდა დაეთმოს ჯგუფურ მუშაობას და თამაშს?
- როგორ უნდა შევაფასოთ, რომ მართლაც გვიჩვენოს, რას სწავლობენ ბავშვები და როგორ იყენებენ თავიანთ ცოდნას?

ყველაზე ხშირად ისმება კითხვა:

- როგორ უნდა დავწერო საგანმანათლებლო გეგმა, რომ ის, რასაც ვაკეთებ, ჩანდეს, რომ წინასწარ არის განსაზღვრული და დაგეგმილი და თან ბავშვზე იყოს ორიენტირებული და აერთიანებდეს ყველაფერს, რაც ჩემი გამოცდილებით საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს?

ეს წიგნი ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა.

ადრეული ასაკის ბავშვების სწავლებასთან დაკავშირებული აღმოჩენები

როგორც მანამდე აღვნიშნე, ჩემი აზრით, ადრეულ განათლებაში ამგვარ ცვლილებებს თავისი დადებითი მხარეები გააჩნია. მოდით, განვიხილოთ ეს დადებითი მხარეები. ადრეული განათლების სტანდარტები სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულებებისთვის ამერიკის ორმოცდაათივე შტატში შემუშავდა. ბევრი მათგანი უკვე შეთანხმდა ჩვილების და ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებისსტანდარტებსა დაგზამკვლევებზე ან ამჯერად იმყოფება მათი შემუშავების პროცესში. ადრეული განათლების სტანდარტების მომხიბვლელობა იმით არის განპირობებული, რომ ისინი განსაზღვრავენ გონივრულ მოლოდინებს ადრეული ასაკის ბავშვებისათვის სხვადასხვა ასაკში. ამ სტანდარტების უმეტესობა ადრეული განათლების სფეროს პროფესიონალებმა ჩამოაყალიბეს და ისინისასარგებლოა იმის გასარკვევად, თუ რისი გაკეთება *შეუძლიათ* ადრეული ასაკის ბავშვებს. მასწავლებლებს, ბავშვის განვითარების შესახებ თავიანთი ცოდნის ბაზის გასაფართოვებლად აღარ ესაჭიროებათ დაეყრდნონ ისეთ წყაროებს, როგორიცაა განვითარების ინდიკატორთა ჩამონათვალი („ჩეკლისტი“) და სხვა სახის ინფორმაცია. ადრეული განათლების სტანდარტები კურიკულუმის დაგეგმვისა და ადრეული ასაკის ბავშვების პროგრესის შესაფასებლად ამჟამად ათვლის წერტილის ფუნქციას ასრულებს. მასწავლებლები ფლობენ საერთო ენას, რომელიც ეფუძნება კვლევებს და დამტკიცებულია მათი შტატის მიერ. ეს აძლევს მათ მყარ საფუძველს სწავლებისათვის, რაც კარგია.

მკაფიოდ განსაზღვრული მოლოდინები და მეტი ანგარიშვალდებულება პროფესიულ სტატუსს ანიჭებს ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროს.

სამწუხაროდ, არაადეკვატური ხელფასები კვლავ პრობლემად რჩება ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგებისათვის, თუმცა ეს შესაძლოა შეიცვალოს, რადგან სკოლამდელი აღზრდის ან წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებელს ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამას გარდა, ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისკენ ამჟამად მეტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყურადღებაა მიმართული. ადრეული ასაკის მნიშვნელობას რეგულარულად განიხილავს მასმედია სხვადასხვა სტატიებსა და ანგარიშებში ადრეული ასაკის ბავშვთა მაღალხარისხიანი პროგრამების და თავის ტვინის განვითარების სფეროში უახლესი კვლევის გრძელვადიანი სარგებლის შესახებ. პასუხისმგებელმა პირებმა ქვეყნის მასშტაბით განახორციელეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და სრულდღიანი წინასასკოლო პროგრამები, როგორც ხარვეზის აღმოფხვრის და ბავშვებისათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის საშუალება. რადგან სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, ისინი ეხმარებიან მათ ბავშვების განვითარებასა და ადრეული განათლების სტანდარტებს შორის კავშირის დანახვასა და ამ დარგში პროფესიონალიზმის აღქმაში, რაც ასევე კარგი გახლავთ.

გამოწვევები - სწავლება არის კომპლექსური მეცნიერება!

ცვლილება მეტი ანგარიშვალდებულებისა და პროფესიონალიზმის მიმართულებით, თუმცა კი ძალიან სასარგებლოა, რთულად შესასრულებელ ამოცანას წარმოადგენს. ადრეული განათლების სტანდარტების დანერგვისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია სიფრთხილის ზომები. ყველას უნდა ესმოდეს სტანდარტების მიზანი: ეს არის გონივრული მოლოდინი, რომელიც მოქმედებს, როგორც კურიკულუმის მიზნები. *ყველა ბავშვი ვერ მიაღწევს ყველა სტანდარტს.* სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს, განათლების პოლიტიკის შემქმნელებს და მშობლებს ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ ამის შესახებ და ჰგონიათ, რომ ყველა ბავშვი მიაღწევს ყველა სტანდარტს, ველით, რომ სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი ისწავლის ასოების ცნობას, და წინასასკოლო განათლების დასრულებამდე ყველა ბავშვს ეცოდინება კითხვა. საუკეთესო პრაქტიკა ნებისმიერი ასაკის ჯგუფისთვის, განსაკუთრებით კი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, არის იმის აღიარება, რომ ყველა ბავშვი ვითარდება და თამაშობს თავისი საკუთარი ტემპით, ზოგიერთ სფეროში ძლიერია, ზოგიერთში კი სუსტი (NAEYC 2009). ადრეული განათლების სტანდარტების მეტი ეფექტიანობისთვის მასწავლებლები იყენებენ მათ, როგორც მოლოდინებს, რომელთა საშუალებითაც შეუძლიათ გაზომონ ყველა ბავშვის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ამ ინფორმაციით აღჭურვილ მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ კურიკულუმი, რომელიც ინდივიდუალური იქნება ყველა ბავშვისთვის, განსაზღვრონ თითოეული ბავშვის სწავლის დონე და დაეხმარონ მათ ზრდასა და სწავლის გაგრძელებაში მათი სწავლის დონის შესაბამისად.

ადრეული განათლების სტანდარტების დანერგვისთვის, ადრეული ასაკის ბავშვების სწავლების საუკეთესო მიდგომებზე უარის უთქმელადაც უამრავი გზა არსებობს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და წინასასკოლო ჯგუფები შესაძლოა კვლავაც იყოს მხიარულების, გართობის ადგილი, სადაც ბავშვები ვითარდებიან და

სიამოვნებით სწავლობენ ბევრ ახალს. ადრეული განათლების სტანდარტების ინტეგრირება თამაშებში შესაძლებელია როგორც შენობაში, ასევე მის გარეთ. ისინი შესაძლოა ყოველდღიური საქმიანობის ისეთივე ნაწილი იყოს, როგორიცაა კვება, მოსვლა და წასვლა, აბაზანის პროცედურები და გარდამავალი პერიოდები. სტანდარტები შესაძლოა იყოს მასწავლებლის მიერ მართული პატარა და დიდი ჯგუფების საქმიანობის ნაწილი. ადრეული განათლების სტანდარტების დანერგვისას სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებმა არ უნდა თქვან უარი სათამაშო მოედნებსა და თამაშის ხანგრძლივ საათებზე. პირიქით, შეუძლიათ დანერგონ სტანდარტები მთელი თავიანთი კურიკულუმისმანძილზე მხიარულად და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და ადმინისტრაციას და მშობლებს გარკვევით მიაწოდონ ინფორმაცია ამ პროცესთან დაკავშირებით.

სწავლების ეს მეთოდი ბევრ მუშაობას მოითხოვს. ის ითვალისწინებს ზრუნვას, ცოდნას და ყურადღებას თითოეული ბავშვის მიმართ. ეროვნულ კონფერენციაზე პრეზენტაციის დროს ბარბარა ბოუმანმა, NAEYC-ის ყოფილმა პრეზიდენტმა და ამ ბოლო დრომდე ადრეული განათლების პროგრამების ხელმძღვანელმა ჩიკაგოს საჯარო სკოლებში, აჩვენა სლაიდი, რომელიც ადასტურებს, რომ „ეს არის კომპლექსური მეცნიერება!“ მან ასევე განმარტა, რომ ყოველთვის, როცა ესაუბრება ადმინისტრატორებს, პოლიტიკის შემქმნელებს, პოლიტიკოსებს და მშობლებს, აჩვენებს ამ სლაიდს, რათა დაანახოს მათ საუკეთესო პრაქტიკის სიღრმე ადრეული ასაკის ბავშვების სწავლებაში. *ბავშვის განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* უკანასკნელ გამოცემაში (Copple and Bredekamp 2009), ანუ DAP, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მასწავლებლის მიზანმიმართულ სწავლებაზე უფრო მეტი ყურადღებაა გამახვილებული, ვიდრე პირველ ორ გამოცემაში. ბარბარა ბოუმანის თანახმად, „ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არ არის შემთხვევითი“. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პედაგოგები მიზანდასახულად ზრუნავენ გარემოს მოსაწყობად, მაღალი დონის თამაშის ხელშესაწყობად, ჯგუფში მუშაობის დასაგეგმად და თითოეული ბავშვის კარგად გასაცნობად. ეს ყველაფერი მაშინ მიიღწევა, როცა პედაგოგები ითვალისწინებენ სტანდარტებთან დაკავშირებულ მიზნებს, აფასებენ ბავშვის საქმიანობას და ოჯახებთან მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ. ადრეული ასაკის ბავშვების სწავლება კომპლექსური მეცნიერებაა!

თამაშის მნიშვნელობა

მასწავლებლებთან მუშაობა მეხმარება მესმოდეს მათი შეშფოთება იმ მოლოდინებთან დაკავშირებით, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებლები. როდესაც თავიანთ ჯგუფებში ცდილობენ ადრეული განათლების სტანდარტების გათვალისწინებას, მათ აინტერესებთ, საჭიროა თუ არა, რომ მოიქცნენ როგორც ინსტრუქტორები, რომლებიც ასწავლიან ბავშვებს სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს პატარა ჯგუფებში და აძლევენ მეტ დავალებას ფანქრის და ქაღალდის გამოყენებით. ისინი კითხულობენ, უნდა შეამცირონ თუ არა თამაშის ხანგრძლივობა იმისათვის, რათა აკადემიურ სწავლებას მეტი ყურადღება მიექცეს. აინტერესებთ, საჭიროა თუ არა თითოეული ბავშვის საქმიანობის შეფასება მოთხოვნის მიხედვით შეფასებებისა და მინი

ტესტების საშუალებით. ისინი ასევე კითხულობენ, საჭიროა თუ არა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და წინასასკოლო ჯგუფები დაწყებითი სკოლის ჯგუფებივით გამოიყურებოდეს.. მაგრამ ამასთან ერთად ისინი იცნობენ ადრეული ასაკის ბავშვებს და კამათობენ კურიკულუმის პრაქტიკაზე „ზეწოლის“მართებულობასთან დაკავშირებით. მათ იციან, რომ არასწორია კურიკულუმის ამგვარი პრაქტიკა - პირველი კლასის პრაქტიკის გამოყენება წინასასკოლო ასაკის მოსწავლეებისათვის და წინასასკოლო პრაქტიკისა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, მაგალითად, აკადემიური სწავლების იძულება ადრეულ ასაკში. მათთვის ცნობილია თამაშის მნიშვნელობა და მისი კავშირი სწავლასთან სკოლამდელი ასაკის ბავშვების მოსწავლეებისათვის.

ადრეული განათლების სფეროს, როგორც ეს *ბავშვის განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* მესამე გამოცემაში (Copple and Bredekamp 2009) აღინიშნა, საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით გააჩნია ძლიერი, კვლევაზე დაფუძნებული გზამკვლევები კურიკულუმსა და შეფასებაში. ეს რეკომენდაციები ხაზს უსვამს, რომ მასწავლებლები აღიარებენ სწავლის სტილს და ბავშვების საჭიროებებს სხვადასხვა ასაკში, ასევე ფოკუსირებას ახდენენ თითოეული ბავშვის უნიკალურ შესაძლებლობებზე და კულტურულ წარმოშობაზე. ისინი არ ეთანხმებიან კურიკულუმის პრაქტიკაზე ზეწოლას და ნაცვლად ამისა განსაზღვრავენ პრაქტიკას, რომელიც ზუსტად მიესადაგება სკოლამდელი ასაკის ბავშვებს და წინასასკოლო ჯგუფების მოსწავლეებს.

თამაში ჯერ კიდევ განიხილება, როგორც სწავლების ძირითადი საშუალება საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში. თამაშის დრო ეფუძნება კვლევების მუდმივად მზარდ მოცულობას, სადაც დოკუმენტურად არის გადმოცემული მაღალი დონის თამაშის სარგებელი ბავშვებისათვის. მასწავლებლის მიზნობრიობა განისაზღვრება, როგორც სწავლების ხელშეწყობა თამაშის გზით, ასევე მასწავლებლის მიერ მართული ჯგუფური მუშაობა. დაგეგმვის მნიშვნელობას ისეთი აქტივობების გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია განიხილოს თითოეული ბავშვის შესაძლებლობების სპექტრი და ბავშვებისათვის არჩევანის მიცემის მნიშვნელობა, *ბავშვის განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* მთელ დოკუმენტსა და გზამკვლევში ძირითადი ყურადღება ეთმობა. უფრო მეტიც, ხაზგასმულია კავშირი გართობასა და სწავლას შორის:

„საუკეთესო მასწავლებლებმა იციან.... ეს არის *ორივე* - გართობაც და სწავლაც... მხარდამხარ მიდიან.... მასწავლებლები ყოველთვის უფრო ხარისხიანები არიან, როცა ირჩევენ სწავლის ამ ბუნებრივ სიყვარულს, ვიდრე მაშინ, როდესაც ერთმანეთისაგან ყოფენ მუშაობას და სიამოვნებას. როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ზოგიერთი პედაგოგი ამბობს, ბავშვებს „გულიანად გართობაზე“ მეტად არაფერი უყვართ“ (Copple and Bredekamp 2009).

ბავშვის განვითარების შესაბამისი ყოვლისმომცველი პრაქტიკა არ გულისხმობს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლებმა უარი უნდა თქვან გართობაზე ამ ასაკობრივი ჯგუფის სწავლების პროცესში. პირიქით, მასწავლებლებმა კარგად იციან, თუ რატომ უჭერენ მხარს თამაშს, გეგმავენ კონკრეტულ აქტივობებს და მუშაობენ ბავშვებთან, რათა დაეხმარონ მათ შეეწყონ ერთმანეთს და შეიყვარონ სწავლა.

ჩარჩო ფორმები თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისთვის

ეს წიგნი წარმოადგენს დაგეგმვის და რეფლექსიის სხვადასხვა ჩარჩო ფორმებს, რომელიც ცდილობს გაარკვიოს, თუ რა უნდა ხდებოდეს რეალურად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და წინასასკოლო

ჯგუფებში. ეს ჩარჩო ფორმები მასწავლებლებს დაეხმარება „ჰარმონიულად ამუშაონ ყველაფერი ეს“, მათ მიერ ყოველდღიურად ჯგუფში განხორციელებული საუკეთესო სასწავლო მიდგომების ინტეგრაციისას. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფების ბავშვებს გააჩნიათ უნიკალური საჭიროებები და თვისებები სწავლისათვის. ფორმები ამ წიგნში შექმნილია მასწავლებლების დასახმარებლად ჯგუფის ორგანიზებასა და აქტივობების დაგეგმვაში, რომელიც იმუშავებს ამ ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებებისა და თვისებების შესაბამისად და არა მათ წინააღმდეგ - კურიკულუმის პრაქტიკაზე ზეწოლის გარეშე, რომელიც მუშაობს უფრო მოზრდილ ბავშვებთან. ამ ფორმებში წარმოდგენილი პრაქტიკა შესაფერისია ადრეული ასაკის ბავშვებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მასწავლებლები ხშირად აერთიანებენ სხვადასხვა სასწავლო მიდგომას და სტრატეგიებს, რომელიც მოიაზრება ზოგად სათაურში - *„ბავშვის განვითარების შესაბამისი პრაქტიკა“*. ისინი აერთიანებენ გარემოზე დაფუძნებული სწავლის ცენტრების ასპექტებს კურიკულუმთან, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს. ისინი ასევე აერთიანებენ აკადემიურ სწავლებას პრაქტიკულ კვლევასთან და თამაშთან და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბავშვების სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

ჩემი აზრით კურიკულუმი მართლაც წარმოდგენილია მასწავლებლის გეგმებით. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ მიდგომას ან კურიკულუმის მოდელს იყენებს, მისი გეგმები ყოველდღიურ გრაფიკთან, ხელმისაწვდომ მასალებთან და თამაშით გამოცდილებებთან და ჯგუფური მუშაობის წარმართვასთან დაკავშირებით, არის კურიკულუმის ფაქტობრივი განხორციელება. ზოგიერთმა კურიკულუმმა შესაძლოა მოგვაწოდოს დაგეგმვის ფორმის მოდელი, მაგრამ მასწავლებლები ხშირად მეუბნებიან, რომ ძნელია ჩაიწერო ჯგუფში მიმდინარე *ფაქტობრივი* მოვლენები, როდესაც პასუხობ ბავშვების ინტერესებს, აკვირდები მათ წარმატებებს და პრობლემებს და შეგაქვს ცვლილებები თითოეული ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. მათი ჩაწერილი გეგმები მოიცავს მხოლოდ მათ მიერ წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს და მასალებს და არა იმ ცვლილებებს, რომელიც ყოველდღიურად შეაქვთ აქტივობებში ჩართულ ბავშვებზე დაკვირვებაზე დაყრდნობით.

ამ წიგნში წარმოდგენილი ფორმები გამომდინარეობს ჩემი წიგნიდან, *„ფოკუსირებული ადრეული სწავლა: ადრეული ასაკის ბავშვების სწავლების დაგეგმვის ფორმა“ (Gronlund 2003). ამ წიგნის* გამოქვეყნების შემდეგ, დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებით, ასობით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებლებთან ვიმუშავე. კოლეგების გამოცდილების გაცნობა დამეხმარა გამეცნობიერებინა ზოგიერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს დაგეგმვის ფორმის ნაწილი.

ასევე ვისწავლე, რომ არსებობს წერილობითი დაგეგმვის სტრუქტურირების სხვადასხვა გზები, რომელიც ასახავს ამ ძირითად კომპონენტებს. მაშასადამე, აქ წარმოდგენილი იქნება დაგეგმვის და რეფლექსიის სხვადასხვა მოდელი. შეგიძლიათ გადახედოთ მათ და გადაწყვიტოთ, რომელი მათგანი მოერგება ყველაზე უკეთ თქვენს გარემოს და თქვენი სწავლებისა და დაგეგმვის სტილს. დაგეგმვა და რეფლექსია წარმოადგენს მიზნობრივი სწავლების კრიტიკულად მნიშვნელოვან ასპექტებს. ეს არის პროცესი, რომელიც მოქცეულია ყურადღების ცენტრში. ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნში წარმოდგენილი სტრუქტურები მნიშვნელოვანი არჩევანის საშუალებას და შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს ადრეული განათლების სფეროში.

ჩარჩო ფორმების გამოყენება სხვა კონტექსტში

ამ წიგნში ვსაუბრობ მასწავლებლებსა და ჯგუფებზე. აქ წარმოდგენილი ფორმების და სასწავლო პროცესების გამოყენება შესაძლებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლამდელი აღზრდის პროგრამებისა და წინასასკოლო ჯგუფებში, როგორც კერძო, ასევე საჯარო პროგრამებში. ამას გარდა ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს ოჯახში ბავშვის მოვლის კონტექსტში, ისევე როგორც ბავშვის მოვლის ცენტრებსა და საბავშვო ბაღებში. უფრო მეტიც, სპეციალურ პედაგოგებს ამ წიგნში შესული რეკომენდაციების გამოყენება შეუძლიათ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობისას. მე მათ ვთავაზობ სხვადასხვა სიტუაციებს, რათა განიხილონ საერთო იდეები და შეუსაბამონ ისინი თავიანთ პარამეტრებს. სიტყვის, *„მასწავლებელი“,* გამოყენებისას, ვგულისხმობ ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე ნებისმიერ უფროსი ასაკის ადამიანს.

ჩარჩო ფორმების საველე ტესტირება

ადრეული ასაკის ბავშვთა სპეციალისტები თავაზიანად შეთანხმდნენ, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება დაგეგმვასთან, დაკვირვებასა და სწავლებასთან დაკავშირებით თავიანთი სკოლამდელი აღზრდისა და წინასასკოლო ჯგუფებში. მათი წვლილი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არ მინდა ჩემი მოსაზრებები არ ეფუძნებოდეს ჯგუფის რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებას.

ამ დოკუმენტის სხვადასხვა თავში იხილავთ ადრეული განათლების სფეროს პროფესიონალების კომენტარებს და შეიტყობთ მეტს მათი წარმატებებისა და პრობლემების შესახებ დაგეგმვის პროცესში. ისინი განსხვავებულ პროგრამას წარმოადგენენ მთელ ქვეყანაში. თითოეულ მათგანს აქვს ადრეული ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის ფართო გამოცდილება, რომელიც გულწრფელად გამიზიარეს. ნება მიბოძეთ, გიამბოთ მათ შესახებ.

- **მერი ბლისი:** მერი ამჟამად გახლავთ კრისტინა კენტის ადრეული ასაკის ბავშვთა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ალბუკერკეში, ნიუ მექსიკოში. ეს არის არაკომერციული პროგრამა სკოლამდელი, ორიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელიც 1919 წლიდან ემსახურება დაბალშემოსავლიან ოჯახებს. მერი და მისი პერსონალი განვითარებისთვის და პრაქტიკაშიც, იყენებს რეჯიო ემილიას პრინციპებს. იგი ოცი წლის განმავლობაში ასწავლიდა ნიუ მექსიკოში კერძო და საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში. მას აქვს მაგისტრის ხარისხი ადრეული განათლების სფეროში.
- **ლაურა დოქტერმანი:** ლაურა არის ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კონსულტანტი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება კურიკულუმის, საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის, სასწავლო გარემოსა და მასწავლებლის განვითარების კუთხით. ის თექვსმეტი წელი ასწავლიდა ჩვილებს, ადრეული ასაკის ბავშვებს და წინასასკოლო ჯგუფის მოსწავლეებს. მას აქვს ბაკალავრის ხარისხი ადრეული მულტიკულტურული განათლების სფეროში და ამჟამად მუშაობს თავის სამაგისტრო თემაზე - ადრეული ასაკის ბავშვთა კურიკულუმი და სწავლება.
- **სუზანი ჰეგარტი:** სუზანი რვა წლის განმავლობაში ასწავლიდა ოთხი წლის ბავშვებს მაცხოვრის სახელობის ეკლესიასთან არსებულ წინასასკოლო დაწესებულებაში გრინვიჩში, კონექტიკუტში. მან და მისმა კოლეგებმა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და პორტფოლიოს შეფასების მეშვეობით კონექტიკუტში დანერგეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა. იგი ასევე მუშაობდა მედიაცენტრში დაწყებით სკოლაში. აქვს ბაკალავრის ხარისხი განათლების სფეროში.
- **სიუ ჯეფერსი:** სიუ ცხრამეტი წელი ასწავლიდა საბავშვო ბაღში უნივერსიტეტის სკოლაში (როგორც კერძო, დამოუკიდებელ სკოლაში) მილოუკში, ვისკონსინში. აქედან ათი წელი მუშაობდა, როგორც სკოლამდელი აღზრდის დეპარტამენტის თანათავმჯდომარე. მას აქვს ბაკალავრის ხარისხი დაწყებით განათლებაში და სკოლამდელი აღზრდის სერტიფიკატი.
- **ბრენდა კოფალი:** ბრენდა არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პროგრამის სპეციალისტი და მონაცემთა კოორდინატორი/K-3Plus პროგრამის მენეჯერი წიგნიერების ბიუროში, ნიუ მექსიკოს საჯარო განათლების დეპარტამენტში. ის იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მასწავლებელი, ბავშვის მოვლის სამსახურის დირექტორი, Head Start პროგრამის დირექტორი, დაბადებიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვთა განათლების კოორდინატორი და დაწყებითი სკოლის დირექტორი. ცხრა წელი ასწავლიდა სრულდღიან საბავშვო ბაღში ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების სკოლაში, ასევე ასწავლიდა პირველ და მეორე კლასს და ადრეული ასაკის ბავშვთა საუნივერსიტეტო კურსებს. ერთი წელი იმუშავა ინდოეთის ეროვნულ Head Start დირექტორთა საბჭოში. აქვს ბაკალავრის ხარისხი დაწყებით განათლებაში და მაგისტრის ხარისხი განათლებაში.

- **მერი მაკქუისტონი:** მერი გახლავთ განათლებისა და განვითარების მენეჯერი ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. იგი ასევე უძღვება სასწავლო კურსებს ადრეული ასაკის ბავშვთა მულტიკულტურული განათლების სფეროში საუნივერსიტეტო დონეზე. 1990 წლიდან მოღვაწეობს ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში. ნამუშევარი აქვს ჩვილებთან, ადრეული ასაკის და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან, როგორც ჯგუფის მასწავლებელს, სუპერვაიზერს და ტრენერს. მას აქვს დოქტორის წოდება მომსახურების სფეროში, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლას და განათლებას, მაგისტრის წოდება პედაგოგიურ აზროვნებასა და სოციო-კულტურულ კვლევებში, ბაკალავრის ხარისხი ფილოსოფიაში და AA (ასოცირებული ხელოვნება) ხარისხი ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებაში.
- **ლორენ მაიკლი:** ლორენი არის სწავლებისა და განვითარების კონსულტანტი ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, რომელიც ტრენინგს უტარებს და ადგილზე დახმარებას უწევს ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებს. იგი თერთმეტი წლის განმავლობაში საქმიანობდა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში და ასწავლიდა როგორც ჩვილების/ადრეული ასაკის ბავშვების, ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფებს. მას აქვს ბაკალავრის ხარისხი ადრეული განათლების და მულტიკულტურული განათლების სფეროში და ამჟამად ამთავრებს მაგისტრატურას ადრეული ასაკის ბავშვთა კურიკულუმსა და სწავლებაში.
- **როზმარი ნილი:** როზმარი იყო ოჯახური წიგნიერების მასწავლებელი პროგრამის, "Even start Family Literacy Program", ფარგლებში ალბუკერკეს საჯარო სკოლებში. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მუშაობდა სამი, ოთხი და ხუთი წლის ბავშვებთან. პროგრამაში ყურადღება უმთავრესად ეთმობა ოჯახის წიგნიერების ხელშეწყობას. ის ოცი წელი მუშაობდა მცირეწლოვან ბავშვებთან და აქვს ბაკალავრის ხარისხი სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებაში და მაგისტრის ხარისხი მულტიკულტურული ადრეული ბავშვობის სფეროში.
- **რობინ სამპაგა:** რობინი არის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, წამყვანი მენტორი ტრენერი და ადრეული ასაკის ბავშვთა ლიდერი (ინგლისურის მასწავლებელი, ინკლუზიური მასწავლებელი) ალბუკერკეს საჯარო სკოლებში. მან ოცდარვა წელი იმუშავა სკოლამდელი ასაკის დაწესებულებაში, საბავშვო ბაღში და პირველ, მეორე და მესამე კლასებში როგორც აშშ-ში, ისე სხვა ქვეყნებში. აქვს ბაკალავრის ხარისხი ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებაში და მაგისტრის ხარისხი განათლებაში.
- **სარა სიმსი:** სარა არის პროგრამის მენეჯერის დროებითი კონსულტანტი ნიუ მექსიკოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. მან თორმეტი წელი იმუშავა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში ძალიან მრავალფეროვან მოსახლეობასთან - ჩვილების, ადრეული ასაკის ბავშვების, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და კოლეჯის სტუდენტების ჩათვლით, როგორც მასწავლებელმა, ცენტრის მენტორმა და პროგრამის

ადმინისტრატორმა. მას აქვს ხარისხი ადამიანის განვითარებასა და საოჯახო კვლევებში, სადაც აქცენტი კეთდება ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებაზე.

- **კეტი სტიუარტი:** კეტი, მაცხოვრის სახელობის ტაძართან არსებული საბავშვო ბაღის დირექტორი ოულდ გრინვიჩში, კონექტიკუტში, ადრეული ასაკის ბავშვებთანმასწავლებლად და ცენტრის დირექტორად ოც წელიწადზე მეტხანს მუშაობდა. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ის გულმოდგინედ თანამშრომლობდა გრინვიჩის განათლების საბჭოსთან, რათა გრინვიჩის ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების საზოგადოებისთვის, რომელიც ფოკუსირებული იყო კურიკულუმის და ადრეული განათლების სტანდარტების მიზანმიმართულ გაერთიანებაზე, ხელი შეეწყო მაღალი დონის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფაში. მას ეკუთვნის ერთი თავი *მოგზაურობის შესახებ მოთხრობების კრებულში:* „სწავლა ისტორიებისა და თამაშის საშუალებით“ და გახლდათ თანაავტორი სტატიისა „მოქმედების მიზნობრიობა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის“ 2011 წლის ნოემბერში. მას აქვს ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ლიტერატურაში, აქვს წინასასკოლო ჯგუფიდან მეექვსე კლასამდე სწავლების სერტიფიკატი, ასევე მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრირებაში.

როგორ გამოვიყენოთ ეს წიგნი

დაგეგმვის პროცესი, რომელიც აღწერილია ამ წიგნში, აერთიანებს საკითხების წარმოუდგენელ რაოდენობას და დეტალურ ინფორმაციას წარმატებული სკოლამდელი განათლების და წინასასკოლო დაწესებულების ჯგუფის ცხოვრების შესახებ. ეს პროცესი მასწავლებლებს დაეხმარება შეიმუშაონ იმ საშუალებების მიმდინარე ჩანაწერები, რომლითაც ისინი აკავშირებენ საკუთარ ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ, კონკრეტულ საჭიროებებთან და ბავშვების ინტერესებთან, რომლებსაც ისინი ასწავლიან. ეს ჩანაწერი შემდგომ შესაძლოა გახდეს როგორც დაგეგმვის, ისე რეფლექსიის ინსტრუმენტი ოჯახებზე დაკვირვებისა და მათთან კომუნიკაციისათვის.

დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმების გარდა ეს წიგნი ფოკუსირებულია ადრეული და წინასასკოლო ასაკის ბავშვების სწავლების უამრავ ასპექტზე. ჩვენ მხედველობაში ვიღებთ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯგუფებისთვის კურიკულუმის რამდენიმე შესანიშნავი მიდგომის შემუშავებას (ასეთებია შემოქმედებითი კურიკულუმი, **High/Scope („მაღალი შესაძლებლობების“)** კურიკულუმი, პროექტული მიდგომა, ემერჯენტული კურიკულუმი და რეჯიო ემილიას მიდგომა), ამდენად ამ წიგნის მიზანი არ ყოფილა ველოსიპედის გამოგონება. ნაცვლად ამისა, ის მკითხველს სთავაზობს განვითარების შესაბამისი მიდგომის საუკეთესო ნაწილის ერთ მთლიანობად ინტეგრირების გზებს დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმების გამოყენებით.

პირველი თავი გააფართოებს კურიკულუმის განსაზღვრებას ველის, წიგნის ან მასალების ნაკრების მიღმა და შეისწავლის კურიკულუმს სიღრმისეულად, განსაზღვრავს

მას როგორც პროცესს, რომელიც მოიცავს მიმდინარე დაგეგმვას, დაკვირვებას და ინდივიდუალიზაციას. მე-2 თავი წარმოგვიდგენს დაგეგმვის და რეფლექსიის სხვადასხვა ფორმას, რათა ასახოს დაგეგმვის / დაკვირვების / ინდივიდუალიზაციის ციკლი. მე-3 თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ როგორ ჩავრთოთ სასწავლო მიზნები და აკადემიური ასპექტები (მეცნიერების საფუძვლები) თამაშში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და მასწავლებლის მიერ მართულ ჯგუფურ აქტივობებში. მე-4 თავი განიხილავს მასწავლებლების როლს დაგეგმვასა და ბავშვებისათვის მაღალი დონის თამაშით გამოცდილებების შენარჩუნებაში. ეს როლი გულისხმობს გარემოს შექმნას თამაშისთვის, ისე რომ საკმარისი დრო გამოიყოს მაღალი დონის თამაშისთვის, რათა განვითარდეს და იმოქმედოს, როგორც თამაშის ხელშემწყობმა. მე-5 თავში განვიხილავთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალიზაციას და დიფერენციაციას. ზრდასრულის მიერ მართული და ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობების დაბალანსებას შეისწავლის მე-6 თავი, ხოლო ურთიერთობების დამყარებაზე ბავშვებთან და ოჯახებთან, ვისაუბრებთ მე-7 თავში. მე-8 თავი ფოკუსირებულია ავთენტურ შეფასებასა და კურიკულუმზე. და ბოლოს, მე-9 თავი ხელმეორედ გადახედავს დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლს და განიხილავს, რა მოხდება რომელიმე ელემენტის გამოტოვების შემთხვევაში.

თავი 1 კურიკულუმის განხორციელება დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლის მეშვეობით

საუკეთესო კურიკულუმი და პრაქტიკა სკოლამდელი და წინასასკოლო[2] ასაკის ბავშვებისათვის ადრეული ასაკის მოსწავლეების თვისებების (თავისებურებების) ცოდნის ირგვლივ ტრიალებს. უფროსი ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, ისინი მასწავლებლებისგან ითხოვენ გამოიყენონ დაწყებითი კლასების მიდგომებისგან განსხვავებული მიდგომები. მოდით, განვიხილოთ ადრეული ასაკის ბავშვების ზოგიერთი მახასიათებელი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები აქტიური შემმეცნებლები არიან და არა ინფორმაციის პასიური მიმღებები ან კარგი მსმენელები. სადემონსტრაციო ჩვენება და ლექციების მოსმენა მათთვის ახალი ინფორმაციის მიღების ძირითად გზას არ წარმოადგენს. ისინი არიან ავტორებიც და შემსრულებლებიც, გააჩნიათ დასახარჯი ენერგია და სურვილი, აქტიურად გამოცადონ სხვადასხვა რამ საკუთარ თავზე. ისინი რისკზე მიდიან, შეისწავლიან საკუთარ შესაძლებლობებს და ყოველთვის არ იცავენ უსაფრთხოების ნორმებს. არიან მშენებლები და კონსტრუქტორები, ალპინისტები და მორბენალები, მეცნიერები, რომლებიც ექსპერიმენტს ატარებენ მასალების გამოყენების ახალ და საინტერესო მეთოდებზე. ისინი არიან არტისტები და მოცეკვავეები, შეისწავლიან საკუთარ შემოქმედებითობას და თავისუფლებას სივრცეში, არკვევენ, როგორ გამოხატონ საკუთარი უნიკალური „მე“.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები ახლა სწავლობენ წერილობით ენას და ეცნობიან ისტორიების (გადმოცემული ამბები) ძალას. ისინი რაოდენობას აღიქვამენ რეალური პრობლემების მეშვეობით, რომლებიც წარმოიქმნება და უნდა გადაიჭრას: რამდენი კრეკერით შეიძლება წავიხემსოთ ან რამდენი ბავშვი ეტევა მაგიდასთან? ადრეული ასაკის ბავშვები თავიანთ გრძნობებს ქცევების მეშვეობით უფრო გამოხატავენ,, ვიდრე სიტყვებით და სხეულსაც ხშირად იყენებენ კომუნიკაციისათვის: მათი ვერბალური კომუნიკაციის უნარი და ლექსიკა ჯერ კიდევ ვერ უწყობს ფეხს ინტენსიურ ემოციებს, რომელსაც ისინი ხანმოკლე დროის განმავლობაში განიცდიან.

[2] „წინასასკოლო ჯგუფი“- „kindergarten” - აშშ-ში დაწყებითი განათლების პირველ კლასამდე სავალდებულო მოსამზადებელი გარდამავალი ჯგუფი სკოლამდელიდან სასკოლო განათლების საფეხურზე

სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებს ფიზიკური ენერგიის დასახარჯად, რისიმე შესწავლის მიზნით მანიპულაციების განსახორციელებლად და საკუთარი თავისთვის რამის გასაკეთებლად ბევრი შესაძლებლობა სჭირდებათ. ამიტომ საჭიროა, რომ ჯგუფში შექმნილი გარემო უზრუნველყოფდეს ობიექტების მოძრაობის, შესწავლის და პრაქტიკული მანიპულაციის შესაძლებლობას. მასწავლებლები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ ყოველდღიურ გრაფიკს, რათა დარწმუნდნენ, რომ ჯდომისა და პასიური მოსმენისთვის უფრო ნაკლები დრო გამოიყოფა, ვიდრე პრაქტიკული აქტივობებისთვის. მათვე უნდა უზრუნველყონ ყოველდღიურად ბავშვების გარეთ გაყვანა ისეთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა სირბილი, ხტუნვა და ცოცვა. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების დაწესებულების მასწავლებლებმა ყოველივე ეს კურიკულუმის სახელით უნდა გააკეთონ.

კურიკულუმის განსაზღვრა

კურიკულუმის განსაზღვრა სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების დაწესებულების ჯგუფებში რთულია. ის წიგნიერების ან სამეცნიერო აქტივობაზე ბევრად მეტს გულისხმობს. გამომცემლებმა გამოაქვეყნეს კურიკულუმის ნაკრები, კურიკულუმის წიგნები, სასწავლო პროგრამის მასალები, ისევე როგორც კურიკულუმის ჩარჩოები და მიდგომები. ჩემი აზრით, ვერცერთი მათგანი სრულად ვერ ასახავს, თუ რა ხდება ადრეული ასაკის ბავშვთა კვალიფიციურ პრაქტიკოსსა და მის ბავშვებს შორის, ან ორსაათნახევრიანი ან სრულდღიანი პროგრამის განმავლობაში. კურიკულუმი გულისხმობს ყველაფერ იმას, რაც ხდება პროგრამის ფარგლებში, ბავშვის მოსვლიდან შინ წასვლამდე. მთელი ამ დროის განმავლობაში მიღებული გამოცდილება ზემოქმედებას ახდენს მის სწავლასა და წარმატებაზე.

კეტი: კურიკულუმი ბევრად უფრო მეტია ვიდრე წიგნი ან ნაკრები - პირდაპირ რომ ვთქვათ, ის ყველაფერია.

კურიკულუმი ვერ შემოიფარგლება წიგნით ან მასალების ნაკრებით. ეს არის გეგმების განხორციელების და მოვლენებზე დაკვირვების დინამიური პროცესი. მასწავლებელი გეგმავს მიმზიდველ აქტივობებს და გამოცდილებებს ბავშვებისთვის და სწორედ ამის მერე შეუძლია წიგნსა და მასალებს წვლილის შეტანა ამ პროცესში. რადგან მასწავლებელი ახორციელებს ამ გეგმებს, აკვირდება და განსაზღვრავს როგორც თითოეული ბავშვის, ისე მთელი ჯგუფის წარმატებას და ჩართულობას. დაკვირვებაზე დაყრდნობით შეაქვს მასში ცვლილებები - ზოგჯერ დაუყოვნებლივ, მომენტალურად, ზოგჯერ კი გარკვეული დროის შემდეგ და ის მომხდარზე აისახება. კვალიფიციური მასწავლებლები მოაზროვნეები/ჩაფიქრებულები უფრო არიან, ვიდრე რეაქტიულები. არიან გააზრებულები და მიზნობრივები, დაკვირვებულები და მოქნილები. კურიკულუმიც, რომელსაც ისინი ახორციელებენ, არის მასწავლებლის ინტეგრირებული ქმედებების განვითარების პროცესი, რომელიც სრულდება მიმდინარე ციკლში.

ლაურა: „ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება იმის თქმა, რომ კურიკულუმი არის ყველაფერი. მინახავს მასწავლებლები, რომლებსაც უთქვამთ, რომ იცნობენ ამ ბუნებრივ პროცესს, თუმცა ყოველთვის არ ახორციელებენ მას პრაქტიკაში. შესაძლოა ისინი საკმარისად არ ენდობიან მას.“

სუზანი: „აღმოვაჩინე, რომ ეს პროცესი წრიულია. პროცესის ვერცერთი ნაწილი ვერ იქნება წარმატებული დამოუკიდებლად.“

ქვემოთ მოცემული გამოსახულება განსაზღვრავს ხუთ მნიშვნელოვან საფეხურს კურიკულუმის პროცესში.

დაგეგმვა/დაკვირვება/ინდივიდუალიზაციის ციკლი



მოდით, ახლოდან შევხედოთ თითოეულ საფეხურს კურიკულუმის პროცესში.

დაგეგმვა

კვალიფიციური მასწავლებლები აქტივობებს და თამაშით გამოცდილებებს სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვების შესაბამისად გეგმავენ. ყოველდღიური

გრაფიკი მოიცავს ბავშვის მიერ შერჩეული და მასწავლებლის მიერ მართული აქტივობების ნაკრებს, სადაც მეტი დრო ეთმობა ბავშვის მიერ შერჩეულ აქტივობებს. ისინი სრულდება ჯგუფის გარემოს კონტექსტში, რომელიც კარგად არის ორგანიზებული და მდიდარი თავისი შესაძლებლობებით.

მასწავლებლები გეგმავენ თამაშის დროს და ირჩევენ მასალებს, რომელიც დააინტერესებს ბავშვებს, აღუძრავს ცნობისმოყვარეობას და ხელს შეუწყობს მათ აზროვნებას და შემოქმედებითობას. მასწავლებლები გეგმების შედგენით ხელს უწყობენ ბავშვების თამაშს ამ მასალებით. ისინი ღია შეკითხვებით და შეთავაზებებით შეინარჩუნებენ ბავშვის ჩართულობას ამ პროცესში.

მასწავლებლის მიერ მართული ჯგუფის აქტივობა დაგეგმილია მკაფიოდ დადგენილი წესების მიხედვით, რაც ეხმარება ბავშვებს კარგად მოეწყონ და მონაწილეობა მიიღონ მასში. დიდი ჯგუფის აქტივობები მოიცავს ცეკვას და მოძრაობით თამაშებს, სიმღერას და გალობას, ზეპირი ისტორიების მოსმენას და დღის დაგეგმვას. პატარა ჯგუფების შემთხვევაში მიზნები აერთიანებს საინტერესო, პრაქტიკულ აქტივობებს, როგორიცაა სამეცნიერო ექსპერიმენტი ან თამაშები მათემატიკის და წიგნიერების სფეროში. გეგმის შედგენისას მასწავლებლები ნათლად აცნობიერებენ მთელი კვირის მიზნებს და წინასწარ შეუძლიათ აცნობონ ოჯახებს, თუ რა მოხდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იმ პერიოდის განმავლობაში.

მერი ბ: „მე უკეთ ვგრძნობ თავს, რადგან ვგეგმავ და ამავდროულად მოქნილიც შემიძლია ვიყო“

განხორციელება

ამის შემდეგ მასწავლებლები იწყებენ დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების განხორციელებას. ისინი ქმნიან და ამზადებენ მასალებს ორივე შემთხვევისთვის. მასწავლებლებმა იციან, რომ მნიშვნელოვანია ბავშვებს შესთავაზონ სათამაშო სივრცეებისა და მასალების მეტი შესაძლებლობა, რათა ბავშვებმა თავად აირჩიონ, თუ როგორ განავითარონ მაღალი დონის თამაში. მათ შეუძლიათ ახსნან, რისი გაკეთება შეუძლიათ ბავშვებს ამ კონკრეტული მასალებით ან წარმოადგინონ მათი გამოყენების ახალი გზები. ამგვარად ისინი მართავენ კურიკულუმს - ეხმარებიან ბავშვებს ცადონ ახალი რაღაცის კეთება ან იფიქრონ განსხვავებულად. თითოეული ბავშვი ირჩევს აქტივობას და მიდის აქტივობების შესაბამის სივრცეში. ამის შემდეგ ჯგუფში მყოფი უფროსები ბავშვებთან საურთიერთობოდ ერთი სივრციდან მეორეში გადაადგილდებიან. ისინი ყურადღებით აკვირდებიან, სად არის ყველაზე მეტად საჭირო მათი ყოფნა და რისი გაკეთება იქნება ყველაზე მართებული ბავშვების თამაშის ხელშესაწყობად და მათ გასაზრდელად.

მასწავლებლები დიდ ჯგუფებში აქტივობებს ახორციელებენ ისეთი ფორმითა და ხანგრძლივობით, რომ ბავშვებისთვის საინტერესო იყოს. პროგრამა იწყება ფიზიკური აქტივობით და შემდეგ გადადის სიმღერებზე და ხელების მოძრაობებზე სიმღერის თანხლებით (Fingerplays), რომელიც ამშვიდებს ბავშვებს. ამ დროს მასწავლებლები

ხვდებიან, რომ ბავშვების ყურადღება უფრო კონცენტრირებულია და მზად არიან ისტორიების მოსასმენად ან სადემონსტრაციო ჩვენების საყურებლად. პატარა ჯგუფების შემთხვევაში მასწავლებლები ახორციელებენ პრაქტიკულ აქტივობებს და საამისოდ უამრავი შესაძლებლობა აქვთ. რადგან მასწავლებლების მიზანი თავიდანვე მკაფიოა, ისინი არჩევენ კიდეც მასალებს, რომელიც ბავშვებს ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზებს სთავაზობს. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიზნად ისახავს საგნების დახარისხებას და კატეგორიზაციას, მაშინ ბავშვების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ღილებით, მძივებით, ქვებით, ნიჟარებით, გასაღებებით, ხრახნებით სავსე პატარა კონტეინერები და ბოთლის თავსახურები უფრო გამოდგება, ვიდრე მსგავსი საგნებით სავსე ერთი პატარა ყუთი. ამ დროს მასწავლებლები ფხიზლად უნდა იყვნენ, მათ უნდა ამოიკითხონ ბავშვების ინტერესის გამომხატველი სიგნალები და მუშაობა ბავშვებისთვის სასურველ დროს დაასრულონ.

როზმარი: „მე მომწონს აქცენტის გაკეთება დაგეგმვის და დაკვირვების დინამიურ პროცესზე, რადგან ისინი ურთიერთდაკავშირებულია, მასწავლებლებისთვის კი შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ნათელი, რომ ეს სწორედ ის არის, რასაც ისინი თითქმის გაუცნობიერებლად აკეთებენ“.

დაკვირვება

მასწავლებლები მთელი დღის განმავლობაში უყურებენ და უვლიან ბავშვებს. აკვირდებიან მათ მაშინაც, როცა თამაშობენ და მონაწილეობენ ჯგუფურ მუშაობაში. ისინი დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ბავშვების სიტყვებს და კითხულობენ მათი სხეულის ენას. მათ არ გამოეპარებათ ბავშვების ემოციური ტონი. ამჩნევენ, როგორ ინთება ნათურა, როცა ბავშვი ახალ ცნებას გებულობს ან ახალ უნარს ეუფლება. ისინი ამოიცნობენ იმედგაცრუებას, რომელიც ბავშვს ეუფლება, როდესაც პრობლემა ექმნება ვინმესთან ან რამესთან. მასწავლებლებს შეუძლიათ გადაუღონ ბავშვს ფოტოები მუშაობის და თამაშის დროს. მათ შეუძლიათ ნებართვა სთხოვონ ბავშვს მისინახატის თუ წერის ნიმუშის, როგორც შეფასების პორტფოლიოს ნაწილის შენახვისთვის.

სიუ: „დაკვირვება იმდენად ბევრ რამეს მოიცავს- ინდივიდებს, ჯგუფს და არსებული გარემოს ათვისებას. ეს არ არის დასკვნების კეთების დრო. კურიკულუმის წრე რამდენჯერმე უნდა დატრიალდეს, სანამ ეს მოხდება.“

სუზანი: „როგორც ყოველთვის, დრო ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს. მთელი კვირის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებების სათანადოდ ასახვისა და განხილვისთვის, ასევე ამ რეფლექსიების მომდევნო კვირის გეგმაში ასახვისათვის მთელი კვირა ვიმუშავეთ. ზოგჯერ შეიძლება რთული იყოს დროის გამოძებნა, რათა იმოქმედო როგორც გუნდმა.“

მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვებს, როგორც ინდივიდებს, ისე მთელ ჯგუფს. ისინი ყურადღებას აქცევენ ხმაურის დონის მატებას კუბურების სივრცეში ან პირიქით, სიჩუმეს აბაზანის ნიჟარის მახლობლად. ისინი ამჩნევენ ჯგუფის იმ ნაწილს, რომელიც კარგად არის ათვისებული და არც ოთახის გამოუყენებელი ნაწილი რჩებათ შეუმჩნეველი. ისინი აკვირდებიან, როგორ იყენებენ ბავშვები მასალებს. ეს დაკვირვებები შესაძლოა მოითხოვდეს ამა თუ იმ დაუყოვნებელ ინტერვენციას, მაგრამ ასევე იძლევა ინფორმაციას მომავალი დაგეგმვისთვის.

რეფლექსია

კარგ მასწავლებლებს დრო სჭირდებათ დასაფიქრებლად თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით. რეფლექსიის დრო წარმოადგენს აუცილებლობას. გონებაში მთელი დღის კადრების ხელახლა დატრიალება, დაკვირვების ჩანაწერების გადახედვა, სწავლების საინტერესო, როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მომენტების რეფლექსია, არსებითია ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ზემოხსენებულის ასახვა მასწავლებლებს ორი რამის მიღწევაში დაეხმარება:

1. შეუძლიათ შეაფასონ თითოეული ბავშვის მიღწევა და დეტალურად განსაზღვრონ კურიკულუმის ინდივიდზე ორიენტირებული სტრატეგიები, რათა უკეთ დააკმაყოფილონ თითოეული ბავშვის საჭიროებები.
2. შეუძლიათ განიხილონ, კურიკულუმის რომელი ნაწილია წარმატებული მთელი ჯგუფისთვის და რომელი საჭიროებს ცვლილებას.

ლორენი: „ერთი საკითხი, რომელიც მახსენდება, როგორც ყველაზე რთული, არის ბავშვების მოსმენასა და დაკვირვებაზე კონცენტრაცია და შენ საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსია. სწავლების ერთი დღე შესაძლოა ძალიან დაძაბული იყოს. თუმცა, ვფიქრობ, რომ მავიწყდება, რომ ყურადღების გადანაწილება და დასაფიქრებლად დროის გამონახვა, საბოლოოდ ჯგუფს უფრო მოწესრიგებულს გახდის, ჩემს ურთიერთობებსაც უფრო ხარისხიანს გახდის როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე..“

ინდივიდუალიზაცია, ცვლილებები და მორგება

რეფლექსიის შემდეგ მასწავლებლები განიხილავენ ბავშვების საჭიროებებს და ცვლილებები შეაქვთ საგანმანათლებლო გეგმაში. ისინი ასევე ახდენენ მორგებას. ასევე აფასებენ იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც მართავენ რთულ ქცევას და გადახედავენ ჯგუფის მოწყობას. საკუთარ რეფლექსიებზე დაყრდნობით მასწავლებლებს ცვლილებები შეაქვთ აქტივობებსა და თამაშებში, რათა მოერგონ ორივეს, როგორც თითოეული ბავშვის, ისე მთელი ჯგუფის საჭიროებებს. ბავშვებისათვის წარმატების მიღწევაში დასახმარებლად, მასწავლებლებს რაღაცების შეცვლა უხდებათ როგორც სპონტანურად, ასევე გააზრებული დაგეგმვის შემდეგ.

სარა: „მე მქონდა შესაძლებლობა გამომეყენებინა დაგეგმვის/დაკვირვების პროცესი და დავხმარებოდი სხვებს, როცა ისინი დაიწყებდნენ ამ მიდგომის განხორციელებას“. შედეგები ყოველთვის პოზიტიური იყო და მეც და სხვა მასწავლებლებსაც, გვასწავლა ბავშვების სხვაგვარად, უფრო ხელშემწყობი კუთხით გაცნობა. უფრო ღრმა ურთიერთობამ შეგვაძლებინა დაგვეკმაყოფილებინა ბავშვების საჭიროებები.“

მასწავლებლებს, მორგების მიზნით, ყოველდღიურად ასობით სპონტანური ცვლილება უწევთ - ისინი ამოკლებენ ისტორიას/ამბავს, როდესაც ჯგუფს მოუსვენრობას შეამჩნევენ, ან გადაწყვეტენ დამატებით წაიკითხონ სხვა ისტორია, რადგან ბავშვები ყურადღებით უსმენენ. ისინი სთავაზობენ მასალების ნაკრებს ან შესაფერის აღჭურვილობას შესაბამის მომენტში, რათა მოერგონ ბავშვის ღრმა ინტერესს ან მის საჭიროებას ფიზიკური აქტივობების მიმართ იმ დღეს, როცა ძლიერად

სიუ: „მე ვაცნობიერებ, რომ კურიკულუმის პროცესი უნდა დაიწყოს სადღაც, დაგეგმვით, მაგრამ ზოგჯერ დაკვირვება წინ უსწრებს დაგეგმვას. ეს განსაკუთრებით შეეფერება სიმართლეს, როცა ბავშვები მოულოდნელად წამოიწყებენ რაღაცას ან ებადებათ ინტერესი რამის მიმართ და მასწავლებელი ეძებს გზებს ამ სპონტანური ნაპერწკლის გასაღვივებლად.“

წვიმს და გარეთ ვერ გადიან. აქვე მოცემულია სპონტანური მორგების მაგალითი თითოეული ბავშვისათვის:

> *მის ენი ხედავს, რომ ბრენდონი ცდილობს რაღაც გაჭრას მაკრატლით, მაგრამ როგორც კი მას თავდაყირა აბრუნებს, ენი ამჩნევს რომ მისი გაღიზიანება იზრდება. ამიტომ გადაწყვეტს მისკენ გაემართოს და დახმარება შესთავაზოს. ის ფრთხილად ადებს ხელს ბრენდონს ხელზე და ეხმარება გაჭრაში. ბავშვი ფართოდ იღიმის. „შენ ეს შეძელი“ -ეუბნება ენი.*

სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები ასევე ახორციელებენ ასობით დაგეგმილ მორგებას, რათა დაეხმარონ ბავშვებს სწავლაში ან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ზოგჯერ, როცა ფიქრობენ, რომ დაწყვილება წაადგებათ, ზოგიერთ ბავშვს ერთმანეთის გვერდით სვამენ, ან იმავე მიზეზით ბავშვებს მუხლებზე ისვამენ. ისინი გეგმავენ მანიპულაციების ცენტრში ცვლილების შეტანას, რადგან ამჩნევენ, რომ ფაზლებს არ უვლიან, ან ვარაუდობენ, რომ არსებული ფაზლები ძალიან მარტივია ბევრი ბავშვისთვის. ისინი სახავენ იმ ბავშვების დახმარების გზებს, რომლებიც ცდილობენ კონკრეტულ უნარს დაეუფლონ, ასევე გეგმავენ სხვადასხვა ამოცანების დასახვის გზებს ბავშვებისთვის იმ სფეროებში, რომელშიც ისინი ძლიერები არიან.

ცალკეული ბავშვისა და მთელი ჯგუფის სწავლისათვის ხელშეწყობის მიზნით კურიკულუმში ცვლილებების შესატანად მასწავლებლები მუდმივად აფასებენ შემდეგ მიმართულებებს:

- ხელმისაწვდომი მასალები
- აქტივობის ხანგრძლივობა
- ფიზიკური ჩართულობის დონე (აქტიური ან პასიური)
- მასწავლებლების მიერ მართული აქტივობების რაოდენობა ბავშვის მიერ არჩეული აქტივობების რაოდენობის საპირისპიროდ
- აქტივობის თემები (მასწავლებლის მიერ განსაზღვრული ან ბავშვების ინტერესებზე დაყრდნობით)
- აქტივობის მიზნები ან მიზნები ცალკეული ბავშვისთვის

ყველა ცვლილება თუ მორგება, იქნება ეს სპონტანური, თუ ფრთხილად დაგეგმილი, ეფუძნება მასწავლებლის მხრიდან ბავშვების სიღრმისეულ ცოდნას, დაკვირვებას და გონივრულ რეფლექსიას ჯგუფში მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებზე. ამის შემდეგ კურიკულუმის პროცესი თავიდან იწყება. ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების ასახვის შემდეგ, მასწავლებლები კვლავ იწყებენ დაგეგმვას, განხორციელებას და დაკვირვებას. ასეთია კურიკულუმის პროცესი მოქმედებაში.

მიზნების მნიშვნელობა

რას ეფუძნება კურიკულუმის ეს პროცესი - დაგეგმვის/ დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ეს ციკლი? როგორ მიხვდება მასწავლებელი, რომ მისი გეგმები და ცვლილებები იძლევა განსხვავებას ბავშვების სწავლების პროცესში? ამ კითხვას პასუხობს სასწავლო მიზნები. ყველაფერი, რასაც მასწავლებელი აკეთებს ბავშვებთან, ეფუძნება ნათლად განსაზღვრულ, ასაკისთვის შესაფერის სასწავლო მიზნებს.

სასწავლო მიზნები, რომელიც ემყარება გონივრულ მოლოდინს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, წარმოადგენს კურიკულუმის პროცესის ფოკუსს. მასწავლებლებმა სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვის, ყველა სფეროში (შემეცნებითი, ფიზიკური, და სოციალურ/ემოციური) უნდა გაითვალისწინონ სასწავლო მიზნები, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული ბავშვის ჯანმრთელ განვითარებას. ეს სასწავლო მიზნები შესაძლოა მომდინარეობდეს ადრეული სწავლის სტანდარტებიდან ან შეფასების ინსტრუმენტებიდან. რა თქმა უნდა, იდეალური იქნება, თუკი შეფასების და კურიკულუმის მიზნები ერთი და იგივე იქნება, რომ მასწავლებლებს სხვადასხვა წყაროებს შორის სხვადასხვა მოლოდინებით, წინ და უკან ხტუნვა არ მოუწიოთ. სასწავლო მიზნები წარმოადგენს სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების დაწესებულებების კურიკულუმის საფუძველს, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე.

დაგეგმვა/დაკვირვება/ინდივიდუალიზაციის ციკლი



მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ კურიკულუმის ცენტრში მოქცეული სასწავლო მიზნები ასაკის შესაფერისია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში წინასასკოლო ჯგუფების მასწავლებლებს სთხოვეს „ფსონების გაზრდა“ თავიანთ ჯგუფებში, ხუთი წლის ბავშვებისთვის (ხშირად ექვსი წლის ხდებიან) ესწავლებინათ იმავე მეთოდებით, რომელსაც იყენებენ პირველ და მეორე კლასებში. ქაღალდისა და ფანქრის დავალებებმა ჩაანაცვლა სათამაშო სივრცეები და წინასასკოლო ჯგუფების მიმართ გაჩნდა კითხვის სწავლის მოლოდინი. გაიზარდა მოლოდინი წინასასკოლო განათლების მიმართ, მშობლები დაინტერესდნენ, რატომ არ მისდევდნენ სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლები უფრო *აკადემიურ* პროგრამას. საზოგადოებრივი აზრით, *აკადემიური ასპექტი* შემდეგნაირად განისაზღვრება: ნაკლები დრო ეთმობა თამაშს და სოციალიზაციას და მეტი - მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს, რაც დაკავშირებულია ანბანის, ასოების გამოთქმის და მათემატიკის კონცეფციების სწავლასთან ფორმალური, დიდაქტიკური ინსტრუქციის შესაბამისად.

განვითარების შესაბამისი პრაქტიკა და აკადემიური ასპექტები

ხელმოწერილ დოკუმენტში, განსაზღვრავს რა საუკეთესო პრაქტიკას ადრეული ასაკის ბავშვებისათვის, ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია (NAEYC) გვაფრთხილებს ადრეული ასაკის ბავშვების მიმართ შეუფერებელ მოლოდინებთან დაკავშირებით (Copple and Bredekamp 2009). არის თუ არა აკადემიური ასპექტები (მეცნიერების საფუძვლები) შეუსაბამო მოლოდინი?

ამ კითხვაზე კრიტიკული პასუხი გულისხმობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიეწოდება ბავშვებს აკადემიურ უნარებზე ორიენტირებული სწავლება. განვითარების შესაფერისი ყველა პროგრამა უნდა მოიცავდეს მასტიმულირებელ სასწავლო შესაძლებლობებს ბავშვებისათვის სხვადასხვა შინაარსობრივ სფეროში. მასწავლებლები პასუხისმგებლები უნდა იყვნენ იმ უნარებსა და ცნებებზე, რომელსაც ბავშვები ეუფლებიან ჯგუფში. მაგრამ ეს არ გულისხმობს პასიურ სწავლებას, როდესაც მასწავლებლები იქცევიან როგორც ინსტრუქტორები და გადასცემენ ცოდნას „ცარიელ ჭურჭელს“. ნაცვლად ამისა, ბავშვებმა მასწავლებლის დახმარებით აქტიურად უნდა განივითაროონ აკადემიური უნარები. მასწავლებლები ამ შემთხვევაში მოქმედებენ როგორც ხელშემწყობები და ფასილიტატორები და არა როგორც ინსტრუქტორები.

სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების ხარისხიანი პროგრამები, რომლებიც დამყარებულია თამაშსა და ძიებაზე, წარმოადგენს აკადემიურ პროგრამებს. ისინი მოიცავს დეტალურად დაგეგმილ შესაძლებლობებს ბავშვებისთვის, რათა მათ უკეთესად შეიმეცნონ მათ გარშემო არსებული სამყარო, განივითაროონ უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, გაიცნობიერონ ცნებები და ცოდნას დაეუფლონ. აკადემიური სწავლება დიდი სიფრთხილით არის ჩართული აქტიური სწავლების და თამაშის ყოველდღიურ განრიგში. სიტუაციები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ბავშვებს შეუძლიათ თავად გაერკვნენ მათში. მათ წინაშე წარმოდგენილია ახალი მასალები და შესაძლებლობები და მათ ეხმარებიან მასწავლებლები, რომლებმაც იციან საუკეთესო გზები, თუ როგორ

შეუსაბამონ სასწავლო აქტივობები სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვების განვითარების თავისებურებებს. პროგრამაში ჩართული მასწავლებლები, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობენ, სასწავლო მიზნებს ბავშვის განვითარების დონეს არგებენ. ასეთი ბავშვებისთვის ასაკის შესაფერისი სასწავლო მიზნები შეიძლება არ იყოს მისაღები, მაგრამ კურიკულუმი ასევე მოიცავს ინდივიდუალურ სასწავლო მიზანს თითოეული ბავშვისთვის.

კურიკულუმში აკადემიური პროგრამის შეტანით მასწავლებლები იზრდიან ანგარიშვალდებულების დონეს. როდესაც შეაქვთ სასწავლო მიზნები დაგეგმვისა და დაკვირვების პროცესში, მასწავლებლები შეახსენებენ საკუთარ თავს, რომ სწავლება მართლაც არის მათი უპირველესი საფიქრალი.

მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია საუბარი ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული მიზნების შესახებ. ამით მასწავლებლები სხვებს ეხმარებიან დაინახონ მათი ცოდნა ბავშვების ზრდის და განვითარების შესახებ და ისიც, თუ რამდენი იშრომეს თითოეული ბავშვის მხარდასაჭერად და გამოსაწვევად. მე-2 და მე-3 თავებში ნაჩვენებია გზები, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა დაგეგმვა და რეფლექსიის ფორმა სასწავლო მიზნების მიმართ თავიანთი ყურადღების დოკუმენტურად ჩამოყალიბებისთვის. მე-7 და მე-8 თავები განიხილავს გზებს, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო მიზნების ოჯახებისთვის გაზიარება და მათი ჩართვა სასწავლო მიზნების შეფასების პროცესში.

სწავლა ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობების დროს

მოდით, უფრო ახლოდან შევხედოთ იმ აზრს, რომ კურიკულუმი ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და წინასასკოლო დაწესებულების სამუშაო დღის ნებისმიერ მომენტში. შესაძლოა საკუთარ თავს ჰკითხოთ, რამდენად შესაძლებელია, სწავლება ბავშვის მოყვანის მომენტიდან მის შინ წაყვანამდე მიმდინარეობდეს. შეგიძლიათ გაიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესს ხედავთ, როდესაც მართავთ პატარა ან დიდი ჯგუფის საქმიანობას, მაგრამ მართლაც მიმდინარეობს თუ არა სწავლება ყოველდღიური რუტინული საქმიანობების დროს? მართლაც ყოველთვის სწავლობენ ბავშვები, როდესაც თამაშობენ?“

მოდით, განვიხილოთ ბავშვის მოსვლასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობა და გავაანალიზოთ, რას სწავლობს იგი ამ დროს. მოსვლისას ბავშვი ნაცნობი ოჯახური გარემოდან ჯგუფში გადმოინაცვლებს, სადაც ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ოც ან მეტ ბავშვთან. მან უნდა დაიცვას დღის განრიგი და დაემორჩილოს და მიიღოს მითითებები უფროსი ადამიანებისგან, რომლებიც მისი მშობლები არ არიან. ბავშვს მოსვლისას ესაჭიროება მხარდაჭერა, თბილი დახვედრა, ინსტრუქციები გასაგებ ენაზე, რათა გაეცნოს მოსვლასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საქმიანობას და დრო სოციალურ ჯგუფში განსამუხტავად.

უამრავი მასწავლებელი უმზადებს ბავშვებს მოსვლისას შესასრულებელ სხვადასხვა დავალებას. მასწავლებლის თბილად დახვედრის შემდეგ ბავშვებმა ზურგჩანთა და ქურთუკი მათთვის განკუთვნილ ადგილას უნდა დადონ და დარეგისტრირდნენ, თავიანთი სახელი სარეგისტრაციო ცხრილში ჩაწერონ ან საკუთარი ფოტო მაგნიტურ დაფაზე სვეტიდან „სახლში“ სვეტში, „ჯგუფში“, გადაანაცვლონ. ბავშვებს ასევე შეიძლება სთხოვონ უპასუხონ „დღის შეკითხვას“ პირადი ბარათის მოთავსებით გრაფაში „დიახ“ ან „არა“ ჯიბეებიან სქემაზე. შემდეგ უნდა აირჩიონ რამდენიმე მაგიდის აქტივობა, ხელმისაწვდომი მასალებით პრაქტიკული სავარჯიშოსთვის (ფურცელი და ინსტრუმენტები საწერად ან სახატავად; პატარა მანიპულატივები მშენებლობისთვის, როგორიცაა ლეგო-ს კუბურები და პლასტელინები). ვიდრე მთელი ჯგუფი შეიკრიბება დილის შეხვედრაზე მიმდინარე დღის დასაგეგმად, ბავშვს შეუძლია არჩეული აქტივობის შესრულებისას თან მეგობრებს ესაუბროს.

ახლა კი მოდით, ვნახოთ, რა ისწავლება მოსვლის დროს:

- ბავშვი *საუბრობს* მასწავლებელთან და *ისმენს* მის თბილ სიტყვებს და მითითებებს მოსვლის რეჟიმთან დაკავშირებით. საუბარი და მოსმენა წარმოადგენს *ენის ხელოვნების* მნიშვნელოვან უნარს, *რომელიც აყალიბებს ლექსიკას და გრამატიკის აღქმას, ისევე როგორც სხვებთან ურთიერთობებს.*
- ის ავლენს დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის განვითარებას (ორივე მნიშვნელოვანი მიდგომაა სწავლისადმი), როცა დებს თავის ზურგჩანთას და ქურთუკს.
- ის იყენებს წერის უნარებს (ასოების ცნობა, ნატიფი მოტორიკის კონტროლი), როცა ხელს აწერს და უთითებს თავის სახელს და დახარისხებისა და კატეგორიზაციის უნარს, როცა გადააადგილებს თავის ფოტოს მაგნიტურ დაფაზე.
- ის *კითხულობს* დღის შეკითხვას (ან მასწავლებელი უკითხავს ხმამაღლა, ის კი თვალს აყოლებს ნაწერს), *ამოიცნობს* თავის სახელს და სიტყვებს „დიახ“ და „არა“ და გასცემს შესაბამის პასუხს.
- ის უერთდება თავის მეგობრებს მაგიდასთან და *ამყარებს მათთან სოციალურ ურთიერთობებს, უზიარებს მასალებს, იცავს თავის რიგს და საუბრობს სხვებთან, ავლენს შეშფოთებასა და ზრუნვას თავისი ჯგუფის წევრების მიმართ (*ყველა მნიშვნელოვანი *სოციალური/ემოციური უნარ-ჩვევა,* რომელიც მიმართულია მოქალაქეების განვითარებისაკენ დემოკრატიულ საზოგადოებაში*).*

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო მიზნები მოიცავს მთელ რიგ მიმართულებებს ენის, ხელოვნების, მათემატიკის, სწავლის მიმართ მიდგომის და სოციალურ/ემოციური განვითარების ჩათვლით. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების ჯგუფებში თითოეული მათგანისთვის ყოველდღიურად განკუთვნილია ათიდან ოც წუთამდე დრო. დაგეგმვის მეშვეობით მასწავლებლებს შეუძლიათ აკადემიური სასწავლო მიზნების ყოველდღიურ საქმიანობებში განხორციელება თავიანთ ჯგუფებში.

სწავლა თამაშის დროს

როგორ უნდა დარწმუნდნენ მასწავლებლები, რომ სწავლა თამაშის დროსაც შესაძლებელია? პირველ რიგში ჯგუფში უნდა შექმნან მდიდარი გარემო. ჯგუფის გარემო მნიშვნელოვანი წყაროა სასწავლო აქტივობებისთვის და იმგვარად უნდა მოეწყოს და გამოიყენებოდეს, რომ სწავლის პროცესი იყოს პოზიტიური, მიმზიდველი, აქტიური და საინტერესო. ამის შემდეგ მასწავლებლებმა, მაღალი დონის თამაშის მისაღწევად, რომელშიც, ქაოტური და უკონტროლო თამაშისგან განსხვავებით, ღრმად ერთვებიან ბავშვები, თამაშით გამოცდილებებზე უნდა იზრუნონ. მათი ხელშეწყობა შესაძლოა გამოიხატებოდეს გარკვეული მასალების, მაგალითად, მენიუს და რესტორნის სხვა რეკვიზიტების მიწოდებაში, ან ბავშვებისთვის პროვოკაციული კითხვების დასმაში, მაგალითად, „კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს კუბურებისგან?“ როცა გარემო კარგად არის ორგანიზებული და მასწავლებლები დაკავებულები არიან მოთამაშე ბავშვებით, ქცევითი პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი და სწავლება ხორციელდება.

ეფექტიანი სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები აორგანიზებენ ჯგუფის გარემოს და გეგმავენ სათამაშო გარემოს. ისინი დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ჯგუფის აქტივობების თითოეულ სივრცეს, იქნება ეს კუბურები, დრამატული თამაში, სენსორული მაგიდი, სამანიპულაციო კუთხე, წერის ცენტრი, ჯგუფის ბიბლიოთეკა თუ ხელოვნების სივრცე და განსაზღვრავენ სასწავლო მიზნებს, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გააკეთებენ ბავშვები თითოეულ ადგილას. სასწავლო მიზნები მასწავლებლებს ეხმარება განსაზღვრონ, რა სახის მასალა შეიძლება დასჭირდეთ სწავლისა და განვითარებისათვის. მასწავლებლები ყოველკვირეულად განიხილავენ ბავშვების თამაშის გეგმებს და საჭიროებისამებრ ცვლიან სასწავლო მიზნებს.

განიხილეთ როგორ დაგეგმოთ თამაში ჯგუფის ერთ-ერთ სივრცეში, მაგალითად, კუბურების სივრცეში. ჯგუფების უმეტესობას (და ვიმედოვნებ წინასასკოლო ჯგუფების უმეტესობასაც) აქვს ხის კუბურების დიდი კომპლექტი, რომელიც თაროზე განთავსებულია ზომისა და ფორმის მიხედვით. გარდა ამისა ეს სივრცე შეიძლება მოიცავდეს პატარა მანქანებს, მოძრაობის ნიშნებს და ადამიანების და ცხოველების გამოსახულებებს. ბევრი სასწავლო მიზანი შეიძლება გამოიკვეთოს ამ მასალებით თამაშისას, ქვემოთ მოცემულის ჩათვლით:

- *ფორმის იდენტიფიცირება,* რადგან იყენებენ სხვადასხვა ფორმის კუბურებს. მიუსადაგეთ და შეადარეთ ისინი. დააკვირდით, რომ ორი სამკუთხედი ქმნიდეს კვადრატს, ორი კვადრატი მართკუთხედს და ასე შემდეგ
- *გაზომვის ცნებები,* რადგან იყენებენ გრძელ და მოკლე კუბებს და აგებენ უფრო მაღალ კონსტრუქციებს ან უფრო გრძელ გზებს
- *დახარისხება და კატეგორიზაცია* ფორმის და ზომის მიხედვით
- *რაოდენობის გამოთვლა და გაცნობიერება,* როდესაც ცდილობენ დაადგინონ რამდენი კუბია საჭირო კონსტრუქციის დასასრულებლად („ხიდისთვისკიდევ სამი კუბი გვჭირდება, გზამდე რომ მიაღწიოს.“), ან მოათავსეთ ერთი მანქანა ერთ კუბზე ან ცხოველების ფიგურები თავლაში („მე მყავს ოთხი ცხენი თავლაში.“)
- *მიზიდულობის, წონის, ბალანსის და ინერციის თვისებების გაცნობიერება*

- *თანამშრომლობა და კომუნიკაცია სხვებთან,* რადგან ისინი ერთად მუშაობენ კონსტრუქციის ან გზის დასასრულებლად
- *შემოქმედებითობა,* რადგან წარმოადგენენ თავიანთ სამყაროს და ქმნიან სიმეტრიულ სტრუქტურებს

თამაშის დაგეგმვისას კუბების სივრცეში, მასწავლებელი ირჩევს ერთ მთავარ სასწავლო მიზანს და აღნიშნავს მას გეგმაში. როცა ის (და მისი კოლეგები ჯგუფში) იწყებს ურთიერთობას იმ სივრცეში მოთამაშე ბავშვებთან, ის უსვამს შეკითხვებს ბავშვებს და შეაქვს წინადადებები სასწავლო მიზნებთან დაკავშირებით. სასწავლო მიზანს ის იყენებს როგორც გზამკვლევს, რათა მხედველობაში ჰქონდეს სწავლის ის პროცესი, რომელიც ვლინდება კუბებით თამაშში. სასწავლო მიზნის გათვალისწინებით ის ინარჩუნებს ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას დააკვირდეს, რა შესთავაზოს და როდის შეუწყოს ხელი და დაეხმაროს ბავშვებს. ის არ უგულებელყოფს ბავშვებს თამაშის დროს ან არ აძალებს მათ მხოლოდ იმის კეთებას, რაც მიზანთან არის დაკავშირებული. თუკი ბავშვებს კუბების სხვაგვარად გამოყენება სურთ,გარდა იმ დანიშნულებისა, რომელსაც სთავაზობს მასწავლებლის მიერ განსაზღვრული სასწავლო მიზანი, მასწავლებელი მზადაა დაემორჩილოს მათ სურვილს. თუკი ბავშვები თამაშს სხვა მიმართულებით წარმართავენ, სავარაუდოდ ის შეძლებს ახალი მიზნის განსაზღვრას (რომელიც წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში). რა თქმა უნდა, თუკი ბავშვები უდიერად იქცევიან, თუ მათი ქცევა დესტრუქციულია, მაშინ მასწავლებელი ჩაერთვება და მისცემს თამაშს უფრო ნაყოფიერ სახეს.

სასწავლო მიზნების ჩამონათვალი, რომელიც აღებულია ადრეული განათლების სტანდარტებიდან ან შეფასების ინსტრუმენტებიდან, შესაძლოა განისაზღვროს ჯგუფში თითოეული სათამაშო სივრცისათვის. მე-2 თავში მოცემულია სათამაშო სივრცის სასწავლო მიზნების ფორმები. მე-3 თავი უფრო მეტად მიმოიხილავს აკადემიური სასწავლო მიზნების ჩართვას თამაშისა და ყოველდღიური საქმიანობების დროს. მე-4 თავში კი აქცენტი გაკეთებულია დაგეგმვაზე და მაღალი დონის თამაშის მიღწევაზე და მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- თამაშისთვის გარემოს მოწყობა
- საკმარისი დროის გამოყოფა მაღალი დონის თამაშის განსავითარებლად
- თამაშის ხელშეწყობა

კურიკულუმის პროცესის ექვსი ელემენტი

აკადემიური სასწავლო მიზნების ინტეგრირების გარდა არსებობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კიდევ ექვსი სხვა ელემენტი. ერთი ელემენტის ნაკლებობამაც კი კურიკულუმი შესაძლოა ნაკლებ წარმატებული გახადოს სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ბავშვებისთვის. ეს ექვსი ელემენტია:

1. ჯგუფის მდიდარი, კარგად ორგანიზებული გარემო
2. საკმარისი დრო თამაშისა და კვლევისთვის ბავშვებისთვის, რომლებიც აკეთებენ არჩევანს

3. მასწავლებლების მხრიდან სწავლის ხელშეწყობა და ბავშვების დახმარება თამაშის დროს
4. ბავშვის მიერ ინიცირებული მეტი და უფროსის მიერ მართული ნაკლები აქტივობა
5. პატივისცემასა და მზრუნველობაზე აგებული ურთიერთობა ბავშვებთან და ოჯახებთან
6. კურიკულუმისა და ავთენტური, დაკვირვებითი შეფასების ინტეგრირება

კურიკულუმის პროცესის ელემენტები



მე-2 თავში იხილავთ დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმებს, რომლებიც მოიცავს ყველა ამ ელემენტს. ეს ფორმები მასწავლებლებს დაეხმარება დარწმუნდნენ, რომ კურიკულუმის პროცესის ყველა ასპექტი გათვალისწინებულია. მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ზედამხედველობით პროცესში, რადგან დირექტორები და ხელმძღვანელები მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ. მათ ასევე შეუძლიათ დაეხმარონ მასწავლებლებს უფრო ხარისხიანად მიაწოდონ ინფორმაცია მშობლებს და ადმინისტრატორებს იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც ისინი ახორციელებენ ბავშვებთან თავიანთ ჯგუფებში მათი

გამოყენებით. ფორმებმა შესაძლოა ჩაანაცვლოს უმართებულო მოლოდინები ქაღალდისა და ფანქრის ამოცანებისა და ინსტრუქციული აკადემიური ასპექტების (მეცნიერების საფუძვლები) მიმართ, რაც უფრო გასაგებს გახდის, როგორ სწავლობს ბავშვი თამაშის და კვლევის რეჟიმში მასწავლებლის დახმარებით. წიგნის დანარჩენ ნაწილში მოცემულია კურიკულუმის პროცესის თითოეული ელემენტის სიღრმისეული ანალიზი, მაგრამ აქ მოკლედ აღვწერთ თითოეულს.

მდიდარი, კარგად ორგანიზებული ჯგუფის გარემო

ჯგუფის გარემოს შეუძლია უზრუნველყოს სწავლის შესაძლებლობები, შექმნას ჯგუფის ერთობის შეგრძნება და შეინარჩუნოს პოზიტიური ატმოსფერო, სადაც ბავშვებსა და უფროსებს შორის ნაყოფიერი ურთიერთობა მყარდება. ბავშვები საკუთარ თავზე იღებენ ჯგუფის შესწავლის ინიციატივას. მასწავლებლები მათ შესწავლის (მოკვლევის) სტრუქტურას ჯგუფის სივრცის ორგანიზებისა და ამ სივრცეებში მასალების განთავსების შესახებ სიფრთხილით დაგეგმილი მეთოდების გამოყენების გზით აწვდიან. მასწავლებლები ისეთ აქტივობებს და გამოცდილებებს გეგმავენ, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებს გამოიყენონ თავიანთი უნარები და შესაძლებლობები და იწვევენ მათ ახალი ცნებების შესასწავლად და ისეთი რამის გასაკეთებლად, რაც მათ ამჟამინდელ დონეს აღემატება. გარემოს დაგეგმვა და ორგანიზება არის სწავლების ნაწილი, ბავშვებთან ინტერაქცია ჯგუფის გარემოში მასწავლებელს ეხმარება შეაფასოს, რამდენად აისახება გარემოს ხელშეწყობა ბავშვების სწავლაზე და რა არის აუცილებლად შესაცვლელი.

მერი ბი: „მე შემიძლია ბავშვის ინიციატივასაც მივყვე და არც გეგმიდან გადავუხვიო.“

ოთახის მოწყობა და მასალების პრეზენტაცია მნიშვნელოვანი გზავნილია ბავშვებისთვის და ის სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს მათ ქცევაზე. თუკი საკლასო ოთახი ბინძური და არაორგანიზებულია, ბავშვები სავარაუდოდ დიდად არ იზრუნებენ მასალების მოვლაზე. თუკი თაროები იმგვარად არის განთავსებული კედლებთან, რომ ოთახში დიდი თავისუფალი სივრცე რჩება, ბავშვებს შეუძლიათ ირბინონ და იხტუნაონ, ის აკეთონ, რისი კეთებაც უფრო მეტად გარე აქტივობებისთვის არის შესაფერისი. მეორე მხრივ, თუკი მასალები დიდი სიფრთხილით არის ორგანიზებული და ბავშვებს გასაგებად და გემოვნებით შეეთავაზებათ, ისინი უფრო მოუფრთხილდებიან მათ და თამაშის შემდეგ თავის ადგილას დააწყობენ. თუკი თაროები და მაგიდები მთელ ოთახში კონკრეტული სწავლის სივრცეების შესაქმნელად გამოიყენება და ისეა განთავსებული, რომ არ ტოვებს ადგილს სირბილისთვის და ქმნის ინტიმურ სივრცეს გარკვეული მასალების გამოსაყენებლად, ბავშვები დაწყნარდებიან და აქტივობებში უფრო ხანგრძლივი დროით და უფრო ნაყოფიერად ჩაერთვებიან.

როდესაც გარემო წარმოადგენს კურიკულუმის ძირითად ნაწილს, ოთახის მოწყობა ფაქტობრივად მიმართავს ბავშვებს მასალების პროდუქტიული გამოყენებისკენ კონკრეტულ ადგილებში. ხმაურის დონის დასარეგულირებლად, მასალები, რომლებიც ბავშვების მხრიდან, როგორც წესი, საჭიროებს ფიზიკურ და ვერბალურ ჩართულობას,

განთავსებულია ერთმანეთთან ახლოს, ისევე როგორც მასალები, რომლებიც მოითხოვს უფრო ხმადაბალ გამოყენებას.

მე-2 თავი გვაწვდის ფორმების ათვისების გზებს ჯგუფის ყველაზე ეფექტიანად გამოყენების დასაგეგმად. მე-4 თავი განიხილავს გარემოს მოწყობის გზებს მაღალი დონის თამაშის ხელშესაწყობად და შესანარჩუნებლად.

საკმარისი დრო თამაშისთვის და კვლევისთვის ბავშვების არჩევანის მიხედვით

გრძელვადიანი კვლევის მხარდაჭერით, ეროვნული ორგანიზაციების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებში აქცენტი კვლავაც კეთდება თამაშის მნიშვნელობაზე, როგორც სწავლის ძირითად საშუალებაზე (NAEYC and NAECS/SDE 2003, 6):

> განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, უშუალო სწავლება - ფიზიკური, მენტალური და სოციალური აქტივობების მეშვეობით - უმთავრესია. ყველა ასაკში, დაბადებიდან რვა წლამდე (და მერეც), თამაშს შეუძლია ბავშვის ჩართულობის, მოტივაციის და გრძელვადიანი სწავლის წახალისება (Bodrova&Leong 2003). სწავლის ხელშესაწყობად ბავშვებს უნდა შეეძლოთ „აირჩიონ სხვადასხვა აქტივობა, გადაწყვიტონ რა ტიპის პროდუქტის შექმნა სურთ და ჩაერთონ მეგობრებთან მნიშვნელოვან საუბრებში“ (Espinosa 2002, 5).

ბავშვებს, მაღალი დონის თამაშში ჩართვისთვის, რომელიც წარმოადგენს თამაშის სახეობას და გულისხმობს სიღრმისეულ ჩართულობას და სწავლის უხვ შესაძლებლობებს, დიდი დრო სჭირდებათ. შესაძლოა საჭირო იყოს გადახედონ ჯგუფში სხვადასხვა ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულ მასალებს და შესაძლებლობებს. შესაძლოა დრო სჭირდებოდეთ სხვა ბავშვებზე დასაკვირვებლად, რათა დაებადოთ იდეები ან იმის გადასაწყვეტად, თუ რომელ ჯგუფს შეუერთდნენ. თამაშის დაწყების შემდეგ კი, დრო ესაჭიროებათ იდეების შესამუშავებლად, სხვა ბავშვებთან სასაუბროდ და კიდევ სხვა რაღაცების გასაკეთებლად. საკმარისი დროის უზრუნველყოფა (მინიმუმ ორმოცდახუთი წუთიდან ერთ საათამდე) ღრმა თამაშის განსავითარებლად ხარისხიანი კურიკულუმის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტია.

მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ბავშვებისთვის არჩევანის შეთავაზება იწვევს უფრო მეტ მონაწილეობას და ჩართულობას თამაშში. ბავშვები მაქსიმალურად შეეცდებიან გამოიყენონ თავიანთი უნარები და შესაძლებლობები აქტივობისთვის, რომელიც მათ დააინტერესებთ. შესაბამისად, მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია საშუალება მისცენ ბავშვებს გაერკვნენ, რამდენი ხნით მოისურვებენ დაკავდნენ კონკრეტული აქტივობებით. დროის განსაზღვრა ბავშვებისთვის და მათი როტაცია სხვადასხვა ადგილას არ აძლევს მათ გეგმის შემუშავების და მის საბოლოო დასრულებამდე მიყოლის შესაძლებლობას.

მასწავლებლების მიერ სწავლის ხელშეწყობა და ბავშვების დახმარება თამაშის დროს

საკმარისია ჯგუფის გარემოს ორგანიზება და ბავშვებისთვის მის დასათვალიერებლად საჭირო დროის გამოყოფა. მასწავლებლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვებს გარემოს ათვისებაში. ისინი პირველ რიგში ამყარებენ ნდობას და მზრუნველ ურთიერთობას ბავშვებთან. ამის შემდეგ კი სთავაზობენ მათ შესაძლებლობების ფართო სპექტრს გარემოს ფარგლებში. ზოგიერთი ეს შესაძლებლობა უფლებას აძლევს ბავშვებს გააკეთონ არჩევანი და დაიცვან საკუთარი ან მათი თანატოლების ინტერესები. ამ შესაძლებლობებიდან ზოგიერთს წარმართავს ან ირჩევს უფროსი ადამიანი. ფრთხილი ბალანსი ცალკეული განსხვავებების მოქნილობის გათვალისწინებით ყველაზე მნიშვნელოვანია.

მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვების თამაშს, ისინი აქცევენ ყურადღებას ბავშვების საქმიანობას სხვადასხვა ადგილას და ეხმარებიან მათ. სავარაუდოდ, აუცილებელია სხვადასხვა მასალებით უზრუნველყოფა. უთანხმოებაც, სავარაუდოდ, საჭიროებს მოგვარებას. შესაძლოა ბავშვი ისეთი რამის გაკეთებას შეეცადოს, რაც მის ძალებს აღემატება. ასეთ დროს მას სჭირდება მასწავლებლის დახმარება, თუმცა იმ დოზით, რომ ხელი შეუწყოს მის წარმატებას („სწავლის ხელშემწყობმა ხარაჩომ“).

ბავშვების თამაშის დროს მასწავლებლები ინსტრუქტორებივით არ იქცევიან. ამის ნაცვლად ბავშვებს ეპყრობიან როგორც ხელშემწყობები, გიდები, „რესურს პროვაიდერები“ და დამხმარეები. ყველა მათგანს გააჩნია სასწავლო ფუნქცია, რომელიც მხარს უჭერს სასწავლო მიზნებს და განამტკიცებს ბავშვების სწავლებას თამაშის მეშვეობით. ამ ურთიერთობის დროს მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვებს, რათა ამოიცნონრონ თითოეული ბავშვის შესაძლებლობები. ამგვარად მასწავლებლები უზრუნველყოფენ, რომ თამაშის გამოცდილება სასარგებლო აღმოჩნდეს ბავშვებისათვის. მაღალი დონის თამაშის დროს ბავშვები ახალ უნარ-ჩვევებს და ცნებებს ეუფლებიან და წესებს ეცნობიან. თამაშის დრო სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფებში არ არის „ყველაფრისგან თავისუფალი“. ეს არის დრო, როცა ბავშვებს შეუძლიათ სიღრმისეული ჩართვა, მარტო ან სხვებთან ერთად მუშაობა და ურთიერთობა უფროსებთან, ვისგანაც ითვისებენ ახალ ლექსიკას, ვინც ეხმარება მათ პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების განსაზღვრაში და პროვოცირებას უკეთებს მათ აზროვნებას. მე-4 თავში აქცენტი კეთდება სასწავლო სტრატეგიებზე, რომელსაც მივყავართ მაღალი დონის თამაშით გამოცდილებამდე ბავშვებისთვის და განაპირობებს მათ გამყარებას.

ბავშვის და არა უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები

რადგან მასწავლებლები ხელს უწყობენ თამაშით გამოცდილების განვითარებას, ისინი შესაძლოა მიჰყვნენ ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობას. ბავშვი იწყებს აქტივობას და მიმართულებას აძლევს თავის ქმედებებს, მასწავლებელი კი ეხმარება მისთვის ყველაზე სასარგებლო საშუალებით. მასწავლებლები ასევე გეგმავენ და მართავენ აქტივობებს და გამოცდილებებს ბავშვებისთვის. მათ შესაძლოა დაგეგმონ ყოველდღიური

დიდი ჯგუფური შეხვედრები და ფოკუსირებული პატარა ჯგუფური აქტივობები. ბალანსი ბავშვის მიერ ინიცირებულ და მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს შორის მნიშვნელოვანია. ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, მოზრდილ ბავშვებთან შედარებით, ეს ბალანსი უფრო მეტად უნდა იხრებოდეს ბავშვის მიმართულებით. ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგები ყოველ ჯერზე იღებენ გადაწყვეტილებას, რომელ შემთხვევაში მიჰყვნენ ბავშვების მიერ მართულ აქტივობას და თავად როდის გასცენ მითითებები.

ხარისხიანი სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებმა უნდა გააკონტროლონ, რომ დღის ყველა მონაკვეთი დაგეგმილი იყოს. ჯგუფის ორგანიზება და დროის გამოყენება სტრუქტურირებულია. მიუხედავად ამისა ამ ფორმის ფარგლებში მასწავლებლები ნებას რთავენ ბავშვებს აირჩიონ აქტივობა და მისი განხორციელების დრო, მასალების გამოყენების სხვადასხვა გზები და ვისთან ექნებათ ურთიერთობა ამ აქტივობების განხორციელებისას. ამ ფრთხილი დაგეგმვის ფარგლებში მასწავლებელი ასევე ახორციელებს ზოგიერთ აქტივობას, რომლის დროსაც თავად არის ლიდერი და ინიციატორი და არა ბავშვი. აქ ერთი საკითხი უნდა განვიხილოთ: ბავშვების მიერ ჯგუფის შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს მათ არჩევანს თუ მასწავლებლის წინადადებებსა თუ მიმართულებებს? მე-6 თავში საუბარია სწორი ბალანსის პოვნაზე ბავშვის მიერ ინიცირებულ და მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს შორის სკოლამდელი დაწესებულებისა და წინასასკოლო ჯგუფებში ისე, რომ ბავშვების მიერ ჯგუფის პროდუქტიულმა დათვალიერებამ ქაოსისა გარეშე ჩაიაროს. ასევე განვიხილავთ მასწავლებლის მიერ მართული დიდი და პატარა ჯგუფების მუშაობის ეფექტიანად დაგეგმვის გზებს.

ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, მზრუნველი ურთიერთობა ბავშვებთან და ოჯახებთან

სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების გამოცდილების დასაწყისში უამრავმა ბავშვმა შესაძლოა პირველად დატოვოს შინაური გარემო. თბილი ურთიერთობა მზრუნველ უფროსებთან სკოლამდელ დაწესებულებაში ხელს შეუწყობს უმტკივნეულო ცვლილებებს ბავშვებისთვის და ზოგადად, გაამყარებს მათ გამოცდილებას. „დაბადების მომენტიდან, ბავშვის ურთიერთობები, მათ შორის უფროსებთან, განვითარების და სწავლის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია“ (NAEYC 2009,17).

მასწავლებლები და ბავშვები ძლიერ, მზრუნველ ურთიერთობებს აყალიბებენ თავიანთი ყოველდღიური ინტერაქციების მეშვეობით. მასწავლებელი ყველა ბავშვს კარგად უნდა იცნობდეს. ისინი გამოხატავენ რწმენას ბავშვების პოტენციალისადმი და მზადყოფნას, დაეხმარონ მათ გაზრდასა და სწავლაში. ჯგუფის გარემოს შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვებს იყვნენ აქტიური მკვლევრები და აწვდის მათ ფორმას და სახელმძღვანელო მითითებებს თავიანთი კვლევა-ძიების განხორციელებისთვის. იყო მკვლევარი, ნიშნავს, იყო რისკიანი. ადრეული ასაკის ბავშვები ვერ იქნებიან რისკიანები ჯგუფში, თუ თავს უსაფრთხოდ და სანდოდ არ იგრძნობენ. ისინი მიმართავენ უფროსებს მათ გარშემო, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოება და მოიპოვონ მათი ნდობა. როდესაც

ამყარებენ მზრუნველ ურთიერთობას უფროსებთან, უკვე გარისკვაც შეუძლიათ, მეტ დამოუკიდებლობასაც მოიპოვებენ, ცდილობენ თანატოლებთან ერთად ახალი საქმიანობის წამოწყებას და ურთიერთობის დამყარებასუცნობ თანატოლებთან.

რობინი: „მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ურთიერთგაგების მიღწევა და ბავშვებთან ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომ მათთვისაც საგრძნობი იყოს მისი მნიშვნელობა."

ურთიერთობების ჩამოყალიბება ბავშვებთან მუდმივი პროცესია და გულისხმობს დაკვირვებას, ინტუიციას და ასაკის შესაბამისი ქცევის და უნარების ცოდნას, თითოეული ბავშვის ოჯახის გაცნობას. საუბრები მათი კულტურული წარმომავლობის, ოჯახის წევრების და ოჯახის ოცნებების და მიზნების შესახებ შესაძლოა დაეხმაროს მასწავლებლებს ოჯახის წევრებთან ერთად იმუშაონ ბავშვისთვის უფრო მეტად ხელის შესაწყობად. ურთიერთობის დამყარება ბავშვების ოჯახის წევრებთან აღრმავებს ურთიერთობას მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის. ბავშვის ცხოვრებაში არსებული ყველა ზრდასრული ადამიანი ცდილობს ხელი შეუწყოს ბავშვის ოპტიმალურ ზრდას და განვითარებას. თითოეული ბავშვის უკეთესად გაცნობის გზებს და ამ ცოდნის გათვალისწინებას მოცემულ ფორმებში განიხილავს მე-5 თავი, ოჯახებთან ურთიერთობის დამყარებისა და კომუნიკაციის გზებზე კი მე-7 თავში ვისაუბრებთ.

ავთენტური, დაკვირვებაზე დაფუძნებული შეფასების და კურიკულუმის ინტეგრირება

კურიკულუმის დაგეგმვის ინტეგრაცია ბავშვების სასწავლო შეფასებასთან უმთავრესია კარგი სწავლების უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, შეფასების პროცესებიც, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დაგეგმვას, ძალიან მნიშვნელოვანია. ავთენტური, დაკვირვებაზე დამყარებული შეფასება წარმოადგენს რეკომენდებული შეფასების პრაქტიკას ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამებში და კარგად არის დასაბუთებული კვლევაში და თეორიულად. მასწავლებლები მთელი დღის განმავლობაში აკვირდებიან და უსმენენ სხვადასხვა აქტივობასა და გამოცდილებაში მონაწილე ბავშვებს. ისინი დოკუმენტურად ასახავენ დაკვირვებებს რეფლექსიის და დაგეგმვის, ასევე თითოეული ბავშვის შესაძლებლობებისა და პროგრესის შესაფასებლად. მასწავლებლები პორტფოლიოს დოკუმენტაციასაც აგროვებენ ბავშვთა პროგრესისა და ზრდის შესახებ ხელშესახები მტკიცებულების მოსაპოვებლად და ოჯახისთვის გასაზიარებლად და კურიკულუმის დაგეგმვაში დასახმარებლად.

პოლიტიკოსები, ადრეული ასაკის ბავშვთა სპეციალისტები და ბავშვების ცხოვრებით დაინტერესებული სხვა მხარეები პასუხისმგებლები არიან შეაფასონ ადრეული ასაკის ბავშვთა ძლიერი მხარეები, პროგრესი და საჭიროებები, გამოიყენონ განვითარების შესაბამისი და კულტურულად და ენობრივად მგრძნობიარე შეფასების მეთოდები,რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა

ყოველდღიურ საქმიანობასთან, მხარდაჭერილია პროფესიული განვითარების მიერ, ოჯახების ჩათვლით და ასევე დაკავშირებულია კონკრეტულ, სასარგებლო მიზნებთან: (1) ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღება სწავლების და სწავლის შესახებ; (2) მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა, რომელიც შეიძლება მოითხოვდეს ფოკუსირებულ ჩარევას ცალკეულ ბავშვთან დაკავშირებით; (3) პროგრამებს ეხმარება თავიანთი საგანმანათლებლო და განვითარების ინტერვენციების გაუმჯობესებაში. (NAEYC and NAECS / SDE 2003, 2)

შეფასება კურიკულუმისაგან განუყოფელია. როგორც დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლშიც არის ნაჩვენები, მასწავლებლებს დღის ყველა ასპექტისთვის აქვთ სასწავლო მიზნები და განსაზღვრავენ თამაშით გამოცდილებებში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და დიდი და პატარა ჯგუფების აქტივობებში მათი ჩართვის გზებს. მასწავლებლები განაგრძობენ ასაკის შესაბამის სასწავლო მიზნებთან დაკავშირებულ დაკვირვებებს და ბავშვების საქმიანობის დოკუმენტირებას, რომელიც ასევე დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან. მასწავლებელთა რეფლექსიები ამ დაკვირვებების მიმართ ინფორმაციას აწვდის სასწავლო პროცესს და მასწავლებლებს ყველაზე ხარისხიანი სასწავლო სტრატეგიების განსაზღვრაში ეხმარება. მე-8 თავი ფოკუსირებას ახდენს კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების ინტეგრირებაზე.

დასკვნა

კურიკულუმი გულისხმობს ყველაფერს, რაც მიმდინარეობს და ხორციელდება პროგრამის ფარგლებში, ბავშვის მოსვლის მომენტიდან მის წასვლამდე. მასწავლებლები გეგმავენ, ახორციელებენ, აკვირდებიან, ასახავენ და შეაქვთ კორექტირება ჯგუფში ცალკეული ბავშვის მოთხოვნილებების და საჭიროებების შესაბამისად. კურიკულუმი არის მიმდინარე პროცესი, რომელიც მოითხოვს მასწავლებლების დაფიქრებას ბავშვის განვითარებაზე, დაკვირვებას, როგორ სწავლობენ და იზრდებიან თავიანთ ჯგუფში და ასობით გადაწყვეტილების მიღებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია საუკეთესო გზა ბავშვების დასახმარებლად, მათი პოტენციალის სრულად გამოსავლენად. კურიკულუმის ექვსი ელემენტი ჩართულია მიმდინარე დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის პროცესში და ხელს უწყობს მის წარმატებით განხორციელებას. ზოგიერთი ელემენტი უნიკალურია ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისთვის. სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებმა იციან, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები მათზე უფროსი ბავშვებისგან განსხვავებულად სწავლობენ. სწორედ ეს ცოდნა ასახულია კურიკულუმის ელემენტებში თამაშის მნიშვნელობის, ბავშვის ინიციატივის და ბავშვებთან და ოჯახებთან თბილი ურთიერთობების ხაზგასმის მეშვეობით. როდესაც ამ ელემენტებს ყურადღება არ ექცევა, მასწავლებლები ამჩნევენ ცვლილებებს ბავშვთა ქცევასა და ჩართულობაში: ბავშვებს

სიუ: „კურიკულუმის განმარტება, რომ ის სრულყოფილად უნდა ასახავდეს დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს, იმდენად სამართლიანია, რომ ხშირად ზედმეტიცაა და რთულიც, სიტყვებით გამოხატვა. პროცესი და არსებითი ელემენტები ხდიან მას ნაკლებად რთულს და ფრაგმენტულს. ამ სასწავლო მიდგომის წარმატება ძალიან მგრძნობიარეა და ინდივიდუალიზებული კურიკულუმი ერთდროულად მორგებულია ინდივიდებზე და მთელ ჯგუფზეც."

შეიძლება დაეუფლოთ იმედგაცრუება, ხშირად შესაძლოა წარმოიშვას ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები ან ბავშვმა შესაძლოა პრეტენზია გამოთქვას აქტივობებთან დაკავშირებით, უარი განაცხადოს მასწავლებლებთან თანამშრომლობაზე და დაკარგოს სწავლის ენთუზიაზმი.

ლორენი:
„დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლი აძლევს წონას მთელ იმ მძიმე შრომას, რომელსაც მასწავლებელი დებს სწავლების პროცესში. ის ეხმარება სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებს, იგრძნონ თავი პროფესიონალებად.“

ხალისი ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ნაწილი უნდა იყოს. აღსანიშნავია და დასაფასებელი ადრეული ასაკის ბავშვების ენთუზიაზმიც, ცნობისმოყვარეობა, და მკვლევრის ხასიათი. როდესაც კურიკულუმი მხოლოდ წიგნით ან მასალების კომპლექტით შემოიფარგლება, მასწავლებლებმა შეიძლება აღმოაჩინონ ძვირფასი შესაძლებლობების ნაკლებობა, ბავშვების სწავლის დონის ასამაღლებლად და მათი ხალისის სასაზრდოვებლად. თუკი კურიკულუმს შევხედავთ როგორც ყოვლისმომცველ სურათს, დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის პროცესზე აქცენტის გაკეთებით, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებზე, სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები უფრო მეტ ჰარმონიაში იქნებიან ბავშვების ბუნებასთან და აღმოაჩენენ, რომ თავიანთი კურიკულუმის პრაქტიკა უფრო მჭიდროდ მიესადაგება ბავშვების სწავლის სტილს. მათი დაკვირვებების, რეფლექსიების, ცვლილებების და მორგების მეშვეობით, მასწავლებლები დარწმუნდებიან, რომ სწავლის პროცესი ხალისიანია მთელი პროგრამის განმავლობაში. მომდევნო თავში განვიხილავთ დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმებს, რომელიც მოიპოვებს სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ხარისხიანი კურიკულუმის ელემენტებს და ეხმარება მასწავლებლებს ასახონ ყველაფერი, რასაც აკეთებენ ბავშვების სახელით.

თავი 2 დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმები

ეს წიგნი შეიცავს ორ ძირითად ჩარჩო ფორმას, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მასწავლებლებს თამაშის, დაკვირვებისა და სასწავლო დაგეგმვისთვის: ერთი - სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფში, მეორე კი წინასასკოლო ჯგუფში. ორივე ფორმა გულისხმობს სწავლების რაც შეიძლება მეტ რეკომენდებულ მიდგომას, რომელიც აღებულია ადრეული ასაკის ბავშვთა მაღალი ხარისხის სასწავლო კურიკულუმიდან. მოგვიანებით ამავე თავში წარმოგიდგენთ სხვა ფორმებსაც. ყველა ამ ფორმის მზა შაბლონები შეგიძლიათ იხილოთ დანართში „ა“, ან შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ისინი ვებ-გვერდიდან: www.redleafpress.org.

რობინ: „ვფიქრობ, ცალკეული ფორმების ქონა ჩინებული იდეაა."

ლორენი: „საგანმანათლებლო აქტივობის გეგმის შემუშავება მოსახერხებელია, ყველა გრაფაში არის საკმარისი ადგილი. სასწავლო მიზნები, რაზეც მასწავლებელი გაამახვილებს ყურადღებას, უმთავრესია. ეს მათ დაეხმარება უფრო მიზანმიმართულად და გააზრებულად შეიმუშაონ თავიანთი ყოველკვირეული გეგმები."

სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფებს ბევრი საერთო აქვთ, მაშასადამე ორი ფორმა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ რადგან წინასასკოლო ბევრი პროგრამა სრულდღიანია, სკოლამდელი დაწესებულების ბევრი პროგრამა კი ნახევარდღიანი, წინასასკოლო ჯგუფის ფორმის მიხედვით, სკოლამდელი დაწესებულების ფორმისგან განსხვავებით, ჯგუფის გრაფიკი საშუალებას იძლევა, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს წიგნიერების აქტივობებს და მათემატიკას, მეცნიერებას და სახალისო ძიებებს/კვლევებს. ამჟამად, მოდით, განვიხილოთ ის ასპექტები, რომლებიც საერთოა ორივე ასაკისთვის განკუთვნილი ფორმისთვის.

სიუ: „აქცენტის დასმა საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმვაზე, ამას დამატებული მასალები, ლექსიკის მარაგი, კითხვები, კრიტერიუმები და მინიშნებები უფრო აშკარას და მიზნობრივს ხდის მთლიანი სწავლების პროცესს."

ორივე ჩარჩო ფორმას აქვს გვერდები გრაფებით, სადაც მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაწერონ თავიანთი გეგმები. თითოეულ გრაფას თავისი კონკრეტული მიზანი აქვს და იმისთვის შეირჩა, რომ მასწავლებლებს საშუალება მისცეს თვალყური ადევნონ მრავალ გზას, რითაც უზრუნველყოფენ ბავშვების ჩართულობას, დაეხმარებიან მათ სწავლაში, დაამყარებენ მათთან ნდობასა და მეგობრობას და მუდმივად მოუწოდებენ თავიანთი პოტენციალის სრულად გამოვლენისკენ. ამ გეგმების ნაწილი შესაძლოა განთავსდეს განცხადებების დაფაზე ან ონლაინ - მშობლებისთვის სანახავად.

ასევე ორივე ფორმა შეიცავს გვერდს გრაფებით, სადაც უნდა ჩაიწეროს გეგმები დაკვირვებისა და მოდიფიცირებისთვის თითოეული ბავშვისთვის და გრაფები, რომლებიც ასახავს გეგმის შედეგებს. ეს რეფლექსია მხოლოდ მასწავლებლისთვის (და ალბათ ადმინისტრატორისთვის) არის განკუთვნილი და მშობლებს არ უზიარებენ. თავის რეფლექსიაში მასწავლებელმა შესაძლოა რაღაც ჩაინიშნოს ამა თუ იმ ბავშვთან

დაკავშირებით, მაგრამ ბავშვის კონფიდენციალურობის პატივისცემის გამო მასწავლებელი არ გამოაქვეყნებს ან გაუზიარებს ამ გვერდს ოჯახებს.

დაგეგმვისა და რეფლექსიის დოკუმენტის გვერდების არსებული კომბინაციით ფორმები გვაწვდის ჩანაწერს დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლის შესახებ, როცა ის წარმოიქმნება.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები			
დრამატული თამაში			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	ეზოს აქტივობების და კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებული გეგმები	კვებასა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებული გეგმები

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
მოსმენის ცენტრი (დილის წრე)			
დრამატული თამაში			
ჟურნალის წარმოების ცენტრი			
ხელოვნება			
ანბანის ცენტრი			
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სწავლის მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
შუადღის ისტორიის თხრობა	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	გეგმები ეზოს კვლევებისჩასატარებლად	გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა წინასასკოლო ჯგუფისთვის

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები			
მათემატიკის აქტივობა			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
სამეცნიერო ძიებანი			
საინფორმაციო კითხვა			
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება			
სხვა ცენტრი			

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფის ფორმები განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, რომლებიც წინასწარ გეგმავენ თავიანთი ჯგუფის მომდევნო კვირას. ფორმები იმგვარად არის შექმნილი, რომ კვირაში ერთხელ უნდა შეივსოს, რადგან სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არ სჭირდებათ მთელი ჯგუფის გარემოს ან თავიანთი აქტივობის არჩევანის ყოველდღიურად შეცვლა. ბავშვებს მოსწონთ, როდესაც ეძლევათ სხვადასხვა რამის განმეორებით კეთების შესაძლებლობა, ვარჯიში და ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სხვადასხვა მასალასთან ურთიერთობის გაღრმავების დაუფლება. მხოლოდ მასწავლებლის მიერ მართული როგორც დიდი, ისე პატარა ჯგუფები იძლევა ყოველდღიური გეგმის გაწერის საშუალებას (მიუხედავად იმისა, რომ არ არის აუცილებელი, გეგმა ყოველდღიურად შეიცვალოს).

მერი ბ.: „საგანმანათლებლო აქტივობის გეგმის ფორმა მოქნილია.“

სუზანი: „აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვების საჭიროებების ან კონკრეტულ დღეს წარმოქმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ადვილად შევცვალოთ ჩვენი გეგმები. ჩვენ სრულიად შეგნებულად ვგეგმავთ იმ თანმიმდევრობას, რომლის მიხედვითაც გვსურს წარმოვადგინოთ მასალები და/ან აქტივობები.“

ძირითადი ჯგუფის გარემო არის ორივე ფორმის ცენტრალური ობიექტი. ის აკეთებს აქცენტს გარემოს გამოყენებაზე და მასში ნებისმიერ ცვლილებაზე - მაგალითად, ცვლილებები კონკრეტულ სასწავლო მიზნებში ან უცაბედი გამოწვევა ბავშვთა აზროვნებისთვის, ან მათი იდეების და ინტერესების გათვალისწინება პროექტებსა თუ გრძელვადიან კვლევებში. ეს აქცენტი ეხმარება მასწავლებელს საჭირო მასალების ვადამდე ორგანიზებაში და სპეციალურ აქტივობებთან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვაში, როგორიცაა მოთხრობები, სიმღერები, ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით (fingerplays), მეცნიერების ექსპერიმენტები, ან პროექტის საქმიანობები. ორივე ფორმაში სივრცეები კვების, გარდამავალი პერიოდების და ეზოს თამაშების დასაგეგმად იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ მასწავლებელს არ გამოეპაროს სწავლის შესაძლებლობები ამ ყოველდღიურ საქმეებში. ფორმები ასევე შეახსენებს მასწავლებელს შეიტანოს ცალკეული ცვლილება და ჩაატაროს ფოკუსირებული დაკვირვება.

თუმცა, გარემო აზრს კარგავს იქ ყოველდღიურად მომუშავე ხალხის გარეშე. მასწავლებლები უწყობენ ხელს ბავშვებს გარემოს გამოყენებაში. ისინი ამყარებენ ურთიერთობას ბავშვებთან და ქმნიან მზრუნველ ერთობას თავიანთ ჯგუფში. ფორმები მოიცავს იმ გზებსაც, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები დაგეგმვის დროს ბავშვებთან თავიანთი ურთიერთობის ჩამოყალიბების საფეხურებს გაითვალისწინებენ. მათ შორისაა ცალკეული ცვლილებების ასახვა კურიკულუმისფარგლებში, რადგან მასწავლებლები უფრო მეტს იგებენ თითოეული ბავშვის ძლიერი მხარეების, განვითარების გამოწვევების და ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ.ფორმები ასევე უჩვენებს მასწავლებელს გზას, რომლის საშუალებითაც უნდა მოახდინოს საკუთარი დაკვირვებების ფოკუსირება მოქმედებაში მყოფ ბავშვებზე, რათა შეძლოს ცვლილებების შეტანა თითოეული ბავშვის მიხედვით.

მოდით, ახლა განვიხილოთ ორივე ფორმის თითოეული გვერდი. თქვენ ნახავთ, რომ ზოგიერთი გვერდი სკოლამდელი და წინასასკოლო ჯგუფებისთვის ერთი და იგივეა,

ზოგიერთი კი განსხვავდება. მოგვიანებით ამავე თავში თითოეულ გვერდს უფრო დეტალურად შევისწავლით და რამდენიმე სხვადასხვა გეგმის ნიმუშსაც განვიხილავთ.

სათამაშო სივრცის მოწყობა

თამაში მნიშვნელოვანი მექანიზმია სწავლისათვის ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფებში. ჯგუფის გარემოს შეუძლია წარმოქმნას სწავლის შესაძლებლობები, გაგვიჩინოს ჯგუფის ერთობის შეგრძნება და შეინარჩუნოს დადებითი ატმოსფერო, სადაც ბავშვებსა და უფროსებს შორის ნაყოფიერი ურთიერთობა ჩამოყალიბდება. სკოლამდელი დაწესებულების ფორმის პირველი გვერდი აქცენტს აკეთებს ბავშვების მიერ კვლევის ჩატარების დაგეგმვაზე და თამაშზე ჯგუფში გამოყოფილ სივრცეებში. იგი მოიცავს შვიდ გრაფას, სადაც განსაზღვრულია სივრცეები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისთვის ყოველდღიურად:

- კუბურები
- დრამატული თამაში
- სენსორული მაგიდა
- ხელოვნება
- სამანიპულაციო ცენტრი
- ჯგუფის ბიბლიოთეკა
- წერის ცენტრი

დამატებითი ველი მოცემულია დამატებითი სათამაშო სივრცის განსაზღვრის მიზნით, რომელიც მასწავლებელმა შესაძლოა კვირის განმავლობაში შეარჩიოს.

თითოეულ ველში მასწავლებელი წერს შემდეგს:

1. ერთი ან მეტი სასწავლო მიზანი

2. ნებისმიერი დამატებითი მასალა, რომელიც სურთ დაამატონ სათამაშო სივრცეში ან აქცენტი, რომლის ხაზგასმაც შესაძლოა სურდეთ ბავშვებთან ურთიერთობისას ამ ტერიტორიაზე

3. ის ლექსიკური ერთეულები, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვებთან საუბრის ნაწილი, როცა ისინი თამაშობენ ამ ტერიტორიაზე

გარდა ამისა, გვერდის დასაწყისში მასწავლებელს შეუძლია აღნიშნოს მიმდინარე პროექტი, რომელიც ჯგუფში ხორციელდება.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები			
დრამატული თამაში			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

პირველი გვერდი, სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

წინასასკოლო ჯგუფში სრული დღის გატარება ბავშვებს საშუალებას აძლევს უფრო მეტი დრო დაუთმონ კვლევას, შეისწავლონ ჯგუფის ოთახი და მონაწილეობა მიიღონ წიგნიერებაზე, მათემატიკასა და მეცნიერებაზე მიმართულ აქტივობებში. აქედან გამომდინარე, წინასასკოლო ჯგუფის ფორმის პირველი და მესამე გვერდები შექმნილია სკოლამდელი დაწესებულების ფორმის პირველი გვერდის მსგავსად, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებებით:

- წინასასკოლო ჯგუფის ფორმის პირველ გვერდზე მოცემულია ველები, სადაც უნდა ჩაიწეროს გეგმები სათამაშო და კვლევითი ცოდნის გამოცდილების შესაძენად დღის იმ მონაკვეთში, რომელსაც ეწოდება „მკითხველების და მწერლების სამუშაო შეხვედრა“

- წინასასკოლო ჯგუფის ფორმის მესამე გვერდს ეწოდება „კვლევის დრო“ და შეიცავს ველებს ერთი და იგივე სათამაშო ადგილებით სკოლამდელი დაწესებულების ფორმის მსგავსად, თუმცა აქვე მოცემულია დამატებითი ადგილებიც, რომელიც მიმართულია მათემატიკის და მეცნიერების აქტივობებზე.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
სმენის ცენტრი			
დრამატული თამაში			
ჟურნალის წარმოების ცენტრი			
ხელოვნება			
ანბანის ცენტრი			
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
მასწავლებლის მიერ მართულიწიგნიერების აქტივობა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

პირველი გვერდი, წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლები სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლების მსგავსად თითოეულ ველში წერენ შემდეგს:

1. ერთი ან მეტი სასწავლო მიზანი
2. ნებისმიერი დამატებითი მასალა, რომლის დამატებაც შესაძლოა სურდეთ ამ სივრცეში ან აქცენტი, რომლის ხაზგასმაც შესაძლოა უნდოდეთ ბავშვებთან ურთიერთობისას ამ სივრცეში
3. ის ლექსიკური ერთეულები, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვებთან საუბარის ნაწილი ამ ადგილას თამაშის დროს

როდესაც მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული სწავლის შესაძლებლობები მაშინ, როცა ბავშვები თამაშობენ, მათი ურთიერთობა ბავშვებთან უფრო მიზანდასახულია საიმისოდ, რომ ხელი შეუწყონ სწავლას. თუ თქვენ ადგენთ გეგმას სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებისთვის, სასწავლო მიზნების განსაზღვრა ბავშვების თამაშით გამოცდილებისთვის ეხმარება სწავლისა და თამაშის ერთმანეთთან უფრო აშკარად დაკავშირებას. ასეთ შემთხვევაში მშობლებს და ადმინისტრატორებს შეუძლიათ დაინახონ მაღალი დონის თამაშის სასწავლო შედეგები. იმის გათვალისწინება,

თუ როდის დაემატა მასალები ან ხაზი გაესვა განსხვავებულ აქცენტს, ეხმარება მასწავლებლებს გააზრებულად იმოქმედონ ბავშვთა ინტერესების დასაცავად და ახალი გამოწვევების და მათთვის გამოცდილებების წარმოდგენისას. გარდა ამისა, ახალი ლექსიკური ერთეულების ჩაწერა, რომელიც შეიძლება ჩაერთოს საუბარში, ასახავს ლექსიკური მარაგის მნიშვნელობას ბავშვთა წიგნიერების განვითარებაში.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები			
მათემატიკის აქტივობა			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
მეცნიერება			
საინფორმაციო კითხვა			
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება			
სხვა ცენტრი			

მესამე გვერდი, წინასასკოლო ჯგუფების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა, ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება, ეზოს აქტივობები და კვლევები, კვება, გარდამავალი პერიოდები

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ფორმის მეორე გვერდი არსებითად ერთი და იგივეა. ორივე მათგანი აძლევს საშუალებას მასწავლებელს დაწეროს გეგმები დიდი და პატარა ჯგუფის მუშაობისთვის და ჯგუფის ერთობის და ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, ეზოს კვლევების ჩასატარებლად, კვებისა და გარდამავალი პერიოდებისთვის. დიდი და პატარა ჯგუფის მუშაობის ორგანიზებისას შესაძლებელია ყოველდღიური გეგმების შედგენა. მასწავლებლები ხშირად ცვლიან მოთხრობების კრებულს, რომელსაც მანამდე ყოველდღე კითხულობდნენ ან სიმღერებს და ხელების

მოძრაობებს სიმღერის თანხლებით, რომელსაც მღეროდნენ და იყენებდნენ. პატარა ჯგუფის მუშაობის მიზნებიც, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა ყოველდღიურად შეიცვალოს. ამდენად, ფორმაში ჩამოთვლილია კვირის ხუთი დღე ამ ტიპის ჯგუფური მუშაობისთვის.

დიდი და პატარა ჯგუფის მუშაობის შემთხვევაში მასწავლებელი წერს სასწავლო მიზანს და აქტივობას, რომელსაც ის ჯგუფთან წარმართავს, ასევე განსაზღვრავს სწავლების, მის მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს, რათა ბავშვებს ჯგუფურ გამოცდილებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებები მისცეს. გეგმების ყოველდღე ცვლა არ არის აუცილებელი არც დიდი, არც პატარა ჯგუფებისთვის. მასწავლებელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს, სურს თუ არა მას სხვადასხვა აქტივობების და მიზნების დაგეგმვა ყოველი დღისთვის ან ერთი და იგივეს გამოყენება მთელი კვირის განმავლობაში (ყოველკვირეული დაგეგმვისა და რეფლექსიის შაბლონი მოცემულია დანართში „ა“ ან შეგიძლიათ გადმოწეროთ ვებ-გვერდიდან: www.redleafpress.org). სრულდღიანი წინასასკოლო ჯგუფის (ან სკოლამდელი დაწესებულების) შემთხვევაში ბევრი მასწავლებელი წარმართავს შუადღის ისტორიის თხრობის დროს. ამ აქტივობის დაგეგმვის სივრცე მოცემულია წინასასკოლო დაწესებულების გეგმის მეორე გვერდზე.

გვერდის ბოლოში მოცემულ სამ ველში მასწავლებლებს შეუძლიათ დაადგინონ ჯგუფთან მუშაობის ერთი ან ორი მეთოდი მთელი კვირის განმავლობაში ჯგუფის ერთობის და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, გეგმები დამატებითი მასალებისთვის და ეზოს აქტივობებისთვის და სტრატეგიები კვების და გარდამავალი პერიოდების გასაზრდელად.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სასწავლო მიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	გეგმები ეზოს კვლევებისჩასატარებლად	გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთანდაკავშირებით

მეორე გვერდი, სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

დაკვირვებები, ცვლილებები და რეფლექსიები

სკოლამდელი დაწესებულების ფორმის მესამე გვერდი იგივეა, რაც წინასასკოლო ჯგუფის ფორმის მეოთხე გვერდი და მოიცავს ველებს დაგეგმვისა და რეფლექსიისათვის. დასარწმუნებლად, რომ მასწავლებლები მართლაც გეგმავენ ცალკეულ ბავშვზე დაკვირვებას და ჯგუფში კონკრეტულ ადგილებს, აქ მოცემულია ფოკუსირებული დაკვირვების ველი. აქ მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს რომელიმე ბავშვის სახელი ან აღნიშნოს, რომ იგი აპირებს ფოკუსირებას ყველა ბავშვის ნატიფ მოტორულ (სიმკვირცხლის) უნარებზე კვირის განმავლობაში. მას და მის კოლეგებს შეიძლება სურდეთ აღნიშნონ ჩართულობის ხარისხი კონკრეტულ სათამაშო სივრცეებში ან ყურადღებით დააკვირდნენ ბავშვთა ინტერესს და ჩართულობას დიდი ჯგუფის მუშაობის დროს. წინა დაკვირვებებზე და ნანახის და მოსმენილის რეფლექსიაზე დაყრდნობით მასწავლებლები გეგმავენ ცვლილებებს ცალკეული ბავშვისთვის და ასევე აღნიშნავენ ამას ამ გვერდზე.

სიუ: „რეფლექსია არის ყველაზე რთული დროის მონაკვეთი - როცა გონივრულ დროში უნდა მოასწრო ჩაწერაც და ასახვაც. ამან მაფიქრებინა, რომ ორი ადამიანის ერთად მუშაობა, დროის გამონახვა იმისათვის, რომ გაუზიარონ ერთმანეთს დაკვირვებები, ერთად ასახონ და შეიტანონ კორექტირება, ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა მხარე საჭიროებს რჩევას და გაგებას."

ამ ფორმის ბოლო ორი ველი განკუთვნილია რეფლექსიისთვის და მისი გამოყენება შეიძლება ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად. ნახევარი დღის ან მთელი დღის ბოლოს, სასწავლო გუნდი შეიძლება რამდენიმე წუთით დაჯდეს და განიხილოს, თუ როგორ ჩაიარა ყველაფერმა. რეფლექსიის კითხვების გამოყენება შეიძლება ამ მოკლე დისკუსიის დღის წესრიგის ფოკუსისათვის, რათა ასრულებდეს ჩაწერის ინსტრუმენტის ფუნქციას. შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს რეფლექსიის კითხვები იმის გასარკვევად, თუ როგორ ჩაიარა კვირამ და განიხილოს მომხდარი მოვლენები, ან ბავშვების რეაგირება აქტივობებზე, ვიდრე მომავალი კვირის დაგეგმვას დაიწყებდეს.

რეფლექსია არის დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. მასწავლებლებმა უნდა გამოყონ დრო გასული კვირის შესახებ დასაფიქრებლად. მათ უნდა ჩამოწერონ, რა იყო წარმატებული და რა არა, როგორც ცალკეული ბავშვისთვის, ისე მთელი ჯგუფისთვის. მასწავლებლები ახდენენ რეფლექსიის პროცესის ფორმალიზებას. მათი რეფლექსია მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტია. ის არა მარტო მომავალი დაგეგმვისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო, არამედ ხელმძღვანელების წინაშე სკოლამდელი და წინასასკოლო ჯგუფებში მიმდინარე პროცესების ღრმად გააზრებულობის და მიზანდასახულობის დემონსტრირებისთვისაც.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

მესამე გვერდი, სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა/ მეოთხე გვერდი, წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

დაგეგმვისა და რეფლექსიის პროცესების გაერთიანება მასწავლებლებს ეხმარება ბავშვების საჭიროებების უკეთ გაგებაში. ყოველი კვირა მომდევნო კვირამდე ბავშვთა ინტერესებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. ბავშვების დაკვირვების შედეგად მიღებული შეფასებიდან მიღებული ინფორმაცია აქტივობების მომდევნო კომპლექტის დაგეგმვასთან ინტეგრირდება. ამგვარად, კურიკულუმი უფრო შეუფერხებლად მიმდინარეობს. დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის გამოყენებით, მასწავლებელი ქმნის ჯგუფის ცხოვრების წერილობით ისტორიას. ამ წერილობით ჩანაწერებს შეუძლია მისცეს მიმართულება და იდეები შემდგომ აქტივობებს, პროექტებს, აკადემიურ სწავლას და ინდივიდუალურ კორექტირებას. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ საფუძველი ოჯახური ურთიერთობის და გუნდური საუბრების სწავლებისთვის. ადმინისტრატორებს შეუძლიათ გადახედონ დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმებს და მიიღონ ზუსტი ინფორმაცია ზედამხედველობისა და შეფასების შესახებ.

სარა: „გამოწვევა, რომელიც პირადად გამოვცადე და ალბათ სხვა მასწავლებლებსაც ექნებათ გამოცდილი, იყო საკუთარი თავის, როგორც მოაზროვნე მასწავლებლის, ვარჯიში, რათა დოკუმენტურად და რაც შეიძლება გარკვევით და მოკლედ ამესახა და მერწმუნა, რომ დასახული მიზნებით მუშაობას ბავშვთა ხელის შეწყობის საუკეთესო გზა იყო."

მოდით, სიღრმისეულად შევისწავლოთ ორივე ფორმის თითოეული გვერდი და შევამოწმოთ მასწავლებლების გეგმების და რეფლექსიების ზოგიერთი მაგალითი. წიგნში წარმოდგენილია რამდენიმე დასრულებული გეგმა. ამ გეგმებს იმ იმედით ვიზიარებ, რომ თქვენ განიხილავთ მათ და გაარკვევთ თქვენი პროგრამის დაგეგმვის გზებს, მიუხედავად იმისა, სად ასწავლით, სკოლამდელ დაწესებულებაში, თუ წინასასკოლო ჯგუფში.

გეგმები შეიქმნა სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლების მიერ თავიანთი გარემოსთვის, სადაც ისინი იცნობენ თავიანთ ბავშვებს და მათ საჭიროებებს. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს საუკეთესო გეგმები ჯგუფისთვის, არის მასწავლებელი, რომელიც მუშაობს ამ გარემოში. თქვენ შეავსებთ თქვენს საკუთარ დაგეგმვისა და რეფლექსიის ფურცლებს თქვენთვის ხელმისაწვდომი მასალების ცოდნის, უფროსების მხარდაჭერის არსებული დონის და თქვენი ბავშვების კონკრეტული ჯგუფის საჭიროებების საფუძველზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაქმნელად თქვენ მართლაც უნდა განიხილოთ ყველა ეს ფაქტორი.

გეგმები სათამაშო სივრცეებთან დაკავშირებით სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფებში

სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლები ბავშვების თამაშისა და კვლევისთვის ფორმას ჯგუფებში სივრცეების და ამ სივრცეებში მასალების ორგანიზებით აწვდიან. სხვათა შორის, ამ მასალების გამოყენება დიდი სიფრთხილით არის დაგეგმილი. გარემოს დაგეგმვა და ორგანიზება სწავლების ნაწილია. ბავშვებთან ურთიერთობა ჯგუფის გარემოში ასრულებს სწავლების პროცესს.

პირველი ნაბიჯი თამაშის დაგეგმვაში არის სასწავლო მიზნების განსაზღვრა თამაშზე დაფუძნებული გამოცდილებებისთვის. სკოლამდელი დაწესებულების ფორმის პირველი გვერდის რვა ველში მასწავლებელი აღნიშნავს მინიმუმ ერთ სასწავლო მიზანს ამ სათამაშო ადგილისთვის კვირაში. შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა სასწავლო მიზანი სხვადასხვა მიმართულებებში. მაგალითად, ისეთი ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც ცდილობენ ერთად შეკრიბონ სამანიპულაციო ცენტრში არსებული სხვადასხვა მანიპულატივები და ფაზლები, სასწავლო მიზანი შეიძლება აიღოთ ფიზიკური სფეროდან, როგორიცაა „ხელისა და თვალის კოორდინაციის განვითარება“. იმ ბავშვებისთვის კი, რომლებიც კუბების სივრცეში თამაშობენ, თქვენს გეგმაში სასწავლო მიზნად, შეგიძლიათ ჩაწეროთ სამეცნიერო სფერო: „წონის და წონასწორობის ფიზიკური თვისებების კვლევა“.

როდესაც თქვენს სასწავლო მიზნებს განსაზღვრავთ თითოეული ცენტრისთვის , თქვენ ფოკუსირებული ხართ აქტივობების მიზნებზე. ეს აისახება თქვენი და თქვენი კოლეგების ბავშვებთან ურთიერთობების გზებზე მათი სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. თითოეული სასწავლო მიზანი შესაძლოა პირდაპირ კავშირში იყოს ბავშვების მიერ აქტივობების შესრულების მოლოდინებთან

ლორენი: „როდესაც საგანმანათლებლო აქტივობის გეგმას მიყვები, შეიძლება რთული იყოს იმის მიღწევა, რომ თქვენი დამატებითი მასალები და ფოკუსი ნამდვილად მხარს უჭერდეს განსაზღვრულ მიზანს. ისინი დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან, რათა მასწავლებელს მართლაც მიეცეს შესაძლებლობა ნახოს, თუ რა სამუშაოს ასრულებენ ბავშვები ამ მიზნისთვის. ჩემი დაკვირვებით შეიძლება უფრო სასარგებლოც კი იყოს, თუ თქვენ მიზნის არჩევით დაიწყებთ და შემდეგ გაერკვევით, როგორ შეასხათ ხორცი ამ მიზანს ურთიერთობების დაგეგმვის, აქტივობის განსაზღვრის ან ახალი მასალის დამატების საშუალებით."

და შეფასების ინფორმაციასთან (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 თავი - ამ მიზნების კავშირი სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტებთან). თითოეული აქტივობისთვის შეგიძლიათ განსაზღვროთ სხვადასხვა სასწავლო მიზნები ან შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ სამ ან ოთხ სასწავლო მიზანზე, რომელიც გადაიკვეთება სხვადასხვა ადგილას. თქვენ თავად წყვეტთ, თუ რა არის საუკეთესო თქვენი პროგრამისთვის.

თქვენ სასწავლო წლის დაწყებისთანავე, დაუყოვნებლად არ მოგეთხოვებათ მიმდინარე პროექტში ან თემატურ კვლევაში ჩართვა. ნაცვლად ამისა საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება იმ ბავშვებზე ფოკუსირება, რომლებიც ჯგუფში შეისწავლიან ყველა სათამაშო სივრცეს. ეს ბავშვებს საშუალებას მისცემს აღმოაჩინონ რიგი ხელმისაწვდომი მასალები და შეეცადონ მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მეორე გვერდზე მოცემულია სელიას გეგმა. მან განსაზღვრა სასწავლო წლის პირველი კვირის სასწავლო მიზნები თავისი სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფის გარემოსთვის. ამ თავში შევეცდები წარმოგიდგინოთ, თუ როგორ ავსებს იგი გეგმას ნაბიჯ-ნაბიჯ.

სუზანი: „თითოეული დაგეგმვის პერიოდისთვის სამ მიზანს ვირჩევთ. ამ მიზნებს ჯგუფის ყველა სივრცეში ვეძებთ. ზოგიერთი მათგანი შეიძლება უფრო ადვილად დაკვირვებადი იყოს ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობის დროს, მაგრამ ზოგადად, ჩვენ არ ვაკავშირებთ ცენტრებს კონკრეტულ მიზნებთან.“

გაითვალისწინეთ, რომ ველში წარწერით „მიმდინარე პროექტი“, სელიამ დაწერა „შეისწავლე ჯგუფი“. პირდაპირ პროექტით ან თემატური კვლევით დაწყებას მისთვის აზრი არ აქვს. ის მიხვდა, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვებმა შეისწავლონ ჯგუფის ძირითადი სათამაშო სივრცეები და გამოცადონ ბევრი შესაძლებლობა თითოეულ ამ სივრცეში პირველი კვირის განმავლობაში. მოგვიანებით ამავე თავში, უფრო სიღრმისეულად კი, მე-5 თავში შევისწავლით პროექტების და კვლევების განსაზღვრის და გარემოში ჩართვის გზებს.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: დასახლების სკოლამდელი დაწესებულება თარიღი: 9/12/11 მასწავლებელი (ები): სელია

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ჯგუფის შესწავლა

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები	წონასწორობისა და სტაბილურობის ექსპერიმენტირება		წონასწორობა სტაბილურობა
დრამატული თამაში	ოჯახის არსის გაგება		დედა, მამა, და, ძმა
სენსორული მაგიდა	გაზომვა	წყალი, საზომი ჭიქა და ფლანელი	
ხელოვნება	ჭრისა და წერის ინსტრუმენტების გამოყენება	მარკერები, მაკრატელი, ქაღალდი და პასტა	
სამანიპულაციო ცენტრი	ხელის და თვალის კოორდინაცია		
ჯგუფის ბიბლიოთეკა	წიგნებისა და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა		წინა და უკანა ყდა, ავტორი, ილუსტრატორი, სათაური
წერის ცენტრი	წერის უნარი	საკანცელარიო ნივთები, უბის წიგნაკები და ა.შ.	
სხვა ცენტრი	არცერთი		

სელიას მიერ შევსებული პირველი გვერდი

თქვენ ხედავთ, რომ სელიამ გამოავლინა სხვადასხვა სახის სასწავლო მიზნები, რომელსაც შეიძლება მივმართოთ, როცა ბავშვები თამაშობენ ჯგუფის სხვადასხვა სივრცეში. გაითვალისწინეთ, რომ სასწავლო მიზნები აღწერს, თუ რას გააკეთებს ბავშვი მასალებით თითოეულ სივრცეში. ისინი არ მიუთითებენ, რას გააკეთებს მასწავლებელი. სასწავლო მიზნები ფოკუსირებულია ბავშვებზე და ნათლად ასახავს, რას შეუძლიათ დააკვირდნენ მასწავლებლები, რა შესთავაზონ ბავშვებს, რაში შეუწყონ ხელი ან დაეხმარონ მათ.

სელია ყოველთვის არ მიუთითებს გამოყენებულ მასალაზე, ხომ ასეა? როდესაც ამ ტიპის ფორმას იყენებთ, მასალების ჩამოთვლა ყოველთვის არ არის აუცილებელი. ამის ნაცვლად, ის ვარაუდობს, რომ თითოეული სივრცე აღჭურვილია ბავშვებისთვის უმეტესწილად ხელმისაწვდომი მასალებით, რის გამოც ზედმეტია გეგმაში მათი ყოველ კვირა ჩაწერა. სელიას ასევე არ შეუვსია ველი „სხვა ცენტრი“.

სელიამ განსაზღვრა მხოლოდ დამატებითი მასალები და განსხვავებული აქცენტი სამი სათამაშო სივრცისთვის, სხვა სივრცეები კი ცარიელი დატოვა. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო წლის განვითარების შესაბამისად იგი ჩართავს დამატებით მასალებს ან სხვადასხვა აქცენტებს. სელიამ მიუთითა რამდენიმე სიტყვაზე, რომელსაც იგი და მისი კოლეგები გამოიყენებენ ბავშვებთან ურთიერთობისას თამაშის დროს. თუმცა მას ჯერ არ შეუვსია შვიდივე ველი. მან გონივრულად გადაწყვიტა, სად იყო მნიშვნელოვანი ახალი ლექსიკური ერთეულების ჩართვა. პროექტის, მასალების ან აქცენტის ცვლილების პარალელურად, იგი აღნიშნავს ახალ ლექსიკურ ერთეულებს შესაბამის ფორმაში.

სასწავლო მიზნები და მასალები სელიას ფორმაში შეიძლება რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდეს. მასწავლებლები თითოეული სივრცისთვის მასალების არჩევისას უპირატესობას ანიჭებენ იმას, რომელიც საკმარისად მრავალფეროვანი იქნება საიმისოდ, რომ ბავშვებმა რამდენიმე კვირის განმავლობაში განაგრძონ შესაძლებლობების ძიება ამ მასალების გამოსაყენებლად. მასწავლებლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ძიებას, დააკვირდეს, რას იმეორებენ და რას აკეთებენ ბავშვები და შესთავაზოს მასალების გამოყენების სხვადასხვა გზები. მოგვიანებით ამავე თავში გადავხედავთ გარემოს რეფლექსიას, რათა დავადგინოთ, როდის შევცვალოთ სასწავლო მიზნები და მასალები.

მიმდინარე პროექტების გეგმები

როგორი იქნება გეგმა, მიმდინარე პროექტის განხორციელების შემთხვევაში? როცა მასწავლებელი გადაწყვეტს კურიკულუმის ფოკუსირებას კონკრეტულ საკითხზე, მას შეიძლება სურდეს ზოგიერთი რამის შეცვლა ჯგუფის გარემოში. აქ მოთხრობილია ამბავი მიმდინარე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ჩანგმა სასწავლო წელი სელიას მსგავსად დაიწყო. ის აქცენტს საკლასო ოთახის შესწავლაზე აკეთებდა. თუმცა ფრინველმა ბუდის შენება პირდაპირ საკლასო ოთახის ფანჯარასთან დაიწყო. ფრინველმა ბავშვების ყურადღება მიიპყრო და ისინი თვალს ადევნებდა, როგორ იშენებდა იგი ბუდეს. ქალბატონმა ჩანგმა და მისმა თანაშემწემ გაითვალისწინეს ბავშვების ინტერესი

რეფლექსიის ყოველკვირეულ დისკუსიაში და გადაწყვიტეს, რომ მიჰყოლოდნენ მათ ინტერესებს და ჯგუფისთვის ფრინველებთან დაკავშირებული აქტივობები შეეთავაზებინათ.

ჯგუფის გარემოსთვის შემუშავებულ ქვემოთ მოხმობილ გეგმაში მოცემულია რამდენიმე ველი, რომელიც აქცენტს აკეთებს ფრინველების თემაზე, მაშინ როცა დანარჩენი არა.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: სასწავლო დრო სკოლამდელ დაწესებულებაში თარიღი: 9/26/11

მასწავლებელი (ები): ქ-ნი ჩანგი და ქ-ნი ალენი

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ფრინველები და ბუდეები

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	დასახლების არსის გაგება (გზების და შენობების მშენებლობა)	საგზაო ნიშნები და რუკები, მსუბუქი და სატვირთო მანქანები	მეზობლები, გზები, ტრასები, ხიდები, გაჩერების ნიშნები
დრამატული თამაში	თამაშის და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის სწავლა		
სენსორული მაგიდა	ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ	ბუდეების დამზადება ჯოხების, ტოტების, ქსოვილის ნაჭრების გამოყენებით	ბუდეები, მენაგვეები, მქსოველები
ხელოვნება	ყურადღების მობილიზება და მიზანსწრაფვა დავალებების შესრულებისას	ბუდის დამზადება ბუმბულის კოლაჟებისგან ან ნაყინის ჯოხებისგან	ბუმბული, რბილი, მსუბუქი
სამანიპულაციო ცენტრი	თვლა და რაოდენობა და გეომეტრია	ნივთების დათვლა და ფორმების და ფერების განსაზღვრა	ციფრები, ფორმები, ფერების აღმნიშვნელი სიტყვები
ჯგუფის ბიბლიოთეკა	ლექსიკის განვითარება და ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ	წიგნების და ჟურნალების შესწავლა ფრინველების შესახებ	კარდინალი, ბეღურა, მერცხალი, ხოხობი, იხვი, გედი
წერის ცენტრი	წერის უნარი	საწერი ინსტრუმენტების და ანბანის შტამპების გამოყენება	
სხვა ცენტრი	მოსმენა	ფრინველის ხმების ამსახველი ფირის მოსმენა	

ქ-ნი ჩანგის ფოკუსირებული კურიკულუმის გეგმა

როგორც ხედავთ, ქალბატონმა ჩანგმა გარემოში მხოლოდ ის სივრცე შეცვალა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ფრინველების და ბუდეების თემის შესაბამისად. მასწავლებლებმა შეიძლება თავი იმტვრიონ იმის მისაღწევად, რომჯგუფის თითოეულ სივრცეს რომელიმე თემა შეუსაბამონ, მაგრამ არსებობს ისეთი თემები, რომლებიც არცერთ სივრცეს არ შეესაბამება. ზოგიერთი მასწავლებელი შემდეგ თავს ივალდებულებს, რომ მოამზადოს ახალი მასალები (მაგალითად, თამაშები ფრინველის მსგავსების პოვნაზე), რათა ყველაფერი თემას შეუსაბამოს, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი.

ფრინველის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებისას, მასალების შეცვლას კუბების სივრცეში აზრი არა აქვს. თუმცა გამართლებულია ხელოვნების, ბიბლიოთეკის და სენსორული მაგიდის მასალების შეცვლა. ძირითადი სასწავლო გარემო არ საჭიროებს თემის დამატებით ფენას ყველა სივრცეში. ნაცვლად ამისა, კარგად დაფიქრდით, რომელი

სივრცე ეხმარება ბავშვებს თემის სწავლაში ან პროექტში ჩართვაში და მხოლოდ ამ ადგილებში შეიტანეთ ცვლილებები.

რა თქმა უნდა, ქალბატონმა ჩანგმა ფრინველებთან დაკავშირებული ჯგუფში ჩასატარებელი ისეთი აქტივობებიც დაგეგმა, როგორიცაა მოთხრობები, სიმღერები, ფრინველებზე დაკვირვება, გარეთ სეირნობა, და ასე შემდეგ. მისი გეგმების მეორე და მესამე გვერდებს მოგვიანებით იხილავთ ამავე თავში.

წიგნიერების თამაშისა და კვლევის დაგეგმვა წინასასკოლო ჯგუფში

წინასასკოლო დაწესებულებების ბევრი პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით სრულდღიანია. აქედან გამომდინარე, უფრო მეტია შესაძლებლობა, რათა გრაფიკში გამოიყოს დრო ჯგუფის გარემოს კვლევისთვის. უფრო მეტიც, წინასასკოლო დაწესებულებების დიდი ნაწილის კურიკულუმი უფრო მეტად არის ფოკუსირებული ბავშვებში წიგნიერების უნარების განვითარებაზე და მათემატიკის და მეცნიერების ცნებების გაგებაზე, ვიდრე სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმი. წინასასკოლო ჯგუფების მოსწავლეები მართლაც მზად არიან ოჯახებისგან დამოუკიდებლად, თანატოლებთან ერთად დაესწრონ ჯგუფში სრულდღიან პროგრამას და შეეცადონ ისწავლონ უფრო მეტი კითხვის, წერის, მათემატიკის და მეცნიერების შესახებ. ამ მზადყოფნის განხილვის მიზნით წინასასკოლო განათლების ფორმის პირველი გვერდი განისაზღვრება, როგორც „მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა, სადაც მასწავლებლებს, წიგნიერების ბევრ ასპექტზე სამუშაოდ, შეუძლიათ დაგეგმონ შესაძლებლობები ბავშვებისათვის. მესამე გვერდი კი განკუთვნილია კვლევისათვის, სათამაშო სივრცეებითა და მათემატიკის და მეცნიერების აქტივობებით. სავარაუდოდ, „მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა გაიმართება ორმოცდახუთი წუთიდან ერთ საათამდე დილით, კვლევის დრო კი განისაზღვრება იმავე პერიოდით, დღის მეორე ნახევარში (სკოლამდელი დაწესებულების სრულდღიანი პროგრამა ასევე შეიძლება მოერგოს ამ სტრუქტურას).

მოდით, უფრო ახლოდან შევხედოთ „მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრის დაგეგმვას.

როგორც ხედავთ, რვა ველით განისაზღვრება ჯგუფში ის სივრცეები (ცენტრები), რომელმაც ფოკუსირება უნდა მოახდინოს წიგნიერების შემდეგ გამოცდილებებზე:

- მოსმენის ცენტრი (დილის წრე)
- დრამატული თამაში
- ჟურნალის წარმოების ცენტრი
- ანბანის ცენტრი
- ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები
- ჯგუფის ბიბლიოთეკა
- მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა
- წერის ცენტრი

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
მოსმენის ცენტრი			
დრამატული თამაში			
ჟურნალის წარმოების ცენტრი			
ხელოვნება			
ანბანის ცენტრი			
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

პირველი გვერდი, წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

მასწავლებელს სურვილის შემთხვევაში ყოველთვის შეუძლია ნებისმიერი სხვა ცენტრის დამატება მეცხრე ველში (წარწერით „სხვა ცენტრი“). თუ მას აქვს მიმდინარე პროექტი და სურს თემატური აქცენტის გაკეთება, მაშინ შეუძლია დაამატოს ის გვერდის დასაწყისში. ან თუ იგი უკავშირებს თავის წიგნიერების აქტივობას წიგნებს და ისტორიებს თავისი სასკოლო ოლქის მიერ არჩეული საკითხავი ლიტერატურის სერიიდან, მას შეუძლია ეს დასაწყისშივე აღნიშნოს. კიდევ ერთხელ, მასწავლებელი ყველა ველში მიუთითებს ერთ ან მეტ სასწავლო მიზანს თითოეული სივრცისათვის, დამატებით მასალებს და აქცენტს, რომელიც მან შესაძლოა უზრუნველყოს და ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი აქტივობის დროს. მეორე გვერდზე მოცემულია ელენას გეგმა მკითხველებისა და მწერლების სამუშაო შეხვედრისთვის თავის წინასასკოლო ჯგუფში

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: ___ბაკლის დაწყებითი სკოლა_____ თარიღი: 10/3/11 მასწავლებელი (ები): ელენა მონრო

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
სმენის ცენტრი	ბგერებისა და მარცვლების ფონოლოგიური ცნობიერება	რითმული წიგნების და ნონსენს რითმების ჩანაწერები	რითმები, მარცვლები
დრამატული თამაში	საუბრის უნარი	სასაუბრო თანმიმდევრობის ხელშეწყობა	საუბარი
ჟურნალის წარმოების ცენტრი	წაკითხვის გააზრება	მათი საყვარელი ისტორიის შესახებ წერა და ხატვა	
ანბანის ცენტრი	წიგნების და ბეჭდვის ცოდნა	ასოებზე ნადირობა ოთახში, რამდენის პოვნას შეძლებ?	
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები		ისტორიის მოყოლა ფლანელის დაფის ნაჭრების მეშვეობით „მოხუც ქალზე, რომელმაც ბუზი გადაყლაპა“	რწევა, რხევა, ქანაობა
ჯგუფის ბიბლიოთეკა	წაკითხულის გააზრება	ისტორიების წაკითხვა და საყვარელი ისტორიის არჩევა ჟურნალისთვის	
მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა	წაკითხულის გააზრება	ბავშვებთან საუბარი საყვარელი ისტორიების შესახებ	დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული
წერის ცენტრი	ბგერებისა და მარცვლების ფონოლოგიური ცნობიერება		საწყისი ხმოვანი, ბოლო ხმოვანი
სხვა ცენტრი			

ელენას მკითხველების და მწერლების სამუშაო შეხვედრის გეგმა

გაითვალისწინეთ, რომ ელენას არ აქვს განსხვავებული მიზანი წიგნიერების თითოეული აქტივობისთვის. გარკვეული მიზნები ერთი და იგივეა სხვადასხვა ცენტრებში. ბევრი მასწავლებელი, კვირის განმავლობაში, წიგნიერების აქტივობების და ნებისმიერი თამაშის ან კვლევის დროს, ფოკუსირებას ახდენს სამ ან ოთხ მიზანზე.

მოდით, ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ კვლევის დროის დაგეგმვა წინასასკოლო ჯგუფში.

ბრენდა: „წინასასკოლო ჯგუფის პედაგოგებს სთხოვენ ხაზი გაუსვან წიგნიერების უნარების ადრეულ ცოდნას. მათ შეიძლება სურდეთ ფოკუსირება მოახდინონ „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრაზე არჩეულ მოთხრობებთან ან წიგნებთან დაკავშირებით კვირის განმავლობაში და შემდეგ ამოიღონ განვითარების შესაბამისი აქტივობები თავიანთი საბაზო სერიიდან."

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები			
მათემატიკის აქტივობა			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
მეცნიერების ცენტრი			
კითხვის ცენტრი			
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება			
სხვა ცენტრი			

მესამე გვერდი, წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

ამ გვერდზე მოცემულია ცხრაგრაფიანი ველი. ქვედა გრაფაში არის ველი სახელწოდებით „სხვა ცენტრი“. დასაწყისში არის ადგილი, სადაც მასწავლებელს შეუძლია მითითება მიმდინარე პროექტსა და თემატურ აქცენტზე. გვერდზე არსებული დანარჩენი ველები აღნიშნავენ ჯგუფში იმ სივრცეებს, რომლებიც განკუთვნილია თამაშისთვის ან მათემატიკისა და მეცნიერების სხვადასხვა გამოცდილებებისთვის:

- კუბურების ცენტრი
- ცენტრი მათემატიკის აქტივობისთვის
- სენსორული მაგიდა
- ხელოვნების ცენტრი
- სამანიპულაციო ცენტრი
- მეცნიერების საკვლევი ცენტრი
- კითხვის ცენტრი
- მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება

მკითხველებისა და მწერლების სამუშაო შეხვედრის მსგავსად, თითოეულ ველში მასწავლებელი მიუთითებს ერთ ან მეტ სასწავლო მიზანს თითოეული ადგილისთვის, დამატებით მასალებს და აქცენტს, რომელიც მან შესაძლოა უზრუნველყოს და ლექსიკურ მარაგს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი აქტივობის დროს. აქვე მოცემულია ელენას გეგმა მკითხველებისა და მწერლების სამუშაო შეხვედრისთვის თავის წინასასკოლო ჯგუფში.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: ბაკლერის დაწყებითი სკოლა თარიღი: 10/3/11 მასწავლებელი (ები): ელენა მონრო

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება)	მსგავსი ფორმებით კუბებისაშენების ხელშეწყობა	სიმეტრია
მათემატიკის აქტივობა	დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება)	გასაღებების, ხრახნების, ქანჩების, ჭანჭიკების, ჭიკარტების, ზღვის ნიჟარების დახარისხება შესაბამის ყუთებში	კატეგორიები, მსგავსებები, სხვაობები
სენსორული მაგიდა	დახარისხების და კატეგორიზაციის ექსპერიმენტირება	საგნების დახარისხება იმის მიხედვით, თუ რომელი იძირება და რომელი ტივტივებს	ჩაძირვა, ტივტივი
ხელოვნება	ექსპერიმენტირება	ვნახოთ, რას მივიღებთ საღებავის ფერების შერევით	ფერების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორიცაა ნათელი, ბნელი, გამჭვირვალე, ტალახიანი, გაუმჭვირვალე
სამანიპულაციო ცენტრი	დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება)	მოდელების შექმნა	AB, AB მოდელი
მეცნიერების ცენტრი	ექსპერიმენტირება	გამადიდებელი შუშები მათემატიკის აქტივობის დროს გამოყენებული გასაღებების, ხრახნების, ზღვის ნიჟარების და ა.შ. კოლექციების დასათვალიერებლად	გამადიდებელი
კითხვის ცენტრი	ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ	წიგნები მწერებისა და ობობების შესახებ	ობობას ქსელი, აბლაბუდისებური გარსი, ექვსფეხა, რვაფეხა
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება	ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ	ჩაძირვისა და ტივტივის აქტივობის შედეგების ჩაწერა და მოდელირება მანიპულატივებში	
სხვა ცენტრი			

ელენას გეგმა კვლევისთვის

თქვენ ხედავთ, რომ ელენამ შეზღუდა სასწავლო მიზნების რაოდენობა, რომელსაც ის მიმართავს ამ აქტივობების დროს. მან აირჩია სამი მიზანი, რომელზეც იმუშავებს ბავშვებთან ერთად ისე, რომ მას და მის თანაგუნდელებს ჰქონდეთ მკაფიო აქცენტი კვირის განმავლობაში. მასწავლებლებმა შეიძლება გადაწყვიტონ განსხვავებული მიზნის იდენტიფიცირება თითოეული ადგილისთვის ან რამდენიმე აქცენტზე ფოკუსირება ყოველკვირეულად.

ჯგუფური მუშაობის გეგმები

მოცემული ფორმის მეორე გვერდი უნდა შეიცავდეს ყოველდღიურ გეგმებს როგორც დიდი, ისე პატარა ჯგუფების მუშაობისთვის. ყოველდღიური გრაფიკი სკოლამდელ და წინასასკოლო დაწესებულების ჯგუფებში მოიცავს შესაძლებლობებს ბავშვებისთვის, იმუშაონ დამოუკიდებლად, ითამაშონ სხვა ბავშვებთან, ჩაერთონ

ყოველდღიურ საქმიანობებში, როგორიცაა წახემსება, დროის გატარება ეზოში, ალბათ ძილის დროც, და შეუერთდნენ დიდი და პატარა ჯგუფების სამუშაო გამოცდილებებს. ჯგუფურ დროდ ზოგადად მიიჩნევა ის დრო, როდესაც მასწავლებელი, და არა ბავშვი, არის ლიდერი და ინიციატორი.

ისევე როგორც სკოლამდელი დაწესებულების, ასევე წინასასკოლო ჯგუფებში ბევრი მასწავლებელი ატარებს სხვადასხვა აქტივობას თავიანთი დიდი ჯგუფების შეკრებების დროს. მათ შეუძლიათ შეკრიბონ ბავშვები ერთად სიმღერით და მოძრაობის აქტივობებით. ეს ბავშვებს დაეხმარება დამშვიდებაში და ჯგუფური ერთობის გრძნობის ჩამოყალიბებაში სიმღერების და სიმღერის თანხლებით ხელების მოძრაობების საშუალებით. მას შემდეგ, რაც ბავშვები დამშვიდდებიან, მასწავლებლებს შეუძლიათ გააცნონ მათ განსახილველი საკითხები ან წაიკითხონ მოთხრობა. ზოგიერთ ჯგუფში მასწავლებლები ასრულებენ თავიანთ ყოველდღიურ პროცედურებს - ბავშვების დასწრების შემოწმება, ჯგუფის დამხმარეების განსაზღვრა, კალენდრის გადამოწმება და კონკრეტული დღის გეგმების შედგენა.

მოცემულ ფორმაში დიდი ჯგუფის დაგეგმვისთვის არ არის საკმარისი ადგილი იმ ყველაფრის ჩამოსათვლელად, რაც ხდება დიდი ჯგუფის მუშაობის დროს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ძირითადი აქტივობის სასწავლო მიზანზე და მასწავლებლის სტრატეგიებზე ამ აქტივობის ხელშესაწყობად. ივარაუდება, რომ სიმღერები, მოძრაობის აქტივობები და ყოველდღიური საქმიანობები მეორდება, იცვლება თავად აქტივობის შინაარსი (დისკუსია, ჩვენება, ან ისტორია). ძირითადი მასწავლებლის არყოფნის დროს არსებობს გაფრთხილება შემცვლელი მასწავლებლისთვის, რომ მას დასჭირდება ფორმის გამოყენება. შემცვლელი მასწავლებლის „ფოლდერში“ განმარტებული უნდა იყოს, რას გულისხმობს ყოველდღიური საქმიანობები დიდი ჯგუფის მუშაობის დროს.

მეორე გვერდზე მოცემულია სელიას გეგმები კვირის განმავლობაში დიდი ჯგუფის მუშაობისთვის თავის სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფში.

თქვენ ხედავთ, რომ სელია უმეტეს დღეებში ერთსა და იმავე სასწავლო მიზანზე მიუთითებს სხვადასხვა აქტივობებისთვის. ეს არის დიდი ჯგუფის მუშაობის დროის დაგეგმვის ერთ-ერთი გზა. თქვენ ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ სწავლის მიზანი ყოველდღე, შეცვალოთ აქტივობა ან პირიქით, გაიმეოროთ ისინი. თუ მთელი კვირის განმავლობაში ერთი და იგივე აქტივობის დაგეგმვას მოისურვებთ, გამოიყენეთ ფორმა, რომელიც მოწოდებულია ჯგუფური მუშაობის ყოველკვირეული მიზნების დასაგეგმად დანართში „ა“ ან შეგიძლიათ გადმოწეროთ ისვე ბ გვერდიდან: www.redleafpress.org

პედაგოგებს, სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ბავშვებთან დიდი ჯგუფის მუშაობის დროის დასაგეგმად უამრავი არჩევანი აქვთ. მე-3 თავში მიმოვიხილავთ დიდი ჯგუფური მუშაობის სასწავლო მიზნებს, მე-6 თავში კი უფრო სიღრმისეულად გავაანალიზებთ დიდი ჯგუფის მუშაობის დროის დაგეგმვას და განვიხილავთ, არის თუ არა აუცილებელი დიდი ჯგუფის მუშაობის ყოველდღე დაგეგმვა.

თარიღი: 9/12/11		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლო მიზანი	ლექსიკის განვითარება (სხეულის ნაწილები)	→			
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	თამაში “Hokey Pokey” “Head, Shoulders, Knees and Toes” ყოველდღიური საქმიანობები ფლანელის დაფის კორპუსის აშენება ნაწილებით წაიკითხე „Here are My Hands”	თამაში „Knee to Knee“ “Where is Thumbkin?” ყოველდღიური საქმიანობები წაიკითხე “Maisy Dresses Up”	თამაში Hap Palmer: “Shake Something” “Touch” ყოველდღიური საქმიანობები; ფლანელის დაფაზე არეული თანმიმდევრობით განლაგდება სხეულის ნაწილები	თამაში “Hokey Pokey” თამაში „Knee to Knee“ “Where is Thumbkin?” ყოველდღიური საქმიანობები; წაიკითხე და იმოქმედე „მე შემიძლია ამის გაკეთება“	თამაში Hap Palmer: “Shake Something” “Touch” ყოველდღიური პროცედურები ბავშვები ირჩევენ ამბავს სამი საკითხავიდან ამ კვირის განმავლობაში

სელიას დიდი ჯგუფის აქტივობა

მასწავლებლის მიერ მართული მცირე ჯგუფის მუშაობა

ზოგჯერ სკოლამდელი აღზრდის და წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლები წარმართავენ მცირე ჯგუფის მუშაობის აქტივობას. ეს შეიძლება გულისხმობდეს კონკრეტულ უნარებთან მუშაობას, როგორიცაა დათვლა, წერა, ფორმის აღქმა, ან დახარისხება და კატეგორიზაცია. შეიძლება იგულისხმებოდეს რაიმეს შექმნა, მაგალითად, წიგნის, „ყველაფერი ჩემს შესახებ“ და ნამუშევრებს ყავის ფილტრების და საკვები საღებავის გამოყენებით. უსაფრთხოების მიზნებისათვის, ბევრი მასწავლებელი ამჯობინებს მეცნიერული ექსპერიმენტების და სამზარეულოს აქტივობების პატარა ჯგუფებთან ჩატარებას, სადაც მათ შეუძლიათ ინტენსიური ზედამხედველობა გაუწიონ ბავშვებს. ბავშვების ყურადღების შენარჩუნება ხშირად პატარა ჯგუფში უფრო ადვილია. რადგან პატარა ჯგუფური მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს მეტი ყურადღება მიაქციონ ცალკეულ ბავშვს და აქცენტი გააკეთონ მათ მზარდ უნარებსა და შესაძლებლობებზე, მათი პროგრესის შეფასებაც უფრო ადვილია.

არსებობს გაფრთხილება პატარა ჯგუფის მუშაობის დაგეგმვასთან დაკავშირებით: თუ ეს თამაშის დროს ხდება, პატარა ჯგუფის აქტივობა უნდა იყოს ბავშვების არჩევანი. ეს შეხსენება იმისთვის არის, რომ მასწავლებლებს არ დაავიწყდეთ მაღალი დონის თამაშში ბავშვთა ჩართულობის მნიშვნელობა. თუ ბავშვებს შეაწყვეტინებენ თამაშს, რომელშიც მთელი არსებით არიან ჩართულები და ეტყვიან, რომ ვალდებულები არიან მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლის მიერ მართულ პატარა ჯგუფის აქტივობაში, ამით მათ ეუბნებიან, რომ მათი თამაში არ არის მნიშვნელოვანი. ეს არ არის გზავნილი, რომლის მიწოდებაც გვსურს ბავშვებისათვის. პირიქით, ჩვენ გვინდა, რომ ხელი შევუწყოთ მათ და განვამტკიცოთ მათი თამაშით გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ჯგუფში ძნელია პატარა ჯგუფის მუშაობის დროის ყოველდღიური გრაფიკისთვის მორგება,

მაშასადამე, სათამაშო დრო საამისოდ საუკეთესოა. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ბავშვებს შევთავაზოთ და არა მოვთხოვოთ მონაწილეობა. ინფორმაციას პატარა ჯგუფის მუშაობის სასწავლო მიზნების შესახებ გაგიზიარებთ მე-3 თავში, პატარა ჯგუფის მუშაობის ეფექტიანი დაგეგმვის შესახებ კი მე-6 თავში.

მოცემულ ფორმაში არის ველი, სადაც უნდა ჩაიწეროს მასწავლებლის მიერ მართული პატარა ჯგუფის სამუშაო გეგმები. ყურადღება კვლავ გამახვილებულია პატარა ჯგუფის აქტივობის სასწავლო მიზანზე და მასწავლებლის სტრატეგიებზე ამ აქტივობის ხელშესაწყობად.

თუ გსურთ, რომ დაგეგმოთ ერთი და იგივე საქმიანობა თქვენი პატარა ჯგუფის შეკრებებისთვის კვირის განმავლობაში, მოცემულია ფორმა ჯგუფური მუშაობის ყოველკვირეული მიზნებისთვის დანართში „ა“ ან შეგიძლიათ გადმოწეროთ ის Redleaf Press-ის ვებგვერდიდან შემდეგ მისამართზე: www.redleafpress.org. აქ მოცემულია სასწავლო მიზნები, აქტივობები და მასწავლებლის სტრატეგიები პატარა ჯგუფის მუშაობისთვის, რომელიც ჩაწერა ელენამ თავისი წინასასკოლო ჯგუფის მოსწავლეებისათვის შედგენილ გეგმაში.

მცირე ჯგუფი	**სასწავლო მიზანი**	წერის უნარი, ფონოლოგიური ცნობიერება და ცოდნა ბეჭდური ტექსტის შესახებ	წერის უნარი, ფონოლოგიური ცნობიერება და ცოდნა ბეჭდური ტექსტის შესახებ	ფონოლოგიური ცნობიერება	წერის უნარი	წერის უნარი, ფონოლოგიური ცნობიერება და ცოდნა ბეჭდური ტექსტის შესახებ
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	ჩაატარეთ სახელის კვლევა და ავარჯიშეთ ბავშვები თავისი სახელის წერაში	აარჩევინეთ მეგობრის სახელი, გააანალიზებინეთ ის, ათქმევინეთ და დააწერინეთ	იპოვეთ ოთახში საგნები, რომელთა სახელიც იწყება იმავე ასოთი, რომლითაც მათი და მათი მეგობრის სახელი	ავარჯიშეთ სახელების და ძირითადი სიტყვების წერაში ფიქალის დაფაზე და თეთრ დაფაზე	მოიფიქრეთ სახელის კვლევის სხვა მეთოდი ან ავარჯიშეთ საკუთარი სახელის წერაში

ელენას პატარა ჯგუფური აქტივობა

შუადღის ისტორიების თხრობის დრო

წინასასკოლო ჯგუფის ბევრ პედაგოგს, როცა შემოჰყავს ბავშვები ლანჩის და დასვენების შემდეგ, დასამშვიდებლად, უკითხავს მათ ამბავს (ალბათ მიმდინარე თავს წიგნიდან, საყვარელი ისტორიების კრებულს, ან სხვა რამეს, რაც ეხმიანება მიმდინარე პროექტს ან თემატურ კვლევას) და ბავშვებიც მშვიდად ათვალიერებენ წიგნებს. ეს მათ ჯგუფზე გადართვაში ეხმარება. მე-2 გვერდზე მოცემულია ადგილი წინასასკოლო ჯგუფის გეგმისათვის, რათა განისაზღვროს ამ აქტივობის მიზნები და სტრატეგიები.

გეგმები ჯგუფის ერთობის და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან, ეზოს აქტივობებთან და კვლევებთან, კვებასთან, გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ღირსეული, მზრუნველი ურთიერთობების ჩამოყალიბების გეგმები მნიშვნელოვანი ელემენტია კურიკულუმის პროცესში. ურთიერთობების დამყარებაზე მიმართული დავალებების უყურადღებოდ დატოვების თავიდან ასაცილებლად მასწავლებლები მოცემულ ფორმაში გაწერენ შესაბამის გეგმას. ისინი ზრუნავენ ბავშვებთან ურთიერთობაზე და დგამენ ნაბიჯებს ამ ურთიერთობის გასამყარებლად. ამ გზით, სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები ქმნიან ჯგუფის ერთობის შეგრძნებას და მშობლებთან ერთად მუშაობენ ბავშვთა საუკეთესო ინტერესებისთვის. ბავშვებიც სწავლობენ, რომ იყვნენ ღირსეულები და იზრუნონ ერთმანეთზე. ქვემოთ ჩამოთვლილია უამრავი შესაძლებლობა, რომელთაგან ზოგიერთი მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ფორმის ამ ნაწილში:

- მიესალმეთ ბავშვს სახელით და თბილი ღიმილით
- მიესალმეთ და ესაუბრეთ ოჯახის წევრებს წაყვანის ან მოყვანის დროს
- გამოხატეთ დადებითი რეაქცია ბავშვის მიმართ ინდივიდუალურად („უჰ! შეხედეთ რა ფერები გამოუყენებია!“ „შენ მართლაც ძალიან მაღლა ახტი!“), ან შეაქეთ მთელი ჯგუფი (“ჩვენ ნამდვილად კარგად ვიმუშავეთ დღეს დალაგების დროს!“)
- გამოიყენეთ ჯგუფის საყვარელი სიმღერები და ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით ბავშვების ერთად შესაკრებად
- ხელი შეუწყვეთ ბავშვებს მათი ჯგუფელების მიერ ჩადენილი სიკეთის გაცნობიერებაში

აქ მოცემულია სელიას გეგმა ჯგუფის ერთობის და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მეტ ასეთ შესაძლებლობას შევისწავლით სიღრმისეულად მე-5 და მე-7 თავებში.

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები

გამოიყენეთ სიმღერა „More We Are Together“, როგორც შეკრების სიმღერა. დაეხმარეთ ბავშვებს ისწავლონ ყოველდღიური საქმიანობები უამრავი შეხსენებისა და აქტივობების თანმიმდევრული ნიმუშების გამოყენებით

სელიას გეგმები ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით

ხარისხიანი ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამები ეზოში ყოველდღიურ ფიზიკურ აქტივობას გვთავაზობენ (რასაკვირველია, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა). სკოლამდელი ასაკის ბავშვების მზარდი ორგანიზმი სწავლობს კუნთების კონტროლს და საჭიროებს დიდ ენერგიას, სუფთა ჰაერს და ბუნების ყველა სიკეთეს.

მასწავლებლებმა უნდა გამოყონ დასვენების ან გარეთ გასვლის დრო, როდესაც ამინდი იძლევა ამის საშუალებას.

მოცემული ფორმა გთავაზობთ ველს მასწავლებლებისთვის, თავიანთი გეგმების ჩასაწერად ეზოს აქტივობებთან დაკავშირებით. ბავშვებისთვის ნამდვილად სასარგებლოა, როდესაც მასწავლებლები ზრუნავენ ეზოს შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე. თავის მხრივ, ეზოს შესაძლებლობების დაგეგმვა მასწავლებლებს დაეხმარება იგრძნონ, რომ ეზოში დროის გატარება უფრო მიზანმიმართულია და ნაკლებად ქაოტური.

ეზოს აქტივობის დაგეგმვა არ გულისხმობს, რომ ეს აქტივობა სრულად უნდა მართოს მასწავლებელმა. გათავისუფლება, სირბილი სუფთა, გრილ ჰაერზე, მეტად მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. კუნთების ახლებურად ამუშავება და რისკზე წასვლა ხეზე ასვლისას ან ქანაობისას, არ ისწავლება. ხის ქვეშ ჯდომა და ღრუბლების ცქერა ფოთლებში ან ჭიანჭველებზე დაკვირვება მათი ბუდის გარშემო, ბუნებასთან ურთიერთობის ძვირფასი და პირადული მომენტია, რომელშიც არავინ, არც მასწავლებელი, არ უნდა ჩაერიოს. თუმცა, გარე აქტივობების დროს განსხვავებული სათამაშო მასალების გამოყენების დაგეგმვამ ან განსაკუთრებულმა თამაშმა შესაძლოა გააფართოოს ბავშვების ეზოს აქტივობის გამოცდილება. შესაძლო მასალების და აქტივობების ჩამონათვალი ფორმის ამ ნაწილის ფარგლებში მოიცავს:

- ვიწრო გრძელი ლენტები და შარფები, რათა იგრძნოთ/დაინახოთ, როგორ ქრის ქარი
- დურბინდები ფრინველების და ღრუბლების საყურებლად
- ხის ქვეშ კითხვა (საბანზე ჯდომა ან პლასტმასის ხალიჩაზე)
- გარეთ ხატვა მოლბერტის გამოყენებით

აქ მოცემულია ელენას გეგმები ეზოს აქტივობებთან დაკავშირებით. სასწავლო მიზნების ჩართვას ეზოს აქტივობებში მე-3 თავში შევისწავლით.

გეგმები ეზოს აქტივობებთან დაკავშირებით

შეაგროვეთ ფოთლები და თესლები
დახარისხებისა და კატეგორიზაციისთვის

ელენას ეზოს კვლევის გეგმა

კვება და გარდამავალი პერიოდები მასწავლებლებს ბავშვების უკეთ შესწავლის, მათთან საუბრის და სწავლების დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს. კვება და გარდამავალი პერიოდები არ არის „გადაყრილი“ დრო, რადგან ამ ყოველდღიურ საქმიანობებში შესაძლებელია სასწავლო მიზნების ჩართვა. კვების დრო საოცარ შესაძლებლობებს გთავაზობთ სასაუბროდ. როცა მასწავლებლები ბავშვებთან ერთად სხდებიან საუზმეზე, ან ლანჩის და წახემსების დროს, შექმნილი ატმოსფერო შესაძლოა ძალიან ჰგავდეს ოჯახის სამზარეულოს მაგიდასთან მიჯდომას. ბავშვების წახალისება ისაუბრონ, თავად დაისხან წყალი ან რძე, დაასუფთაონ საკუთარი ადგილი და გადაყარონ ნაგავი, სწორედ ის შემთხვევაა, როცა მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს თავიანთი ენის, თვითმომსახურების უნარების და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაში.

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა შეიძლება რთული იყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. მათ შეიძლება სურდეთ განაგრძონ მათ მიერ არჩეული თამაში, ან შეიძლება ხელების დასაბანად რიგში ლოდინი არ მოეწონოთ. ბევრად უფრო ჭკვიანური იქნება, თუ სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები გარდამავალი პერიოდებისთვის ბავშვების დასახმარებლად გამოიყენებენ სიმღერებს, ხელების მოძრაობებს სიმღერის თანხლებით, თამაშებს და ყოველდღიურ საქმიანობებს. ჯგუფური მუშაობიდან სათამაშო სივრცეში ან ხელების დასაბანად გაყვანისას მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სიმღერები ბავშვის სახელებით (როგორიცაა მაგალითად, „Willoughby, Wallaby“). თუ ბავშვებს სთხოვ, თავი პეპლებად წარმოიდგინონ, როცა დერეფნის გავლით დიდი სათამაშო ოთახისკენ ან კაფეტერიისკენ მიემართებიან, ამით ხელს შეუწყობ მათ უხმაუროდ გავლას სხვა ჯგუფებთან

კვების პერიოდის გაზრდისა და გარდამავალი პერიოდების გაიოლების გზების დაგეგმვა დაეხმარება მასწავლებლებს ისარგებლონ ბავშვებთან გატარებული დროის ყოველი წუთით. ამ სახის მიზნობრიობამ შეიძლება განაპირობოს ბავშვების უკეთესი ქცევა და ასევე შეამზადოს მასწავლებლები საკუთარი როლისთვის დღის ყველა მონაკვეთში.

აქ მოცემულია სელიას გეგმები კვებასთან და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მე-3 თავი გაჩვენებთ გზებს, თუ როგორ ჩართოთ სასწავლო მიზნები კვებასა და გარდამავალ პერიოდში.

გეგმები კვებასთან და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით
ესაუბრეთ ბავშვებს წახემსების დროს საკვების ტექსტურაზე - ხრაშუნა, საღეჭი, რბილი ასწავლეთ ბავშვებს "Willoughby, Wallaby", როგორც ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლის სიმღერა, როგორც სიმღერა გარდამავალი პერიოდების დროს

სელიას გეგმები კვებასთან და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

ქალბატონმა ჩანგმა ასევე დაგეგმა დიდი და პატარა ჯგუფების მუშაობა და სხვა ადგილები დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის მეორე გვერდზე. ზოგიერთ მის გეგმაში ყურადღება ეთმობა ფრინველის პროექტს, ზოგში კი არა. შეგახსენებთ, მან გადაწყვიტა იქ ჩაერთო ეს თემა, სადაც ამას აზრი ჰქონდა, (იხილეთ შემდეგი გვერდი).

გეგმები ფოკუსირებულ დაკვირვებებთან დაკავშირებით

სკოლამდელი დაწესებულების ფორმის მესამე გვერდზე და წინასასკოლო ჯგუფის ფორმის მეოთხე გვერდზე ბავშვებზე დაკვირვებასთან დაკავშირებული აქცენტების შეტანა მასწავლებლებს მთელი კვირის განმავლობაში შეუძლიათ. მასწავლებელი ყოველდღე ხედავს, რას აკეთებენ ბავშვები, ამჩნევს, რა აინტერესებთ, რა მოსწონთ და რა ეძნელებათ ან უადვილდებათ. ეს დაკვირვებები ეხმარება მასწავლებლებს შეაფასონ ბავშვთა განვითარება ოფიციალურად და არაოფიციალურად და ყურადღებით გადაწყვიტონ, თუ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი თითოეული ბავშვისთვის.

ფორმა მოიცავს ველს წარწერით, „ფოკუსირებული დაკვირვებები“. თუ თქვენი მიზანი კონკრეტულ ბავშვებზე დაკვირვებაა, სწორედ აქ უნდა ჩაიწეროს მათი სახელები. თუ თქვენი მიზანია ყურადღება მიაქციოთ კონკრეტულ ჯგუფებს ან აქტივობებს, ამასაც აქვე აღნიშნავთ. თუ შეფასების მიზნით გსურთ განვითარების კონკრეტულ მიმართულებაზე დაკვირვება, ამ ველში აღნიშნავთ.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

<table>
<tr><td colspan="2">თარიღი: 8/29/12</td><td>ორშაბათი</td><td>სამშაბათი</td><td>ოთხშაბათი</td><td>ხუთშაბათი</td><td>პარასკევი</td></tr>
<tr><td rowspan="2">დიდი ჯგუფი</td><td>სასწავლო მიზანი</td><td>წაკითხულის გააზრება</td><td>წონასწორობა და კოორდინაცია</td><td>ცნობისმოყვარეობის და ინტერესის დემონსტრირება სიახლეების მიმართ</td><td>წონასწორობა და კოორდინაცია</td><td>წაკითხულის გააზრება</td></tr>
<tr><td>აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია</td><td>ყოველდღიური საქმიანობები წაიკითხეთ „Are You My Mother?“</td><td>ყოველდღიური საქმიანობები ითამაშეთ მოძრაობის თამაში „Go In and out My Window“</td><td>ყოველდღიური საქმიანობები წაიკითხეთ “Chickens Aren’t the Only Ones”</td><td>ყოველდღიური საქმიანობები სიმღერა: „Way Up in the Sky“ და “Here’s a Baby Bird”</td><td>ყოველდღიური საქმიანობები წაიკითხეთ: „The Best Nest“</td></tr>
<tr><td rowspan="2">პატარა ჯგუფი</td><td>სასწავლო მიზანი</td><td>ნატიფი მოტორიკა</td><td colspan="3">→</td><td></td></tr>
<tr><td>აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია</td><td>სურათების ამოჭრა ჟურნალებიდან, ღილების და კბილის ჩხირების აღება პინცეტით, ქაღალდის სახვრეტის გამოყენება</td><td colspan="3">→</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">ჯგუფის ერთობასა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები

ნებისმიერი შინაური ფრინველის მოყვანა და ფრინველებზე დაკვირვების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.</td><td colspan="2">გეგმები ეზოს აქტივობებისა და კვლევების ჩასატარებლად

ფრინველებზე დაკვირვება დურბინდით: მათი სიმღერის მოსმენა და მოხმობა.</td><td colspan="3">გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

ბავშვებთან საუბარი ფრინველების შესახებ, რომლებიც ნახეს თავიანთ ეზოში ან სადმე სხვაგან.

თავი მოაჩვენეთ, თითქოს დაფრინავთ სხვადასხვა აქტივობებზე (რა თქმა უნდა ნელა).</td></tr>
</table>

ქ-ნი ჩანგის მიერ შევსებული მეორე გვერდი

ზოგჯერ მასწავლებლები ბავშვებს ყოფენ ჯგუფში და ბავშვების ერთსა და იმავე ჯგუფს გარკვეული დროის განმავლობაში აკვირდებიან, ალბათ ყურადღებას ამახვილებენ ყოველი კვირის კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე. მასწავლებელთა დაკვირვების მიზნები შეიძლება შეესაბამებოდეს სასწავლო მიზნებს, რომლებიც

განსაზღვრულია თითოეული თამაშის სივრცისთვის. ამგვარად, დაგეგმვა და დაკვირვება ჰარმონიული პროცესებია.

გარდა ამისა, თითოეულ მასწავლებელს სანაცვლოდ მთელი თავისი ყურადღების გადატანა შეუძლია ჯგუფის კონკრეტულ სივრცეზე. მათ შეუძლიათ ყურადღება მიაქციონ განსაზღვრულ სასწავლო მიზანს, ისევე როგორც ამ სივრცეში ჩართულ ბავშვებს. მათ შეიძლება აინტერესებდეთ, ვინ აპირებს ერთად თამაშს ან როდის და სად შეიძლება წარმოიშვას ქცევითი პრობლემები. თქვენ და თქვენს კოლეგებს მკაფიო კომუნიკაცია უნდა გქონდეთ თქვენი სწავლების ამ ასპექტთან დაკავშირებით. დაკვირვებაზე ფოკუსირებას, შეფასების მიზნით, უფრო დეტალურად მე-8 თავში შევისწავლით.

აქ მოცემულია სელიას გეგმა ფოკუსირებული დაკვირვების შესახებ. გაითვალისწინეთ, რომ რადგან ეს წლის ერთ-ერთი პირველი კვირაა, მისი გეგმა უფრო ზოგადია, ვიდრე იქნება შემდგომში, როცა უკეთ გაიცნობს ბავშვებს.

ფოკუსირებული დაკვირვებები:

სელია: ვილიამი, ლუისი, სტეფანი, გრეგორი, მიქელე, ანა, სულენი, მარინი, ლუსი

ლინდა: ტონი, ალისია, ალბერტო, ჯონათანი, მარისა, მეგანი, ჯეიმსი, ლინდსი, ნიკოლასი

სელიას გეგმები ფოკუსირებულ დაკვირვებებთან დაკავშირებით

მოდიფიკაციის გეგმები ცალკეული ბავშვისთვის

როცა მასწავლებლები კარგად გაიცნობენ თითოეულ ბავშვს, კურიკულუმის მოდიფიკაციის გზებს ისე განსაზღვრავენ, რომ თითოეულმა ბავშვმა შეძლოს წარმატების მიღწევა. პედაგოგები დიდ ყურადღებას უთმობენ საწყის სიგნალებს, რომელსაც ბავშვი აგზავნის მისი პიროვნების, სწავლისადმი მისი მიდგომის, მისი სოციალური კომფორტის დონეების და ოჯახის წევრებთან მისი ურთიერთობების შესახებ. როცა მასწავლებელი გრძნობს, რომ ბავშვს არ სიამოვნებს მისი შეხება, ის ფრთხილობს, რომ ზედმეტად აღარ შეეხოს. როდესაც მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვი გაუბედავად უახლოვდება სხვა ბავშვებს თამაშში ჩართვის მიზნით, იგი ცდილობს დაეხმაროს მას და შეიმუშაოს მოდელი ამ ბავშვისთვის, მიმართოს მას შესაფერის დროს და ხელი შეუწყოს, წარმოსთქვას სიტყვები: „შეიძლება მეც ვითამაშო?“

სუზანი: „ჩვენი შეხვედრების დროს დაგეგმვასთან დაკავშირებით თითოეულ დაკვირვებას განვიხილავთ. გამოვთქვამთ შენიშვნებს ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ. დაკვირვებებზე დაყრდნობით კორექტირება შეგვაქვს მომდევნო კვირის გეგმაში. ან წინ ვწევთ აქტივობებს ან/და იდეებს ან შევიმუშავებთ ახალ აქტივობებს დაკვირვებებისა და ბავშვების საჭიროებების საფუძველზე".

ეს მართლაც სძენს კურიკულუმს ინდივიდუალობას. მდიდარი ჯგუფის გარემო უზრუნველყოფს შესაძლებლობებს თითოეული ბავშვისთვის. მასწავლებელი ფრთხილად გეგმავს, როგორ დაეხმაროს ბავშვს ამ შესაძლებლობების გამოყენებაში, ან შეცვალოს შესაძლებლობები, სწორედ ამ დროს მიიღწევა ინდივიდუალიზება. თქვენ უკვე აღარ ფიქრობთ აქტივობებზე ყველა ბავშვისთვის. ახლა, ამ აქტივობების ფარგლებში თქვენ ფიქრობთ თითოეული ბავშვის შესახებ. ველში წარწერით, „ცვლილებები თითოეული ბავშვისთვის“, მასწავლებლები წერენ იმ ცვლილებების შესახებ, რომელსაც ისინი შეიტანენ არსებულ აქტივობაში, კონკრეტული ბავშვებისთვის წარმატების მიღწევაში დასახმარებლად. ასეთი ყურადღება თითოეული ბავშვის მიმართ აძლიერებს ბავშვებში ნდობის განცდას. ისინი აღიარებენ, რომ მათი მასწავლებლები სერიოზულად ზრუნავენ მათზე.

აქ მოცემულია ელენას გეგმა თითოეული ბავშვისთვის ცვლილებების განსახორციელებლად.

მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის

შესთავაზეთ ანბანის დამთხვევის თამაში (ქვევიდან ზევით), როგორც გამოწვევა ყველა ბავშვისთვის, მაგრამ განსაკუთრებით რებეკასთვის, იასონისა და პიტერისთვის.
მიეცით ჯარეტს სპეციალური დავალება გაზომოს ჯგუფი, კარები, მაგიდები და ა.შ. Unifix-ის კუბებით
აღმოუჩინეთ სტეფანის ემოციური მხარდაჭერა ხმამაღალი ხმების მიმართ შიშთან დაკავშირებით.
ყურადღება მიაქციეთ, რომ ჯგუფური მუშაობის დროს მოხერხებულად ისხდნენ გრეცია და რიკარდო - ერთმანეთისგან განცალკევებით ხომ არ დავსხათ?

ელენას გეგმა თითოეული ბავშვისთვის ცვლილებების განსახორციელებლად.

რეფლექსია

რეფლექსია მიმდინარე პროცესია. როდესაც მასწავლებლები ახორციელებენ თავიანთ გეგმებს და აკვირდებიან ბავშვებს, ისინი ასევე ასახავენ ყოველი დღის მოვლენებს ჯგუფში: რა იყო წარმატებული, რა არა, რა აღმოჩნდა განსაკუთრებით მიმზიდველი ბავშვებისთვის, როდის მოიწყინეს ან როდის იყვნენ მოუსვენრად. ისინი მიმოიხილავენ ყველაფერს, რაც გაიგეს თითოეული ბავშვისა და მთელი ჯგუფის შესახებ და აფასებენ საკუთარ დაგეგმვას და მომზადებას.

ისინი ამას ძალდაუტანებლად აკეთებენ და ზოგჯერ დაუყოვნებლივი ცვლილებები შეაქვთ, ან შესაძლოა ჩაინიშნონ აზრი, რომ მომდევნო კვირის დაგეგმვისას არ გამოეპაროთ.

დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმით მასწავლებლებს შეუძლიათ გააფორმონ და ჩაწერონ თავიანთი რეფლექსიის პროცესი. შეუძლიათ გამოყონ დრო და მშვიდად ასახონ და ჩაწერონ თავიანთი აზრები, ან შეუძლიათ ასახონ კოლეგებთან ერთად

ლორენი: „მე ნამდვილად მომწონს რეფლექსიის გვერდი. მჯერა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და ეხმარება მასწავლებლებს მათი სწავლების პრაქტიკის და ბავშვებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში."

გუნდური შეხვედრების დროს. რეფლექსია შესაძლებელია დღის ან კვირის ბოლოს. დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმების შესახებ დასმულმა შეკითხვებმა შეიძლება წარმართოს რეფლექსიის დრო.

- რა იყო წარმატებული ?
- რა არა?
- რა გაიგეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

რადგან პედაგოგები განიხილავენ ამ თემებს, მათ შეუძლიათ ჩაწერონ ძირითადი საკითხები ფორმაში. ზოგიერთი ძირითადი საკითხის გათვალისწინება შესაძლებელია პირველ და მეორე გვერდზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთ სათამაშო სივრცეში შეთავაზებულმა მასალებმა და არჩევანმა კარგად იმუშავა, ფორმის იმ გრაფაში შესაძლოა მომღიმარი სახე აღნიშნონ. თუ დიდ და პატარა ჯგუფში ჩატარებულმა აქტივობამ განსაკუთრებით კარგად ჩაიარა, შეიძლება იგივე გააკეთონ. სხვა მნიშვნელოვანი აზრები შეიძლება ჩაიწეროს რეფლექსიის ველში.

ყოველივე ეს შეიძლება შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- თითოეული ბავშვის რეაგირებას აქტივობებსა და ცნებებთან დაკავშირებულ სირთულეებზე;
- ჩანაწერი სპონტანური ცვლილებების შესახებ, რომელიც სასწავლო გუნდმა კვირის დასაწყისშივე შეიტანა ოთახის მოწყობასა და დაგეგმილ ღონისძიებებში
- მთელი ჯგუფი რეაგირებს აქტივობებზე (მაგალითად, წრიალი ამბის თხრობის დროს ან სენსორული მაგიდის მიმართ ინტერესის ნაკლებობა)
- როგორ გამოამჟღავნეს ბავშვებმა სხვადასხვა ცნებებისა და უნარების ცოდნა (არიან თუ არა ისინი მზად უფრო დიდი გამოწვევებისთვის ზოგიერთ სფეროში, ან ესაჭიროებათ თუ არა უფრო მეტი დრო კონკრეტული ცოდნის გასამყარებლად და ამა თუ იმ ცნებების სასწავლად?)

გარდა ამისა, აქტივობების შედეგების აღნიშვნა მიმდინარე პროექტთან და კვლევასთან შეთანხმებულად, მასწავლებელს დაეხმარება შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრაში პროექტში ბავშვების უწყვეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

აქ მოცემულია სელიას რეფლექსიები მისი სასწავლო წლის ერთ-ერთი პირველი კვირის შემდეგ.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა გაიგეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ხელოვნების და Lego-ის კუბების აქტივობები მანიპულაციების დროს ამ კვირაში ყველაზე წარმატებული იყო. ბავშვები აქეთ-იქით დახეტიალობდნენ დრამატული თამაშის დროს. კუბების აწყობაში დახმარება დასჭირდათ. ძალიან ცოტა დაინტერესდა წერის ცენტრით.

ჯონათანი, ტონი და სტეფანი ყოველდღე დიდხანს რჩებოდნენ სენსორულ მაგიდასთან. მარისა და ალბერტოც ასე მოიქცნენ ბიბლიოთეკაში.

ჯგუფური მუშაობის დრო უნდა იყოს უფრო ხანმოკლე მოცემული მომენტისთვის - წლის დასაწყისში ჯერ ადრეა ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯდომას მოითხოვს.

სელიას რეფლექსიები

გეგმები მომდევნო კვირის ცვლილებებთან დაკავშირებით

დაგეგმვა შესაძლებელია რეფლექსიის პროცესის მიმდინარეობის მიხედვითაც. მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაიწერონ ბავშვებისგან წამოსული იდეები მომავალი კვირის ახალი აქტივობებისთვის. ასევე შეუძლიათ საკუთარი თავისთვის წერილობით ჩაინიშნონ შესახსენებლად, რათა უზრუნველყონ კონკრეტული მასალების ხელმისაწვდომობა მომდევნო კვირას ან დასარწმუნებლად, რომ რაღაც შეიცვლება. გეგმების შეცვლა ყველა სივრცესთან ან აქტივობასთან დაკავშირებით არ არის აუცილებელი - ამის გაკეთება მხოლოდ იმ სივრცის ან აქტივობის მიმართ არის საჭირო, რომელიც ნაკლებად წარმატებული იყო. დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის გამოყენება მასწავლებელს დაეხმარება განსაზღვროს, კურიკულუმის რომელი ასპექტები საჭიროებს ცვლილებას.

სარა: „მოცემული ფორმის გამოყენება, როგორც გეგსმისა მთელი კვირის განმავლობაში და არა ერთი კონკრეტული დღისთვის, შეიძლება გამოწვევა იყოს. თქვენ აცნობიერებთ, რომ გეგმის ყველა ნაწილი არ საჭიროებს ცვლილებას ყოველდღიურად ან თუნდაც ყოველ კვირას. ამის ნაცვლად, შეიძლება მიზნები გაფართოვდეს, რადგან ბავშვები ყველაფერს აკეთებენ მათ მისაღწევად."

სელიას პირველი კვირიდან გამომდინარე რეფლექსიებმა აჩვენა, რომ გეგმები სათამაშო სივრცეების უმეტესობაში არცერთი ცვლილების შეტანას არ საჭიროებდა. თუმცა, მან და მისმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ბავშვების უმრავლესობა არ ირჩევდა წერის ცენტრს ან ბიბლიოთეკას. გარდა ამისა, სელიას გუნდმა დაადგინა, რომ საჭირო იყო დიდი ჯგუფის აქტივობის ხანგრძლივობის შემცირება და უფრო პრაქტიკული პატარა ჯგუფის აქტივობის შემუშავება ბავშვებისთვის. მათვე განიხილეს ცვლილებები ზოგიერთ ბავშვთან დაკავშირებითაც. აქ მოცემულია სელიას გეგმა მომავალი კვირის ცვლილებებთან დაკავშირებით, რასაც საფუძვლად უდევს მისი რეფლექსიები.

გეგმები: თქვენს რეფლექსიებზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

შევცვალოთ მხოლოდ წერის ცენტრი - შევქმნათ წიგნები „ყველაფერი ჩემს შესახებ“ ლინდასთან ერთად, რათა დავეხმაროთ ბავშვებს ამ სფეროში.

ყოველდღე დავამატოთ წიგნები ბიბლიოთეკაში, რადგან ჩვენ ვკითხულობთ მათ და ხელს ვუწყობთ ბავშვებს შეხედონ იმ თხზულებების სურათებს და გამოსახულებას, რომელიც დიდ ჯგუფში წავიკითხეთ.

წრეებისთვის უფრო ხანმოკლე დროის გამოყოფა.

სელიას გეგმა ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით

თქვენ ხედავთ, რომ სელიამ და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს შეცვალონ გეგმები ორი სათამაშო სივრცისათვის: ჯგუფის ბიბლიოთეკისა და წერის ცენტრისთვის. გარდა ამისა, მათ განიხილეს ამ ადგილებში უფროსების უფრო მეტი ჩართულობის საჭიროება ხელმძღვანელობისა და ურთიერთკავშირის თვალსაზრისით. მათ გადაწყვიტეს, რომ მომავალ კვირას, ერთ-ერთი მათგანი წავა ბიბლიოთეკაში, რათა წაიკითხოს ბავშვებთან ერთად. ასევე აღნიშნეს, რომ წიგნების, „ყველაფერი ჩემს შესახებ“, შექმნა წერის ცენტრში საჭიროებს უფროსის ზედამხედველობას. ნათელი კომუნიკაციის მეშვეობით თავიანთი რეფლექსიის პროცესში, მათ დაგეგმეს, რომ ამ ადგილისთვის ყოველდღიურად გამოიყოფა ერთ-ერთი გუნდი. ეს შენიშვნები და დავალებები ჩაიწერება მომავალი კვირის ფორმაში, რათა დაეხმაროს ამ პროცესის ყველა მონაწილეს, ახსოვდეს თავიანთი კონკრეტული მოვალეობები დღის ან კვირის განმავლობაში.

საკითხს, თუ როდის შეცვალოთ მასალები და აქტივობები სათამაშო გარემოში, სიღრმისეულად შეისწავლის მე-4 თავი, ხოლო თითოეული ბავშვის საჭიროებების ასახვასა და დაგეგმვაზე მე-5 თავში ვისაუბრებთ.

ამავე თავში განვიხილეთ ქალბატონ ჩანგის დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია ფრინველზე, რომელიც ბუდეს იშენებს საკლასო ოთახის ფანჯარასთან. მეორე გვერდზე მოცემულია მისი სკოლამდელი დაწესებულების ფორმის შევსებული მესამე გვერდი. თქვენ ნახავთ, რომ მისი ფოკუსირებული დაკვირვებები და მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის არ ასახავს ამ თემას. თუმცა, მან და მისმა თანაშემწემ მოამზადეს რეფლექსიის შენიშვნები და გეგმები მომავალ კვირას განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა ფრინველთან დაკავშირებულ მეტ აქტივობას. ეს მასწავლებლები მომავალი კვირის განმავლობაშიც დააკვირდებიან ბავშვების ინტერესს იმის დასადგენად, არის თუ არა საკმარისი ჩართულობა კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, რათა შემდგომი კვირის განმავლობაში ის უფრო სიღრმისეულად განიხილონ.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
ქ-ნი ჩანგი - აქცენტი გაკეთდა საჭმლის მომზადების აქტივობაზე. დაკვირვებას საფუძვლად დაედო მეცნიერული კვლევა, ანალიზი და პროგნოზები. ქ-ნი ალენი - მოძრაობს და აკვირდება ყველა ადგილს, ეხმარება საჭიროებისამებრ.	ხელის ხელზე დადებით დავეხმაროთ ბავშვებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საკუთარი სახელის წერა რეგისტრაციისას. შესთავაზეთ თამაში კუბებით და დრამატული თამაში იმ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ ამ ცენტრში მისვლა.
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა გაიგეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ? დაასახელეთ, რა გააუმჯობესეთ. საჭმლის მომზადებას დასჭირდა დიდი დრო და უფროსების მეტი ჩართულობა ბავშვებთან შედარებით. ქვიშის ხელმეორედ დაყრა ქვიშის მაგიდასთან - დააკვირდით უფრო ახლოდან? კარგი რეაგირება მოძრაობის აქტივობებზე ბავშვების უმრავლესობის მხრიდან - ჯოზის გარდა. უნდა მივცეთ უფლება უყუროს, სანამ მზად იქნება? დიდი ინტერესი საკლასო ოთახის გარეთ ფრინველის მიერ ბუდის აშენების მიმართ - ჯენიფერი და ჰარალანდი მას ყოველდღე ამოწმებდნენ. უნდა დავამატოთ თუ არა ფრინველთან დაკავშირებული აქტივობები მომდევნო კვირასაც?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას? დატოვეთ პირადი ბარათები და სახელობითი თამაშები. არავითარი საჭმლის კეთება ამ კვირას, ამის ნაცვლად დააკვირდით ქვიშის მაგიდას. დართეთ ნება ჯოზის დააკვირდეს, როცა ჩვენ ვცეკვავთ. მიეცით ყველა ბავშვს არჩევანის საშუალება. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ პროექტის, „ცეკვავენ ვარსკვლავები“, აუდიენციას. მოდით, გავაკეთოთ პროექტი ფრინველების შესახებ - დაამატეთ ფრინველთან დაკავშირებული აქტივობები საკლასო ოთახის ზოგიერთ სივრცეში და ჯგუფური მუშაობის დროს.

ქ-ნი ჩანგის მიერ შევსებული მესამე გვერდი

დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმების სხვა მოდელები

არსებობს დაგეგმვისა და რეფლექსიის სხვა მოდელებიც, რომელთან განხილვაც შესაძლოა გსურდეთ. ნიუ მექსიკოს სკოლამდელი ასაკის დაწესებულების პროგრამამ მიიღო ოფიციალური საგანმანათლებლოგეგმა (ადაპტირებულია ჩემი ფოკუსირებული ადრეული სწავლების თავდაპირველი ფორმიდან, საიდანაც ასევე იქნა ადაპტირებული ეს ფორმები ამ წიგნში). შეგიძლიათ იხილოთ ეს ფორმა შემდეგ მისამართზე: www.newmexicoprek.org (გადაფურცლეთ ქვემოთ და დააკლიკეთ მასალებზე). ამ ფორმის განხორციელება უკვე საერთო წარმატებაა. აქ მოცემულია ორი ისტორია ნიუ მექსიკოს სკოლამდელი ასაკის დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმვის ფორმის გამოყენების შესახებ:

> *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების* საგანმანათლებლო *გეგმის განხორციელებამ ბევრი დადებითი შედეგი გამოიღო. ერთი, რაც მაშინვე ამომიტივტივდება გონებაში, არის ერთ-ერთ მასწავლებელთან გამართული დისკუსია. ჩვენი საუბრის დროს იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობს* საგანმანათლებლო *გეგმა მის ჯგუფში, იმ დასკვნამდე მივედით, რომ* საგანმანათლებლო *გეგმა არის იმ მნიშვნელოვანი სამუშაოს მტკიცებულება, რომელსაც იგი ბავშვებთან ყოველდღე ასრულებს. მან განაცხადა, რომ საგანმანათლებლო გეგმა არის მისი სამუშაოს სარეზერვო ასლი. ჩვენ განვიხილეთ*

ასეთი შემთხვევა: თუკი ხელმძღვანელობა ოდესმე შემოვა და ეჭვქვეშ დააყენებს კონკრეტულ აქტივობას, რომელსაც მასწავლებელი ასრულებს, იგი შეძლებს გადაამისამართოს ისინი საგანმანთლებლო გეგმაზე, სადაც ისინი ნახავენ, თუ რა იყო აქტივობის მიზანი და რატომ აირჩია მასწავლებელმა ამ კონკრეტული აქტივობის განხორციელება ბავშვებთან ერთად. საგანმანათლებლო გეგმა ნამდვილად დაეხმარა მას ყველა იმ გადაწყვეტილების ღირებულების დანახვაში, რომელსაც იგი იღებს ჯგუფში ყოველდღიურად (წარმოდგენილია ლორენ მაიკლის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ტრენინგებისა და განვითარების კონსულტანტის მიერ).

მასწავლებლებისგან გამიგონია ასეთი სიტყვები: „მე ვხედავ სწავლას“, „მე მესმის მიზნების მნიშვნელობა და შემიძლია დავეხმარო ბავშვებს“ და „საგანმანთლებლო გეგმას იმისთვის ვიყენებ, რომ მშობლებს და ადმინისტრატორებს დავანახო იმის მნიშვნელობა, რაზეც ჩვენ ვმუშაობთ.“ ერთ-ერთი, რაც ყველაზე მეტად მომწონს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საგანმანათლებლო გეგმაში, ის არის, რომ ის ეხმარება მასწავლებლებს დაინახონ, რომ სწორედ პირდაპირი გამოცდილებები და თამაში ეხმარება ბავშვებს უკეთესად სწავლაში! (წარმოდგენილია სარა სიმსის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კონსულტანტი პროგრამის მენეჯერის მიერ).

კონექტიკუტში შეიმუშავეს სკოლამდელი დაწესებულების შეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს სასწავლო აქტივობების დაგეგმვის ფორმას, გონებრივი იერიშის მატრიცას (მათ შორის სწავლების სტრატეგიებს, აქტივობებს და მასალებს), და კვირის კალენდარს. ყოველივე ეს შეგიძლიათ იხილოთ სახელმძღვანელოს მე-11, მე-12 და მე-14 გვერდზე და შემდეგ ვებგვერდზე:

www.sde.ct.gov/sde/lib/sde/PDF/DEPS/Early/Preschool_Assessment_Framework.pdf

აქ მოცემულია კონექტიკუტში სკოლამდელი აღზრდის პროგრამის დირექტორის დახასიათება:

ჩვენს პროცესს ოდნავ განსხვავებულად აღვწერთ: დაგეგმვა მოიცავს ინდივიდუალიზაციას ბავშვებისთვის; იმპლემენტაცია და დაკვირვება ხორციელდება ერთმანეთის ფეხდაფეხ; ხოლო რეფლექსია მოიცავს შეფასებას. დაგეგმვა, იმპლემენტაცია, შეფასება და ისევ დაგეგმვა. ეს ამართლებს, წარმოდგენას გიქმნით და საშუალებას გაძლევთ გაიგოთ თითოეული ბავშვის შესახებ, როცა ზრუნავთ მათზე და ასევე თქვენი საკუთარი პროფესიული პრაქტიკის შესახებაც. მისი საშუალებით იქმნება ჯგუფში ლამაზი, მიმდინარე ისტორია ბავშვის შესახებ, დოკუმენტურად აისახება მისი ძლიერი და პრობლემური მხარეები. ამის შემდეგ თითოეულ ბავშვს დაეთმობა ყურადღება დაგეგმვის პროცესში და სტრატეგიების შემუშავებისას, რაც დაეხმარება მის პროგრესს. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ გააკეთონ ჩანაწერი სტრატეგიების მიმართ ბავშვის რეაგირების შესახებ (და გაგაგებინოთ, რა მუშაობს ამ კონკრეტული ბავშვის მიმართ და რა არა), მაშასადამე, მისი სწავლისა და ზრდის პროცესი გააქტიურებულია (წარმოდგენილია კეტი სტიუარტის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის მიერ).

თქვენი საკუთარი დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის შექმნა

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლები უნიკალური ადამიანები არიან - ისევე, როგორც ბავშვები, რომლებსაც ისინი ასწავლიან. მათი სწავლების სტილი იცვლება. აქცენტი, რომელსაც ისინი აკეთებენ თავიანთი ჯგუფის აქტივობებზე, ასახავს მათ განსაკუთრებულ ნიჭსა და ინტერესებს, განათლებასა და გამოცდილებას. ამ უნიკალურობის აღიარებისთვის ეს წიგნი მოიცავს იმავე ფორმის დიზაინს რამდენიმე ცარიელი ველით, როგორც დაგეგმვისა და რეფლექსიისათვის (იხილეთ დანართი „ა“ ან Redleaf Press-ის ვებგვერდი შემდეგ მისამართზე: www.redleafpress.org). შეავსეთ ისინი იმავე გზით, როგორც ახორციელებთ სასწავლო მიდგომების ინტეგრირებას თქვენს ჯგუფში. შეგიძლიათ გამოიყენოთ ზოგიერთი აქ მოცემული ფორმიდან და დაამატოთ თქვენი საკუთარი. ზოგიერთმა მასწავლებელმა დაამატა „ჯგუფური რიტუალები“, ხოლო სხვებმა „მუსიკა“ ან „თოჯინები“.

რობინი: „თემები, მიზნები და ლექსიკის მარაგი შეიძლება ადვილად გადაეცეს კურიკულუმიდან, რომლის გამოყენებასაც ჩემი რაიონი მოითხოვს. რეფლექსიის და მოდიფიკაციის პარაგრაფები, როგორც ჩანს, ყველაზე სასარგებლო ნაწილები (განსაკუთრებით გუნდებთან მუშაობისას)."

წინასასკოლო განათლების მასწავლებლები გრძნობენ წიგნიერების, მათემატიკის და მეცნიერების მეტი აქტივობის ან კომპიუტერებისა და სპეციალური აქტივობების, მაგალითად, სპორტული დარბაზის და ხელოვნების დამატების საჭიროებას. შეიძლება პატარა ჯგუფების სხვაგვარად შექმნა სურდეთ. ზოგიერთის თქმით, მათ მოეთხოვებათ გამოიყენონ წიგნიერებისა და მათემატიკის მიდგომები, რომლებიც ასახულია მასწავლებლის გზამკვლევში, რასაც თან ახლავს კითხვის სერია ან მათემატიკის მანიპულატივები. თუ საქმე ამგვარად არის, მაშინ გამოიყენეთ ამ წიგნში წარმოდგენილი დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გამოგადგებათ.

აქ წარმოდგენილი ფორმის დიზაინი ყველაფერს არ შეიცავს. გთხოვთ, კარგად გაეცანით ამ ფორმას და გამოიყენეთ დანიშნულებისამებრ.

სიუ: „გამოწვევა, რომელიც მე ვიგრძენი, გამოიხატებოდა მასალების ნაკრების ადაპტირებაში (მათემატიკის პროგრამა ან საკითხავი სერია, რომელიც შექმნილია საგანმანათლებლო გეგმის მიხედვით) კურიკულუმის მიზნების და ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.“

ზოგიერთი პროგრამა მასწავლებლებისგან, თავიანთი ყოველკვირეული გეგმების მშობლებისა და ოჯახის წევრებისთვის, ისევე როგორც სუპერვაიზერებისთვის, გადასახედად, გამოქვეყნებას მოითხოვს. როგორც უკვე აღვნიშნე, ფორმა მოიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კონფიდენციალურად ან შეუფერებლად ასეთი სახით გამოქვეყნებისთვის. ამის გამო ხორციელდება ფოკუსირებული დაკვირვებები, ცვლილებები თითოეული ბავშვისთვის, რეფლექსიები და მომდევნო კვირის გეგმები, რათა ისინი გამოჩნდეს როგორც სკოლამდელი დაწესებულების, ისე წინასასკოლო ჯგუფების ფორმების ბოლო გვერდზე; მასწავლებლებს, რომლებსაც თავიანთი გეგმების გამოქვეყნება სურთ, შეუძლიათ გადაუღონ ქსეროასლი და მხოლოდ პირველი გვერდები გამოაქვეყნონ (ორი სკოლამდელი დაწესებულებისთვის, სამი წინასასკოლო ჯგუფისთვის) და არა მთელი ფორმა.

ამ წიგნში გაზიარებული ფორმები განკუთვნილია სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის, ასევე ოჯახში ბავშვის მოვლის, ამ ასაკობრივ ჯგუფებთან მომუშავე პროვაიდერებისთვის. თუმცა მე დამიკავშირდნენ ჩვილების/1,5-3 წლის ბავშვების სპეციალისტები და მკითხეს, ხომ არ არსებობს მოცემული ფორმების ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის ადაპტირების გზა. მოხარული ვიქნები, თუ მეცოდინება, რომ დააკმაყოფილებთ ყველაზე ადრეული ასაკის ბავშვების საჭიროებებს მათზე მზრუნველობისას. კესი დეევერელმა, ადრეული ბავშვობის მენტორმა ინდიანას შტატში, შეიმუშავა ფორმა, რომელსაც უზიარებს ადრეული ასაკის ბავშვთა სფეროს პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ ჩვილებთან და მცირეწლოვან ბავშვებთან და მეც გულუხვად გამიზიარა ამ წიგნისათვის. მისი ფორმის ადაპტირებული ვერსიის ხილვა შეგიძლიათ დანართში „ა“ ან Redleaf Press-ის ვებგვერდზე: www.redleafpress.org.

დასკვნა

ქვემოთ მოცემულ თავებში განვაგრძობ დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლის განხილვას და ვუხელმძღვანელებ მასწავლებლებს მოცემული ფორმის დაგეგმვისა და რეფლექსიისათვის გამოყენების პროცესის ფარგლებში. თითოეულ თავში მოცემულია მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლების გეგმების და რეფლექსიების ნიმუშები, რათა შეგეძლოთ, გადახედოთ მათ. წინადადებები, ინფორმაცია და რეკომენდაციები დაგეხმარებათ დაგეგმვისა და რეფლექსიის პროცესის ინტეგრირებაში სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულებისა ინტეგრირებული კურიკულუმის ფაქტობრივ იმპლემენტაციასთან.

მომდევნო თავში აქცენტი გაკეთდება სასწავლო მიზნებისა და აკადემიური ასპექტების ჩართვაზე თამაშში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და მასწავლებლის მიერ მართულ ჯგუფურ აქტივობებში.

თავი 3 სასწავლო მიზნებისა და აკადემიური ცოდნის საფუძვლების ჩართვა თამაშში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და მასწავლებლის მიერ მართულ ჯგუფურ აქტივობებში

როგორც პირველ თავში გესაუბრეთ, სასწავლო მიზნები სასწავლო პროცესის ძირითად მიზანს წარმოადგენს. სასწავლო მიზნები განსხვავებულია სკოლამდელი ასაკის და წინასასკოლო ჯგუფის ბავშვებისთვის. თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ მსგავსი მიდგომა ორივე ასაკობრივ ჯგუფს მიესადაგოს.

სკოლამდელი დაწესებულების მაღალხარისხიან პროგრამებში მასწავლებლები განსაზღვრავენ მიზნებს, რათა დაეხმარონ თითოეული ბავშვის განვითარებას. ეს მიზნები შეიცავს იმას, რაც ტრადიციულად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიურ მიმართულებებად - ენის ხელოვნება და წიგნიერება, მათემატიკა, სოციალური მეცნიერება და მეცნიერება. მასწავლებლები გეგმავენ აქტივობებს, რომელშიც ბავშვები:

- იღებენ ინფორმაციას წიგნების შესახებ და სწავლობენ კითხვას
- ივითარებენ წერის უნარებს
- სწავლობენ თვლას, დაწყვილებას, დახარისხებას, გაზომვას და ფორმებთან მუშაობას
- აცნობიერებენ მეტს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ჯგუფის წევრები ერთად
- იკვლევენ ბუნების სხვადასხვა ასპექტებს და მეცნიერულ ფენომენს

ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ ჯგუფურ მუშაობას დაეყრდნონ, მიზნების მისაღწევად, მასწავლებლები მათ ჯგუფის ყოველდღიურ აქტივობებში ჩართავენ. მეცნიერული კვლევა ხორციელდება, როცა ბავშვები თამაშობენ სენსორულ მაგიდასთან. ისტორიების წაკითხვა თითქმის ყველა დიდი ჯგუფის მუშაობის ნაწილია. წიგნები ბავშვებისთვის დასათვალიერებლად და მოსასმენად ჯგუფის ბიბლიოთეკაში ყოველდღიურად არის ხელმისაწვდომი. მათემატიკის აქტივობები მანიპულატივების და კუბების ათვისების გზით ხორციელდება, თუმცა ჯგუფის ისეთ ყოველდღიურ საქმიანობებშიც აისახება, როგორიცაა დასწრების კონტროლი და მაგიდის გაშლა საუზმისათვის.

> **მერი ბ.:** „თუ ვიცი, რომ საჭიროა კონკრეტული ბავშვების შესახებ გარკვეული მონაცემების ჩაწერა, გამოვიყენებ მიზანს იმაზე ფოკუსირებისთვის, რასაც ვაკეთებ ბავშვებთან. თუმცა წლის დასაწყისში მეტად ვარ ღია რამდენიმე მიზნისთვის.“

წინასასკოლო ჯგუფებში აკადემიური სასწავლო მიზნები შესაძლოა უფრო აშკარა იყოს. მასწავლებლებმა შეიძლება დაგეგმონ სახალისო და კვლევითი აქტივობები, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს წიგნიერებაზე (როგორც „მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრის დროს) და პრაქტიკულ მათემატიკურ აქტივობებზე.

კონკრეტული მიზნების განხილვისთვის და ბავშვებისთვის იმ უნარებში სავარჯიშოდ მეტი დროის მისაცემად, რომელსაც სწავლობენ, შეიძლება უფრო პატარა ჯგუფის მუშაობა დაიგეგმოს. წინასასკოლო ჯგუფებში მასწავლებლებს სასწავლო მიზნები შეუძლიათ ჩართონ თამაშით გამოცდილებებსა და საქმიანობებში.

არსებობს საიმისო პოტენციალი, რომ სასწავლო მიზნები ადრეული ბავშვობის მაღალხარისხიანი პროგრამის ყველა ასპექტში განიხილებოდეს. ამ დროს საჭიროა მასწავლებლის მიზანსწრაფვა.

ქვემოთ მოცემული ნაბიჯების გადადგმით მასწავლებლები შეძლებენ აიმაღლონ ცნობიერება და ყურადღება გაამახვილონ აკადემიურ სწავლებაზე, ასევე ამასთან დაკავშირებით სხვებთან კომუნიკაციას. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ:

- დაგეგმონ სასწავლო მიზნების გათვალისწინება ყველა აქტივობაში და ჩაწერონ ეს მიზნები დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმაში, რომლის ნიმუშიც მოცემულია ამ წიგნის მე-2 თავში და დანართში „ა“
- გააზიარონ ეს გეგმები მშობლების საინფორმაციო ბიულეტენებში და განცხადებების დაფაზე ან ჯგუფის ონლაინ გვერდზე, რათა აცნობონ მშობლებს (ადმინისტრატორებს) ამ მიზნების შესახებ
- ხელი შეუწყონ ბავშვებს გამოცდილების შეძენაში გეგმების განხორციელებით, ისე რომ სასწავლო მიზნები მიიღწეს
- დააკვირდნენ და დოკუმენტირება მოახდინონ, რას აკეთებენ, ამბობენ, ქმნიან და აშენებენ ბავშვები და მოპოვებული ინფორმაციას განცხადებების დაფაზე, საინფორმაციო ბიულეტენებში, ონლაინ პუბლიკაციებსა და შეფასების პორტფოლიოებში განათავსონ
- ასახონ, რას დააკვირდნენ, რათა დაგეგმონ და უკეთესად მიუსადაგონ თითოეული ბავშვის სასწავლო ტრაექტორია

ლაურა: „აკადემიური სასწავლო მიზნების ინტეგრაცია და მდიდარი, კარგად ორგანიზებული ჯგუფის გარემოს დაგეგმვა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.“

მერი მ.: „მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ბავშვებისთვის განვითარების კონკრეტული ფოკუსის არჩევის კუთხით, ჯგუფში სწავლების სხვადასხვა სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათვე საგანმანათლებლო გეგმაში ამ სასწავლო მიზნების ჩაწერით უზრუნველყვეს, რომ მათი სწავლება მიზანმიმართული ყოფილიყო და განვითარების ყველა სფერო მოეცვა.“

ეს ქმედებები საშუალებას აძლევს ოჯახის წევრებს, სუპერვაიზერებს და საზოგადოების წევრებს ნათლად დაინახონ, რომ „ჩართვა“ არ ნიშნავს, „იქონიო იმედი, რომ აკადემიური ასპექტები ზუსტად ისე წარიმართება“. ნაცვლად ამისა, მასწავლებელი გარკვევით განიხილავს სხვადასხვა აქტივობების სასწავლო მიზნებს და აღნიშნავს მათ ყოველკვირეულ გეგმაში. ის გეგმავს გზებს, თუ როგორ გახადოს სწავლება ყველასათვის ცხადი.

კითხვა *როგორ?* - ცოდნის აკადემიურ ასპექტებთან დაკავშირებით

ბევრი გაუგებრობა წარმოიშვა აკადემიურ ასპექტებთან დაკავშირებით ადრეული ასაკის ბავშვებში. როცა ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამები აღწერენ თავიანთ კურიკულუმს, როგორც „თამაშზე დაფუძნებულს“, უამრავი ხალხი ამას ისე აღიქვამს, თითქოს სწავლება არ იყოს კურიკულუმის ნაწილი. მეცნიერების საფუძვლები მართლაც ჩართულია თამაშზე დაფუძნებულ სკოლამდელ და წინასასკოლო განათლების პროგრამებში. სწორედ ასე აისახება მეცნიერების საფუძვლები პროგრამაში, რაც ბევრი ადამიანისთვის გაუგებარია. მასწავლებლები ოსტატურად უწყობენ ხელს ტრადიციული აკადემიური მიმართულებების მიზნებსა და ამოცანებს, როცა ისინი დაფუძნებულია იმაზე, თუ რა შეუძლიათ ბავშვებს და მათ სიახლეების გამოცდის წინაშე აყენებენ. აკადემიური სწავლება შეიძლება იყოს სასარგებლო და კვლევისთვის მნიშვნელოვანი.

სარა: „ზოგიერთი მასწავლებელი, რომელთანაც მიმუშავია, ფიქრობს, რომ გეგმის შემუშავება მიზნების გათვალისწინებით უფრო რთულია, ვიდრე მხოლოდ აქტივობებზე და პროექტებზე ფიქრით, რომლებიც მათ ერთობლივად დაგეგმეს წარსულში. მაგრამ დროთა განმავლობაში და მიღებული პრაქტიკის წყალობით მათ შეძლეს ფოკუსირება მოეხდინათ მიზნებზე და გამოეყენებინათ გეგმა, როგორც სწავლის მტკიცებულება.“

თამაშზე დაფუძნებულ პროგრამებში ბავშვებს სთავაზობენ წარმოადგინონ საკუთარი იდეები, გამოიყენონ პრობლემის გადაწყვეტის თავიანთი სტრატეგიები და ხორცი შეასხან თავიანთ ინტერესებს. მასწავლებლები აღიარებენ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მოლოდინები და სტანდარტები თავიანთ პროგრამებში. თუმცა ისინი ასევე კარგად იცნობენ სწავლის თავისებურებებს ამ ასაკში. ის, რომ მასწავლებლები იყენებენ თამაშს, როგორც ბავშვების წარმატების მიღწევის საშუალებას, არ განაპირობებს კურიკულუმის ნაკლებად სიმკაცრეს ან ნაკლებად აკადემიურობას. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის ბავშვებისთვის შესაფერისია.

როგორც უკვე განვიხილეთ პირველ თავში, წინასასკოლო ჯგუფების მასწავლებლებს, ხუთი და ექვსი წლის ბავშვების სწავლებისას იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებს უფრო შეეფერებოდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში უზარმაზარი წნეხის ქვეშ ამყოფებდა. ბევრ წინასასკოლო ჯგუფში მოსწავლეებს მაგიდებთან ან მერხებთან უფრო დიდხანს ჯდომა და დავალებების ქაღალდისა და ფანქრების გამოყენებით კეთება მოეთხოვებათ, რასაც უფრო განმეორებითი ხასიათი აქვს და სტიმული-რეაქციის მეთოდოლოგიით სწავლებას მიეკუთვნება და ხშირად წარმოშობს ქცევით პრობლემებს. ზოგიერთ ბავშვს უჭირს ფიზიკური ენერგიის გაკონტროლება, წყნარად ჯდომა, სმენა და დასწრება. წინასასკოლო ჯგუფებში ბავშვები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, როცა იმავე უნარებს სახალისო და კვლევითი აქტივობებით სწავლობენ.

რობინი: „ერთი რამ, რასაც ვაკეთებ, არის ჩემი სასწავლო მიზნების გაზიარება მოსწავლეებისთვის“

აქ მოცემულია ორი ისტორია, სადაც ნაჩვენებია წინასასკოლო ჯგუფებში ბავშვებისთვის ერთი და იგივე უნარების სწავლების კონტრასტული მიდგომები. ორივე ისტორია ასახავს იმ მეთოდებს, რომელსაც მასწავლებლებმა მიმართეს ერთი და იგივე სასწავლო მიზნის, მითითებული სიტყვების (sight words) წერის დროს.

სამუშაო რვეულის მიდგომა

თავის წინასასკოლო პროგრამაში ლუსის მოეთხოვება გამოიყენოს სამუშაო რვეული, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ოლქის მიერ დამტკიცებულ ენის ხელოვნების (the language art) სახელმძღვანელოებთან. ამ სამუშაო რვეულში განსაზღვრულია მისათითებელი ძირითადი სიტყვების ჩამონათვალი წინასასკოლო ჯგუფების ბავშვებისთვის, რათა ისწავლონ მათი კითხვა და წერა. ჩამონათვალი შეიცავს სიტყვებს, როგორიცაა არტიკლი „the“, და, არის, ის. ლუსიმ ყველა ბავშვს თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს მაგიდასთან და ეს სიტყვები რამდენჯერმე გამოაწერინოს თავიანთ სამუშაო რვეულებში, ხაზებს შორის ცარიელ ადგილას. ისინი თავიანთ მაგიდებთან უნდა დარჩნენ, სანამ ყველა არ დაასრულებს მუშაობას. ბავშვები მუშაობენ წყნარად და ცოტას საუბრობენ. მათ, ვინც პირველები ამთავრებენ წერას, უჭირთ წყნარად ჯდომა და ლოდინი, სანამ ყველა არ დაასრულებს აქტივობას. როცა თავისუფლდებიან, ისინი მიიჩქარიან სათამაშო სივრცისკენ ან უფრო პრაქტიკული არჩევანისკენ, რომელიც ხელმისაწვდომია ჯგუფში.

ჟურნალის მიდგომა

ამანდამ წინასასკოლო პროგრამის ფარგლებში ჟურნალის ყოველდღიურად წერა დაგეგმა. ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ დაწერონ რასაც მოისურვებენ. ზოგჯერ სურათის ხატვით იწყებენ. ამანდა დადის ოთახში და ეკითხება ბავშვებს ნახატის შესახებ, თან აძლევს მიმართულებებს, რა შეიძლება დაწერონ. ბავშვებთან ამ დისკუსიებზე დაყრდნობით მან შექმნა მათთვის მნიშვნელოვანია სიტყვების ჩამონათვალი. რადგან ისინი სთავაზობენ სიტყვებს, რომელიც სურთ, რომ იცოდნენ, ის ამ სიტყვებს ქაღალდის ვიწრო ზოლებზე აწერს და მათ განცხადებების დაფაზე ათავსებს, რათა ადვილად დაინახონ ისინი. ბავშვები პერიოდულად უბრუნდებიან განცხადებების დაფას და პოულობენ მათთვის სასურველ სიტყვებს, რათა გადაწერონ ისინი ჟურნალში. შესაძლოა ამანდას ან სხვა ბავშვებსაც დაუძახონ, რათა შეახსენონ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა. მასწავლებელსა და ბავშვებს შორის იმართება საუბრები. ჟურნალის წერას შეიძლება დასჭირდეს ოცი წუთიდან ნახევარ საათამდე. ახალი სიტყვები ყოველდღიურად ემატება. შედეგად, წინასასკოლო ჯგუფებში ეს ბავშვები იმ სიტყვების გარდა, როგორიცაა არტიკლი „the“, და, ის, *ცნობენ და წერენ ისეთ სიტყვებსაც, როგორიცაა* ტირანოზავრი, ბულდოზერი, პეპელა, ტრანსფორმერები და პრინცესა.

ორივე მასწავლებელი ბევრს მუშაობს ბავშვებთან, მათი გონივრული, ასაკის შესაფერისი მოლოდინების დასაკმაყოფილებლად . თუმცა, მათი მიდგომები, თუ *როგორ* გეგმავენ და ახორციელებენ აქტივობებს ამ მოლოდინების დასაკმაყოფილებლად განსხვავდება ერთმანეთისგან, ხომ ასეა? წინასასკოლო ჯგუფები მაინც ძალიან წააგავს სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფებს. კურიკულუმის მიდგომები, რომელიც მოიცავს თამაშს და კვლევას სასწავლო მიზნებზე ყურადღების გამახვილებით, უფრო წარმატებულია, ვიდრე ის მიდგომები, რომელიც მოითხოვს დიდხანს ჯდომას, მოსმენას და მუშაობას ისეთი უნარების განვითარებაზე, რომელიც არ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო ბავშვებისთვის. სასწავლო მიზნები წარმოადგენს სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო კურიკულუმს -და არა მიდგომებს შორის განსხვავებას.

სასწავლო მიზნების განსაზღვრა სათამაშო სივრცეებისთვის

სკოლამდელი ასაკის ბავშვების აკადემიურ სწავლებასთან დაკავშირებით არასწორი ინტერპრეტაციის განეიტრალებაში დასახმარებლად, მე გთავაზობთ, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა პროფესიონალებმა განიხილონ თავიანთ პროგრამებში ჩართული აკადემიური ასპექტების (მეცნიერების საფუძვლების) აღწერის შესაძლებლობა ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომელიც ისე ჟღერს, თითქოს ისინი საუნივერსიტეტო კურსის კატალოგიდან იყოს აღებული. მაგალითად, ნებისმიერ ხარისხიან ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფში, რომელიც სტრუქტურირებულია მდიდარი ჯგუფის გარემოს შესწავლის მიზნით, ბავშვები ეცნობიან ფიზიკის, ქიმიის, მეტეოროლოგიის, ბიოლოგიის, ბოტანიკის და ანატომიის კონცეფციებს. როცა ბავშვები შესაბამის ადგილას აშენებენ და ქმნიან კონსტრუქციებს კუბებით, მუდმივ შეხებაში იმყოფებიან გრავიტაციასთან, წონასწორობასთან, ძალასა და მასასთან, ხახუნთან და იმპულსთან - ყველა იმ ფიზიკურ ძალასთან, რომელიც ისწავლება ფიზიკაში. როცა ბავშვები მასწავლებლებთან ერთად საჭმელს ამზადებენ და აკვირდებიან ინგრედიენტების ცვლილებას მათი ერთმანეთთან შერევისას და გათბობისას, ისინი ეცნობიან ქიმიის პრინციპებს. ამინდზე ყოველდღიური დაკვირვებები ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფებში, ისევე როგორც სეზონური ცვლილებების აღქმა ეზოს აქტივობების დროს და მიმდებარე ტერიტორიაზე სეირნობისას. ბიოლოგია და ბოტანიკა შესულია ცხოველებისა და მცენარეების კვლევებში. ბავშვები მზრუნველობას იჩენენ ჯგუფშიარსებული შინაური ცხოველების და მცენარეების მიმართ, სტუმრობენ ფერმებს და ზოოპარკებს და სწავლობენ მეტს მწერების და ობობების შესახებ. მათ შეიძლება გააშენონ ბაღი ან ყვავილნარი.

ადამიანის ანატომია ყოველთვის ისწავლება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნებისმიერ ჯგუფში, რადგან მათ აინტერესებთ საკუთარი სხეული. მასწავლებლებისთვის გასაგებია მათი ეს ინტერესი და გეგმავენ აქტივობებს, რომელიც იწვევს მათ დაინტერესებას. ისინი ეხმარებიან ბავშვებს ისწავლონ მეტი ჯანმრთელობისა და კვების, ვარჯიშის მნიშვნელობის და სხეულის სხვადასხვა ნაწილების და ორგანოების ფუნქციების შესახებ.

საუნივერსიტეტო კურსის კატალოგის გამოყენებით ფიზიკის და ანატომიის ტერმინები დაეხმარება მშობლებს და საზოგადოების წევრებს გააცნობიერონ, რომ ბევრი სამეცნიერო დისციპლინის პრინციპები შესულია ადრეული ასაკის ბავშვების კურიკულუმში. ლექციები, რომელსაც მოჰყვება ქაღალდის სამუშაო და ტესტები, არის ის მეთოდი, რომლითაც ამჟამად ისწავლება ეს პრინციპები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ნაცვლად ამისა, ეს პრინციპები გათვალისწინებულია კვლევით, აქტიურ სასწავლო გარემოში სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების საშუალებით.

ენის ხელოვნების, მათემატიკის, სოციალური მეცნიერების და მეცნიერების ზოგადი კონცეფციები

აქ მოცემულია ზოგადი უნარების ჩამონათვალი, რომელიც აღებულია და ჩართულია ადრეული ასაკის ბავშვთა ხარისხიან კურიკულუმში ძირითადი აკადემიური სფეროებიდან, როგორიცაა ენის ხელოვნება, მათემატიკა, სოციალური მეცნიერება და მეცნიერება. ამ ზოგად უნარებთან დაკავშირებული ტერმინები შეიძლება არ ჟღერდეს ისე, როგორც საუნივერსიტეტო კურსის კატალოგიდან ამოკრებილი, მაგრამ არ გაგიჭირდებათ მათი ამოცნობა, რადგან ისინი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება დაწყებით ჯგუფებში. ეს უნარები კარგ სამსახურს გაუწევს ბავშვებს უფრო მოზრდილ კლასებში, როცა უფრო მომწიფდებიან და მზად იქნებიან ამ უნარების გასაერთიანებლად და აბსტრაქტული ცნებების გასაცნობიერებლად. ეს ჩამონათვალი არცერთ შემთხვევაში არ არის სრული. რას დაამატებდით?

ენის ხელოვნება

- მოსმენის უნარები
- წაკითხულის გააზრება
- ბგერებისა და მარცვლების ფონოლოგიური ცნობიერება
- საუბრის უნარები
- ლექსიკის განვითარება
- ცოდნა წიგნებსა და ბეჭდურ ტექსტზე
- წერის უნარები

მათემატიკა

- დახარისხება და კატეგორიზაცია (მოწესრიგება და მოდელირება)
- დათვლა და რაოდენობა
- გეომეტრია და სივრცითი კავშირები
- პრობლემის მოგვარება
- გაზომვა
- მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა

სოციალური მეცნიერება

- ოჯახის არსის გაგება
- სხვებთან ურთიერთობების დამყარება
- ჯგუფის ერთობის გაგება

მეცნიერება

- დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარება
- მეცნიერული პროგნოზირება
- ექსპერიმენტირება

ამას გარდა, ამ ასაკში ასევე მნიშვნელოვანია ბავშვების სოციალური/ემოციური უნარები და სწავლის მიმართ მიდგომები. იმისათვის, რომ ბავშვები გახდნენ ჯგუფის ერთობისაქტიური წევრები და სწავლის მოყვარულები მთელი ცხოვრების განმავლობაში, საჭიროა, რომ ამ მიმართულებებზე სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლებმა იზრუნონ. მოდით, განვიხილოთ რამდენიმე ზოგადი სოციალური/ემოციური უნარი და სასწავლო მიმართულებების მიმართ მიდგომები.

სოციალური/ემოციური

- თამაშის სწავლა და ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება
- მასწავლებლების მოსმენა და მათი მითითებების შესრულება
- ემოციების სათანადოდ გამოხატვა
- თვითრეგულაციის განვითარება

სწავლისადმი მიდგომები

- ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ
- ინიციატივის გამოჩენა
- ყურადღების ფოკუსირება და მიზანსწრაფვა დავალებების შესრულებისას

და სტანდარტების ან შეფასების კრიტერიუმების ბევრი კომპლექტი ასევე შეიცავს ფიზიკურ განვითარებას, როგორც მიმართულებას. აქ მოცემულია ფიზიკური უნარების ზოგადი კომპლექტი:

უხეში მოტორიკის განვითარება

- წონასწორობისა და კონტროლის ჩვენება
- სხეულის კოორდინაციის ჩვენება სიარულის, ხტუნვის და კიბეებზე ასვლის დროს

ნატიფი მოტორიკის განვითარება

- ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება
- საწერი და საჭრელი ინსტრუმენტების გამოყენება
- თვითმომსახურების უნარების გამოყენება, როგორიცაა ელვაშესაკრავის და ღილის შეკვრა

ადრეული და წინასასკოლო განათლების სახელმწიფო სტანდარტები, შეფასების ინსტრუმენტის კრიტერიუმები და ახალი ეროვნული **ერთიანი ძირითადი სტანდარტები** შეიძლება იყოს ის რესურსი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავთ ბავშვების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი უნარების დემონსტრირების უფრო კონკრეტულ გზებს. რა თქმა უნდა მოლოდინები წინასასკოლო განათლების მიმართ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სკოლამდელი განათლების დაწესებულების შემთხვევაში. მაგალითად, წინასასკოლო ჯგუფებში ბავშვებს შეიძლება მოეთხოვებოდეთ მოუსმინონ და შეასრულონ უფრო ხანგრძლივი ზეპირი მითითებები, ვიდრე სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. წინასასკოლო ბავშვები ზოგადად მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებენ, რადგან მუშაობენ და თამაშობენ

ჯგუფში. ასოების წერის და სიტყვების ცნობის შესაძლებლობა უფრო დიდია ხუთი და ექვსი წლის ბავშვებისთვის, ვიდრე სამი და ოთხი წლის ასაკისთვის.

სასწავლო მიზნები ყველა ზემოთ განხილული სფეროდან შეიძლება დაიწეროს მოცემული ფორმის სათამაშო სივრცეების დაგეგმვის გვერდებზე. ამ წიგნში ზემოთ მოცემულ ჩამონათვალს გამოვიყენებ, როგორც სასწავლო მიზნების განხილვის საფუძველს და ვიმედოვნებ, რომ ყველა მასწავლებელი მიმართავს შესაბამის რესურსებს სასწავლო მიზნების განსაზღვრისას თავისი დაგეგმვის მიზნებისთვის.

როზმარი: „ვიღაცამ შემოგვთავაზა აღნიშვნების გაკეთება თითოეული ცენტრის ახლოს. ისინი წერენ მიზნებს ქაღალდის ვიწრო ზოლებზე და აწებებენ მათ აღნიშვნებზე, რათა შეახსენონ არა მარტო მშობლებს, არამედ მასწავლებელსაც, რაზე გაკეთდა აქცენტი. მიზნის განსაზღვრა, როგორც დახარისხება და კლასიფიკაცია, შესაძლოა დაეხმაროს მასწავლებელს ჩაამატოს ერთი ან ორი საკითხი ან ლექსიკური ერთეული აქტივობაში, რომელშიც ბავშვები უკვე ჩართულები არიან.“

ჩვენ პირველ თავში უკვე განვიხილეთ შესაძლო სასწავლო მიზნები კუბებით სათამაშო სივრცისთვის. მოდით, განვიხილოთ სხვა სათამაშო სივრცე - დრამატული თამაში - განვსაზღვროთ შესაძლო სასწავლო მიზნები ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალიდან, რადგან ბავშვები თავს გვაჩვენებენ, თითქოს დაკავებულები იყვნენ საჭმლის მომზადებით, პატარა ბავშვებზე ზრუნვით ან შინამეურნეობების მოვლით. არსებობს უამრავი კონკრეტული მიზანი, რომელიც შესაძლოა გამოსადეგი იყოს ასეთი შემთხვევისთვის. თავი იგრძენით თავისუფლად და თავადაც დაამატეთ რამდენიმე (დანართში „ბ“ თქვენ იხილავთ შესაძლო სასწავლო მიზნებს, რომლებიც განისაზღვრა შვიდივე სათამაშო სივრცისთვის სკოლამდელი დაწესებულების მოცემულ ფორმაში).

დრამატული თამაში

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება, ცოდნა წიგნებსა და ბეჭდურ ტექსტზე (როგორცთოჯინებისთვის კითხვის ან სურსათის კატალოგების დათვალიერების დროს) და წერა (როგორც სურსათის ჩამონათვალის გაკეთებისას ან ასოების წერისას)
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (როგორც ჭურჭლის დალაგების დროს), დათვლა და რაოდენობა და გაზომვა
- სოციალური მეცნიერება: ოჯახის არსის გაგება (როგორც ოჯახის როლების იმიტაციის დროს), სხვებთან ურთიერთობის დამყარება და ჯგუფის ერთობის გაგება (როგორც რესტორნის, სასურსათო მაღაზიის, საავადმყოფოს და ა.შ. განსახიერების დროს)
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება, ემოციების გამოხატვა და თვითრეგულირების განვითარება
- სწავლის მიმართ მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა, ყურადღების ფუკუსირება და მიზანსწრაფვა დავალებების შესრულებისას

- უხეში მოტორული უნარების განვითარება: წონასწორობისა და კონტროლის დემონსტრირება და სხეულის კოორდინაციის ჩვენება სიარულის, სირბილის, ხტუნვის და კიბეებზე ასვლის დროს
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება: ხელებისა და თვალების კოორდინაციის დემონსტრირება, წერის და ჭრის ინსტრუმენტების გამოყენებით, და თვითმომსახურების უნარების გამოყენება, როგორიცაა ელვაშესაკრავის და ღილების შეკვრა.

შეამჩნიეთ თუ არა, რომ დრამატული თამაშის სივრცეში შესაძლოა განიხილებოდეს სასწავლო მიზნები თითქმის ყველა სფეროდან? როცა გადახედავთ მიზნების ჩამონათვალს სხვა სათამაშო სივრცეებისათვის დანართში „ბ“, იგივეს იხილავთ. სათამაშო სივრცეები მდიდარია სწავლის შესაძლებლობებით ბავშვებისთვის. სასწავლო მიზნების არჩევა თამაშისთვის არ უნდა იყოს რთული ამოცანა.

ზუსტი სასწავლო მიზნები აირჩევა და კონკრეტული აკადემიური აქტივობები დაიგეგმება რეფლექსიის პროცესის დროს. იმის მიხედვით, რაც გაქვთ ასახული კვირის განმავლობაში და რაც დაინახეთ ჯგუფში, დაუსვამთ კითხვებს საკუთარ თავს ქვემოთ ჩამოთვლილის მსგავსად, რაც დაგეხმარებათ ფოკუსირება მოახდინოთ ბავშვების აკადემიურ უნარებზე:

- რა იციან უკვე ბავშვებმა და რისი გაკეთება შეუძლიათ კითხვასთან, წერასთან, მათემატიკასთან, მეცნიერებასთან და სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით?
- რა დონეზე შეუძლიათ მათ იმ ცოდნის ან უნარის დემონსტრირება უფროსის ამა თუ იმ დოზით დახმარებით, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად არ დაუფლებიან (ვიგოტსკი [1978] ამ ზონას უწოდებდა „განვითარების უახლოეს ზონას“)?





ამის შემდეგ დააკვირდებით ბავშვებს ქმედების პროცესში და ჩაიწერთ ამ დაკვირვებებს მოცემული ფორმის რეფლექსიის გვერდზე.

როცა მზად ხართ მომავალი კვირის დასაგეგმად, ეს დაკვირვებები დაგეხმარებათ მასალების და აქტივობების არჩევაში, რათა გააფართოვოთ ბავშვების აკადემიური სწავლება. მაგალითად, თუკი თქვენი სკოლამდელი ასაკის ბავშვები ზუსტი თანმიმდევრობით ითვლიან ხუთ საგანს , ალბათ უკვე დროა განახორციელოთ ისეთი აქტივობები, რომელთა დროსაც ისინი შეძლებენ ათი საგნის დათვლას. თუკი წინასასკოლო ჯგუფებში ბავშვებმა იციან საგნების დაჯგუფების სხვადასხვა გზები, რათა მიიღონ ხუთი (როგორიცაა ერთი და ოთხი ან ორი და სამი), ალბათ უკვე დროა, რომ მათ შეძლონ საგნების დაჯგუფება ისე, რომ მიიღონ რიცხვი ექვსი ან მეტი. თუკი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ დაწერონ თავიანთი სახელები, ალბათ უკვე დროა, რომ მათ მივცეთ ბარათები, რომელზეც მითითებული იქნება მათი გვარები. თუკი წინასასკოლო ჯგუფში ბავშვები შეამჩნევენ, რომ ზოგიერთი სიტყვა იწყება დიდი ასოთი, ალბათ უკვე დროა, რომ ვასწავლოთ მათ მეტი დიდი ასოების და სათანადო არსებითი სახელების შესახებ.

კეტი: „ყოველ ორ კვირაში ერთხელ დაგეგმვის დროს, სასწავლო გუნდი ირჩევს სამ შესაბამის სასწავლო მიზანს კონექტიკუტის სკოლამდელი დაწესებულების შეფასების ფორმიდან. ისინი ასახულია ჩვენი დაგეგმვის ფორმის ცენტრში. როგორც გუნდი განიხილავს გამოცდილებებს, რომელიც შეიძლება შესწავლილი იქნას ცენტრებში, ასევე იქცევიან ისინი სამ სასწავლო მიზანთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ფოკუსირებას ვახდენთ დაკვირვებებზე და მათ მართვაზე ამ სამ მიზანთან დაკავშირებით ორი კვირის გამავლობაში. იგეგმება რამდენიმე აქტივობა ბავშვებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ თითოეული სასწავლო მიზნის განხორციელებაში.

მასწავლებლები ითვალისწინებენ აკადემიურ ასპექტებს (მეცნიერების საფუძვლებს) თავიანთ რეფლექსიებში და შემდეგ გეგმავენ ჯგუფში აკადემიური სწავლების აქტივობებს ბავშვების წარმატებების შესაბამისად.

მხოლოდ მიზნების განსაზღვრა არ არის საკმარისი

როგორც უკვე აღვნიშნე ამავე თავში, არსებობს იმის *პოტენციალი*, რომ სასწავლო მიზნები *ადრეული ასაკის ბავშვთა მაღალხარისხიანი პროგრამის* ყველა ასპექტში განიხილებოდეს, მაგრამ მასწავლებლებს აკისრიათ ძირითადი როლი, რათა დარწმუნდნენ, ეს ხორციელდება თუ არა. როცა მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზანს სათამაშო სივრცისთვის, პირველი, რასაც ის აკეთებს, ის არის, რომ აძლევს საკუთარ თავს (და თავის კოლეგებს) დავალებას: როცა ბავშვები თამაშობენ კონკრეტულ ადგილას, იქ მყოფი უფროსები მათთან სასწავლო მიზნის ირგვლივ ურთიერთობენ. სასწავლო მიზანი წარმართავს უფროსის ურთიერთობას ბავშვებთან, რაც ზეგავლენას ახდენს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი საშუალებით:

- კომენტარები, რომლებიც შესაძლოა შეგულიანების მიზნით გაკეთდეს
- ღია კითხვები, რომლებიც შესაძლოა დაისვას
- უნარები, რომლებიც შესაძლოა მოდელირებული და დემონსტრირებული იქნას
- ლექსიკური მარაგი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს
- ახალი იდეები ან შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება შეეთავაზოს
- გამოწვევები, რომლებიც შეიძლება წარმოადგინონ უფრო ღრმა ჩართულობის და მეტი კრიტიკული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის პროვოცირებისთვის
- დამატებითი მასალები, რომელთა მოწოდებაც შესაძლებელია
- დოკუმენტაცია, რომელიც შეიძლება ჩაიწეროს (დაკვირვების შენიშვნები, ფოტოები, ნამუშევრების ნიმუშები)

მასწავლებლის ეს ქმედებები წარმოადგენს შესაძლებლობებს და ისინი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აკეთებენ ბავშვები. მთავარია, რომ ისინი პასუხობდნენ ბავშვების საჭიროებებს. დავაკვირდეთ და მოვუსმინოთ, რათა განვსაზღვროთ კონკრეტულ ბავშვთან (ან ბავშვების გარკვეულ ჯგუფთან) ურთიერთობის საუკეთესო გზა მოცემულ მომენტში.

სასწავლო მიზნების განსაზღვრის გაწზრახვა არ ნიშნავს, რომ აიძულო ბავშვები იმგვარად ითამაშონ, რომ გაითვალისწინონ მიზანი. ეს ნიშნავს კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებული ძირითადი საკვანძო ცნებების, უნარების და ლექსიკური მარაგის წარდგენას იმ საშუალებებით, რომელიც ეფუძნება იმას, რასაც უკვე აკეთებენ ბავშვები და აძლიერებს და ხელს უწყობს მათ ჩართულობას თამაშის სივრცეში.

სიუ: „ჩემი ერთ-ერთი შეშფოთება ცენტრებში სასწავლო მიზნების შესახებ, იმასთან არის დაკავშირებული, თუ როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ამ მიზნების მიღწევას ისე, რომ არ დავაძალოთ ბავშვებს იმის კეთება, რაც არ წარმოადგენს მათ მიზანს? იმ დროს, როცა ცდილობთ იპოვოთ სხვა სასწავლო მიზნები იმ აქტივობებში, რომელსაც ბავშვები ახორციელებენ, როგორ აწვდით იმ გამოცდილებებს, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად?“

ბევრი მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს ხელმისაწვდომ მასალებს სხვადასხვა სათამაშო სივრცეში და შემდეგ აძლევს მათ საშუალებას, თავად აირჩიონ, სად ითამაშონ პირველ რიგში. ეს არის საუკეთესო დრო სასწავლო მიზნების შეთავაზებისთვის, რომლებიც ასევე დაგეგმილია კონკრეტული სივრცისათვის. თუკი სენსორულ მაგიდასთან დაკავშირებით თქვენი მიზანია გაზომვა, მაშინ უნდა თქვათ,

„დღეს სენსორულ მაგიდასთან ვივარჯიშებთ წყლის გაზომვაში საზომი ჭიქებით და კოვზებით. ჩვენ გვაქვს ყველა სახის სხვადასხვა ზომის ჭიქა. თქვენ ნახავთ, რამდენი პატარა ჭიქა დასჭირდება გრაფინის ნახევრად გავსებას.“

მას შემდეგ, რაც წარმოდგენილია მასალები და სასწავლო მიზნები, უფროსები ბავშვებს სენსორულ მაგიდასთან ახლა უკვე გაზომვის პროცედურებთან დაკავშირებით ესაუბრებიან. საუბარი შემდეგნაირად წარიმართება:

„აი, შეხედეთ სხვადასხვა ზომის ჭიქებს და კოვზებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ჯოი, შენ ორი პატარა ჭიქა გაქვს. აბა ვნახოთ, ეტევა ისინი ერთმანეთში? დიახ, ეტევა. აბა რას იტყვით ამაზე? მოდით, ვნახოთ რა შეიძლება ითქვას. ერთი ამბობს, რომ ეს არის ერთი მეოთხედის ტევადობის ჭიქა, მეორე კი, ნახევარი ტევადობის. მე მაინტერესებს, რამდენი მომცრო ზომის ჭიქა ჩაეტევა მოზრდილ ჭიქაში. შეგიძლიათ ცადოთ ერთი მეოთხედის ტევადობის ჭიქის გავსება წყლით და მისი ჩასხმა ნახევარი ტევადობის ჭიქაში? ვიცოდი, რომ მიხვდებოდით ამას.“

ეს საუბარი შეიცავს შემაგულიანებელ კომენტარებს, ღია შეკითხვებს, ახალ სიტყვებს და გამოწვევებს, ხომ ასეა? ეს არის მასწავლებლის მიზნობრიობა მოქმედებაში, -რომელიც გონივრულად ახერხებს აკადემიური სასწავლო მიზნების კომბინირებას ბავშვების თამაშთან და კვლევასთან.

თუმცა ეს საუბარი მოითხოვს ჯოის ინტერესს და მონაწილეობას. რა მოხდება, თუ მივა სენსორულ მაგიდასთან, აიღებს წყლით სავსე ჭიქებს და შეეკითხება, შეუძლია თუ არა გამოიყენოს წყლის ბორბალი? ალბათ იტყვის, „მე მსურს ვნახო რამდენად სწრაფად იტრიალებს ბორბალი.“ აქტივობაში ჩართულმა უფროსმა შეიძლება უპასუხოს: „არა, ჯოი, ჩვენ არ ვაკეთებთ წყლის ბორბალს ამ კვირას. ამჯერად ჩვენი მიზანი გაზომვაა..“ მაგრამ ჯოის ინტერესი დაეკარგება - და რა აზრი აქვს ამას? რა მოხდება, თუკი გავაკეთებთ წყლის ბორბალს, ვიმუშავებთ მასთან ერთად და მივცემთ მას საშუალებას გადაასხას წყალი სხვადასხვა ზომის ჭიქებიდან? თქვენ შეძლებთ დააკავშიროთ ის, რასაც ის აკეთებს, გაზომვის მიზანთან (მომცრო ზომის ჭიქები ასხამს ნაკლებ წყალს და ამისათვის ბორბალი ტრიალებს უფრო ნელა). თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია მიჰყვეთ ჯოის ინტერესს და შეინარჩუნოთ მისი ჩართულობა. მით უმეტეს, რამდენადაც ის, რასაც ჯოი აკეთებს, არ ანგრევს და ქაოსი არ შეაქვს სამუშაო პროცესში და არ არის მარტივი და განმეორებადი, მას შესაძლოა მხარი დაუჭიროს ზოგიერთმა მასწავლებელმა თავისი მოქნილობით და აზროვნების სწრაფი მართვით. ჯოის ინტერესი უფრო მეტად ორიენტირებულია სასწავლო მიზანზე დაკვირვებისა და ექსპერიმენტირების ფარგლებში, როგორიცაა მიზეზი და შედეგი (მეცნიერების მიმართულება).

თქვენ არ გაქვთ მიზეზი, მოსთხოვოთ ბავშვებს შეწყვიტონ საქმიანობა, როცა ისინი ასრულებენ აქტივობებს განსაზღვრული მიზნისგან განსხვავებული მიმართულებებით. თუკი მათი ჩართულობა ნაყოფიერია, შესაძლებელია ახალი მიზნის (მიმართულების) განსაზღვრა და აღნიშვნა მოცემული ფორმის რეფლექსიის ნაწილში.

სასწავლო მიზნების შეცვლა სათამაშო სივრცეებისთვის

როდის ცვლით სასწავლო მიზნებს სათამაშო სივრცეებისთვის? შესაძლებელია მაშინ, როცა ბავშვები მასალებს, ჯოის მსგავსად სხვადასხვა გზით იყენებენ, ან არის მომენტი, როდესაც *თავად* გსურთ აქცენტის გაკეთება განსხვავებულ სასწავლო მიზანზე იმავე მასალებით (მომდევნო თავში ვისწავლით, თუ როდის შევცვალოთ მასალები). რეფლექსიის დროს, შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ ბავშვების უმეტესობამ მიაღწია ადრინდელ გეგმებში განსაზღვრულ თავდაპირველ სასწავლო მიზნებს. ან შესაძლოა დაადგინოთ, რომ ბავშვების ინტერესი კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებული აქტივობების მიმართ კლებულობს. ალბათ სასწავლო მიზანი ძალიან რთულია დროის მოცემული მომენტისთვის. მაშინ მიუთითებთ თქვენს რეფლექსიებს ან ბავშვების მიერ მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, ან მათი ინტერესის ნაკლებობას და გეგმავთ ცვლილებებს მომდევნო კვირისთვის. აქ მოცემულია ჟენევივის რეფლექსიები და გეგმები ცვლილებებთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც მან განახორციელა იგივე სასწავლო მიზნები სამი კვირის განმავლობაში.

მერი მ.: „ზოგიერთი მასწავლებელი ცდილობს შეინარჩუნოს მოქნილობა საგანმანათლებლო გეგმის განხორციელებისას. მაგალითად, თუკი მასწავლებელი გეგმავს ფოკუსირება მოახდინოს გაზომვის უნარებზე კუბების ზონაში კონკრეტული კვირის განმავლობაში (გრძელი, მოკლე და ა.შ.), ხოლო ბავშვები უფრო მეტად დაინტერესებულები არიან მსუბუქი და სატვირთო მანქანების ტარებით კუბების გარშემო, მან შეიძლება იგრძნოს, რომ საჭიროა ძალა დაატანოს ბავშვებს თავისი დაგეგმილი გაზომვის აქტივობის შესასრულებლად. სწავლების პროცესში წინასწარ დასახულ მიზანზე ამგვარი აქცენტის გაკეთების გამო მასწავლებლებს ხშირად უძნელდებათ დაგეგმილი აქტივობიდან გადახვევა. გამოცდილი მასწავლებელი პასუხობს ბავშვის ინტერესს მსუბუქი და სატვირთო მანქანების ტარების შესახებ და მცირედი ცვლილება შეაქვს თავის გეგმაში, რათა ხელი შეუწყოს სწავლებას მასზე დაყრდნობით. ალბათ აქცენტი კუბების სივრცეში იცვლება და წარმოადგენს სათამაშო მანქანების სიჩქარის შედარებას, როცა ისინი კუბებით აშენებული კონსტრუქციიდან ქვევით ეშვებიან (რაც ფაქტობრივად გაზომვის ფორმას წარმოადგენს). შესაძლებელია აქცენტი გაკეთდეს კოოპერატიულ თამაშზე და პრობლემის გადაწყვეტაზე, რადგან ბავშვები ცდილობენ ერთად იმუშაონ კონსტრუქციების ასაშენებლად და გაუზიარონ ერთმანეთს მსუბუქი და სატვირთო მანქანები. გაზომვის აქტივობა შესაძლებელია ჩატარდეს სხვა დღეს ან სხვა ადგილას ჯგუფში.“

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	**გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?**
ბავშვებმა დაიწყეს სივრცეების უმეტესობის შესწავლა და მათი წარმატებულად გამოყენება, ჩვენი მიზნების შესაბამისად. ისინი ჩართულები არიან აქტივობებში დროის უმეტეს ნაწილში. დალაგების დრო მაინც ქაოტურად რჩება. ბავშვებს სჭირდებათ დახმარება საღებავების და ა.შ. მილაგებაში. გარედან შენობაში შემოსვლა ძალიან რთული გარდამავალი პერიოდი აღმოჩნდა ამ კვირის განმავლობაში. ჯერედს სჭირდება მეტი ინდივიდუალური მუშაობა უფროსთან. მარია ძალიან წყნარია. ნოა და ტეილორი, როგორც ჩანს, დამეგობრდნენ.	მიზნების შეცვლა სათამაშო სივრცეებისათვის, მაგრამ არ არის აუცილებელი შეიცვალოს მასალებიც. მეტი უფროსის დახმარება დალაგების დროს. როცა გარედან შიგნით შემოდიან, ჩაურთეთ საცეკვაო მუსიკა და ჯგუფის ნაწილი აცეკვეთ და ამღერეთ, სანამ მეორე ნაწილი იბანს ხელებს - შემდეგ შეცვალეთ. ჟენევივი: ჯერედი უნდა იყოს მისი „განსაკუთრებული მეგობარი.“ დააწყვილეთ მარია სოფისთან და ალისიასთან - ისინი უფრო მეგობრულები არიან.

ჟენევივის რეფლექსიები და გეგმები ცვლილებების განსახორციელებლად

ამ სამი კვირის განმავლობაში ბავშვების მიღწევებთან დაკავშირებით მის მოსაზრებებზე დაყრდნობით, ჟენევივმა გადაწყვიტა არაფერი შეცვალოს ხელმისაწვდომ მასალებში ან შესაძლო არჩევნებში. ნაცვლად ამისა, მან დატოვა ზუსტად იგივე მასალები და აქცენტი და განსაზღვრა განსხვავებული მიზნები თითოეული სივრცისათვის მის მიერ მე-4 კვირისთვის შემუშავებულ გეგმაში.

ახალი სასწავლო მიზნები გახდა მიზეზი საიმისოდ, რომ ჟენევივს და მის კოლეგებს განეხორციელებინათ სხვადასხვა იდეები, რათა ხელი შეეწყოთ ბავშვების მიერ მასალების გამოყენებისთვის. მათი აქცენტი ბავშვებთან ურთიერთობისას დაეხმარა მათ დაკვირვებოდნენ და გაეგოთ მეტი ბავშვების მიერ ახალი მიზნების დემონსტრირების გზების შესახებ. მასწავლებლების აქცენტი შეიცვალა, მაგრამ ახალი აქცენტი არ მოითხოვს ახალ მასალებს ან ოთახის განსხვავებულად მოწყობას. ის მხოლოდ მოითხოვს განსხვავებულ ხედვას ოთახში მყოფი უფროსებისთვის. სასწავლო მიზნების ცვლილება შეიძლება იყოს გზა ჩვენს დასარწმუნებლად, რომ ბავშვები თითოეულ სათამაშო სივრცეს თავისი სრული პოტენციალით იყენებენ.

სასწავლო მიზნების და აკადემიური ასპექტების ჩართვა ყოველდღიურ საქმიანობებში

ჩვენ ვიცით, რომ აკადემიური სწავლება შეგვიძლია ჩავრთოთ ბავშვების თამაშით გამოცდილებებში, მაგრამ კიდევ სად წარმოიშობა ეს აკადემიური ასპექტები (მეცნიერების საფუძვლები) სკოლამდელ და წინასასკოლო ჯგუფებში? თუკი არ არსებობს სწავლების ლექციური სტილი, თუკი მიდგომა ხაზს უსვამს ბავშვებს, როგორც აქტიურ შემსწავლელებს, მაშინ როგორ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ აკადემიურ სწავლებას ყურადღება ექცევა მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ბავშვები ჯგუფში იმყოფებიან? ყოველდღიური საქმიანობები ჯგუფში შეიძლება გამდიდრდეს სასწავლო შესაძლებლობებით, თუკი მასწავლებლები მიზნად დაისახავენ და დაგეგმავენ ამას.

სიუ: „მიზნებზე ფიქრი მნიშვნელოვანია ყოველდღიური საქმიანობების დროს. არსებობს განვითარებული უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროებს პროგრესს მთელი წლის განმავლობაში და არ რჩება ინერტული. მათზე შესაძლებელია ყურადღების გამახვილება ამ რუტინული საქმიანობების დროს.“

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შემუშავებულ ყველა პროგრამაში ყოველდღიური საქმიანობები შეიძლება ითვალისწინებდეს კითხვას, მათემატიკას, სოციალურ კვლევებს და მეცნიერებას. სკოლამდელი დაწესებულების ტიპიური ჯგუფის ყოველდღიური გრაფიკი მოცემულია ქვემოთ შესაძლო აკადემიურ მიზნებთან ერთად დღის ყოველი მონაკვეთისთვის. მიზნები დაწერილია როგორც საუნივერსიტეტო კურსის კატალოგის, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი უნარების ენაზე, რათა დაეხმაროს სხვებს იმის დანახვაში, რომ სწავლება არის იმ ყველაფრის ცენტრში, რასაც მასწავლებლები აკეთებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან.

.....

ნახევარდღიანი სკოლამდელი დაწესებულების ყოველდღიური განრიგის ნიმუში

დილის 8:00 – 8:25 მოსვლის დრო

ბავშვები დებენ თავიანთ ზურგჩანთებს და ქურთუკებს და მიდიან მაგიდებთან, სადაც ხვდებათ პრაქტიკული მასალები (ქაღალდი და ინსტრუმენტები წერისა და კითხვისთვის, მაგალითად, მარკერები ან ფანქრები; პატარა მანიპულატივები კონსტრუირებისთვის, მაგალითად, Lego-ს ასაწყობი კუბები და პლასტელინები).

აკადემიური ასპექტები: საუბარი, ლექსიკის განვითარება, წერა, სხვებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება, ჩვენს ჯგუფის ერთობაზე (კონკრეტულად, ჯგუფზე) ზრუნვა, ნატიფი მოტორული უნარები.

დილის 8:25 – 8:45 დიდი ჯგუფის მუშაობა

ბავშვები ერთვებიან მოძრაობის თამაშებში, მღერიან და თან ხელებს აყოლებენ სიმღერას, შემდეგ, დღის დაგეგმვის დაწყებამდე უსმენენ განხილვებს და ისტორიებს.

აკადემიური ასპექტები: მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ფონოლოგიური ცნობიერება (როგორიცაა რითმული სიმღერები), თვლა და რაოდენობა (როგორიცაა დათვლა, მოსწავლეთა დასწრების გადამოწმება), დაკვირვება და წინასწარგანჭვრეტა (როცა უყურებთ მეცნიერების სადემონსტრაციო აქტივობებს), სხვებთან ურთიერთობის დამყარება, მოსმენა და მასწავლებლების მითითებების შესრულება, წონასწორობის და კოორდინაციის გამოყენება (მოძრაობის აქტივობების დროს).

დილის 8:45 – 10:00 მუშაობის ან აქტივობის დრო

ბავშვები სათამაშო სივრცეებიდან ირჩევენ ერთ-ერთს, რის შემდეგაც მათ შეიძლება შესთავაზონ პატარა ჯგუფური აქტივობის შესრულება, რომელსაც წარმართავს მასწავლებელი და გაგრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე.

აკადემიური ასპექტები: ფიზიკა- (წონასწორობა, სიმძიმე, მასა, ძალა), გაზომვა და პრობლემის გადაჭრა კუბების ზონაში; ქიმია - საჭმლის მომზადების აქტივობის დროს (მასწავლებლის მიერ მართული პატარა ჯგუფის აქტივობა); წიგნების და ნაბეჭდი ტექსტის შესახებ ცოდნის შეძენა ჯგუფის ბიბლიოთეკაში; ოჯახის არსის გაგება, საუბარი და თვითრეგულირება დრამატული თამაშის დროს; დახარისხება და კატეგორიზაცია მანიპულაციების დროს; ყველაფერთან ერთად, გამოიყენება ნატიფი მოტორული უნარები და სოციალური/ემოციური უნარები, ისევე როგორც სწავლის მიმართ მიდგომები.

დილის 10:00 – 10:15 დალაგების დრო

ბავშვები ეხმარებიან უფროსებს მთელი ჯგუფის დალაგებაში

აკადემიური ასპექტები: დახარისხება და კატეგორიზაცია, დათვლა და რაოდენობა (ბავშვები ათავსებენ კუბებს თავის კალათებში და თაროებზე); ჯგუფის ერთობის არსის გაგება (ბავშვები მუშაობენ ერთად საერთო მიზნისთვის); სოციალური/ემოციური უნარები სხვებთან ერთად მუშაობისას და თვითრეგულირების უნარის გამომჟღავნება.

დილის 10:15 – 10:30 კვების დრო

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ საჭმელს.

აკადემიური ასპექტები: საუბარი, ლექსიკური მარაგის გამდიდრება (სიტყვები ჯანმრთელობის და კვების პროდუქტების შესახებ), სხვებთან ურთიერთობის დამყარება (დაელოდო შენს რიგს), ნატიფი მოტორული უნარები (დასხმა, ჭურჭლის გამოყენება),

ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზამის არსის გაცნობიერება (მაგიდის გაშლა და მილაგება).

დილის 10:30 – 11:00 გარე აქტივობები

ბავშვები ერთვებიან უხეში მოტორიკის განმავითარებელ გარე აქტივობებში, თუკი ამინდი იძლევა ამის საშუალებას.

აკადემიური ასპექტები: ბოტანიკა და მეტეოროლოგია (მცენარეების და ამინდის კვლევა გარეთ), უხეში მოტორიკა (სირბილი, ხტუნვა და თამაში), დათვლა და რაოდენობის ცნების გააზრება (დაელოდო საკუთარ რიგს ველოსიპედზე ან საქანელაზე), სხვებთან ურთიერთობის დამყარება, ცნობისმოყვარეობის და ინიციატივის გამომჟღავნება.

დილის 11:00 – 11:15 სახლში წასასვლელად მომზადება

მასალების, ზურგჩანთის, ქურთუკის აღება და ასე შემდეგ. ყოველდღიური აქტივობების გადახედვა და გეგმების შედგენა მომდევნო დღისათვის.

აკადემიური ასპექტები: ჩვენი ჯგუფის ერთობა (დალაგება), მოსმენა და გააზრება (გადახედვა და დაგეგმვა), თვითმომსახურების უნარები.

დილის 11:15 წასვლა

……

აქ კი მოცემულია სრულდღიანი წინასასკოლო პროგრამის განრიგის ნიმუში, რომელიც გაანალიზებულია და ითვალისწინებს აკადემიურ სწავლებას მთელი დღის განმავლობაში.

……

ყოველდღიური გრაფიკის ნიმუში სრულდღიანი წინასასკოლო ჯგუფისთვის

დილის 8:00 – 8:25 მოსვლის დრო

ბავშვები დებენ თავიანთ ზურგჩანთებს და ქურთუკებს და მიდიან მაგიდებთან, სადაც ხვდებათ პრაქტიკული მასალები (მისალმება და საუბრები; წერა და ხატვა; პატარა მანიპულატივები კონსტრუირებისთვის, მაგალითად, Lego-ს ასაწყობი კუბები და პლასტელინები).

აკადემიური ასპექტები: საუბარი, ლექსიკის განვითარება, წერა, სხვებთან ურთიერთობის დამყარება, ჩვენი ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა (კონკრეტულად, მათ ჯგუფზე), ნატიფი მოტორული უნარები.

დილის 8:25 – 8:50 დიდი ჯგუფის მუშაობა

ბავშვები ერთვებიან მოძრაობის თამაშებში, მღერიან და თან ხელებს აყოლებენ სიმღერას, შემდეგ, დღის დაგეგმვის დაწყებამდე, უსმენენ განხილვებს და ისტორიებს.

აკადემიური ასპექტები: მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ფონოლოგიური ცნობიერება (როგორიცაა რითმული სიმღერები), თვლა და რაოდენობა (როგორიცაა დათვლა, მოსწავლეთა დასწრების გადამოწმება), დაკვირვება და წინასწარგანჭვრეტა (როცა უყურებთ მეცნიერების სადემონსტრაციო აქტივობებს), სხვებთან ურთიერთობის დამყარება, მოსმენა და მასწავლებლების მითითებების შესრულება, წონასწორობის და კოორდინაციის გამოყენება (მოძრაობის აქტივობების დროს).

დილის 8:50 – 10:15 „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

ბავშვები ირჩევენ წიგნიერების აქტივობებიდან ერთ-ერთს (უსმენენ წიგნებს ფირზე, წერენ და ხატავენ თავიან ჟურნალებში, ინაწილებენ როლებს დრამატულ თამაშში, იყენებენ ფლანელის დაფას და ჯიბაკებიან ცხრილებს ისტორიების მოსაყოლად, წერენ წერილებს ჯგუფელებს და ოჯახის წევრებს). ბავშვებს სთავაზობენ მონაწილეობას პატარა ჯგუფის აქტივობაში, რომელსაც წარმართავს მასწავლებელი და გრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე.

აკადემიური ასპექტები: მოსმენა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გააზრება, ფონოლოგიური ცნობიერება (როგორიცაა რითმული სიმღერები), ასოების და სიტყვების ცნობა, წერა, ნატიფი მოტორული უნარები და მეტის გაგება ოჯახის არსის შესახებ, საუბარი და თვითრეგულირება დრამატული თამაშის დროს.

დილის 10:15 – 10:30 დალაგების დრო

ბავშვები მონაწილეობენ მთელი ჯგუფის დალაგებაში.

აკადემიური ასპექტები: დახარისხება და კატეგორიზაცია, დათვლა და რაოდენობა (ბავშვები ათავსებენ კუბებს თავის კალათებში და თაროებზე); ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის არსის გაგება (ბავშვები მუშაობენ ერთად საერთო მიზნისთვის); სოციალური/ემოციური უნარები სხვებთან ერთად მუშაობისას და თვითრეგულირების უნარის გამომჟღავნება.

დილის 10:30 – 10:45 კვების დრო

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ საჭმელს.

აკადემიური ასპექტები: საუბარი, ლექსიკური მარაგის გამდიდრება (სიტყვები ჯანმრთელობის და კვების პროდუქტების შესახებ), სხვებთან ურთიერთობის დამყარება (დაელოდო შენს რიგს), ნატიფი მოტორული უნარები (დასხმა, ჭურჭლის გამოყენება), ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება (მაგიდის გაშლა და მილაგება).

დილის 10:45 – 11:30 განსაკუთრებული აქტივობები

ბავშვები ერთვებიან სპორტული დარბაზის, მუსიკის, ბიბლიოთეკის ან სხვა განსაკუთრებულ აქტივობებში.

აკადემიური ასპექტები: ამ აქტივობების დროს ყურადღება ექცევა ბევრ მიმართულებასა და უნარს.

დილის 11:30 სადილი

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ.

დღის 12:00 დასვენება

დღის 12:30 დიდი და პატარა ჯგუფური მუშაობა

ისტორიის წაკითხვა და მშვიდი დრო

ბავშვები უსმენენ მასწავლებლებს, რომლებიც უკითხავენ ისტორიებს დიდ და პატარა ჯგუფებში.

აკადემიური ასპექტები: მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, თვითრეგულირება (საკუთარი თავის დამშვიდება).

დღის 1:00 ძიების/კვლევის დრო

ბავშვები ირჩევენ მათემატიკის, მეცნიერების და სხვადასხვა სათამაშო აქტივობებს (დახარისხება, კლასიფიკაცია და დათვლის მანიპულატივები, ფორმების შექმნა პატარა და დიდი კუბებით, საგნების გაზომვა ოთახში, მიმდინარე მეცნიერულ ექსპერიმენტში მონაწილეობა, შინაურ ცხოველებზე ზრუნვა, მათემატიკის და/ან მეცნიერების ჟურნალში წერა, პუბლიცისტური წიგნების კითხვა ბუნების შესახებ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, სენსორულ მაგიდასთან თამაში, ნამუშევრების/ნაწარმოებების შექმნა ხელოვნების ზონაში). მათ ასევე შეიძლება შესთავაზონ მონაწილეობა მასწავლებლის მიერ მართულ პატარა ჯგუფის აქტივობაში, რაც გრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე.

აკადემიური ასპექტები: წონასწორობის, მიზიდულობის, მასის, ძალის, ფორმების, გაზომვის, და პრობლემის მოგვარების (კუბები) ექსპერიმენტირება; მოსმენა; წიგნებისა და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა; წერა; დახარისხება, კატეგორიზაცია და დათვლა (მანიპულატივები); ძიება/კვლევა შეგრძნებების საშუალებით; ნატიფი მოტორული უნარები (ხელოვნება, ჟურნალის წარმოება, მანიპულატივები); სოციალურ/ემოციური უნარები და სწავლების მიმართ მიდგომები (ჯგუფის ყველა სივრცეში).

დღის 2:00 დალაგების დრო

ბავშვები მონაწილეობენ მთელი ჯგუფის დალაგებაში (იმავე აკადემიური ასპექტებით, როგორც დილის დალაგების აქტივობის დროს).

დღის 2:15 სახლში წასასვლელად მომზადება

მასალების, ზურგჩანთის, ქურთუკის აღება და ასე შემდეგ. დღის აქტივობების გადახედვა და გეგმების შედგენა მომდევნო დღისათვის.

დღის 2:30 სახლში წასვლა

……

გადახედეთ და გააანალიზეთ თქვენი სკოლამდელი დაწესებულების ან წინასასკოლო ჯგუფის პროგრამა. აკადემიური სწავლება დღის ნებისმიერ მომენტში ხორციელდება.

აკადემიური სწავლა და ყოველდღიური საქმიანობები

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებლებს აკადემიური სწავლება შეუძლიათ ჩართონ ყოველდღიურ საქმიანობებში. ამჯერადაც მასწავლებლები არიან მთავარი მოთამაშეები, იმაში დასარწმუნებლად, თუ რა ხდება. დეტალური დაგეგმვის საშუალებით მათ შეუძლიათ განსაზღვრონ ყოველდღიური საქმიანობები პროგნოზირებადი რიტუალებით, რომელიც მოიცავს სასწავლო მიზნებს. ასე მოქცევის შემთხვევაში ისინი ახერხებენ ბავშვების გონების ჩართვას მაღალი დონის კოგნიტურ პროცესებში. ეს რეალურია ყოველდღიურ საქმიანობებთან დაკავშირებით, ისევე როგორც აქტივობებს შორის გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით.

ასეთ დროს მასწავლებლებმა უნდა დაგეგმონ სასწავლო მიზნებზე ყურადღების გამახვილების გზები. საუბრებში დაგეგმვასთან დაკავშირებით, საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ:

- რა უნდა გაკეთდეს წინასწარ ამ ყოველდღიური საქმიანობებისთვის?
- იქნება თუ არა ისეთი მოლოდინები, რომელთა შესახებაც წინასწარ უნდა ისაუბროს ბავშვებთან?
- მასწავლებლის რა ქმედებები უნდა დაიგეგმოს?
- როგორ დავამყარებთ ურთიერთობას ბავშვებთან ყოველდღიური საქმიანობების დროს?

მოდით, შევხედოთ ყოველდღიურ საქმიანობებს, რომლებიც მოცემულია დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმის მეორე გვერდზე (საჭმელი, გარდამავალი პერიოდებიდა ეზოს კვლევები) და განვიხილოთ რამდენიმე მეთოდი, რომელიც შეგიძლიათ დაგეგმოთ სასწავლო მიზნებისთვის, ამ ყოველდღიური საქმიანობების გასამყარებლად.

კვების დრო

მასწავლებლებმა შეიძლება გაზარდონ მსუბუქი საუზმისა და ბავშვების კვებისთვის გამოყოფილი დრო და უზრუნველყონ მათი დაკავშირება სასწავლო მიზნებთან, რომლებიც ზემოთ მოცემული ორი დღის განრიგში სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული:

- *საუბრის მიზნის მისაღწევად* მასწავლებლები უზრუნველყოფენ მაგიდებთან წახემსებას და კვებას, რომლის დროსაც მასწავლებლები და ბავშვები ისე სხდებიან, რომ ადვილად ისაუბრონ ერთმანეთთან. ასეთი საუბრების ხელშესაწყობად მასწავლებლები ბავშვებთან კვების და წახემსების დროს იმდენ ხანს რჩებიან, რამდენიც შესაძლებელია. ისინი არც ჯგუფის სხვა სივრცეში სხდებიან და არც ერთმანეთში საუბრობენ.
- *ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად* მასწავლებლები ერთვებიან ბუნებრივად წარმართულ საუბრებში ბავშვებთან, სიტუაციის შესაბამისად მოიხმობენ ახალ სიტყვებს. ისეთმა კითხვებმა, როგორიცაა: „თქვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რა საკვებს მიირთმევთ სახლში?“ ან

„რომელია თქვენი საყვარელი ბოსტნეული?“ შესაძლოა წარმოშვას საინტერესო დისკუსია, რომელიც ერთი მხრივ, ინფორმაციას აწვდის მასწავლებლებს და მეორე მხრივ, ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს. დისკუსიების დროს შეიძლება გადაიხედოს, თუ რა გააკეთეს ბავშვებმა საბავშვო ბაღში იმ დღეს ან რისი გაკეთება დაგეგმეს ჭამის შემდეგ. შეუძლებელი არაფერია, რამდენადაც ეს არის სასაუბრო თემა.

- *სხვებთან ურთიერთობის დამყარების მიზნის მისაღწევად (როცა ელოდები საკუთარ რიგს)* მასწავლებლებს საგნების და ნივთების ერთმანეთისთვის გადაცემის პროცესში საკუთარი რიგის მოლოდინის წახალისება შეუძლიათ შემდეგი ფრაზების გამოყენებით: „გთხოვთ“ და „გმადლობთ“. მათ ესმით, რომ როცა კეთილები და გააზრებულებულები არიან, ეს ბავშვებს ეხმარება ლოდინის მოთმენაში. „ფილიპ, მე დავინახე როგორ გადაეცი წყლის გრაფინი ხუანიტოს. მადლობა ამისთვის!“
- *ნატიფი მოტორული უნარების განვითარების მიზნის მისაღწევად (როგორიცაა წყლის დასხმა ან ჭურჭლის გამოყენება),* მასწავლებლები ბავშვებს აძლევენ პატარა ტოლჩას და პლასტმასის ტოლჩებს, რათა ადვილად შეძლონ მათი ხელში დაჭერა. ისინი ამცნობენ ბავშვებს თავიანთ მოლოდინს, რომ ბავშვები თავად უნდა მოემსახურონ საკუთარ თავს და რომ ამასთან ერთად ისინიც მზად არიან გადადგან ნაბიჯი და შესთავაზონ დახმარება, თუკი ბავშვს ეს სჭირდება წყლის დასასხმელად ან თეფშზე ხილის გადმოსაღებად. და კვლავ, ისინი აღიარებენ ბავშვების მზარდ ნატიფ მოტორულ უნარსა და დამოუკიდებლობას პოზიტიური კომენტარებით. ჭიქებზე ხაზების გავლება (ვთქვათ ორი-მესამედი ჭიქის პირამდე) ბავშვებს დაეხმარება ისე აავსონ ჭიქა, რომ სასმელი არ დაეღვაროთ. ხილის წინასწარ დაჭრა ნაჭრებად კი დაეხმარება მათ, მოემსახურონ საკუთარ თავს და ჭამონ უფრო აკურატულად.
- *ჯგუფის ერთობის შექმნის მიზნის მისაღწევად (მაგიდის გაშლა და მილაგება)* მასწავლებლები სთავაზობენ ბავშვებს დაეხმარონ მაგიდის გაშლაში კვების და წახემსების დროს. ამ დავალების შესასრულებლად შესაძლებელია ყოველდღიურად გამოიყოს რამდენიმე ბავშვი. მასწავლებლები ყველა ბავშვისგან მოელიან, რომ კვების დასრულების შემდეგ მიალაგებენ თავიანთ ადგილს. ჭურჭლის მილაგება, მორჩენილი სასმელის გადასხმა და ნაგვის გადაყრა ის მოვალეობებია, რომელთა შესრულებაც შეუძლიათ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. ისინი შეიმუშავებენ პასუხისმგებლობას და წვლილს შეიტანენ ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბებაში. და კვლავ, მათი ქმედებების აღიარება მათ დაეხმარება ამ მოვალეობების ყოველდღიურად შესრულებაში.

გარდამავალი პერიოდები (ტრანზიციები)

გარდამავალი პერიოდები ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია სკოლამდელი ასაკის ბავშვების პროგრამის ფარგლებში. მასწავლებლები უნდა დაეხმარონ ჯგუფს ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას. სამწუხაროდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვები ერთი

აქტივობიდან მეორეზე ყოველთვის ვერ გადადიან იოლად. ისინი შეიძლება ღრმად იყვნენ ჩაფლულები იმაში, რასაც აკეთებენ სათამაშო სივრცეში, როცა დალაგების დრო გამოცხადდება და არ მოისურვონ თავიანთი საქმიანობის შეწყვეტა. ან შეიძლება ძალიან უნდოდეთ გარეთ გასვლა და გაიქცნენ კარებისკენ, რათა პირველები იყვნენ რიგში. ამ დროს, იმისათვის, რომ წარმატებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს, მათ მასწავლებლები უნდა დაეხმარონ თავიანთი მიზანმიმართულებით და გარდამავალი პერიოდების წინასწარ დაგეგმვით. და კვლავ, ზოგიერთი სასწავლო მიზნის დაგეგმვა და ადრე ჩამოთვლილი დასაგეგმი საკითხების გააზრება გარდამავალ პერიოდებს ღირებულ დროდ აქცევს თქვენს კურიკულუმში და დაეხმარება მათ უფრო მშვიდ განხორციელებას.

მოდით, ბავშვების მწკრივში ჩადგომას გარეთ გასვლის დროს (ან სადაც მიდიხართ იქ) ამ კუთხით შევხედოთ. მწკრივში ჩადგომა არის სკოლამდელი ასაკის ბავშვების ყოველდღიური საქმიანობა და არ უნდა აღემატებოდეს მათთვის განკუთვნილ დროს! სკოლამდელი ასაკის ბავშვები არ არიან მომთმენები, მაშასადამე რთულია დაელოდონ ყველას მწკრივში დადგომას. მათ არ მოსწონთ ერთმანეთთან ახლოს დგომა; ჰგონიათ, რომ მათ პირად სივრცეს თავს ესხმიან. როგორ უნდა შეძლოს მასწავლებელმა ამ სიტუაციის გამოსწორება და სასწავლო მიზნების დამატება? პირველ რიგში უბრალოდ დაფიქრდეს, მართლაც საჭიროა, თუ არა, რომ ყველა ბავშვი ერთდროულად დადგეს მწკრივში. თუკი გყავთ კოლეგები, მაშინ გაიხსენეთ ანდაზა: „დაყავი და იბატონე.“ ადრეული ასაკის ბავშვები უკეთესად გაუმკლავდებიან ამ პრობლემას პატარა ჯგუფებში. ლოდინის დრო შემცირდება და ყველანი ბევრად უფრო სწრაფად გახვალთ გარეთ (ან სადაც მიდიხართ იქ).

გარდა ამისა, თუკი ბავშვების მწკრივში დაყენების დავალებას რამდენიმე სასწავლო შესაძლებლობას დაამატებთ, ეს დაეხმარება მათი გონების ჩართვას და დავალების უფრო წარმატებულად შესრულებას. აქ მოცემულია რამდენიმე გზა, რომლის საშუალებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ მიზნების ჩართვა ბავშვების მწკრივში ჩადგომისას.

ფორმის, ფერის, ასოს და ციფრის ცნობა

ლესლიმ სხვადასხვა ფერის ქაღალდისგან დიდი ზომის განსხვავებული ფორმები გამოჭრა და ისინი იატაკზე სუფთა წებოვანი ქაღალდით დაამაგრა კარებიდან ჯგუფში შესასვლელამდე. მან საკმაოდ დიდი ადგილი დატოვა ფორმებს შორის, რათა ბავშვებს მჭიდროდ არ ეგრძნოთ თავი მწკრივში ჩადგომისას. მწკრივში ჩადგომისას ბავშვების ყურადღების მისაპყრობად ამჟამად ის ფორმებს და ფერებს იყენებს: „მზად იყავით, მითხრათ, რა ფორმაზე დგახართ, როცა ვიტყვი თქვენს სახელს,“ ან „შეგიძლია მითხრა შენი ფორმის ფერი, როცა ვიტყვი შენს სახელს?“ ზოგჯერ ის ათავისუფლებს ბავშვებს მწკრივში ჩადგომისგან და აჩვენებს მათ ბარათს ფერადი ფორმით ან ეუბნება, „ჯერემი, გთხოვ დადექი ლურჯ კვადრატზე. საშა, გთხოვ დადექი წითელ სამკუთხედზე.“ როცა ბავშვები წარმატებით ცნობენ ფორმებს და ფერებს, ის ართულებს დავალებას და თავის დავალებაში მათ აღწერილობებზე მიუთითებს და არა სახელებზე: „მარია, მე ვფიქრობ ფორმაზე, რომელსაც აქვს სამი კუთხე და არის იგივე ფერის, რაც გაჩერების (სტოპ) ნიშანი.“ ან ამბობს, „აბდო, გთხოვ დადექი ფორმაზე, რომელიც ირითმება სიტყვებით „*mellow* და *where.*“ ლესლი მთელი წლის განმავლობაში განაგრძობს დავალების

გართულებას და აწერს ასოებს ან ციფრებს თითოეულ ფორმაზე. ამის შემდეგ კი მწკრივში დადგომისას ასოების და ციფრების ცნობის დავალებას ამატებს.

დახარისხება, კატეგორიზაცია, დათვლა და შედარება

რადგან ბრაინმა იცის, რომ ბავშვებს უყვართ რიგში პირველობა და ზოგჯერ ამისთვის ერთმანეთს ექაჩებიან კიდეც, მან პასუხისმგებლობები დააკისრა რიგის ლიდერს, რაც იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ რიგის თავში დგომა. როცა რომელიმე ბავშვს დაეკისრება რიგის ლიდერის როლი, რაც მითითებული იქნება დამხმარე გრაფიკში, ბრაიანი შეახსენებს მათ, რომ მათ უნდა მოახერხონ ჯგუფის ორგანიზება ორ რიგად. „როგორ მოახერხებთ დღეს ჯგუფის ორგანიზებას?“ ეკითხება ბრაიანი. ბავშვები იცნობენ დახარისხების სხვადასხვა გზებს, რადგან ბრაიანს და მის კოლეგებს უკვე ნააჩვენები აქვთ მათთვის, ეს როგორ გააკეთონ. ზოგჯერ თამაშობენ „ხალხის დახარისხების“ თამაშს. ბრაიანი ამბობს, „მე ვეძებნებ მათ, ვისაც აცვია თასმებიანი ფეხსაცმელები. გთხოვთ მოხვიდეთ და დადგეთ ჯგუფის წინ.“ შემდეგ ითვლის, ჯგუფში რამდენს აცვია თასმიანი ფეხსაცმელი. შესაძლოა, მათ მოხმობამდე, ვისაც ბალთიანი ფეხსაცმელები აცვია, ეს ჯგუფი ფეხზე დატოვოს. შემდეგ ითვლის, რამდენს აცვია ბალთიანი ფეხსაცმელი. ის ისე აყენებს ბავშვებს ორ რიგად ერთმანეთის გვერდი-გვერდ, რომ რიგის სიგრძე კარგად ჩანდეს და შეეძლოს მათი შედარება. ის იგივეს აკეთებს ბავშვების მწკრივში დაყენების დროსაც. რიგის ლიდერი იძახებს ორ კატეგორიას, რომლის მიხედვითაც ბავშვები დგებიან მწკრივში (ბიჭები და გოგოები, ქამრიანები და უქამროები, ვისაც აცვია „ფხრიწიანი“ ფეხსაცმელები და ვისაც არა და ა.შ.). შემდეგ რიგის ლიდერი თითოეულ რიგს ხმამაღლა გადაითვლის, ადარებს რომელია უფრო გრძელი და ჯგუფი მიდის (გარეთ ან სადმე სხვაგან).

იმიტირებული თამაში

სილვიამ დიდ წარმატებას მიაღწია ბავშვების მწკრივში დაყენებისას და შემდეგი აქტივობის დროსაც, როცა მათ იმიტირებული თამაში შესთავაზა. მან იცის, რომ როცა ბავშვები სხვადასხვა როლს განასახიერებენ, უფრო დიდი თვითრეგულირების უნარს იჩენენ, ვიდრე მაშინ, როცა ამას არ აკეთებენ. სილვიამ ეს უპირატესობა ბავშვების ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადასვლის დროს გამოიყენა. აქ მოცემულია რამდენიმე გზა, თუ როგორ და რა როლები დააკისრა მათ:

- დიდი შეკვრა საღეჭი რეზინის ღეჭვა
- ბუშტის გაბერვა და პირით დაჭერა
- ფეხისწვერებით გავლა ვიწრო მავთულზე, როგორც ცირკში
- წყნარად და ნაზად ფრენა პეპლების მსგავსად, ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლის მსგავსად, ყვავილიდან ჩამოვარდნილი ფურცლის მსგავსად
- კატის მიბაძვა, რომელიც მისდევს თაგვებს
- თევზის მიბაძვა, რომელიც ცურავს ზღვაში

არ არის აუცილებელი, რომ ბავშვები დღის განმავლობაში ყოველი გარდამავალი პერიოდის დროს მწკრივში ჩადგნენ. ფაქტობრივად, მწკრივში ჩადგომის მაქსიმალურად თავიდან აცილება ხელს შეუწყობს დღის უფრო მშვიდად ჩავლას. ბევრ მასწავლებელს ბავშვები ერთი აქტივობიდან მეორეზე (ვთქვათ დიდი ჯგუფის მუშაობიდან ხელების

დაბანაზე გადასვლა და მერე წასახემსებლად მაგიდასთან მისვლა) სიმღერების ან მოძრავი აქტივობების საშუალებით გადაჰყავს. ერთი მასწავლებელი დიდ ჯგუფთან რჩება და პირსაბანისკენ ისე უშვებს ბავშვებს, რომ პირსაბანთან, სადაც მეორე მასწავლებელი დგას და აკონტროლებს, გრძელი რიგები არ შეიქმნას. ბავშვები, რომლებიც დიდ ჯგუფში რჩებიან, მღერიან. მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობს სიმღერას, ყურადღებას აქცევს, როდის გაგზავნოს შემდეგი ბავშვი პირსაბანთან და საჭმელ მაგიდებთან. ეს გადასვლას სწრაფს ხდის და არც ბავშვები კარგავენ ინტერესს.

ბევრ ამ სიმღერას და ლექსს, რომელიც გადასვლის ინსტრუმენტებად გამოიყენება, სხვა სარგებელიც გააჩნია. სასწავლო მიზნების მიღწევა, როგორიცაა მოსმენა და რითმების, ხმების და ფერების გამოცნობა, შესაძლებელია, ისევე როგორც რიგში ლოდინი და მასწავლებლის მითითებების შესრულება. ამ თავის ბოლოს მოცემულია ზოგიერთი სიმღერა და ლექსი, რომელიც შეიძლება ბავშვების ერთი აქტივობიდან მეორეზე გადაყვანისას გამოვიყენოთ. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი მათგანი:

ვილობი, ვალაბი, ვუ

ვილობი, ვალაბი, ვი, ზედ დამაჯდა სპილო!

ვილობი, ვალაბი, ვუ, ახლა შენ გაზის!

ვილობი, ვალაბი, ვ_____, (ჩაანაცვლეთ ბავშვის სახელით, რომელიც *ვ*-ზე იწყება)

სპილო აზის _____ (ბავშვის სახელი).

როგორც ზემოთ მოცემული სიმღერიდანაც ჩანს, ბავშვის სახელი გამოიყენება თითოეულ სიმღერასა და ლექსში, რომელიც ამ თავის ბოლოს არის მოცემული. ბავშვის სახელის გამოყენებით ის იღებს შეტყობინებას, რომ ახლა მისი რიგია, მივიდეს პირსაბანთან ან აირჩიოს სათამაშო სივრცე. არსებობს ბევრი კარგი სიმღერების წიგნი, CD და რესურსები, რომელთა ეფექტიანად გამოყენებაც შეუძლიათ მასწავლებლებს გადასვლის აქტივობებისთვის. მოცემულ ფორმაში გადასვლებთან დაკავშირებული გეგმების აღნიშვნა მასწავლებლებს დაეხმარება ახსოვდეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაეხმარონ ბავშვებს წარმატებაში დღის ამ რთული მონაკვეთის დროს.

ეზოს აქტივობები და კვლევა-ძიებანი

ადრეული ასაკის ბავშვთა ხარისხიანი პროგრამები გვთავაზობს გარე ფიზიკურ აქტივობას ყოველდღიურად (რა თქმა უნდა, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას). სკოლამდელი ასაკის ბავშვების მზარდი სხეული განვითარების პროცესში ეუფლება კუნთების კონტროლს და საჭიროებს ენერგიის დახარჯვას და სუფთა ჰაერის და ბუნებით ტკბობის გამოცდილებას. მასწავლებლებმა უნდა შეიტანონ შესვენება ან გარე აქტივობა თავიანთ გეგმაში, როცა ამინდი ამის საშუალებას იძლევა.

ბავშვების ფიზიკური ენერგიის დახარჯვაზე ფიქრი და დაგეგმვა გარე აქტივობის სახით (ან ჯგუფში ან წვიმიან ამინდში) მნიშვნელოვანი დავალებაა, რომელიც გააძლიერებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფს. გარე აქტივობის შესაძლებლობები ბევრი თვალსაზრისით სასარგებლოა ბავშვებისთვის, დღის ეს პერიოდიც უფრო მიზანმიმართული და ნაკლებად ქაოტურია. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლების სამუშაო უფრო მარტივია და წარმატებული გრძელვადიან პერსპექტივაში, თუკი ისინი ფიქრობენ იმ გზებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას მიზანმიმართულ გარე აქტივობებში, როდესაც მათ შეუძლიათ დახარჯონ ენერგია და ისუნთქონ სუფთა ჰაერი. ასევე აუცილებელია მოქნილობა და რეაგირების უნარი. რამდენჯერ უთქვამთ მასწავლებლებს, რომ მათი ბავშვები დღეს „ციყვებივით“ იქცეოდნენ? ან უკითხავთ, „დღეს სავსე მთვარე ხომ არ არის? ჩემი ბავშვები გიჟებივით იქცევიან!“

როზინი: „მე აღმოვაჩინე, რომ გარე აქტივობა ბავშვებთან ერთად გართობის დროა ისეთი აქტივობების შესრულებისას, რომლებიც მათ სიამოვნებთ. მე შემიძლია ასევე ვიმუშაო იმ მოსწავლეებთან, ვისაც ესაჭიროება ძალის განვითარება, რადგან დიდ დროს ხარჯავენ ტელევიზორთან ან კომპიუტერთან.“

გარე აქტივობების დაგეგმვისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიმართოს სასწავლო მიზნებზე, რომლებიც დაკავშირებულია უხეში მოტორიკის განვითარებასთან: ბავშვები დარბიან, ხტუნაობენ, ცოცავენ, იმალებიან, ქანაობენ, თხრიან და იყენებენ ძირითად აღჭურვილობას, სივრცეს და გარე ტერიტორიის, ღია სივრცის თავისუფლებას. პროგრამების უმეტესობა გულისხმობს, რომ ღია სივრცეში უნდა იყოს მინიმუმ სარბენი ფართობი და ცოცვის აღჭურვილობა. თუკი მასწავლებლები პერიოდულად წარმოადგენენ ახალ აღჭურვილობას, მასალებს ან აქტივობებს, ამით ისინი ყოველ გარე აქტივობას თავგადასავლად გადააქცევენ. განახლებადი შესაძლებლობები ბავშვებს ბევრი ახალი რამის გამოცდასა და ინტერესის უფრო დიდხანს შენარჩუნებაში ეხმარება. ასევე შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი აკადემიური სასწავლო მიზნის განხილვა. მასწავლებლები გარკვეული სტრუქტურის შეგრძნებას სძენენ იმ დროს, რომელიც სავსეა თავისუფლებით კვლევა-ძიებისა და ფიზიკური გამოხატვისთვის.

აქ მოცემულია რამდენიმე იდეა აღჭურვილობასთან, მასალებთან და აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებელია დაემატოს გარე აქტივობის დროს და ჩაიწეროს მოცემულ ფორმაში. შესაძლოა სასწავლო მიზნები (უხეში მოტორული უნარები განვითარების მიღმა) განსაზღვრული იყოს უამრავი შეთავაზებისათვის. შესაძლებლობების ეს ჩამონათვალი არავითარ შემთხვევაში არ არის ყოვლისმომცველი. კიდევ რა იყო წარმატებული თქვენთვის?

აღჭურვილობა

- ველოსიპედები, ვაგონები და ორთვალები
- გვირაბში ცოცვა
- დიდი სავარჯიშო ბურთი
- სხვადასხვა ზომის ბურთები, სამიზნეები (ზომების, მანძილების შედარება)
- ხის დასამუშავებელი დაზგა (ნატიფი მოტორული უნარი)
- ქვიშის/წყლის მაგიდა (სენსორული კვლევა)

- მებაღეობის იარაღები (ბუნების კვლევა, ჯგუფის ბაღის მოწყობის პასუხისმგებლობა)

მასალები

- გრძელი ლენტები ან შარფები ქარის შესამჩნევად/შესაგრძნობად (სენსორული კვლევა)
- საპნის ბუშტები (სენსორული კვლევა, ნატიფი მოტორული უნარები)
- წყლით სავსე მისასხურებელი ბოთლები გზის საფარის ან კედლების სამღებრო სამუშაოებისთვის (ნატიფი მოტორული უნარები; ასოების, ციფრების და სახელების ხატვა გზის საფარზე)
- საღებავი ფუნჯები ან წყლით სავსე ვედროები სამღებრო სამუშაოებისთვის (ისევე როგორც ზემოთ მოცემული)
- გამადიდებელი შუშები და წიგნები მწერების შესახებ (ლექსიკის განვითარება, ბუნებრივი სამყაროს შეცნობა)
- ტროტუარის ცარცი (ასოების, ციფრების და სახელის წერა; ნატიფი მოტორული უნარები)
- მსუბუქი და სატვირთო მანქანები ქვიშის სავარჯიშოსთვის
- სახტუნაო თოკები
- პლასტმასის "სასიარულო" ქილები
- სხვადასხვა ზომის სალტეები
- დურბინდი, ან ჭოგრიტი ფრინველებზე და ღრუბლებზე დასაკვირვებლად
- მაგნიტოფონი ფრინველების ჭიკჭიკის ან გარე ხმების ჩასაწერად
- კოსტიუმები დრამატული თამაშისთვის (მოერიდეთ გრძელ კაბებს ან მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს)

აქტივობები

- წაიკითხეთ ხის ქვეშ (დასხედით საბანზე ან პლასტმასის ხალიჩაზე, წიგნების მიმართ დაინტერესება, წაკითხულის გააზრება)
- დაბანეთ თოჯინები ან გარეცხეთ ჭურჭელი სპეციალურ წყლის მაგიდაზე
- გარეცხეთ ჯგუფის სკამები და მაგიდები (პასუხისმგებლობა, გუნდური მუშაობა)
- შეღებეთ გარე ფასადები; გამოიყენეთ მოლბერტის ან „კრაფტ-ქაღალდი" შენობაზე ან ღობეზე
- ყურადღებით დააკვირდით ყინულის კუბებს დნობისას (გააკეთეთ პროგნოზი)
- შეარჩიეთ ხე და რეგულარულად შეამოწმეთ ყველა სეზონზე
- ბუნების მაძიებლები (nature scavenger hunt): შეაგროვეთ ფოთლები (სხვადასხვა ფერის, ფორმის) და კაკლები, ქვები და ბუმბული (სენსორული კვლევა, დახარისხება და კატეგორიზაცია)
- დათვალეთ და მოახდინეთ გამვლელი სატვირთო მანქანების კატეგორიზაცია (რამდენი იყო ცემენტის მანქანა? ნაგვის მანქანა? ევაკუატორი?) (დაითვალეთ და გააცნობიერეთ რაოდენობები, დახარისხება და კატეგორიზაცია)

- ფაქტურის გადმოწერა ფანქრებით; გამოიყენეთ ქაღალდი, ტროტუარი, ცემენტი, ღობე, კედელი, სასრიალო და ა.შ.
- შექმენით მართვის მოწმობის ბიურო ველოსიპედის ყველა მძღოლისთვის; გყავდეთ „პოლიციელები“, რომლებიც შემოიღებენ მოძრაობის წესებს და გასცემენ ბილეთებს (თვითრეგულირება როლური თამაშის, საუბრის დროს, ლექსიკის განვითარება)
- ჩაატარეთ დაბრკოლებების გადალახვის „კურსი“: აძვერით სასრიალოზე და ჩამოსრიალდით, მიირბინეთ ქვიშის მოედანთან, შემოუარეთ, გადაახტით თოკს და ჩამეხუტეთ (მოსმენა და მითითებების შესრულება)
- დააჯგუფეთ სახელები: წითელი შუქი, მწვანე შუქი; იხვი-ბატი; დედა, შეიძლება?
- მოაწყვეთ ესტაფეტა; დაამატეთ ვარიანტები, მაგალითად, სირბილი, ხტომა, სეირნობა სხვადასხვა ცხოველების მსგავსად
- დაჭერობანას და გორგოლაჭებით თამაში
- მოაწყვეთ პიკნიკი - ჭამეთ გარეთ.

შესაძლებლობები უსაზღვროა, ხომ ასეა? ზემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობა, მასალები და აქტივობები დამატებით არის უზრუნველყოფილი ჩვენი გარე ტერიტორიის ძირითადი მოწყობილობის გარდა.

სასწავლო მიზნების და აკადემიური ცოდნის საფუძვლების ჩართვა მასწავლებლის მიერ მართულ ჯგუფურ აქტივობებში

დიდი და პატარა ჯგუფური აქტივობების დროს ბავშვები, როგორც წესი, მონაწილეობენ ჯგუფურ აქტივობაში, რომელსაც ირჩევს და წარმართავს მასწავლებელი. მასწავლებლებს ხშირად უადვილდებათ სასწავლო მიზნების განსაზღვრა ჯგუფური აქტივობებისთვის და ამავე დროს გრძნობენ, რომ უკეთესად ასწავლიან მითითებების მიცემით და ხელმძღვანელობით. თუმცა სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემთხვევაში სწავლების ეს დრო შეზღუდული უნდა იყოს და ბავშვებს შეეთავაზოთ ბევრ სხვა შესაძლებლობასთან ერთად, რათა მასწავლებლების დახმარებით, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ხელმძღვანელები და ხელშემწყობები, გაერკვნენ თავიანთ ინტერესებში. მე-6 თავი მეტ ინფორმაციას იძლევა ხარისხიანი დიდი და პატარა ჯგუფების მუშაობის დაგეგმვის შესახებ და მათ დაბალანსებაზე ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებთან. ახლა კი მოდით, განვიხილოთ, როგორ შეიძლება მათში ჩავრთოთ სასწავლო მიზნები.

დიდი ჯგუფების მუშაობა

დიდი ჯგუფების მუშაობის დროს ბავშვები ხშირად სხდებიან იატაკზე წრიულად. მასწავლებლების უმეტესობას აქტივობებში რამდენიმე ისეთი ყოველდღიური რიტუალი შეაქვს, რომელიც მოიცავს ბავშვების ერთად შეგროვებას მოძრაობის თამაშების და

სიმღერების მეშვეობით, რაც ეხმარება მათ დამშვიდებასა და მოსასმენად მომზადებაში, ასევე აძლევს მათ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე დღის შესახებ განხილვებში. აქ მოცემულია სასწავლო მიზნები, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია ამ რიტუალების მეშვეობით:

- მასწავლებლების მოსმენა და მათი მითითებების შესრულება
- სხვებთან ურთიერთობის დამყარება (გუნდურობის მიღწევა, რიგის დაცვა)
- აკუსტიკა/ხმების ცნობა (როგორიცაა რითმული სიმღერები)
- დათვლა და რაოდენობა (როგორიცააბავშვების გადათვლა დასწრების გადამოწმების მიზნით)
- წონასწორობის და კოორდინაციის გამოყენება (მოძრაობის აქტივობები)

მოცემული ფორმის მეორე გვერდზე მასწავლებლები წერენ მინიმუმ ერთ სასწავლო მიზანს დიდი ჯგუფების მუშაობისთვის. დიდი ჯგუფური აქტივობის რიტუალები ზოგჯერ შეიძლება იყოს ის, რაც გათვალისწინებულია იმ მომენტისთვის. შემდეგ მასწავლებელი დაწერს ზემოთ მოცემულ გეგმაში ჩამოთვლილი მიზნებიდან ერთ-ერთს. სხვა დღეებში კი მასწავლებელმა შეიძლება წაიკითხოს ისტორია, წარმართოს დისკუსია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ან აჩვენოს რამე. ბავშვებმა უნდა უსმინონ, დაიცვან რიგი, მონაწილეობა მიიღონ ხელის აწევით და დაელოდონ ვიდრე ნებას არ დართავენ, რომ გააკეთონ კომენტარები ან დასვან შეკითხვები. ზემოხსენებული რიტუალების დროს განხილული ნებისმიერი სასწავლო მიზნის წერის ნაცვლად მასწავლებელი განსაზღვრავს ერთს, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ აქტივობასთან. აქ მოცემულია სასწავლო მიზნები, რომლებიც შესაძლოა განიხილონ ისტორიის წაკითხვის დროს, მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარებისას, ახალი თამაშის დემონსტრირებისას ან ბოლოდროინდელი ექსკურსიის ჯგუფური აღწერისას:

- მოსმენა და საუბარი
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- წაკითხულის გააზრება და წიგნების და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა (როცა უსმენ ისტორიას)
- დაკვირვება და წინასწარგანჭვრეტა (როცა უყურებ მეცნიერების დემონსტრირებას)
- თვითრეგულირების გამომუშავება
- სიახლეების მიმართ ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება
- წერის პროცესის გაცნობიერება (როცა წერ ექსკურსიის ჯგუფურ აღწერას)
- მათემატიკის მიზნები, როგორიცაა დათვლა, რაოდენობა, რიცხვის და ფორმის ცნობა, დახარისხება ან გაზომვა (მათემატიკის თამაშის დემონსტრირებისას)

დიდი ჯგუფის მუშაობის დროს არსებობს სასწავლო მიზნების უამრავი შესაძლებლობა, ხომ ასეა? და კვლავ, ყველაზე მნიშვნელოვანია მასწავლებლებს ახსოვდეთ, რომ დიდი ჯგუფის მუშაობის დრო არ არის ლექციის დროის ეკვივალენტური. ბავშვების ინტერესსა და ჩართულობაზე ყურადღების გამახვილება

აუცილებელია; ისინი ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებენ, თუკი მოიწყენენ და შეწუხდებიან იმის გამო, რომ აქტიურად ვერ გაატარეს დღის უდიდესი ნაწილი. და კვლავ, მე-6 თავი დიდი ჯგუფის მუშაობის დროის ხარისხიანი დაგეგმვისთვის მეტ იდეებს იძლევა.

მცირე ჯგუფის მუშაობა

ბევრი მასწავლებელი გეგმავს ბავშვებთან მუშაობას მცირე ჯგუფებში, რათა რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაუთმონ თითოეულ ბავშვს, კარგად დააკვირდნენ და ჩაინიშნონ მათი შესაძლებლობებისა და პრობლემების შესახებ. პატარა ჯგუფში, როგორც წესი, იმყოფება ერთი მასწავლებელი და ექვსიდან რვამდე ბავშვი. ისინი სხდებიან მაგიდასთან ან იკრიბებიან პატარა ადგილას იატაკზე. დიდი ჯგუფების მსგავსად მასწავლებელზე კეთდება მთავარი აქცენტი. ის განსაზღვრავს აქტივობას და იმედოვნებს, რომ ბავშვები მოისმენენ მის მითითებებს და მონაწილეობას მიიღებენ თანატოლებთან ერთად. პატარა ჯგუფური მუშაობის დრო ხშირად გულისხმობს პრაქტიკულ აქტივობებს. დიდი ჯგუფის მუშაობისგან განსხვავებით, ნაკლები დრო შეიძლება დაიხარჯოს მშვიდად მოსმენაზე ან საკუთარი რიგის ლოდინზე, რაც საშუალებას აძლევს ზოგიერთ ბავშვს თავი გამოიჩინოს ჯგუფური მუშაობის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს მივცეთ რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა მაქსიმალური წარმატებისთვის.

პატარა ჯგუფის მუშაობის მიზნის ნათლად განსაზღვრა და დროის ლიმიტების დაწესება უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვებმა მიიღონ გამოცდილება უბრალოდ დროის გატარების ნაცვლად. თუკი გათვალისწინებულია კონკრეტული პროექტი, ისეთი როგორიცაა ექსპერიმენტი ან საჭმლის მომზადება, პატარა ჯგუფის აქტივობა გაგრძელდება პროექტის დასრულებამდე. თუკი აქტივობა გულისხმობს მუშაობას კონკრეტული უნარების გამოყენებით, მასწავლებელი შეიძლება სენსიტიური იყოს იმის მიმართ, რამდენ ხანს დარჩებიან ბავშვები დაინტერესებულები და აქტიურად ჩართულები.

დაიმახსოვრეთ, თუკი მცირე ჯგუფის მუშაობას იწყებთ მაშინ, როცა ბავშვები ჩართულნი არიან სათამაშო სივრცეებში, ეს მათთვის უნდა იყოს არჩევანი და არა მოთხოვნა. მასწავლებელმა შეიძლება დახმარების შეთავაზება ან მითითების მიცემა გადაწყვიტოს, ბავშვებისთვის, რომლებიც მაგიდის თამაშით არიან დაკავებულები ან მუშაობენ ფაზლებთან და სამანიპულაციო სივრცეში, ერთვებიან სენსორულ კვლევაში ქვიშით ან წყლით, ან ერთობიან დრამატული თამაშის სივრცეში. მე-6 თავში მეტ იდეას გაგიზიარებთ პატარა ჯგუფის ეფექტიანი დაგეგმვის თაობაზე. ამჟამად, მოდით, უფრო ყურადღებით შევხედოთ სასწავლო მიზნების განხილვას პატარა ჯგუფის მუშაობის დროს.

მოცემული ფორმის მეორე გვერდზე არის ველი, სადაც ჩამოთვლილია მასწავლებლის მიერ მართული პატარა ჯგუფის აქტივობები. იმის მიუხედავად, რა კონკრეტული ფოკუსი ან აქტივობაა დაგეგმილი, რამდენიმე სასწავლო მიზანი ჩართულია ბავშვების პატარა ჯგუფის მუშაობაში. ეს მოიცავს შემდეგს:

- მოსმენას და საუბარს

- სხვებთან ურთიერთობის დამყარებას
- მასწავლებლების მითითებების შესრულებას
- ემოციების სათანადოდ გამოხატვას
- თვითრეგულირების გამომუშავებას
- სიახლეების მიმართ ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვას
- ინიციატივის გამოჩენას
- არსებული პრობლემების მოგვარებას

მასწავლებელს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან ნებისმიერის შეტანა შეუძლია პატარა ჯგუფების მუშაობაში. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ის აქტივობის დაგეგმვისას აქცენტს ერთ ან ორ კონკრეტულ სასწავლო მიზანზე გააკეთებს, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურასთან, მათემატიკასთან, მეცნიერებასთან ან ნატიფი მოტორული უნარის განვითარებასთან. შემდეგ კი ბავშვებთან პატარა ჯგუფური აქტივობისთვის დაგეგმავს ამ კონკრეტულ სასწავლო მიზანზე მუშაობის საინტერესო და მიმზიდველ გზებს. მაგალითად, თუკი სასწავლო მიზანი გულისხმობს ბავშვების ვარჯიშს დახარისხებისა და კლასიფიკაციის მათემატიკურ უნარში, მასწავლებელს შესაძლოა სურდეს მიაწოდოს სხვადასხვა მცირე მანიპულატივები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს დახარისხებისა და კლასიფიკაციის უნარის სხვადასხვა გზით დემონსტრირებაში. საამისოდ შეიძლება გამოიყენოს ფერადი ფილები ფერად ფირფიტებზე, მძივების ძაფზე ასხმა, ბოთლის თავსახურები და ღილები. გეგმაში შეტანილი სასწავლო მიზანი იქნება „სხვადასხვა საგნების დახარისხება და კლასიფიკაცია რამდენიმე გზით“. სხვადასხვა მასალების მიწოდება უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესის შენარჩუნებას პატარა ჯგუფური აქტივობის დროს. ეს ეხმარება ბავშვების ყურადღების კონცენტრირებას და აძლევს მათ შესაძლებლობას უფრო სრულყოფილად იმუშაონ იდეის გარშემო. პროცესში მასწავლებელი იღებს მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ესმის თითოეულ ბავშვს მოცემული იდეა.

აქ მოცემულია რამდენიმე მოსაზრება პატარა ჯგუფის აქტივობასთან დაკავშირებით, რომელიც საინტერესო და მიმზიდველია ბავშვებისთვის (უფრო მეტ ინფორმაციას მოგაწვდით მე-6 თავში). შესაძლებელია, რომ თითოეულისთვის განისაზღვროს სასწავლო მიზნები.

ისტორიის წაკითხვა

ისტორიის წაკითხვა პატარა ჯგუფის აქტივობის დროს ეხმარება მასწავლებელს შეაფასოს, უსმენს თუ არა თითოეული ბავშვი და მიჰყვება თუ არა მონათხრობს. შესაძლებელია მეტი შეკითხვისა და კომენტარის გაზიარება იმისათვის, რომ კითხვის გამოცდილება მართლაც ინტერაქტიული იყოს. წიგნის რამდენიმე ნიმუშის არსებობა ეხმარება ბავშვებს გადაიკითხონ იგი, წაკითხული თავიანთი სიტყვებით გადმოსცენ, შეხედონ სურათებს, გააკეთონ პროგნოზი და ამოიცნონ მსგავსი სიტყვები და განმარტონ სხვები. შეგიძლიათ უფრო გაართულოთ გამოცდილება და მოიხმოთ ბავშვები, რათა იმოქმედონ მოსმენილი ისტორიიდან გამომდინარე, დაუთმოთ მეტი ყურადღება მოვლენების თანმიმდევრობას ან გარკვეულწილად შეცვალოთ შედეგი. სასწავლო

მიზნები შესაძლოა შეიცავდეს მოსმენას, საუბარს, ლექსიკის განვითარებას, წაკითხულის გააზრებას, ბგერების ცნობას და მიზანსწრაფვას.

წერა და ხატვა

ბავშვების მოხმობა საწერად და სახატავად პატარა ჯგუფების მუშაობის დროს, ეხმარება მასწავლებელს უკეთ გააცნობიეროს, თუ როგორ უვითარდება თითოეულ ბავშვს წიგნიერებისა და ნატიფი მოტორული უნარები. ბავშვების წახალისება, ისაუბრონ თავიანთი ნახატების შესახებ და მათი დახმარება სიტყვების სწორად დაწერაში, ასევე შესაბამისი მართლწერის დაცვაში, ხელს შეუწყობს შემდგომში მათ ჩართულობას. შემდეგ შეგიძლიათ შესთავაზოთ ბავშვებს, ერთმანეთს გაუზიაროთ თავიანთი ნაწერები, ეს მათ აძლევს აუდიტორიას და უფრო მეტ მიზანდასახულობას დავალების შესასრულებლად.

მიზნები შესაძლოა შეიცავდეს მოსმენას, საუბარს, ლექსიკის განვითარებას, წაკითხულის გააზრებას, ბგერების ცნობას, მიზანსწრაფვას და წერის ინსტრუმენტების ფლობას და კონტროლს.

„საყიდლებზე“ წასვლა ოთახში ციფრების ბარათების მეშვეობით

საგნების დათვლაში ბავშვების ჩართვის მხიარული გზა არის მათთვის ჯგუფში „საყიდლებზე“ წასვლის შეთავაზება. თითოეული ბავშვი პატარა ჯგუფური აქტივობის დროს იღებს ბარათს, რომელზეც აღნიშნულია ციფრი (წარმოდგენილია რიცხვები, სადამდეც მათ შეუძლიათ დათვლა) და სურსათის ჩანთას, კალათას ან ურიკას. მათ ეძლევათ ინსტრუქცია საყიდლებზე წასავლელად და ჯგუფში დასაბრუნებლად, რათა წარმოადგინონ, რა იყიდეს. დავალების გასართულებლად ბავშვებს შეგიძლიათ სთხოვოთ ყველა ნაყიდი ნივთი ქაღალდზე დახატვის მეშვეობით აღწერონ. სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს მოსმენას, საუბარს, დათვლის და რაოდენობის ცოდნას, მათემატიკური პრობლემის მოგვარებას, მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენას და წერის ინსტრუმენტის ფლობას და კონტროლს.

დასკვნა

სასწავლო მიზნებზე ყურადღების გამახვილებას გააჩნია უსაზღვრო პოტენციალი სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებულ დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ისინი გეგმავენ სასწავლო მიზნებს სათამაშო სივრცეებში, ყოველდღიური საქმიანობებისა და დიდი და პატარა ჯგუფის აქტივობების დროს. ისინი აღნიშნავენ მათ მოცემულ ფორმაზე და ატყობინებენ სხვებს ამის თაობაზე. სასწავლო მიზნები მაგიურად არ იბადება. მასწავლებელი მიზანმიმართულად მუშაობას განსხვავებებზე.

მომდევნო თავში დეტალურად განვიხილავთ მასწავლებლების მიზნობრიობას ბავშვების თამაშის დროს. ჩვენ გავაანალიზებთ ბევრ გზას, რომლის საშუალებითაც

სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ ბავშვების მდიდარი თამაშით გამოცდილებები, დაჯილდოება და სრულყოფილი სწავლება.

.....

გარდამავალი პერიოდების დროს გამოყენებული სიმღერები, მღერით ლაპარაკი და ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით

მოხმობა და გაშვება

სიმღერა: ***ვილობი, ვალაბი, ვუ***

ვილობი, ვალაბი, ვი, ზედ დამაჯდა სპილო!

ვილობი, ვალაბი, ვუ, ახლა შენ გაზის!

ვილობი, ვალაბი, ვ_____, (ჩაანაცვლეთ ბავშვის სახელით, რომელიც *ვ*-ზე იწყება)

სპილო აზის _____ (ბავშვის სახელი).

სიმღერა: ***ჰიკლეტი, პიკლეტი, ფუტკარი***

ჰიკლეტი, პიკლეტი, ფუტკარი, ვის შეუძლია მითხრას სახელი?

_____ (ბავშვი ამბობს სახელს)!

ტაშით!_____ (ბავშვის სახელი)!

ხმამაღლა!_____(ბავშვის სახელი)!

ჩურჩულით!_____(ბავშვის სახელი)!

სიმღერა: ***თუ გაცვია წითელი***

თუ გაცვია წითელი, ჩქარა ადექი!

თუ გაცვია წითელი, ჩქარა ადექი!

(ან დაიბანე ხელი, ან აირჩიე ცენტრი! და.ა.შ)

……..

თავი 4 მაღალი დონის თამაშის დაგეგმვა და განხორციელება სკოლამდელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში

საინტერესოა იყო ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგი, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ თამაში მნიშვნელოვანია. სხვადასხვა სფეროს პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს პოზიციის გამომხატველი დოკუმენტები, სადაც აღნიშნულია თამაშის მნიშვნელობა ბავშვების ცხოვრებაში. ახალი კვლევა კი აჩვენებს კავშირს თამაშსა და სწავლას შორის. *განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* მესამე გამოცემა, რომელიც გამოსცა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ეროვნულმა ასოციაციამ, მიუთითებს ასეთ კვლევაზე. ქვემოთ მოხმობილ ციტატებში აღწერილმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების მონაწილეობა საინტერესო და მიმზიდველ თამაშით გამოცდილებებში პირდაპირ კავშირშია მოგვიანებით აკადემიურ მიღწევასთან (Copple and Bredekamp 2009, 131 - 132):

> ბავშვებთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ მთელ მსოფლიოში ... აჩვენა, რომ როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა გამოცდილებები ოთხი წლის ასაკში მოიცავს ბავშვის მიერ ინიცირებულ, უამრავ თავისუფალი არჩევანის აქტივობას, რომელთა განხორციელებასაც ხელს უწყობს სხვადასხვა აღჭურვილობები, მასალები და გარემო, რომელიც ხელს უწყობს თამაშს - ამ ბავშვებს შვიდი წლის ასაკში ჰქონდათ უკეთესი შემეცნებითი (და ენობრივი) შესაძლებლობები ვიდრე მათ თანატოლებს (Montie, Xiang, & Schweinhart 2006).

სხვა კვლევის თანახმად, იმიტირებული თამაში აძლიერებს თამაშის შემეცნებით შესაძლებლობებს მუდმივი ყურადღების, მეხსიერების, ლოგიკური დასაბუთების, ენის და წიგნიერების უნარის, წარმოსახვის, შემოქმედებითობის, ემოციების გაცნობიერების და საკუთარი აზროვნების რეფლექსიის უნარის, იმპულსების დათრგუნვის, ქცევის კონტროლის და სხვა ადამიანის პერსპექტივასთან გამკვლავების ჩათვლით (Kavanaugh & Engel 1998; Bergen & Mauer 2000; Elias & Berk 2002; Lindsey & Cowell 2003; Ruff & Capozzoli 2003; Berk 2006b).

თამაშის მნიშვნელობის სერიოზული საფუძველი

ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგები არ არიან მხოლოდ ისინი, ვინც აქცენტს აკეთებენ მაღალი ხარისხის თამაშით გამოცდილებების მნიშვნელობაზე ბავშვებისთვის. ექსპერტებმა სხვადასხვა სფეროდან გამოაქვეყნეს განცხადებები და გასცეს რეკომენდაციები თამაშის მნიშვნელობის შესახებ ბავშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის. მე აქვე გაგიზიარებთ ამ ციტატებს, რათა შეიტყოთ, თუ როგორ

მხარდაჭერას უცხადებენ თამაშს და შეძლოთ ამ ინფორმაციის გამოყენება, რათა აუხსნათ სხვებს, თუ რატომ ჩართეთ თამაში თქვენს სკოლამდელი თუ წინასასკოლო დაწესებულების კურიკულუმში.

> თეორეტიკოსები .... ვარაუდობენ, რომ თამაშის არარსებობა აფერხებს ჯანმრთელი და შემოქმედებითი ადამიანების განვითარებას. ფსიქოანალიტიკოსებს სჯერათ, რომ თამაში აუცილებელია ემოციური ტრავმების ან აშლილობების დასაძლევად; ფსიქოანალიტიკოსებს სჯერათ, რომ ის აუცილებელია ეგოს სიძლიერისა და სწავლისათვის, რათა იცხოვრო ყოველდღიური გამოცდილებებით; კონსტრუქტივისტებს სჯერათ, რომ ის აუცილებელია შემეცნებითი ზრდისთვის; მომწიფების თეორიის წარმომადგენლების აზრით კი, ის აუცილებელია კომპეტენციების დასაუფლებლად და აქვს სოციალიზაციის ფუნქცია მსოფლიოს ყველა კულტურაში; ხოლო ნეირომეცნიერებს სჯერათ, რომ ის აუცილებელია ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის, მოტივაციისა და სწავლისადმი სიყვარულისთვის (Isenberg and Quisenberry 2002, 33).

ამერიკის პედიატრების აკადემიამ თავის კლინიკურ ანგარიშში თამაშის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2007 წელს, განაცხადა: „თამაშს გააჩნია არსებითი მნიშვნელობა განვითარებისთვის, რადგან ის ხელს უწყობს ბავშვების შემეცნებით, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობას“ (Ginsburg 2007, 182). ისინი განსაზღვრავენ სხვადასხვა ფაქტორს, რამაც შეამცირა ბავშვების შესაძლებლობები, ჩართულიყვნენ მათ მიერვე ინიცირებულ თამაშში. ანგარიშში გადმოცემულია შეშფოთება თამაშის შემცირების მიზეზებთან დაკავშირებით - ზედმეტად დაგეგმილი და ნაჩქარევი ოჯახური ცხოვრების სტილი და გაუმართლებლად გადაჭარბებული აქცენტი აკადემიურ ასპექტებზე ბავშვების ადრეულ ასაკში.

> პასიური გართობისგან განსხვავებით, თამაში აყალიბებს აქტიურ, ჯანმრთელ სხეულს. ფაქტობრივად, შეთავაზებული იქნა, რომ თამაში შეიძლება იყოს განსაკუთრებული გზა ფიზიკური აქტივობის დონის გასაზრდელად ბავშვებში, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას სიმსუქნის ეპიდემიის მოსაგვარებლად. ალბათ ყველა ზემოხსენებული თამაში უბრალო გართობაა, რომელიც არის ბავშვობის სანუკვარი ნაწილი (Ginsburg 2007, 183).

ფსიქიატრებმა და ფსიქოლოგებმა შეშფოთება გამოთქვეს ბავშვებში სტრესისა და შფოთვის დონის ზრდასთან დაკავშირებით. ისინი ამბობენ, რომ „თავისუფალი თამაშის შეზღუდვამ ბავშვებში შესაძლოა გამოიწვიოს მაღალი შფოთვის მქონე, უბედური და სოციალურად გამოუსადაგარი მოზარდების თაობის ჩამოყალიბება“ (Wenner 2009, 24). უფრო მეტიც, USA Today-ს პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღინიშნა, რომ მოზარდებში შეინიშნება ძალადობრივი ქცევის სერიოზული მატება. ზოგიერთი ფსიქოლოგი შეშფოთებულია, რომ ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს „ნაკლები დროის დათმობა თამაშისთვის წინასასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში“, სადაც ბავშვები სხვა ბავშვებთან ურთიერთობას თამაშით გამოცდილებების მეშვეობით (Hampson 2010) სწავლობენ.

ევოლუციური ბიოლოგიის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თამაში აუცილებელია, რათა ისწავლო როგორ გაუმკლავდე მოულოდნელობებს. მაგალითად, „თამაში ხელს უწყობს მოქნილობას და კრეატიულობას, რომელიც შესაძლოა მომავალში იყოს ხელსაყრელი მოულოდნელ სიტუაციებში ან ახალ გარემოში ..... ცხოველები, რომლებიც არ არიან ფხიზლად, იმყოფებიან მტაცებლების მხრიდან თავდასხმის რისკის ქვეშ“ (Wenner 2009, 29).

თავის ანგარიშში, „კრიზისი წინასასკოლო განათლებაში: *რატომ სჭირდებათ ბავშვებს თამაში სკოლაში“,* ბავშვობის ალიანსმა (Alliance for Childhood) გამოსცა განცხადება, სადაც თამაში დაკავშირებულია დემოკრატიულ მოქალაქეობასთან:

ჩვენ გვჯერა, რომ თამაშის ჩახშობას მოჰყვება სავალალო შედეგები - არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ ჩვენი ერის მომავლისთვის .... არცერთ ადამიანს არ შეუძლია მიაღწიოს თავის სრულ პოტენციალს, თუკი მათ შემოქმედებითობას შეაფერხებენ ბავშვობაში. და ვერცერთი ერი ვერ აყვავდება 21-ე საუკუნეში შემოქმედებითი და ინოვაციური სამუშაო ძალის გარეშე. ვერც დემოკრატია გადარჩება მოქალაქეების გარეშე, რომლებსაც შეუძლიათ ჩამოაყალიბონ თავიანთი დამოუკიდებელი მოსაზრებები და იმოქმედონ ამ მოსაზრებების თანახმად (Miller and Almon 2009, 8, 59).

სოციალური უნარები, რომელსაც ბავშვები ივითარებენ, როცა ცდილობენ ჯანსაღი თამაშის შენარჩუნებას სხვებთან, მართლაც აყალიბებს მათ მოქალაქეობრივ უნარს. ისინი იმუშავებენ პრობლემის გადაჭრაზე და კომპრომისზე, რადგან თამაში თავისთავად არის სიჯანსაღე.

სწავლის შესანიშნავი ციკლი განპირობებულია თამაშის სიამოვნებით. ბავშვი არის ცნობისმოყვარე; ის იკვლევს და აღმოაჩენს. აღმოჩენას მოაქვს სიამოვნება; სიამოვნებას მოაქვს განმეორება და პრაქტიკა. პრაქტიკას მოაქვს ოსტატობა, ოსტატობას მოაქვს სიამოვნება და თავდაჯერებულობა, რათა კიდევ ერთხელ იმოქმედო ცნობისმოყვარეობით. ყველანაირ სწავლებას - ემოციურს, სოციალურს, მოტორულს და შემეცნებითს - აჩქარებს და აადვილებს განმეორება, რომელიც იკვებება თამაშის სიამოვნებით (Perry, Hogan and Marlin 2000).

სტუარტ ბრაუნი აკავშირებს თამაშს, ინოვაციას და კორპორაციულ მომგებიანობას: „თამაშის გენია იმაშია, რომ თამაშის დროს ჩვენ ვქმნით წარმოსახვით ახალ შემეცნებით კომბინაციებს. და ამ ახალი კომბინაციების შექმნისას ჩვენ აღმოვაჩენთ რა არის წარმატებული“ (2009, 37). ის გადის კონსულტაციებს წარმატებულ კომპანიებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Fortune 500), ეხმარება მათ შეიტანონ სილაღე და სიხალისე სამუშაო პროცესში. ბრაუნი ამბობს, რომ „ის ერები გამოირჩევიან ეკონომიკურად სიძლიერით, რომლებიც ქმნიან ინტელექტუალურ საკუთრებას. ინოვაციის შესაძლებლობა კი გამომდინარეობს თამაშის შესაძლებლობიდან“ (200). ის ასკვნის:

> თამაში არის ის, თუ როგორ ვართ შექმნილები, როგორ ვვითარდებით და როგორ ვერგებით ცვლილებას. მას შეუძლია ინოვაციის სტიმულირება და ჩვენთვის მრავალმილიარდ დოლარიანი მოგების მოტანა. მაგრამ საბოლოოდ თამაშის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ თამაში გვაძლევს საშუალებას,

გამოვხატოთ ჩვენი სიხარული და დავამყაროთ სიღრმისეული კავშირი იმასთან, რაც არის საუკეთესო ჩვენში და სხვებში (218).

თამაში სკოლამდელ და წინასასკოლო კურიკულუმში

უკანასკნელ წლებში ბევრი მასწავლებელი აღნიშნავს ხალისის ნაკლებობას თავიანთ ჯგუფებში. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების ზოგიერთმა მასწავლებელმა განიცადა ზეწოლა, რათა შეემცირებინა თამაშისთვის გამოყოფილი დრო თავის პროგრამებში და შეეცვალა ეს დრო უფრო ფორმალური ინსტრუქციით. ამის შემდეგ მათ გაუჭირდათ ბავშვების დაინტერესება და ჩართვა სწავლებაში. წარმოიშვა უფრო მეტი ქცევითი პრობლემა და მასწავლებლებს ძალიან ხშირად, ვიდრე ოდესმე, ესმით ბავშვებისაგან ფრაზა „მოვიწყინე“. ამ მასწავლებლებს ენატრებათ ის მაღალი მოტივაცია, რომელსაც ბავშვები თამაშის დროს ამჟღავნებენ. მათ იციან, რომ ბავშვები მეტ ხალისსა და სარგებელს განიცდიან, როცა თამაშით გამოცდილებები არის მდიდარი და საინტერესო.

ისინი ასევე აცნობიერებენ, რომ ყველა ბავშვის თამაში არ არის ნაყოფიერი. ზოგჯერ ენერგიის დონე სცდება კონტროლის ფარგლებს და წარმოიქმნება უსაფრთხოების პრობლემები. უფროსები არიან მნიშვნელოვანი მეგზურები ბავშვების თამაშის დროს. ისინი ეხმარებიან, რომ თამაშით გამოცდილება მდიდარი, საინტერესო და სასარგებლო იყოს ბავშვების განვითარებისთვის და ხელი შეუწყოს მათ სწავლაში. ამას სჭირდება დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია ისეთი კვლევის ჩატარება, რომელიც დააკავშირებს სწავლებას და თამაშს და ამის მკაფიოდ ასახვა ჩვენი კურიკულუმის პრაქტიკაში. როგორც წინა თავში იქნა ნაჩვენები, სასწავლო მიზნების დაწერა სათამაშო სივრცეებისათვის სხვებს ეხმარება იმის დანახვაში, რომ შესაძლებელია სწავლების ჩართვა თამაშში. მასწავლებლის სტრატეგიების ნათლად განსაზღვრა თამაშის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ეხმარება თამაშსა და სწავლას შორის კავშირის შენარჩუნებას. ამ თავში განვიხილავთ სამ გზას, რომელთა საშუალებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ და შეინარჩუნონ მაღალი დონის თამაში თავიანთ ჯგუფებში. მათ შეუძლიათ:

- მოაწყონ გარემო თამაშისთვის და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ
- მისცენ საკმარისი დრო მაღალი დონის თამაშის განვითარებისთვის
- იმოქმედონ როგორც ხელშემწყობებმა.

გარემოს მოწყობა თამაშისთვის

ჩვენ უკვე განვიხილეთ კარგად ორგანიზებული გარემოს მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს უამრავ მდიდარ შესაძლებლობას ბავშვების კვლევისა და თამაშისთვის. რადგან ის კარგად ორგანიზებულია, ბავშვებს ექმნებათ ნათელი წარმოდგენა, თუ სად შეიძლება იპოვონ მასალები (და სად უნდა მოათავსონ) და როგორ გამოიყენონ ისინი. გარემო წარმოგიდგენთ სტრუქტურას.

ჯგუფში თითოეული სასწავლო ზონა გამორჩეულად არის მოწყობილი, როგორც ცალკეული სივრცე. თაროები და მაგიდები ეხმარება ამ სივრცის ერთმანეთისგან გამიჯვნას. კალათები, კონტეინერები და აბაზანები ხელს უწყობს სხვადასხვა მასალების ორგანიზებას. თაროები მონიშნულია ფოტოებით, სურათებით და/ან სიტყვებით. ამგვარად ბავშვებს ექმნებათ ნათელი წარმოდგენა წესრიგის შესახებ. რადგან ბავშვები იყენებენ მასალებს და მათ უკან თავისით დებენ, ისინი ინვითარებენ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობის გრძნობას.

სიუ: „მე მომწონს თამაშის დაგეგმვის იდეა, არა მხოლოდ მასალების დაგეგმვის, არამედ შეკითხვების, გამოწვევების ან მასალების გამოყენების ახალი გზების დაგეგმვა, რაც დაეხმარება თამაშის დონის ამაღლებას.“

მასწავლებლებმა იციან, რომ ოთახის მოწყობამ და მასალების პრეზენტაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ბავშვების ქცევაზე. ისინი ითვალისწინებენ მოძრაობის ნაკადს და ხმაურის დონეებს. თუკი ბავშვებს მუშაობაში მუდმივად ეშლებათ ხელი სხვა ბავშვების გადაადგილებისას, ისინი იმედგაცრუებულები რჩებიან და შესაძლოა ამან კონფლიქტიც წარმოშვას. თუმცა თუკი მოძრაობის ნაკადი ჯგუფის ორგანიზებაზე იმგვარად არის მიმართული, რომ თაროებმა და მაგიდებმა დაბლოკოს სარბენი ბილიკი და დაიცვას სივრცეები კუბების აშენების ან დრამატული თამაშის დროს, ისინი გრძნობენ, რომ მათი სამუშაო მნიშვნელოვანი და დაცულია. ავეჯის მოწყობა და თაროები მიმართავს ბავშვებს მასალების პროდუქტიული გამოყენებისკენ კონკრეტულ ადგილას. ხმაურის დონეები იმგვარად არის გათვალისწინებული, რომ მასალები, რომლებიც მიმართულია ფიზიკური და ვერბალური ჩართულობისკენ, მოთავსებულია ერთმანეთის გვერდით. მასალები, რომლებიც მიმართულია უფრო წყნარი გამოყენებისკენ, ასევე დაჯგუფებულია ერთად.

განიხილეთ ჯგუფის მოწყობა მომდევნო გვერდზე მოცემულ დიაგრამაზე. როგორ მიგაჩნიათ, გამოიყენება თუ არა აქ ორგანიზაციის სტრატეგიები? ხედავთ თუ არა რაიმე სახის პოტენციურ პრობლემას მოძრაობის ნაკადთან დაკავშირებით? როგორ გადააწყობდით ამ ჯგუფს? ახლა დაფიქრდით საკუთარი ჯგუფის მოწყობის შესახებ და დაუსვით საკუთარ თავს იგივე კითხვა.

თითოეული მასწავლებლის ჯგუფის სივრცე განსხვავდება ფართობით, ფანჯრების და კარებების წყობით, ელექტროსაშუალებების, პირსაბანების და მოსასვენებელი ოთახების ხელმისაწვდომობით. არცერთი ჯგუფის წყობა არ დაემთხვევა თქვენსას. თუმცა შესაძლებელია ძირითადი ოთახის ორგანიზება, რომელიც ეხმარება ბავშვებს იმოქმედონ მაქსიმალურად დამოუკიდებლად.

რობინი: „მე ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრებს წყლის წყაროსთან ახლოს ვაწყობ, რათა ადვილი იყოს მათი დალაგება/დასუფთავება.“

მასალები გარემოში

მასწავლებლების უმეტესობა ჯგუფის თითოეულ სივრცეს ძირითადი მასალების საშუალებით აწყობს. ეს ძირითადი მასალები ბავშვებისთვის უმეტესი დროის განმავლობაში ხელმისაწვდომია .


თეატრები
ხეობისკენ
თეატრები
დერეფნიდან
მასასხლეტი
კარი
საჭიდაო
სკამი
ჭოგვერი
შეხვედრების
სივრცე
ღობე
მოხმების
სკვერი
ფუძის
სკვერი
ხალიჩების
თეატრები
მთავარსარდლის თაობის
ადგილსამყოფელი
ბუკსურები
ბუკსურების
სივრცე
ბალიშების
მაღაზია
ბალიშების
სივრცე
ბალიშების
ტერასა
ბალიშების
ტერასა
ბალიშების
ტერასა

არ არის საჭირო მასალები შეიცვალოს ყოველდღიურად და ყოველკვირეულად. ფაქტობრივად, ძირითადი ნაკრები უცვლელი რჩება მთელი წლის განმავლობაში. დამატებითი მასალები შესაძლოა დაემატოს თამაშით გამოცდილებების გასართულებლად ან ბავშვებისთვის ახალი თამაშის შესაძლებლობების შესათავაზებლად. ყველა მასალა მიმზიდველად არის გამოფენილი და ორგანიზებული თაროებზე და კონტეინერებში, აბაზანაში ან კალათებში. აქ მოცემულია მასალების საბაზისო ჩამონათვალი საწყის ეტაპზე თითოეული იმ სივრცისთვის, რომელიც მოცემულია სკოლამდელი დაწესებულების დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის პირველ გვერდზე (და წინასასკოლო ჯგუფის ფორმის პირველ და მესამე გვერდებზე). შეგახსენებთ, რომ ამ ფორმების ხილვა შეგიძლიათ ამ წიგნის მე-2 თავში ან დანართში „ა“.

- კუბების სივრცე: ხის კუბები; მუყაოს კუბები; პატარა ფერადი კუბები; ცხოველების და ადამიანების გამოსახულებები; მსუბუქი და სატვირთო მანქანები და სხვა ავტოტრანსპორტი; მოძრაობის ნიშნები და სავალი ბილიკები
- დრამატული თამაშის სივრცე: სათამაშო სახლის აღჭურვილობა (მაგიდა და სკამები, სათამაშო მაცივარი, ღუმელი, კარადები და ნიჟარა სათამაშო ჭურჭლით, ქვაბებით, ტაფებით და ვერცხლის ნივთებით); სხვადასხვა თოჯინებით, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა რასას, საბავშვო საბნებით, ტანსაცმლით, ბავშვის საწოლით და ეტლით; მოსართავი ტანსაცმლით და ქუდებით
- სენსორული მაგიდა: მაგიდა აბაზანით (ან დიდი პლასტმასის აბაზანა იატაკზე), რომელთანაც ბავშვები მუშაობენ ქვიშით, წყლით ან სხვა მასალებით; ჭურჭელი, როგორიცაა ნიჩბები, ჩამჩები, საზომი ჭიქები, გრაფინები, წყლის ბორბლები და ა.შ.
- ხელოვნების სივრცე: სახატავი მოლბერტი (ან კედელზე გამოყოფილი ადგილი) ქაღალდის დიდი ფურცლებისთვის, რათა მიემაგროს იქ, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ხატონ ფუნჯებით და ტემპერით ან წყლის საღებავებით, ან შეუძლიათ დახატონ მარკერებით და ფანქრებით; სხვადასხვა სახის ქაღალდი, მაკრატელი, პასტა, წებოს ჯოხები, ფანქრები, მარკერები, ლენტები, მასალები (როგორიცაა ბუმბული, პომპონები, ბრჭყვიალები, ტოტები და ა.შ.), რომლიდანაც ბავშვებს შეუძლიათ თავად აირჩიონ, რას გამოიყენებენ თავიანთი ნამუშევრებისთვის
- სამანიპულაციო აქტივობების სივრცე: თაროებზე მოთავსებულია ურთერთდაკავშირებული მასალებით სავსე კონტეინერები და კალათები (მაგალითად, Lego-ს კუბები და ბუსუსებიანი/ეკლიანიკუბები, რომლებიც ერთმანეთს ეწებება) და ნივთები დახარისხებისა და კატეგორიზაციისთვის (მაგალითად, ფერადი დათვები, მანქანები, ცხოველების ფიგურები, ღილები, მძივები, გასაღებები და პატარა ფერადი კუბები); სხვადასხვა სირთულის და რაოდენობრივი შემადგენლობის ფაზლები
- ჯგუფისბიბლიოთეკის სივრცე: დასურათებული წიგნები; ფანტასტიკის ჟანრის და სამეცნიერო-პოპულარული წიგნები; ჯგუფური ფოტოალბომები (როგორიცაა „ჩვენი ოჯახები“, ან ჩვენი ბოლოდროინდელი ექსკურსიის ფოტოები); ფირზე ჩაწერილი წიგნების მოსმენა ყურსასმენებით

- წერის სივრცე: სხვადასხვა საწერი ინსტრუმენტები (ფანქრები, კალმები, მარკერები, სახატავი ფანქრები) და ფურცლები (ხაზიანი და უხაზო, საკანცელარიო ნივთები, ბარათები, ფორმები, ქვითრები); პერსონალური ბარათები (თითო ყველა ბავშვისთვის); დასურათებული ლექსიკონები; სიტყვების ჩამონათვალი.

არსებობს რამდენიმე შესანიშნავი რესურსი, რომელიც გასათვალისწინებელია გარემოს და მასალების ორგანიზებისას. აქ მოცემულია მისი მოკლე ჩამონათვალი:

შემოქმედებითი კურიკულუმი სკოლამდელი დაწესებულებისთვის, მეოთხე გამოცემა, მომზადებულია დაინი ტრისტერ დოჯის, ლაურა კოლკერის და კეიტ ჰერომანის მიერ.

შემოქმედებითი ინკლუზიური ჯგუფები, მომზადებულია ელენ რ. დენიელსის და კეი სტეფორდის მიერ.

<u>ბავშვების ცხოვრების ასახვა: სახელმძღვანელო ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვისთვის.</u> მომზადებულია დებ კურტის და მარჯი კარტერის მიერ.

ინკლუზიური ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფი სასწავლო ცენტრების ადაპტირების მარტივი გზები ყველა ბავშვისთვის, მომზადებულია პეტი გოულდის და ჯოისი სალივანის მიერ.

დიდი, როგორც ცხოვრება: ყოველდღიური ინკლუზიური კურიკულუმი, მომზადებულია სტეისი იორკის მიერ.

<u>ცხოვრებისა და სწავლის პროექტები: ადრეული ასაკის ბავშვთა გარემოს ტრანსფორმირება</u>, მომზადებულია დებ კურტის და მარჯი კარტერის მიერ

ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობები, რომელიც მართლაც წარმატებულია სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო განათლებისთვის, მომზადებულია კეტლინ ჰეისის და რენე ქრენჯის მიერ.

თითოეული ეს წიგნი მოიცავს მასალების ფართო ჩამონათვალს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო სივრცეებში და ჯგუფის ორგანიზების გზებს.

ბევრი მასწავლებელი, რომელიც იყენებს ამ რესურსებს ჯგუფის გარემოს მოსაწყობად, გვამცნობს, რომ ისინი ხელს უწყობენ ქცევის პრობლემების მკვეთრ შემცირებას. ბავშვები უფრო პროდუქტიულად იყენებენ მასალებს, უფრო მეტ დროს უთმობენ აქტივობებს. საკუთარი ნებით მონაწილეობენ მილაგება-დასუფთავებაში. მასწავლებლებს აღარ უწევთ ისე ხშირად ჩარევა, როგორც ადრე. გამეფებული ქაოსის ნაცვლად ჯგუფში ისმის საქმიანი ხმაური. მასწავლებლებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობები ბავშვებთან ურთიერთობისთვის და მათზე დაკვირვებისთვის სამუშაოს შესრულების დროს. ბევრი მასწავლებელი ამბობს, რომ მათ შეუძლიათ დაისვენონ და კარგად გაატარონ დრო ბავშვებთან ერთად.

გარემოს მუდმივად შეფასება

მასწავლებელი ყურადღებით გეგმავს ძირითად გარემოს. ის აღიარებს წესრიგის, სტრუქტურის და ფართო შესაძლებლობების გადაცემის მნიშვნელობას მასალების პროდუქტიულად გამოყენების მიზნით. ის ასევე მუდმივად აფასებს ჯგუფის გარემოს, რათა ნახოს თუ როგორ მუშაობს იგი. რეფლექსიის დისკუსიების დროს ის და მისი კოლეგები განიხილავენ, როგორ ეფექტიანად უწყობს ხელს გარემოს მოწყობა ბავშვების კომფორტს, რისკიანი გადაწყვეტილებების მიღებას და სწავლას.

ჯგუფის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია მუხლებზე დადგომა და ოთახის ბავშვის თვალით დათვალიერება. უფროსებს ჩვენი სიმაღლე არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად დავინახოთ, როგორ არის ასახული დაბრკოლებების და გადაადგილების პატერნები ბავშვის თვალით.

აქ მოცემულია მასწავლებლის ისტორია, რომელიც გვიჩვენებს სხვა გზას გარემოს შესაფასებლად და განსაზღვრავს ცვლილების აუცილებლობას:

> *კეროლმა შენიშვნების წებოვანი ფურცლები და კალამი ჯიბეში შეინახა. ბავშვებთან ურთიერთობის დროს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯგუფში მისი ყურადღება მიიქცია მათმა მოწყენილობამ და „ცუდმა“ ქცევამ. მან შენიშვნის წებოვანი ფურცელი ჯგუფში ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას მიაკრა. კვირის ბოლოს მან და მისმა სასწავლო ასისტენტმა, არმანდომ განიხილეს, სად იყო მიკრული შენიშვნის წებოვანი ფურცელი და დიდი დრო დაუთმეს იმ ადგილის შესწავლას. მათ საკუთარ თავს დაუსვეს ისეთი მნიშვნელოვანი კითხვები, როგორიცაა:*
>
> - *საჭიროა თუ არა აქ ახალი მასალების წარმოდგენა?*
> - *არის თუ არა ავეჯი ისე განთავსებული, რომ ხელი შეუწყოს გადაადგილების შესაძლებლობას და პირად სივრცეს?*
> - *საჭიროა თუ არა მეტი უფროსის დასწრება?*
> - *ხომ არ უნდა შეიზღუდოს ან გაიზარდოს იმ ადგილას ბავშვების რაოდენობა?*

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მათ შეიტანეს ცვლილებები და შემდეგ კვლავ ყურადღებით დააკვირდნენ ბავშვების ქცევას და მასალებით დაინტერესებას ამ სივრცეებში. მაგალითად, ერთ კვირას კეროლმა და არმონდომ შეამჩნიეს ყვირილი და ჩხუბი ბავშვებს შორის კუბების სივრცეში. ამ სივრცეში კედელზე შენიშვნების ბევრი წებოვანი ფურცელი იყო მიკრული. მეორე კვირას ასევე აღმოაჩინეს და გააცნობიერეს, რომ სამოძრაო ბილიკი ზუსტად იმ ადგილას გადიოდა, სადაც ხალიჩა ეფინა და ბავშვები კუბებით კონსტრუქციებს აგებდნენ. როცა სხვა ჯგუფში მიმავალი ბავშვები გვერდით ჩაუვლიდნენ, ისინი უნებლიედ ეჯახებოდნენ კონსტრუქციებს და ანგრევდნენ, რაც კონსტრუქციების მშენებლების აღშფოთებას იწვევდა. კეროლმა და არმონდომ თაროები კუბების სივრცეში გადააწყვეს და სამოძრაო ბილიკი კუბებით აგებული კონსტრუქციების დაცვის მიზნით თაროების გვერდით გადაიტანეს.

<u>*ბავშვების ცხოვრების ასახვისას,*</u> დებ კურტისს და მერჯი კარტერს შემოაქვთ დამატებითი მახასიათებლები, რომლებიც ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მასწავლებლებიც და ბავშვებიც კარგად გაატარებენ დროს. კურტისი და კარტერი (2011, 34-35) ამტკიცებენ, რომ მასწავლებლები უნდა დააკვირდნენ, თუ როგორ არის ოთახი მოწყობილი და მასალები წარმოდგენილი, როცა განიხილავენ ქვემოთ მოცემულ საკონტროლო ჩამონათვალს:

- მასალები კარგად ჩანს და ხელმისაწვდომია, ორგანიზებულია და მიმზიდველია ბავშვებისთვის.
- ბუნებრივი სამყაროს სხვადასხვა ტექსტურა, ფორმები და ელემენტები წარმოდგენილია კვლევისა და აღმოჩენისთვის.
- სივრცე მოქნილია და იძლევა გაფართოების საშუალებას, როცა ბევრი ბავშვი მუშაობს ერთსა და იმავე ადგილას. გასვლა და შემოსვლა მინიმალურად იზღუდება.
- სპეციალიზებული სათამაშოების გარდა, როგორიცაა იმიტირებული საკვები, ხის კუბები და Lego-ს ასაწყობი კუბები, არსებობს „თავისუფალი ნაწილების“ საკმარისი მარაგი - ღია მასალები, როგორიცაა ქსოვილის დიდი ნაჭერი, საცობები, მილები და პლასტიკური რგოლები.
- ბავშვების ცხოვრება და ინტერესები წარმოდგენილია მთელ ოთახში.

ამ წინადადებების გათვალისწინება დაგვეხმარება ყოველთვის ხარისხიანად შევაფასოთ ჩვენი ჯგუფის გარემოს ეფექტიანობა.

როდის შევიტანოთ ცვლილებები სათამაშო სივრცეებსა და მასალებში

როდესაც ძირითადი მასალების არჩევანი თითოეულ სივრცეში ფართო და საკმარისად მდიდარია, ბავშვები განაგრძობენ ამ მასალების გამოყენების შესაძლებლობების ძიებას. მასწავლებელი არ უნდა იყოს დაკავებული მუდმივი

გადაადგილებით ან ცვლილებით. ბავშვები აფასებენ თანმიმდევრულობას. მათ სიამოვნებთ, როცა შეუძლიათ უსასრულოდ ივარჯიშონ, ასე იწაფებიან ისინი. თუკი ადგილზე მიწოდებული თავდაპირველი მასალები სხვადასხვა შესაძლებლობების მომცველია, ბავშვები კვლავ და კვლავ უნდა უბრუნდებოდნენ მათ და ჩართულნი იყვნენ ამ მასალების პროდუქტიულად და შემოქმედებითად გამოყენებაში. მასწავლებლის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კვლევას, დააკვირდეს, რას იმეორებენ და ვარჯიშობენ ბავშვები და შესთავაზოს მასალების გამოყენების სხვადასხვა გზები. რადგან უამრავი შესაძლებლობა არსებობს, გეგმები კონკრეტული სივრცის მასალებთან დაკავშირებით არ იცვლება ყოველდღე ან ყოველ კვირას. როგორც მე-3 თავშიც ვაჩვენე, მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს სასწავლო მიზნები, მაგრამ არ არის აუცილებელი მასალების შეცვლა. ასეთია თამაშის დაგეგმვის ერთი გზა.

სუზანი: „ჩემი აღმოჩენით, წარმოდგენილი გარემოს და მასალების ცვლილება მნიშვნელოვანია. ბავშვებს და მასწავლებლებს ცვლილებები ახალ პერსპექტივებს უხსნის. მასალები შესაძლოა შეეთავაზოთ ბავშვებს შესასწავლად და შემდეგ განაახლონ ისინი. როცა იგივე მასალებს რამდენიმე კვირის შემდეგ ხელახლა სთავაზობენ, ბავშვები ახალ ცოდნას იძენენ და დაბრუნებულ მასალებს ახლებურად შეისწავლიან.“

თუმცა, როცა მასწავლებელი ამჩნევს მოწყენილობას ან „ცუდი“ ქცევის გამოვლინებას, ან სურს მიჰყვეს ინტერესს ან კვლევის თემას, მან უნდა წარმოადგინოს ახალი მასალები და აქტივობები. ქვემოთ მოცემული გარემოებები განაპირობებს მასალების შეცვლას:

- ბავშვები იგნორირებას უკეთებენ კონკრეტულ სივრცეს.
- ბავშვებს მობეზრდათ ის, რაც ხელმისაწვდომია (შესაძლოა თქვან, რომ მობეზრდათ);
- ისინი შესაძლოა მოწყენილები მოგეჩვენოთ სხვებთან ურთიერთობისას; ან შესაძლოა თავად შეცვალონ გარემო, მოიტანონ ახალი მასალები ან სხვა რამ გააკეთონ იმ მასალებით).
- ბავშვების ქცევა არაპროდუქტიული ან არაპოზიტიურია ამ სივრცეში.
- მასალები შესაძლოა შეიცვალოს, რათა ხელი შეუწყოს ბავშვების დაინტერესებას, საჭიროებას, კვლევის ან პროექტის თემას, რომელიც წარმოიშვა ჯგუფში.

ამსახველ საუბრებში მასწავლებლები განიხილავენ და ითვალისწინებენ ამ გარემოებებს და გეგმავენ ცვლილებებს მომდევნო კვირისთვის. ქვემოთ მოცემულია კეიშას დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის მესამე გვერდი მისი სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის, სადაც მან და მისმა კოლეგებმა ასახეს კვირა და განიხილეს გეგმები მომდევნო კვირისთვის. მომდევნო გვერდზე თქვენ იხილავთ მის კონკრეტულ გეგმებს სათამაშო სივრცეებისთვის. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ პირდაპირი კავშირი მის რეფლექსიებსა და მომდევნო კვირას ხელმისაწვდომ მასალებში მის მიერ შეტანილ ცვლილებებს შორის.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	**გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?**
კუბების აწყობის აქტივობამ კარგი ჩართულობა გამოავლინა და როცა დავეხმარეთ თამაშის დაწყებაში, დრამატული თამაში ძალიან პოპულარული და მიმზიდველი გამოვიდა. მეტი მუშაობაა საჭირო დასუფთავებისა და მილაგების მიმართულებით სენსორულ მაგიდასთან. ხოსე, მარია და ტომასი ითვლიდნენ ხუთამდე და ექვსამდე. ეშლი და კორინი ძალიან ნიჭიერი მხატვრები არიან - მათ გამოიყენეს უამრავი ფერი. ჯოშუა სამი დღე ზედიზედ ითხოვდა ისტორიების წაკითხვას.	დაამატეთ ცოცხები და აქანდაზები სენსორულ სივრცეში, რათა ბავშვებმა შეძლონ ქვიშის გაწმენდა წასვლისას. სცადეთ უფრო მიმზიდველი აქტივობები ხელოვნების და მანიპულატივების დროს. ხოსე, მარია და ტომასი ჩართეთ დათვლის აქტივობებში. ნახეთ, შეძლებს თუ არა ჯოშუა მეტი მკითხველის შეყვანას ჯგუფის ბიბლიოთეკაში.
კეშიას რეფლექსიები	კეშიას გეგმა

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: ბავშვების აღზრდის ადგილი თარიღი: 11/14/11 მასწავლებელი (ები):კეიშა ჯონსონი და დარიუს რომანო

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ჯგუფის კვლევა

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	მათემატიკური პრობლემის გადაჭრა		
დრამატული თამაში	თვითრეგულირების განვითარება		
სენსორული მაგიდა	გუნდურობის არსის ათქმა (დაეხმაროს დალაგებაში)	მოიშველიეთ ცოცხი და აქანდაზი ქვიშის მოსახვეტად	პასუხისმგებლობა
ხელოვნება	ხელისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება	მარმარილოს ფერწერა	გორგოლაჭი, კუთხეები, ფერის შერევა, დიზაინი
მანიპულატივები	მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა	წაახალისეთ ბავშვები, რათა წარმოადგინონ რაოდენობები მანიპულატივებით (2 და 2 უდრის 4-ს)	
ჯგუფის ბიბლიოთეკა	ინიციატივის გამოვლენა	წაახალისეთ ბავშვები, რათა შეუერთდნენ ჯოშუას და მოისმინონ ისტორიები	
წერის ცენტრი	წიგნების და ბეჭდური პროდუქციის ცოდნა	დაამატეთ პერსონალური ბარათები და წაახალისეთ, რათა დაწერონ სახელები	
სხვა ცენტრი	არცერთი		

კეიშას მომავალი კვირის გეგმა

სასწავლო მიზნების ცვლილება ზოგჯერ ნიშნავს მასალების შეცვლას ან დამატებას. თუკი მასწავლებელი კუბების სივრცის მიზნად განსაზღვრავს გუნდურობის არსის გაცნობიერებას, მას დასჭირდება წიგნების დამატება სხვადასხვა დანიშნულების შენობების ფოტოებით (როგორიცაა სურსათის მაღაზია, სახანძრო სადგური, სკოლა და ა.შ.). შესაძლოა ასევე დაამატოს ქალაქის რუკა ბავშვებისთვის, შესასწავლად, როცა კუბებით ქუჩების და რაიონების შენებას შეუდგებიან. თუკი განსაზღვრა მიზნად ხელოვნების სივრცისთვის განსაზღვრავს ფორმის ამოცნობას, დასჭირდება წინასწარ დაჭრილი ფორმების დამატება კოლაჟის გასაკეთებლად და ფაზლის ნაჭრების ფორმები თანმიმდევრულად დაწყობისთვის. გეგმაში მასწავლებელი ჩაწერს სასწავლო მიზანს და ჩამოთვლის მხოლოდ დამატებულ მასალებს. მომდევნო გვერდზე მოცემულია მარკუსის გეგმის პირველი გვერდი სათამაშო სივრცეებისათვის. როგორც ნახავთ, მან საჭიროდ ჩათვალა რამდენიმე სასწავლო მიზნის შეცვლა და მასალების დამატება.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: სკოლამდელი დაწესებულება „ცისარტყელა“ თარიღი: 12/12/11 მასწავლებელი (ები): მარკუსი

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): როლური თამაში

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	წერის უნარი	დაამატეთ ქაღალდი, მარკერები, ლენტები და პერსონალური ბარათები კუბების სივრცეში მოსანიშნად	არქიტექტორი
დრამატული თამაში	წერის უნარი	დაამატეთ საქაღალდეები და ფანქრები სასურსათო ჩამონათვალისთვის, სატელეფონო გზავნილებისთვის და ა.შ.	გზავნილი, სია
სენსორული მაგიდა	ხელისა და თვალის კოორდინაცია	დაამატეთ მაშები და პინგპონგის ბურთები და სთხოვეთ ბავშვებს აიღონ ბურთები და მოათავსონ კალათაში	
ხელოვნება	ისტრუმენტების გამოყენება გასაჭრელად	დაამატეთ პლასტმასის მაკრატელი, პლასტელინი, ნამცხვრის საჭრელები და გასაბრტყელებელი ჯოხები	
მანიპულაციური აქტივობები	ინიციატივის გამომჟღავნება	რადგან ბავშვები ქმნიან მანიპულატივებით, სთხოვეთ დახატონ, რა გააკეთეს და ჩაიწერეთ მათი ნაკარნახევი	
ჯგუფის ბიბლიოთეკა	მოსმენის უნარი	დაურიგეთ ყურსასმენები წიგნების და ფირის მოსასმენად	
წერის ცენტრი	ოჯახის არსის გაგება	ხელი შეუწყვეთ ბავშვებს დახატონ თავიანთი ოჯახი, დაურიგეთ მათ ბარათები, რომლებზეც დაწერილი იქნება სიტყვები გადასაწერად „დედა“, „მამა“ და სხვა ოჯახის წევრების სახელები	მშობლები, და, მმა, ოჯახი
სხვა ცენტრი	საუბარი	ითამაშეთ თოჯინებით და მოიგონეთ ისტორიები და თამაშები თოჯინებით	

მარკუსის პირველი გვერდი

ჯგუფში მიმდინარე პროექტის შემუშავებისას (ფრინველის ბუდის მსგავსად ქ-ნ ჩანგის მაგალითზე მე-2 თავში), შესაძლოა ასევე საჭირო გახდეს მასალების ცვლილება ზოგიერთ სივრცეში. მაგრამ ზოგჯერ მასწავლებელმა შეიძლება აირჩიოს სასწავლო მიზანი, რომელსაც აქვს ბევრი შესაძლებლობა არა მარტო ერთ სათამაშო სივრცეში გამოსაყენებლად. ასეთ შემთხვევაში სასწავლო მიზანი შესაძლოა განისაზღვროს, როგორც მიმდინარე პროექტი მთელ ჯგუფში. მან შესაძლოა შეცვალოს მასალები ზოგიერთ სივრცეში, რათა დაეხმაროს ბავშვების ჩართულობას კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით.

მომდევნო გვერდზე მოცემულია კვლევის დროის დაგეგმვის მაგალითი წინასასკოლო ჯგუფში, სადაც გაზომვა წარმოადგენდა მიმდინარე პროექტს და სასწავლო მიზანს რამდენიმე ცენტრისთვის. დააკვირდით, როგორ გამოიყენა მასწავლებელმა სხვადასხვა მასალები კონკრეტულ სივრცეებში ამ მიზნის განსახორციელებლად (ისასე არ მოქცეულა ყველა სივრცეში, არამედ მხოლოდ იქ, სადაც ეს ჩათვალა მიზანშეწონილად). მე-5 თავში უფრო სიღრმისეულად შევხედავთ მიმდინარე პროექტების დაგეგმვას ბავშვების ინტერესების საპასუხოდ.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: დაწყებითი სკოლა Blair თარიღი: 11/12/12 მასწავლებელი (ები): ქ-ნი სამპა

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): გაზომვა

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	გაზომვა	მიაწოდეთ საზომები, სახაზავები; დაეხმარეთ ბავშვებს გაზომონ თავიანთი კონსტრუქციები	
დრამატული თამაში	გაზომვა, ფოკუსირებული ყურადღება	გაზომეთ ჯგუფიმაფით, როგორც ზომავთ თქვენს ფეხს, მკლავს, ცერა თითს და ა.შ.	შედარება
სენსორული მაგიდა	გაზომვა, მეცნიერული კვლევა	დაამატეთ სასწორი და სასწორის ქვები; განსაზღვრეთ, რომელია უფრო მძიმე და რომელი უფრო მსუბუქი	მძიმე, მსუბუქი, წონა
ხელოვნება	გაზომვა, შემოქმედებითობა	მიაწოდეთ სხვადასხვა ზომაზე დაჭრილი ქაღალდის ზოლები და ხელი შეუწყვეთ საუბრის დაწყებას ბავშვის კოლაჟში გამოყენებული სიგრძეების შესახებ	ყველაზე გრძელი, საშუალო, ყველაზე მოკლე
მანიპულაციური აქტივობები	გაზომვა, დათვლა და რაოდენობა	გაზომეთ მაგიდა ერთმანეთთან დასაკავშირებელი კუბებით და ბმულებით; გაზომეთ სხვა მანიპულატივებით	
მეცნიერული კვლევა	გაზომვა, პროგნოზირება	გამოთქვით ვარაუდი, რომელი ქვა იქნება ყველაზე მძიმე და ყველაზე მსუბუქი	
ინფორმაციული კითხვა	გაზომვა, ისტორიის მოყოლა	ხელმეორედ წაიკითხეთ ნელ-ნელა, “Caps for Sale” და„Ten Apples up on Top“	
მათემატიკის და მეცნიერების ჟურნალის წარმოება	გაზომვა, ნატიფი მოტორიკა	დაწერეთ და დახატეთ ის, რაც გაზომეთ	
სხვა ცენტრი			

გეგმის მაგალითი - კვლევის დრო წინასასკოლო ჯგუფში

დროდადრო შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ჯგუფში ყველას შეუძლია ახალი შესაძლებლობების გარკვეული დოზით გამოყენება. შესაძლოა ზოგიერთი სივრცე მოსაწყენი იყოს ბავშვებისთვის. ან შესაძლოა ჯგუფში ბევრი ქცევითი პრობლემა წარმოიქმნას. თუ ასეა, დროა დავამატოთ მასალები ყველა სივრცისთვის ჯგუფის გარემოში. სკოლამდელ დაწესებულებაში გატარებული ექვსი კვირის შემდეგ ლუისი თავის სასწავლო ასისტენტებთან, სანდრასთან და სუზისთან ერთად დასხდნენ, რათა აესახათ თავიანთი ჯგუფის გასული კვირა და დაეგეგმათ მომდევნო კვირა. განხილვების დროს ლუისი და მისი თანაგუნდელები შეთანხმდნენ, რომ ბავშვებს სჭირდებათ ახალი აქტივობები და მასალები. მათ ბავშვების ქცევაში მეტი უმიზნო ქცევა და ნაკლები მიზანმიმართული კვლევა ამოიკითხეს. ლუისმა თავისი კომენტარები დაწერა მოცემული ფორმის რეფლექსიის გრაფაში მეექვსე კვირისთვის, რომელსაც იხილავთ მომდევნო გვერდზე. ყველა მათგანმა დაადგინა რადიკალური ცვლილებების საჭიროება მთელ ჯგუფში. ლუისი არ იყო დარწმუნებული, რომ დადგა დრო პროექტის ან კვლევის წარმოსადგენად, თუმცა მან და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს დაემატებინათ რამდენიმე ახალი მასალა სხვადასხვა სივრცეში. დანარჩენ სივრცეებში კი შეცვალეს მხოლოდ მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ისინი შესთავაზებდნენ ბავშვებს გამოეყენებინათ არსებული მასალები. მათი გეგმა ჯერ კიდევ ასახავს განვითარების მიზნებს, რომელიც მათ აქვთ მხედველობაში, როცა ბავშვები გამოცდიან ამ ახალ გეგმებს.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	**გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?**
უხეში თამაში და უთანხმოება კუბების ზონაში; არც ისე დიდი დაინტერესება მანიპულატივებით, ხელოვნებით ან სენსორული მაგიდით. ხშირია ბავშვების უმიზნო ქცევის და განმარტოების ფაქტები. ლანიმ, ფრედრიკმა და ალისამ ბევრი ითამაშეს ცხოველების რბილი სათამაშოებით, ზრუნავდნენ მათზე.	აუცილებელია ახალი მასალები და მიზნები! ხომ არ არის დრო, დავიწყოთ ვეტერინარის პროექტი?

ლუისის რეფლექსიები და გეგმები

მიაქციეთ ყურადღება, რომ თავის რეფლექსიებსა და გეგმებში ლუისი პასუხობს ბავშვების გამოხატულ ინტერესს დრამატული თამაშის დროს ცხოველების რბილი სათამაშოების გამოყენებით. ალბათ ვეტერინარის სამსახური შეიმუშავებს კვლევის სრულფასოვან თემას მე-7 კვირის გეგმის განხორციელების შემდეგ.

ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო: არ იფიქროთ, რომ ჯგუფში ყველა სივრცე რეგულარულად საჭიროებს შეცვლას. ბავშვებს მოსწონთ და სიამოვნებთ გამეორება, ჩვეული სიტუაციები და თანმიმდევრულობა. მათ შეუძლიათ ჩაუღრმავდნენ აქტივობებს, შეიმუშაონ და დახვეწონ უნარები და გაართულონ თავიანთი ურთიერთობა მასალებთან, თუკი მათ მიეცემათ შესაძლებლობა პერიოდულად ეწვიონ სხვადასხვა სივრცეს. ბევრი მასწავლებელი გაცილებით მეტ სამუშაოს უსახავს საკუთარ თავს, როცა ვარაუდობს, რომ აუცილებელია გარემოს შეცვლა ყოველდღე ან ყოველ კვირას. ამის ნაცვლად, კარგად

დააკვირდით ბავშვებს და მხოლოდ ის სივრცეები შეცვალეთ, რომლებიც საჭიროებს ცვლილებას. ლუისის გეგმის მსგავსად, სადაც შეტანილია რადიკალური ცვლილებები, გეგმის შემუშავება მხოლოდ დროდადრო იქნება საჭირო. ბევრად უფრო მისაღები იქნება მხოლოდ რამდენიმე სივრცის შეცვლა ყოველ კვირას.

მერი ბ.:
„სკოლამდელი დაწესებულების ჩემს ჯგუფში ვგეგმავ სათამაშო დროის ხანგრძლივობის თვითშერჩევის ერთ საათს. მე არ ვიყენებ საათს. თუკი ბავშვი ჯერ კიდევ მუშაობს რაღაცაზე, მის ინტერესს მივყვები, რამდენადაც ეს შესაძლებელია.“

საკმარისი დროის გამოყოფა მაღალი დონის თამაშისთვის

კვლევა და რეკომენდაციები, რომლებიც ადრე მოვიყვანე, აკავშირებს *მაღალი დონის თამაშს* და სწავლას და არა უბრალოდ *ნებისმიერ* თამაშს. სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვები შეიძლება ზოგჯერ ახმაურდნენ და სულელურად მოიქცნენ თამაშის დროს. შეიძლება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებიც წარმოიშვას და მასწავლებლები უნდა ჩაერიონ, რათა თამაშს დაუბრუნდეს სათანადო მიმართულება და ბავშვებმა მიზანმიმართულად ითამაშონ, ჩაებნენ რთულ თამაშში, რომელიც მოითხოვს მთელ მათ ყურადღებას. ეს არის ერთგვარი თამაში, რომელიც ძალიან სასარგებლოა ბავშვების განვითარებისთვის.

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: „პატარა მეგობრები“ თარიღი: 11/28/11 მასწავლებელი (ები): ლუისი, სუზი და სანდრა

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ვეტერინარის სამსახური

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები	მეცნიერული პროგნოზების გაკეთება	ააგეთ დახრილი ესტაკადები მსუბუქი და სატვირთო მანქანებისთვის; გამოთქვით ვარაუდი, რომელი წავა ყველაზე სწრაფად და ყველაზე შორს; გაზომეთ წამმზომით და ლენტიანი საზომით	სიჩქარე, დაქანება, მანძილი
დრამატული თამაში	ლექსიკის განვითარება	მეტი რბილი სათამაშო ცხოველები და სამედიცინო აღჭურვილობა	ვეტერინარი, ვეტერინარული კლინიკა
სენსორული მაგიდა	ყურადღების ფოკუსირება და მიზანდასახულობა დავალებების შესრულებისას	გამოიყენეთ ტაქტილური (შეხების) შეგრძნებები, სხვადასხვა ნივთების ქვიშაში დამალვა და პოვნა	არქეოლოგი
ხელოვნება	ექსპერიმენტირება	გააკეთეთ ქსოვილის/ქაღალდის კოლაჟები	
სამანიპულაციო აქტივობები	დახარისხება და კატეგორიზაცია		
ჯგუფის ბიბლიოთეკა	მოსმენის უნარები	მოუსმინეთ ფირებზე ნაცნობ ისტორიებს, რომელსაც კითხულობთ წიგნებში	
წერის ცენტრი	ინსტრუმენტების გამოყენება წერისთვის და ჭრისთვის	გადაწერეთ თქვენი და თქვენი ჯგუფელებისსახელები	
სხვა ცენტრი	დახარისხება და კატეგორიზაცია	გააკეთეთ შინაური ცხოველების გრაფა	

ლუისის გეგმა მე-7 კვირისთვის

ეს თამაში იმდენად მიმზიდველია, რომ ბავშვები თავდაჯერებულები არიან, თავიანთ ცოდნას სხვადასხვა გზით იყენებენ, სიმბოლურად წარმოადგენენ რა იციან და სწავლობენ მსოფლიოს შესახებ. ეს არის თამაში, რომელსაც გულისხმობს განვითარების თეორეტიკოსი ლევ ვიგოტსკი, როცა ამბობს: „თამაშის დროს ბავშვი ყოველთვის დგას თავის საშუალო ასაკზე მაღლა, თავის ყოველდღიურ ქცევაზე მაღლა, თამაშის დროს ის ისე იქცევა, თითქოს ერთი თავით მაღლა იდგეს, ვიდრე რეალურად არის“ (გონლუნდი 2010, 11).

ჩემს წიგნში, „*განვითარების შესაგამისი თამაში: სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფრო მაღალ დონეზე აყვანა*“ (2010), თამაშის დონეს სიღრმისეულად ვაანალიზებ და ვსახავ უამრავ იდეას და სტრატეგიას ბავშვების ჩართულობის გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად მაღალი დონის თამაშის დროს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია არის საკმარისი დროის გამოყოფა ასეთი თამაშის განვითარებისთვის (Copple and Bredekamp 2009, 127):

სიუ: „სათანადო დროის გამოყოფა თამაშის განვითარებისთვის, შესაძლებლობებს აძლევს ბავშვებს, თქვენ კი ამ დროის განმავლობაში შეგიძლიათ დოკუმენტურად ასახოთ მათი სწავლის პროცესი. თავის მოტყუებაა იმის თქმა, რომ ‘შეგიძლია ითამაშო, როცა დაასრულებ _____,’ რაც არ აფასებს, ღირებულად არ თვლის სათამაშო აქტივობას, რომელშიც ისინი არიან ჩართულები.

სუზანი: „დრო ძალიან მნიშვნელოვანია! ხშირად აღმოვაჩენ ხოლმე, რომ ბავშვები მართლაც იწყებენ რაღაცის სიღრმისეულად გამოკვლევას, როცა ახლოვდება დასუფთავება/მილაგების დრო. მე ვისწავლე, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი, „მასწავლებლის“, გრაფიკის დარეგულირება იმისათვის, რათა ბავშვებს მიეცეთ საშუალება განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. სწავლა და/ან იმის სოციალიზაცია, რასაც აკეთებენ, შეიძლება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე გრაფიკის ზუსტად დაცვა. მომდევნო დღეს უკან დაბრუნებას ხშირად აღარ აქვს იგივე ფასი, როგორც იმ მომენტში, როცა ნათურა პირველად ქრება!“

სკოლამდელი ასაკის ბავშვები ვერ გახდებიან სოციალურად კომპეტენტურები ერთმანეთთან ბევრი ურთიერთობის გარეშე. ამისათვის საჭიროა, რომ მასწავლებლებმა სკოლამდელი დაწესებულების დღე ისე დაგეგმონ, რომ ბავშვების თამაშისთვის და მუშაობისთვის დრო თანაბრად გამოიყოს. იმ პერიოდებისგან განსხვავებით, როცა ბავშვები ისხდნენ თავიანთ ადგილებზე და ასრულებდნენ დავალებას, ეს პერიოდები უნდა ჩაითვალოს განვითარების აბსოლუტურად აუცილებელ ინვესტიციად (Bodrova & Leong 2007).

წინასასკოლო დაწესებულებებს ასევე ესაჭიროებათ საკმარისი დრო თამაშისთვის. ბავშვებს სჭირდებათ დრო, რათა გაერკვნენ სად ითამაშებენ, ვისთან და რას გააკეთებენ კონკრეტულ სათამაშო სივრცეში. ზოგჯერ ნელ-ნელა მიუახლოვდებიან სივრცეს, რათა შეხედონ, ვინ არის იქ და რას აკეთებს. ცოტა ხანი შეიძლება აკვირდებოდნენ, ვიდრე თავადაც ჩაერთვებოდნენ ან გვერდით მიუსხდნენ ბავშვს, რომელიც აწყობს ფაზლებს ან დაკავებულია მეგობართან ერთად დრამატული თამაშის სცენარით. მას შემდეგ, რაც თავად ჩაერთვებიან, ხშირად უფრო ღრმად იხედებიან თამაშით გამოცდილებაში. შესაძლოა მიიღონ გამოწვევა უფრო რთული ფაზლის აწყობასთან დაკავშირებით, ან როცა მეგობრებთან ერთად მატარებლობანას თამაშობენ, წარმოადგინონ საკუთარი ბილეთების გაკეთების იდეა. როცა მასწავლებლები აძლევენ ბავშვებს მინიმუმ ორმოცდახუთი წუთიდან ერთ საათამდე დროს თამაშისთვის, ეს დრო საკმარისია

იმისათვის, რომ ბავშვებმა დაიწყონ და შემდეგ განავითარონ უფრო მაღალი დონის თამაში.

ამ დროს მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ ჩართულობის დონის გაზრდა, თუკი პატივისცემით მოეკიდებიან ბავშვების საქმიანობას. მასწავლებლები ცდილობენ კი არ შეაწყვეტინონ, პირიქით, ურთიერთობა დაამყარონ მათთან და დაეხმარონ მათ. თუკი მაინც მოუწევთ, რომ შეაწყვეტინონ ბავშვებს თავიანთი საქმიანობა, განცხადების გასაკეთებლად ან მათთვის რაიმეს შესახსენებლად, ისინი ამას აკეთებენ პატივისცემით. მათი მიზანია ხელი შეუწყონ ბავშვებს გაზარდონ ყურადღების კონცენტრირება, რათა მათი თამაში უფრო მდიდარი და უფრო ღირებული, სწავლის შესაძლებლობებით სავსე გახდეს.

დღეს სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ჯგუფები სავსეა სხვადასხვა წარმომავლობის ბავშვებით, რომლებიც განსხვავდებიან ენობრივად, კულტურულად ან გამოცდილებით. მათ სჭირდებათ აუჩქარებელი დრო, რათა ისწავლონ ერთმანეთის შესახებ, გაერკვნენ იმ მეთოდებში, თუ როგორ ჩაერთონ თამაშში და სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში პროცესის მიმდინარეობის დროს .....

„მაგრამ ამისათვის მათ სჭირდებათ დრო, სივრცე, ინტერაქტიული ამხანაგები, მიმზიდველი ობიექტები და დაკვირვებული მასწავლებლები, რომლებიც გარდა იმისა რომ ხელს შეუწყობენ, დოკუმენტურადაც ასახავენ თამაშის დროს გამოვლენილ და გაღვივებულ მათ კომუნიკაციურ ძლიერ მხარეებს“ (Genishi and Duson 2009, 64). სიღრმისეულად ჩართვისთვის გამოყოფილი დრო მართლაც საჩუქარია, რომლის მიცემაც შეუძლიათ მასწავლებლებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის (Gronlund 2010, 61).

ლაურა: „მე მინახავს ყველაზე დიდი ზრდა იმ სფეროში, სადაც თამაშისთვის საკმარისი დრო გამოიყოფა და მასწავლებლები რეალურად ხედავენ, რომ სიღრმისეული სწავლება ხორციელდება.. ისინი აგროვებენ მდიდარ დაკვირვებებს და უფრო სარწმუნო სურათს იქმნიან იმის შესახებ, რას სწავლობს თითოეული ბავშვი და რისი გაკეთება შეუძლია.“

როზმარი: „საკმარისი დროის გამოყოფა თამაშისთვის მნიშვნელოვანია და ორმოცდახუთი წუთიდან ერთ საათამდე დროის გამოყოფაც ხაზს უსვამს ამ მნიშვნელობას. ეს შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე სტრესული დრო იყოს იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც არ არიან დარწმუნებულები საკუთარ როლში თამაშის დროს. მათთვის, ვინც უკეთესად იცნობს მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს, ამ კონტროლის ხელიდან გაშვება შესაძლოა რთული აღმოჩნდეს. მათ შეიძლება ვერ იგრძნონ, რომ კარგ საქმეს აკეთებენ, ვიდრე არ გააცნობიერებენ, თუ რამდენს სწავლობენ ბავშვები მაღალი დონის თამაშით.“

როცა მოქმედებ, როგორც თამაშის ხელშემწყობი

როცა ბავშვები თამაშობენ, მასწავლებლები ხელს უწყობენ და ეხმარებიან მათ, პერიოდულად ერევიან ან ეთიშებიან ხოლმე ბავშვების თამაშს. ისინი მონაწილეობენ „ფრთხილ ცეკვაში“, სადაც მათი მიზანია, რომ უფრო ხშირად ბავშვებმა აიღონ საკუთარ თავზე ინიციატივა და არა უფროსებმა. ამისათვის მასწავლებლები ფხიზლად უნდა იყვნენ და ბავშვებს ყურადღებით აკვირდებოდნენ, რათა განსაზღვრონ საუკეთესო დრო მათთან ერთად თამაშში ჩასართავად და იმის გამოსაცნობად, რომელი იქნება

საუკეთესო სტრატეგია იმის გასაუმჯობესებლად, რასაც ბავშვები აკეთებენ. როდესაც ჩაერთვებიან, ახლა უკვე ის უნდა განსაზღვრონ, რამდენ ხანს დარჩნენ და როდის არის ხელმეორედ ჩართვის დრო. ეს ნამდვილად არის სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლების ხელოვნება.

არსებობს უამრავი როლი, რომელსაც მასწავლებლები იღებენ საკუთარ თავზე იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ მაღალი დონის თამაშს:

- შესაძლოა ენთუზიაზმით აღსავსე გულშემატკივრები იყვნენ.
- შესაძლოა დასვან კითხვები, დაუსახონ ამოცანები ან მოახდინონ პროვოცირება.
- შესაძლოა იყვნენ შუამავლები ან აღჭურვილობის მომწოდებლები.
- შესაძლოა იყვნენ მშვიდი დამსწრეები, დააკვირდნენ, მოუსმინონ და მზად იყვნენ ჩართვისთვის, როცა ბავშები სთხოვენ ან დასჭირდებათ მათი ჩარევა.

ლაურა: „მე ვხედავ, რომ ზოგიერთი მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს თამაშის დროს. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ ზოგჯერ შეწყვიტონ თამაში და ამით გამოიწვიონ ნეგატიური შედეგი.“

დააკვირდით, რომ არცერთი ეს როლი არ გულისხმობს ბავშვების თამაშის საკუთარ თავზე აღებას. რამდენადაც თამაში არის პროდუქტიული, მიმზიდველი და მაღალი დონის, თამაში ეკუთვნის ბავშვებს. უფროსები პატივს სცემენ ამ საკუთრებას და მზად არიან დაეხმარონ ბავშვებს წარმატების მიღწევაში.

დრო მნიშვნელოვანია, როცა აკეთებთ კომენტარებს ან უსვამთ კითხვებს ბავშვებს თამაშის პროცესში. დროულად დასმული შეკითხვები შესაძლოა დაეხმაროს ბავშვებს აზროვნებაში, პრობლემის გადაჭრაში, განსხვავებული მიდგომის მოძებნაში, სიმბოლური მასალების ჩართვაში ან თამაშის ახალი თემების შემუშავებაში. თუკი ასე მოიქცევიან, ბავშვები გამოავლენენ მეტ ინტერესს თამაშის დროს. უდროო დროს დასმულმა შეკითხვებმა კი შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვების თამაშიდან გამოთიშვა ანუ თამაშის შეწყვეტა. ის წყვეტს თამაშის მიმდინარეობას და ხდის მას ნაკლებად სასიამოვნოსა და სახალისოს.

ღია კითხვები და კომენტარები უფრო მეტად ხელშემწყობია, ვიდრე კითხვები, სწორი პასუხის ალტერნატივით(დახურული კითხვები). წარმოიდგინეთ ბავშვები, რომლებიც თამაშობენ ფერადი კუბებით და მასწავლებელი ეკითხება, რა ფერია ეს კუბი, რამდენი წითელი კუბი აქვს, თუ ორ წითელ და სამ ყვითელ კუბს ერთად დადებს, რამდენი იქნება ჯამში. ბავშვებს დაეუფლებათ შეგრძნება, რომ მათ ამოწმებენ ხელის შეწყობის ნაცვლად, რათა გამოიყენონ კუბები თავიანთი შეხედულებისამებრ. ამის ნაცვლად წარმოიდგინეთ შემდეგი სცენარი:

ტონი დგას მაგიდასთან, რომელიც მიდგმულია კედელთან. ის თამაშობს პატარა, ფერადი და თანაბარი ზომის კუბებით. ტონი აწყობს მათ. მას არ უჭირს აწყობა სამი კუბით, მაგრამ აღმოაჩენს, რომ კონსტრუქცია ცოტა არამდგრადია, როცა მეოთხე და მეხუთე კუბს ამატებს. საბოლოოდ, მეექვსე კუბის დამატებისას კონსტრუქცია დაიშლება. ის თავიდან იწყებს აწყობას. მისი მასწავლებელი, ლუსი, მიდის და წყნარად ჯდება ცარიელ სკამზე მაგიდასთან. როგორც კი კონსტრუქცია

დაიშლება, ტონი შეხედავს მას და ამბობს, „ო, ღმერთო!“ მასწავლებელი გაუღიმებს ტონის და ჰკითხავს, „რა უნდა გაგეკეთებინა, რომ არ დაშლილიყო? არსებობს თუ არა რაიმე გზა, რომლის საშუალებითაც კონსტრუქცია ბევრი კუბითაც აიწყობა?“ ტონი პასუხობს, „იქნებ მეცადა მათი კედელზე მიყუდება.“ ის ასეც იქცევა და წარმატებით აშენებს ახალ კონსტრუქციას ბევრი კუბით. „ყოჩაღ, ეს მართლაც მაღალი კონსტრუქციაა. შენ მიხვდი როგორ უნდა გაგეკეთებინა ის. ახლა მაინტერესებს, კიდევ რას გააკეთებ,“ ამბობს ლუსი. ტონი იწყებს კუბების კონსტრუქციების დალაგებას ერთმანეთის გვერდით გასამყარებლად, აშენებს კედლებს და არა უბრალოდ კონსტრუქციებს. ლუსი სთავაზობს გადაულონ ფოტო აგებულ კონსტრუქციას. ტონი ეთანხმება. შემდეგ ის სთხოვს ტონის, მოუყვეს რა გააკეთა. ტონის კომენტარების ჩაწერის შემდეგ, ლუსი ამბობს, „ჩვენ განვათავსებთ ამას მშობლების განცხადებების დაფაზე, რათა შენმა დედამ და მამამ იცოდნენ, როგორ იმუშავე დღეს ბაღში.“ ის ამატებს ქვემოთ მოცემულ სასწავლო მიზნებს დოკუმენტაციას: პრობლემის გადაჭრა, მიზანსწრაფვა და ხელისა და თვალის კოორდინაცია.

ლუსიმ არ შეაწყვეტინა ტონის თამაში, ხომ ასეა? ნაცვლად ამისა დაჯდა და წყნარად ელოდა თავისი ჩართვის მომენტს. მისი კითხვები იყო ღია და ეს ასევე იყო გამოწვევა ტონისთვის. როცა მან მიიღო ეს გამოწვევა და წარმატებას მიაღწია, ლუსიმ განაგრძო იმის შემოწმება, რაც გააკეთა ტონიმ და შესთავაზა მას დოკუმენტურად აესახა ის და გაეზიარებინა დოკუმენტაცია სხვებისთვის. ეს არის თამაშის ხელშეწყობა მოქმედებაში!

შეეძლო თუ არა მასაც ეკითხა, რამდენი კუბი იყო გამოყენებული კონსტრუქციაში? შეეძლო თუ არა, რომ ეთხოვა შეედარებინა თავისი კონსტრუქციის სიმაღლე, როცა ააშენა კედელი? შეეძლო თუ არა, რომ ესაუბრა მასთან ფერების შესახებ? დიახ, რა თქმა უნდა შეეძლო. დახურული შეკითხვები შეიძლება იყოს ბავშვებთან ურთიერთობის ნაწილი, თუკი ისინი ბუნებრივად გამომდინარეობენ საუბრიდან. და კვლავ, დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია ისევე როგორც ასეთ შეკითხვებზე ბავშვის პასუხის წაკითხვა. თუკი კონკრეტული შეკითხვა უარყოფით განწყობას შეუქმნის მას, სხვა კომენტარები და შეკითხვები უზრუნველყოფს მის უფრო მეტად ჩართულობას.

მასწავლებლები ბავშვების თამაშის ხელშესაწყობად სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. ზოგჯერ აერთიანებენ სტრატეგიებს, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთს იყენებენ. ქვემოთ მოცემულია მასწავლებლის სტრატეგიების ჩამონათვალი, რომელიც აღებულია *განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* მესამე გამოცემიდან (Coople and Bredekamp 2009, 36-37).

- გაითვალისწინეთ, რას აკეთებენ და ამბობენ ბავშვები.
- ხელი შეუწყვეთ მათ ძალისხმევას.
- მიეცით კონკრეტული გამოხმაურება.
- აჩვენეთ ურთიერთობის მაგალითი, პრობლემის გადაჭრა და სხვების მიმართ დამოკიდებულება.
- აჩვენეთ სწორი გზა რაღაცის გასაკეთებლად.

- შექმენით ან დაამატეთ გამოწვევა.
- დასვით შეკითხვები, რომლებიც მოახდენს ბავშვების აზროვნების პროვოცირებას.
- შესთავაზეთ დახმარება.
- მიაწოდეთ ინფორმაცია.
- მიეცით მიმართულებები.

აქ მოცემულია კომენტარები *განვითარების შესაბამისი თამაშიდან,* რომელიც ასახავს, თუ რა უნდა თქვას მასწავლებელმა, თუკი ბავშვების თამაშის ხელშეწყობისას კონკრეტულ სტრატეგიას იყენებს (Gronlund 2010, 68-69).

- აღიარება: *„უჰ, მე ვხედავ, რომ ყველამ ააშენეთ ფარეხი სატვირთო მანქანებისთვის. მას ძალიან მაღალი კედლები აქვს. თქვენ გამოიყენეთ ბევრი გრძელი კუბი ამ კედლების ასაშენებლად.“*
- ხელშეწყობა: *„თქვენი მაღაზია მართლაც ძალიან დაკავებული ადგილია. თქვენ გყავთ მომხმარებლები, რომლებიც ყიდულობენ და მოლარე სალაროსთან. ო, და თქვენ მარაგსაც აკეთებთ თაროებზე!“*
- გამოხმაურება: *„თქვენ დიდი დრო დახარჯეთ თქვენს Lego-ს კონსტრუქციაზე. როგორც ვხედავ, მანქანას გაუკეთეთ ბორბლები და გყავთ ხალხი, ვინც მას ატარებს. სად მიდიან ისინი?“*
- ურთიერთობის მაგალითი: *„ზოგჯერ ვერ ვხვდები რა გავაკეთო პლასტელინისგან. ამიტომ უბრალოდ ვატრიალებ მას და ვაბრტყელებ და ვგრძნობ მას თითებით. ხომ არ არის აუცილებელი, რომ ყოველთვის რაღაც გავაკეთო მისგან, ხომ ასეა?“*
- დემონსტრირება: *„თუკიგსურთ, რომ წყლის ბორბალმა იტრიალოს, როცა მასში წყალს ასხამთ, მის ძირზე არსებული ფიქსატორი ამგვარად უნდა გამოწიოთ. აი ასე! ახლა ის მუშაობს.“*
- შექმენით ან დაამატეთ გამოწვევა: *„მაინტერესებს, შეძლებთ რამის აშენებას ამ კუბებისგან?“*
- დასვით კითხვა: *„რას ფიქრობთ, რა მოხდება თუკი დაასხამთ წყალს ქვიშაზე? როგორ შეიცვლება ის? დაგვჭირდება სხვადასხვა ინსტრუმენტები მასთან სამუშაოდ?“*
- შესთავაზეთ დახმარება: *„დახმარება ხომ არ გჭირდებათ, რათა Marble Run კონსტრუქცია არ დაიშალოს? სავარაუდოდ, უფრო მყარი საძირკველი რომ ჰქონოდა, არ ჩამოვარდებოდა. მე დაგეხმარებით ამის გაკეთებაში.“*
- ინფორმაციის მიწოდება: *„თქვენ გააკეთეთ სასწრაფო დახმარების მანქანა თქვენი ასაწყობი კუბებით. გახსოვთ სასწრაფო დახმარების მანქანა, ჩვენს სკოლასთან რომ მოვიდა? სასწრაფო დახმარების სამსახურს ჰქონდა სპეციალური საწოლი ბორბლებზე, გახსოვთ? მას ეწოდება საკაცე.“*
- მიეცით მიმართულებები: *„ჩვენ გვაქვს ხელოვნების სხვადასხვა მასალები, რომლითაც შეგიძლიათ ითამაშოთ და გააკეთოთ რამე ხელოვნების მაგიდასთან. შეგიძლიათ გამოიყენოთ წებო ან პასტა, რათა შექმნათ თქვენთვის სასურველი კოლაჟი.“*

ზოგიერთი ეს სტრატეგია უკეთ ემთხვევა ერთ სასწავლო მიზანს მეორესთან შედარებით. ზოგიერთი მათგანი უკეთ ემთხვევა ერთი ბავშვის პიროვნებას ან სწავლის სტილს მეორესთან შედარებით. ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გაარკვიოთ, სწორია თუ არა სწავლების სტრატეგია, არის გამოსცადოთ ის. შემდეგ შეგიძლიათ დაფიქრდეთ მის წარმატებასა ან ნაკლოვანებაზე და სცადოთ სხვა მიდგომა შემდეგ ჯერზე.

სწავლის ხელშეწყობა (სკაფოლდინგი)

სწავლის ხელშეწყობა (სკაფოლდინგი, პირდაპირ ითარგმნება როგორც „ხარაჩოს დადგმა“) არის სწავლების მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც უნდა გვახსოვდეს. ხელშეწყობა, რომელიც ეხმარება ბავშვს გააკეთოს ისეთი რამ, რასაც ვერ აკეთებს თავისით. მაგალითად, ხელშეწყობა კონსტრუქციის აგების დროს, ეს არის დროებითი დახმარება. მას შემდეგ, რაც ბავშვი იძენს თავდაჯერებულობას და ცოდნას, უფროსი აღარ ეხმარება და აღნიშნავს/ზეიმობს ბავშვის დამოუკიდებელ საქმიანობას.

როცა ბავშვი ეჭიდება ახალ გამოწვევას, მასთან გასამკლავებლად შესაძლოა დასჭირდეს დახმარება მასწავლებლისგან. კვალიფიციური მასწავლებელი არ გაუწევს მას გადაჭარბებულ დახმარებას. ჩვენი მიზანია, რომ ბავშვმა მიიღოს ის მინიმალური დახმარება, რომელიც სჭირდება, როცა ვერ აკეთებს რაღაცას თავისით... როცა ბავშვი ეუფლება ახალ გამოცდილებას, მასწავლებელი თანდათან ამცირებს თავის დახმარებას (Copple and Bredekamp 2009, 39).

სწავლის ხელშეწყობას მივმართავთ მაშინ, როცა ბავშვი მოქმედებს ეგრეთ წოდებულ განვითარების უახლოეს ზონაში, ანუ ZPD-ში. *განვითარების უახლოესი ზონა* არის ტერმინი, რომელიც შემოიღო განვითარების თეორეტიკოსმა ლევ ვიგოტსკიმ (1978). მან *განვითარების უახლოეს ზონად* განსაზღვრა ის, რასაც ბავშვი სწავლობს დახმარების საშუალებით. ზოგჯერ ეს დახმარება მოდის მასწავლებლისგან, ზოგჯერ კი სხვა ბავშვისგან, რომელსაც გააჩნია საკმარისი კომპეტენცია, რათა იმოქმედოს, როგორც სწავლის ხელშემწყობმა იმ კონკრეტული ბავშვისთვის.

თითოეული ბავშვის შემთხვევაში მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვის *განვითარების უახლოეს ზონას.*



იმისათვის, რომ ხარისხიანი ხელშემწყობები იყვნენ, მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ, თუ რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს ახლა და რის გაკეთებას ცდილობს ის უშედეგოდ. ეს არის დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლი, რისგანაც შედგება კურიკულუმის პროცესი. როცა მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვი იბრძვის და ცდილობს, ის აღმოუჩენს დახმარებას, რათა ბავშვმა მიაღწიოს წარმატებას. და წყვეტს დახმარებას, როგორც კი ბავშვი შეძლებს ახალი დავალების დამოუკიდებლად შესრულებას. თუმცა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში ისევ ჩაერთოს.

თამაშის დროს, ბევრ ბავშვს არ შესწევს უნარი, რომ დაიწყოს ან შეინარჩუნოს მაღალი დონის თამაში - მათ შესაძლოა ადვილად გადაიტანონ ყურადღება სხვა რამეზე, რაც ხდება ოთახში. შესაძლოა არ იცოდნენ როგორ მიუახლოვდნენ მოთამაშე ბავშვების ჯგუფს და შეუერთდნენ მათ. თუკი მასწავლებლები დაკვირვებულები არიან, მათ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ თითოეულ ბავშვს თავიანთი პ განვითარების უახლოეს ზონაში, ამგვარად თამაშით გამოცდილება უფრო სასარგებლო იქნება მათთვის:

> თამაშის უფრო მაღალი დონის მიღწევა საჭიროებს უფროსების დახმარებას ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში. დამატებით ვიგოტსკიმ განიხილა თვითონ თამაში, როგორც განვითარების უახლოესი ზონა ან „თვითგანვითარების იარაღი,

რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს მიაღწიონ შემეცნებითი ფუნქციონირების უფრო მაღალ დონეს“ (როსკოსი და კრისტი 2004, 113). (გრონლუნდი 2010, 26)

როცა მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს სხვადასხვა სტრატეგიაში, რომელიც გულისხმობს ყურადღების გადატანის იგნორირებას ან თამაშის გამოცდილებებში ჩართვას, მათ შესაძლოა იხილონ, რომ ეს ბავშვები თამაშში თავისით ერთვებიან. აქ მოცემულია ერთ-ერთი ასეთი მაგალითი, როცა მასწავლებელი ასწავლის ბავშვს, როგორ შეუერთდეს სხვებს თამაშის დროს.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჯასტინს, რომელიც თვალყურს ადევნებდა სხვა ბავშვების თამაშს კუბების სივრცეში. რამდენჯერმე გაუფრთხილებლად მიუახლოვდა მათ და აშენებული კონსტრუქციები დაუნგრია. ყოველ ჯერზე ვერეოდი, ვმართავდი დისკუსიებს ბიჭებს შორის და ვცდილობდი ხელი შემეწყო ჯასტინისთვის, რომ ბიჭებთან ერთად ეთამაშა. როცა მათაც გამოთქვეს ამის სურვილი, ჯასტინმა თავი გააქნია და თქვა „არა“ და გადაინაცვლა სხვა ადგილას. ერთ დღეს ვკითხე, ხომ არ სურდა ჩემთან ერთად ეთამაშა კუბების სივრცეში. მან უყოყმანოდ მიპასუხა „დიახ!“ რამდენიმე დღე მივდიოდით და ერთად ვაწყობდით კუბებს სხვა მოთამაშეების გვერდით. მერე ჩვენთან სხვა ბიჭებიც მოვიდნენ და შემოგვიერთდნენ. მე შევქმენი ერთობლივი მუშაობის მოდელი და გარკვეული დროის შემდეგ შემეძლო ახლოს ვმჯდარიყავი წყნარად და ძალიან არ ჩავრეულიყავი.

სუზანი: „ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს, იცოდე როდის ჩაერთო და დაეხმარო მათ შემდეგ დონეზე გადასასვლელად და როდის მისცე უფლება, რომ ცოტათი აირიონ.“

მასწავლებლის მიზანია გამოწვევის დონის განსაზღვრა, რომელშიც ბავშვს შეუძლია კოგნიტურად ჩაერთოს, მაგრამ არ უნდა თრგუნავდეს მას. ეს ნიშნავს, რომ კარგად გაიცნოთ თითოეული ბავშვი და მიხვდეთ, რა აქტივობები ან სხვა ბავშვებთან დაწყვილებები იქნება მისთვის ყველაზე წარმატებული გზა თამაშის „ნაკადში“ ჩართვისთვის.

როცა ბავშვები ჩართულები არიან მაღალი დონის თამაშში, ამჩნევთ ყოვლისმომცველ ყურადღებას, რომელსაც ისინი უთმობენ რთულ თამაშით გამოცდილებას. ისინი გვანან სპორტსმენებს „ზონაში“ ან როგორც მიჰალი ჩიკსზენტმიჰალი (1997, 31-32) ამბობს, ისინი ერთვებიან „გამოცდილების ნაკადში.“ ის *ნაკადს* შემდეგნაირად განმარტავს: „როცა ადამიანის მთელი არსება მიმართულია სხეულისა და გონების სრული ფუნქციონირებისკენ, რასაც არ უნდა აკეთებდეს ის, ღირებულია მისივე გულისათვის. ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიის ჰარმონიული ფოკუსირებისას, ცხოვრება საბოლოოდ თავის კუთვნილს იღებს.“ სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებსაც შეუძლიათ მიმართონ თავიანთი არსება სხეულისა და გონების სრული ფუნქციონირებისკენ, როცა გამოცდილება ამად ღირს, და მაღალი დონის თამაშს შეუძლია მისცეს მათ ასეთი გამოცდილება (გრონლუნდი 2010, 25).

დასკვნა

ჩვენი მიზანია თითოეულმა ბავშვმა გამოიყენოს თავისი მაქსიმალური შესაძლებლობები. თამაში არის საოცარი საშუალება ამის მისაღწევად სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემთხვევაში. მასწავლებლებს კი უმთავრესი როლი აკისრიათ ბავშვებისთვის თამაშში ხელის შეწყობაში, თუკი ეს არის ისეთი დონის თამაში, რომელსაც, კვლევის თანახმად, მოაქვს ასე ბევრი სარგებელი.

მომდევნო თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ კურიკულუმის ინდივიდუალიზაციის გზებს და განვსაზღვრავთ თითოეული ბავშვის *განვითარების უახლოეს ზონას*. ჩვენ შევისწავლით ადაპტაციებს, მორგებას და სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწავლასა და განვითარებაში თავისი სრული პოტენციალის ფარგლებში.

თავი 5 ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია: თითოეული ბავშვი განსხვავებულია

თითოეული ბავშვი განსხვავებულია. სკოლამდელი და წინასასკოლო განათლების მასწავლებლები სწავლობენ თითოეული ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების მხედველობაში მიღებას, რათა მეტი გაიგონ მათი პიროვნული თვისებების, ნიჭის და ინტერესების შესახებ და მის ოჯახთან ერთად იზეიმონ ბავშვის ზრდა და განვითარება. პატივსაცემი, მზრუნველი ურთიერთობის დამყარება თითოეულ ბავშვთან და ოჯახთან, კურიკულუმის უმთავრესი ექვსი ელემენტიდან ერთ-ერთია. ეს ურთიერთობები ეხმარება მასწავლებლებს უკეთ გაიცნონ თითოეული ბავშვი, გააცნობიერონ ოჯახური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი გაიზარდა და ითანამშრომლონ ოჯახთან ბავშვის სასარგებლოდ.

ლორენი: „ჩვენს ჯგუფში დაგეგმვისა და დაკვირვების პროცესისგან მიღებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარგებელი იყო დახმარება ჩემი ჯგუფის ბავშვების გაცნობაში. მათზე დაკვირვებით სხვადასხვა დროს დღის განმავლობაში, არა მარტო სწავლობ, თუ როგორ შეუწყო ხელი მათ ცოდნის მომდევნო დონეზე გადასასვლელად, არამედ მათ სიმპათიებსა და ანტიპათიებს, იუმორის გრძნობას და სწავლის სტილსაც ეცნობი.“

თითოეულმა მასწავლებელმა უნდა მოიპოვოს მშობლების და ბავშვების ნდობა. თავის მხრივ, მშობლებმაც უნდა ისწავლონ ნდობა იმისა, რომ მათი ბავშვები კარგი მეთვალყურეობის ქვეშ არიან და მათი უსაფრთხოება დაცულია. მათ უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, თუ რა ხდება ყოველდღიურად ჯგუფში, რათა არ იყვნენ დაძაბულები და იცოდნენ, რომ მათ ბავშვს ექნება ხელშეწყობა და მხარდაჭერა, როგორც მოსწავლეს და უნიკალურ პიროვნებას. ბავშვმა ასევე უნდა ისწავლოს თავისი მასწავლებლის ნდობა. როცა ჩამოუყალიბდება ნდობის ძლიერი განცდა, ის უფრო თავდაჯერებული და ღია იქნება სიახლეების მიმართ, წავა რისკზე და აჩვენებს, რაშია წარმატებული და მზად იქნება უფრო დიდი გამოწვევებისთვისაც. მასწავლებლებმა ბევრი უნდა იმუშაონ ბავშვების და ოჯახების ნდობის მოსაპოვებლად და მათთან მჭიდრო ურთიერთოების დასამყარებლად, რათა შეძლონ კურიკულუმის ინდივიდუალიზაცია და თითოეული ბავშვისთვის დიფერენცირებული სწავლის შესაძლებლობების შეთავაზება.

მომდევნო თავში შევისწავლით ოჯახებთან წარმატებული ურთიერთობის გზებს. ამჟამად კი ყურადღებას გავამახვილებთ ოთხ მეთოდზე, რომელთა საშუალებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ იმუშაონ ინდივიდუალიზაციასა და დიფერენციაციაზე თითოეული ბავშვისთვის კურიკულუმში:

1. დაგეგმვა ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად
2. თითოეული ბავშვის კარგად გაცნობა
3. მოდიფიკაციების, ცვლილებების და მორგების დაგეგმვა თითოეული ბავშვისთვის

4. მიმდინარე პროექტების დაგეგმვა ბავშვების ინტერესებზე დაყრდნობით

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების კარგი კურიკულუმის განხორციელებისას ინდივიდუალიზაციის ამოცანა არ არის უგულებელყოფილი. პირიქით, ის შესულია ყოველკვირეულ დაგეგმვაში და რეფლექსიის ფორმებში. მასწავლებლები ხაზს უსვამენ მის მნიშვნელობას, როცა წინასწარ ფიქრობენ ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებაზე, დგამენ ნაბიჯებს ამ ურთიერთობის გასამყარებლად და ყოველკვირეულად ასახავენ რა ხდება ჯგუფში ბავშვებთან დაკავშირებით. ისინი ამის შესახებ ჩანაწერებს აკეთებენ.

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების შემუშავებული ფორმების მეორე გვერდზე მოცემულია ველი წარწერით „ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები.“აქ მასწავლებელი წერს კონკრეტულ ქმედებებს, რის გაკეთებასაც გეგმავს როგორც მთელ ჯგუფთან, ისე თითოეულ ბავშვთან ურთიერთობის დასამყარებლად. ორივე ფორმის ბოლო გვერდზე მოცემული მეორე ველი წარწერით, „მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის,“ ასევე გულისხმობს ყურადღების გამახვილებას თითოეული ბავშვის მიმართ. აქ მასწავლებელი წერს არსებულ აქტივობებში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომლებიც დაეხმარება კონკრეტულ ბავშვს წარმატების მიღწევაში. ყურადღება თითოეული ბავშვის მიმართ ეხმარება მასწავლებელს მათი ნდობის განცდის განმტკიცებაში. ბავშვები აცნობიერებენ, რომ მათი მასწავლებლები სერიოზულად ზრუნავენ მათზე.

დაგეგმვა ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად

ერიკ ერიკსონმა (1950), განვითარების თეორეტიკოსმა განსაზღვრა პროგრესული ეტაპები ბავშვის განვითარებაში. მან თქვა, რომ სამ წლამდე ასაკის ბავშვის მთავარი ამოცანაა სხვების მიმართ ნდობის და საკუთარი თავისთვის ავტონომიის განვითარება. სამიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვის ამოცანაა ჩაერთოს ინიციატივაში: ცადოს სხვადასხვა რამის კეთება, შექმნას და წარმოადგინოს გამოცდილება. ექვსიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვის ამოცანაა განივითაროს შრომისმოყვარეობა: ბოლომდე გამოიყენოს მუდმივად მზარდი უნარები და განავითაროს კომპეტენცია.

ნდობის განვითარება წინ უსწრებს ავტონომიას და შრომისმოყვარეობას. ასე რომ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაც კი, რომლებიც არიან ინიციატივის ეტაპზე და წინასასკოლო ჯგუფებში ბავშვებისთვის, რომლებიც მოძრაობენ შრომისმოყვარეობის ეტაპის მიმართულებით, ნდობის განვითარება აუცილებელია ყოველ ახალ გარემოში და ურთიერთობაში. სწორედ ამის გამო მასწავლებლებს ბევრი მუშაობა უწევთ, რათა დაარწმუნონ ბავშვები თავიანთ საუკეთესო განზრახვებში მათ მიმართ. ისინი წერენ გეგმებს ჯგუფში ერთობის განცდისა და თითოეულ ბავშვთან მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად.

არსებობს სხვადასხვა ზომები, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ სკოლამდელი დაწესებულებისა და წინასასკოლო ჯგუფების მასწავლებლებმა, ბავშვებთან ჯგუფის ერთობის განცდის ჩამოსაყალიბებლად თავიანთ ჯგუფებში. აქ მოცემულია რამდენიმე იდეა. ეს სია რა თქმა უნდა არ არის სრული. რას დაამატებდით? მასწავლებლებს შეუძლიათ:

რობინი: „ეს იმდენად მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი: ურთიერთობების ჩამოყალიბება.“

- გულთბილად დახვდნენ ბავშვებს და ოჯახის წევრებს ჯგუფში
- მიესალმონ და ისაუბრონ ოჯახის წევრებთან ბავშვების გაყვანის და მოყვანის დროს
- შეიმუშაონ მოსვლის რიტუალები და ყოველდღიური საქმიანობები ყველა ბავშვისთვის, რათა ხელი შეუწყონ სახლსა და სკოლას შორის შეუფერხებელ გარდამავალ პერიოდს
- ჰქონდეთ ჯგუფის სიმღერები, მღერით საუბარი და თამაშები (როგორიცაა „The More We Are Together“ ან „All My Friends Are Here with Me“), როგორც რიტუალები ჯგუფის შესაკრებად
- ითამაშონ სახელობითი თამაშები (როგორიცაა Who Stole the Cookie from the Cookie Jar?), ამგვარად ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის სახელებს
- შეიმუშაონ ჯგუფურ შეხვედრებში მონაწილეობის გზები, რომელიც აძლევს თითოეულ ბავშვს საუბრის საშუალებას და დაეხმარონ მათ მოსმენაში და პატივი სცენ სხვებს საუბრის დროს (სპიკერს უჭირავს სპეციალური ჯოხი ან რბილი სათამაშო და გადასცემს მას)
- ჰქონდეთ სიგნალები ბავშვების ყურადღების მისაპყრობად, როცა საჭიროა განცხადების გაკეთება (ტაშის დაკვრის სტილი, რომელსაც ისინი გაიმეორებენ; ნაზი, სასიამოვნო ზარის რეკვა)
- ჩართონ ბავშვები ჯგუფში წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრაში („ბიჭებო და გოგოებო, მე შევამჩნიე, რომ ზოგიერთი თქვენგანი არ გვეხმარება დალაგების დროს. მოდით, მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება უფრო სწრაფად დასუფთავება და მილაგება ყველას მონაწილეობით“)
- მიაქციონ ყურადღება რომელი აქტივობები მოსწონს მეტად ჯგუფს და გაიმეორონ ისინი („მე ვიცი, რომ შენი ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა არის _____. ასე რომ, დღეს ჩვენ ისევ გავაკეთებთ _____!“)
- აირჩიონ ერთ-ერთი ხე გარეთ, როგორც ჯგუფის ხე და ყურადღებით დააკვირდნენ მის ცვლილებას სეზონების მიხედვით
- შეარჩიონ რომელიმე სხვა ჯგუფი, რათა მათთან ერთად იკითხონ ან ითამაშონ
- ჰყავდეთ ჯგუფში ცხოველები და მცენარეები და მონაცვლეობით იზრუნონ მათზე
- შექმნან უამრავი საკლასო წიგნი, რომელიც ასახავს ჯგუფის გამოცდილებას (როგორიცაა წიგნი ბავშვების ოჯახების შესახებ, ან წიგნები, სადაც დოკუმენტურად არის ასახული გასვლები (ექსკურსიები) ან სპეციალური სტუმრები, ან გადაწერილი საყვარელი მოთხრობები, ისე რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს თითო გვერდი)

- შეიმუშაონ სასარგებლო და სათნო ქცევის გაცნობიერების და აღნიშვნის გზები (როგორიცაა სიკეთის დოქი, სადაც ბავშვების სახელებია მოთავსებული)
- დააწესონ ყოველდღიური პროცედურა კონფლიქტების მოსაგვარებლად (როგორიცაა სამშვიდობო მაგიდა) და ასწავლონ ბავშვებს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები
- შეიმუშაონ ყოველდღიური საქმიანობები და რიტუალები სკოლამდელი დაწესებულებიდან ან წინასასკოლო ჯგუფიდან წასვლის შემთხვევისთვის (ჩახუტება, ხელის ჟესტი "High Five", დასამშვიდობებელი სიმღერები ან წიგნები)

სარა: „მე აღმოვაჩინე, რომ ბავშვებს აქვთ დადებითი რეაქცია ამ პროცესის მიმართ, რადგან ურთიერთობა ორივე მხრიდან უფრო მდიდარია. ამიტომ იქმნება მეტი ნდობა, ხელშეწყობა და ინფორმირებულობა, რომელიც თავის მხრივ ასევე ეხმარება ბავშვების ემოციურ ინტელექტს."

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბებისკენ მიმართული ეს აქტივობები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. მოცემულ ფორმაში მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს ერთი ან ორი ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებს ჯგუფის ერთობის ჩამოსაყალიბებლად ყველა ბავშვთან ერთად კვირის განმავლობაში. დროის გასვლასთან ერთად ეს აქტივობები გრძელდება და ჯგუფს უვითარდება იდენტობის განცდა და ყალიბდება მჭიდრო ურთიერთობები.

თითოეულ ბავშვთან მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბება უმთავრესი ამოცანაა, რომელიც ასევე მოიცავს ბევრ შესაძლებლობას. ბავშვის დარწმუნება, რომ მას შეუძლია ენდოს თავის მასწავლებელს, პირველ დღეებში დიდ დროს მოითხოვს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფში. ისინი ყურადღებით სწავლობენ თითოეული ბავშვის სახელს და მათ ხშირად მიმართავენ სახელით. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ თავდაპირველ სიგნალებს, რომელსაც ბავშვი აგზავნის თავისი პიროვნების, სწავლის მიმართ მისი მიდგომის, სოციალური კომფორტის დონეების და ოჯახის წევრებთან მისი ურთიერთობის შესახებ.

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი განსაზღვრავს ურთიერთობების დამყარებისათვის გადასადგმელი ნაბიჯების შესაძლებლობებს, რომლებიც მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთ გეგმაში. ვიმეორებ, ეს ჩამონათვალი არავითარ შემთხვევაში არ არის სრული. გაქვთ კიდევ რაიმე იდეა? შესაძლებლობები უსასრულოა, ხომ ასეა?

ურთიერთობების დამყარებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები

- მიესალმეთ ბავშვს სახელით და თბილი ღიმილით
- შეეხეთ ბავშვს (ხელი მოუსვით მხარზე ან ზურგზე, ჩაეხუტეთ)
- ჩახედეთ ბავშვს თვალებში (თვალი ჩაუკარით, გაუღიმეთ ან გაუცინეთ)
- დაჯექით ბავშვთან (მოძებნეთ ბავშვი წრის ან აქტივობის დროს)
- შესთავაზეთ ბავშვს კალთაში ჩაგიჯდეთ
- გამოიყენეთ ბავშვის მშობლიური ენა ან მიეცით მასალები იმ ენაზე, რომელზეც შინ საუბრობენ

- პატივი ეცით ბავშვის პიროვნებას (ნუ დააძალებთ წყნარ ბავშვს ისაუბროს; ნუ შეეხებით ბავშვს, რომელიც შეხების მიმართ სენსიტიურია)
- სთხოვეთ ითამაშოს ან იმუშაოს ბავშვთან ერთად (მოახდინეთ მასალებთან მისი ურთიერთობის იმიტაცია)
- მიეცით ბავშვს საშუალება გამოხატოს ინიციატივა (წავიდეს პირველი, უპასუხოს კითხვას, მოგაწოდოთ იდეა)
- სთხოვეთ ბავშვს იყოს სპეციალური დამხმარე
- შეაქეთ ბავშვი („შეხედეთ, რა ფერები გამოუყენებია! შენ მართლაც კარგი ნახტომი გააკეთე!“)
- დაუწესეთ ლიმიტები ბავშვს („არა, მე არ დაგრთავ ნებას თავს რამე დაუშავო. ეს სახტომი პლატფორმა ძალიან მაღალია. მოდი, ცოტა დავაპატარაოთ და ქვეშ ხალიჩა დავუფინოთ.“)
- მიეცით ბავშვს წყნარი, პირადი დრო
- მხედველობაში იქონიეთ, რომ ბავშვს აქვს ფიზიკური ენერგია, რომელიც უნდა დახარჯო („მოდით, შევეშვათ სალტეებს და გავაკეთოთ სახტუნაო ბილიკი.“)

რადგან მასწავლებლები ეცნობიან თითოეული ბავშვის პიროვნულ თვისებებს და სწავლის მიმართ მიდგომებს, წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ჯგუფის ერთობის და ურთიერთობების ჩამოყალიბება“, დაწერილ გეგმებში შესაძლებელია კონკრეტული ბავშვების დასახელება. მაგრამ ვინაიდან მოცემული ფორმის ეს მეორე გვერდი შესაძლოა განთავსდეს მშობლებისთვის და სხვებისთვის სანახავად, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი რამ, რაც დაიწერება ამ ნაწილში, იყოს პოზიტიური და ზოგადი. უფრო კონკრეტული მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის დაიწერება დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმის ბოლო გვერდზე, მხოლოდ მასწავლებლებისთვის სანახავად. აქ მოცემულია მასწავლებლების გეგმების მაგალითები „ჯგუფის ერთობის და ურთიერთობების ჩამოყალიბება“ ჯგუფში.

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები

აჩვენეთ ბავშვებს, სად არის განთავსებული მათი მყუდრო ადგილები და პირადი სამხატვრო გალერეა. მიეცით მათ პერსონალური ბარათი და დაეხმარეთ ყოველდღიურად გაიარონ ავტორიზაცია.

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები

შესთავაზეთ ოჯახებს გამოგიგზავნონ 4-5 საოჯახო ფოტო. გააკეთეთ „ჯგუფის ოჯახური ფოტოალბომი“, რომელიც განთავსდება ჯგუფის ბიბლიოთეკაში.

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები

დიდი ჯგუფის ამ კვირის მუშაობის დროს წარმოადგინეთ ჯგუფის სიმღერების კრებული; სიმღერების განხილვისას გამოხატეთ პატივისცემა სხვების საკუთრებისა და გრძნობების მიმართ. ასევე ისაუბრეთ ამის შესახებ ყოველდღიურად.

ბევრი სხვა შესაძლებლობაც წარმოიქმნება, როცა უკეთ ეცნობი ბავშვებს თქვენი პროგრამის ფარგლებში. ნუ შემოიფარგლებით ზემოთ მოცემული სიით. იყავით ღია ყველა შესაძლებლობისთვის, რომელიც შეეხება თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს.

თითოეული ბავშვის კარგად გაცნობა: თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

მასწავლებლები კარგად იცნობენ ბავშვებს, მაშასადამე მათ შეუძლიათ დაგეგმონ თითოეული მათგანის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი სასწავლო შესაძლებლობები და საჭიროებები. თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი - რომელიც მოცემულია დანართში „ც“, და Redleaf Press-ის ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე:www.redleafpress.org -შეიქმნა, როგორც ინსტრუმენტი მასწავლებლებისთვის ბავშვის შესახებ იმ ინფორმაციის ჩასაწერად, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს მის წარმატებაზე ადრეული ასაკის ბავშვთა პროგრამაში. ჩანაწერის დიზაინი იძლევა ბავშვის საერთო განვითარების ფართო სურათს. ამიტომ საჭირო არ არის მისი გამოყენება ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად. ის მოიცავს სივრცეს მასწავლებლისთვის, რათა ბავშვის გაცნობის შემდეგ ჩაწეროს ქვემოთ მოცემული ინფორმაცია:

- კულტურა
- ცხოვრებისეული გამოცდილება
- ოჯახი
- განვითარების ძლიერი მხარეები
- განვითარებადი სფეროები
- ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები
- ემოციური მდგომარეობა
- სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე
- ინტერესები
- სწავლის სტილი

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: _____ თარიღი: _____

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
ინტერესები	განვითარებადი სფეროები	სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე	ემოციური მდგომარეობა	ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები

მასწავლებელი ბავშვის გაცნობის შემდეგ წერს მიღებულ ინფორმაციას ჩანაწერში. ზოგიერთი მასწავლებელი მას წელიწადში სამჯერ, ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ იყენებს: პირველად გაცნობის ან ბავშვის მიღებასთან დაკავშირებული შეხვედრის დროს, მეორედ და მესამედ - ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენციებისთვის მზადებისას. ეს არის მიმდინარე პროცესი, ასე რომ წლის ბოლოს ყველა გრაფა შევსებულია სრული და მდიდარი სურათის მისაღებად სკოლამდელი ასაკის ბავშვის შესახებ.

ზოგი ინფორმაცია ჩანაწერისთვის მოპოვებულია ოჯახთან თავდაპირველი ინტერვიუს დროს. ბევრ პროგრამას აქვს ბავშვის მიღების ფურცლები, რომლებიც უნდა შეავსონ ოჯახის წევრებმა, როგორც რეგისტრაციის პროცესის ნაწილი. ზოგიერთი პროგრამა მოითხოვს მშობლებთან ინტერვიუს ბავშვების რეგისტრაციისას, ან სახლში ან ჯგუფში თავდაპირველი ვიზიტისას. ორივე შემთხვევა თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერში ბევრი საკითხის განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის ოჯახის გაცნობა წარმოადგენს ურთიერთობის დამყარების გზას როგორც ბავშვთან, ისე მის ოჯახთან. ბავშვის კულტურული წარმომავლობის გაცნობა მნიშვნელოვანია ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. თუკი ბავშვის ოჯახი ინგლისურის გარდა შინ სხვა

ენაზე საუბრობს, მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ძალიან დაეხმარება პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. რამდენიმე სიტყვის გამოყენება, წიგნების ან პოსტერების მიწოდება ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, ან ბავშვისთვის ცნობილი კულტურული ასპექტების ჩვენება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს.

მასწავლებლები დააკვირდნენ, რომ საინფორმაციო ჩანაწერის ჩვენება მშობლებისთვის პირველ შეხვედრაზე მათ აძლევს საშუალებას გაიგონ, რომ ისინი თავს არ დაზოგავენ, მათი შვილის კარგად გასაცნობად, რათა სკოლამდელი დაწესებულების ან წინასასკოლო გამოცდილება მათთვის წარმატებული იყოს. ოჯახის მდიდარი ინფორმაცია მასწავლებელს დაეხმარება ბავშვის პიროვნების აღქმაში. ჩანაწერი მათ ისეთ მნიშვნელოვან სიტუაციაში, როგორიც არის გაცნობა, საუბრის წარმართვაში დაეხმარება.

ჩანაწერის სხვა ნაწილს ნათელი მოეფინება, როცა ბავშვი რეგულარულად ივლის და მასწავლებლები მას კარგად გაიცნობენ. ყველა მასწავლებელმა, რომელიც ჩართულია ამ პროცესში, რეგულარულად უნდა განიხილოს, თუ რას სწავლობენ კონკრეტული ბავშვის შესახებ და ასახონ ჩანაწერში ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით. ბევრი სკოლამდელი დაწესებულების პროგრამა განსაზღვრავს ერთ მასწავლებელს, როგორც თითოეული ბავშვის მთავარ აღმზრდელს. ის შესაძლოა იყოს ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემულ ფორმაში ბავშვის შესახებ ოჯახისგან და პედაგოგიური პერსონალის რეფლექსიებიდან მიღებული ინფორმაციის ჩაწერაზე. და ბოლოს, კარგი იქნება გამოიყოს ერთი ადამიანი, როგორც თითოეული ბავშვის შესახებ ჩანაწერების მთავარი მწარმოებელი. ეს უზრუნველყოფს ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებას.

მომდევნო გვერდზე მოცემულია თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერის ორი მაგალითი, რომელიც შევსებულია ბავშვის მიღების პროცესში ოჯახებთან ერთად.

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერის გადახედვა ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენციამდე, საშუალებას აძლევს მასწავლებელს თვალი გადაავლოს ოჯახის კომენტარებს წლის დასაწყისში და შეადაროს იმას, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში ისწავლა ბავშვის შესახებ ჯგუფში. მას შეუძლია დაადასტუროს მშობლების ნათქვამი და დაამატოს ახალი ინფორმაცია. თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი შესაძლოა იყოს ორიენტირი ბავშვის პროგრესის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშის დაწერისას და ბავშვის განვითარების სტიმულირებისა და გაზრდისთვის შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისას. მისი გამოყენება შეიძლება ოჯახთან ვიდეოკავშირის დროსაც.

მომდევნო გვერდებზე იხილავთ თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერის მაგალითებს კოლინისა და მარიბელასთვის, მათი მიღებიდან მასწავლებლის მიერ ოჯახსა და მასწავლებელს შორის პირველ ვიდეო-კავშირამდე გაკეთებული დამატებითი კომენტარების ჩათვლით. დამატებით, ასევე იხილავთ ამავე საინფორმაციო ჩანაწერების მაგალითებს წლის ბოლოს მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით ოჯახსა და მასწავლებელს შორის საბოლოო კონფერენციამდე.

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: კოლინი თარიღი: მიღება 9/7/11

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*კავკასიური შვედურ და ინგლისურ წარმომავლობასთან ერთად	*იმოგზაურა, იყო მუზეუმებში, ზოოპარკში და ა.შ.	*დედა, მამა, უმცროსი და (გვენი)		* უყვარს როცა უკითხავენ - უსმენს სხვადასხვა წიგნებს
ინტერესები	**განვითარებადი სფეროები**	**სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე**	**ემოციური მდგომარეობა**	**ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები**
*მსუბუქი და სატვირთო მანქანები, მუსიკა	*არ არის დიდად დაინტერესებული ანბანით		*წონასწორობიდან გამოდის - ისვრის ნივთებს	*ყურის სხვადასხვა ინფექცია - ყურსაცობები; ძინავს, ჭამს კარგად

კოლინის ჩანაწერი მიღებისას

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: მარიბელა თარიღი: მიღება 9/5/11

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*მექსიკელი - გადმოვიდა გასულ თვეში	*მექსიკის სოფლიდან - ჯერ კიდევ ძალიან არის მიჯაჭვული ოჯახის წევრებზე	*დედა, მამა, ბებია, უფროსი ძმა(კარლოსი), უმცროსი ტყუპი დები		
ინტერესები	**განვითარებადი სფეროები**	**სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე**	**ემოციური მდგომარეობა**	**ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები**
*უყვარს ცეკვა - ეხმარება დედას ტყუპების გაზრდაში	*ინგლისური ჯერ კიდევ ცუდად იცის	*უყვარს სიახლეების სწავლა	*ძალიან მშვიდი და ბედნიერი ბავშვი	*მიდრეკილია ასთმური შეტევების მიმართ

მარიბელას ჩანაწერი მიღებისას

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: კოლინი თარიღი: მიღება 9/7/11 კონფერენცია 11/3/11

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*კავკასიური შვედურ და ინგლისურ წარმომავლობასთან ერთად.	*იმოგზაურა, იყო მუზეუმებში, ზოოპარკში და ა.შ. *ნამყოფია ტორონტოში ოჯახთან ერთად - ყველას უამბო ამის შესახებ	*დედა, მამა, უმცროსი და (გვენი) *უყვარს უმცროსი და	*ურჩევნია ფიზიკური აქტივობა, თავისი მწარე გამოცდილებითა და შეცდომებით	* უყვარს როცა უკითხავენ - უსმენს სხვადასხვა წიგნებს, *შეუძლია მოყვეს მთელი მოთხრობა; კუბების და Legos-ს კარგი ამწყობი
ინტერესები	**განვითარებადი სფეროები**	**სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე**	**ემოციური მდგომარეობა**	**ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები**
*მსუბუქი და სატვირთო მანქანები, მუსიკა. *დინოზავრები, ვეშაპები	*არ არის დიდად დაინტერესებული ანბანით, *ნაწილობრივ წერს თავის სახელს	* დამოუკიდებლად უფრო მოსწონს რაღაცის გაკეთება, ვიდრე სხვებთან ერთად, მაგრამ აქტივობაში მისი ჩართვა პროდუქტიულია	*წონასწორობიდან გამოდის - ისვრის ნივთებს; *ძალიან დამოუკიდებელია	*ყურის სხვადასხვა ინფექცია - ყურსაცობები; ძინავს, ჭამს კარგად. *სმენა?

კოლინის ჩანაწერი პირველი კონფერენციის დროს.

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: მარიბელა თარიღი: მიღება 9/5/11 კონფერენცია 11/12/11

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*მექსიკელი - გადმოვიდა გასულ თვეში *ოჯახი უნაწილებდა საკვებს ჯგუფს	*მექსიკის სოფლიდან - ჯერ კიდევ ძალიან არის მოჯაჭვული ოჯახის წევრებზე	*დედა, მამა, ბებია, უფროსი ძმა (კარლოსი), უმცროსი ტყუპი დები, *ზიძა ჩამოვიდა მექსიკიდან	*ყველაფერს ადვილად აღიქვამს, უსმენს, ჯერ აკვირდება, შემდეგ ცდილობს თავად გააკეთოს	ნატიფი მოტორული უნარები, ზოგადი კოორდინაცია, ესპანური ლექსიკონი და ენის გამოყენება.
ინტერესები	**განვითარებადი სფეროები**	**სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე**	**ემოციური მდგომარეობა**	**ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები**
*უყვარს ცეკვა - ეხმარება დედას ტყუპების გაზრდაში, *უფრო დაინტერესებულია წიგნებით და დრამატული თამაშით	*ინგლისური ჯერ კიდევ ცუდად იცის, *ისწავლა ზოგიერთი ინგლისური სიტყვა; დედას უფრო ადვილად შორდება	*უყვარს სიახლეების სწავლა *დიახ, ცნობისმოყვარეა; არ გამოდის წონასწორობიდან	*ძალიან მშვიდი და ბედნიერი ბავშვი *მიჰყვება ჯგუფის დინებას, რამდენიმე განსაკუთრებული მეგობარი ჰყავს	*მიდრეკილია ასთმური შეტევების მიმართ, *ჩვენ მეთვალყურეობას გავუწევთ ზამთრის პერიოდის აქტივობების დროს

მარიბელას ჩანაწერი პირველი კონფერენციის დროს.

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: კოლინი თარიღი: მიღება 9/7/11 კონფერენცია 11/3/11 წლის ბოლო 5/4/12

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*კავკასიური შვედურ და ინგლისურ წარმომავლობასთა ნ ერთად.	*იმოგზაურა, იყო მუზეუმებში, ზოოპარკში და ა.შ. *ნამყოფია ტორონტოში ოჯახთან ერთად- ყველას უამბო ამის შესახებ	*დედა, მამა, უმცროსი და (გვენი) *უყვარს უმცროსი და ∇ ბებია და ბაბუა ეწვია გაზაფხულ ზე	*ურჩევნია ფიზიკური მოძრაობა, თავისი მწარე გამოცდილებითა და შეცდომებით; ∇ კარგავს თავს სამშენებლო მანიპულატივების დროს - უფრო მეტად ამჟღავნებს მოსმენის უნარებს	* უყვარს როცა უკითხავენ - უსმენს სხვადასხვა წიგნებს, *შეუძლია მოყვეს მთელი მოთხრობა; კუბების და Legos-ს კარგი ამწყობი; ∇ მართლაც შეუძლია კონცენტრირება; თამაშობს სხვებთან
ინტერესები	განვითარებადი სფეროები	სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე	ემოციური მდგომარეობა	ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები
*მსუბუქი და სატვირთო მანქანები, მუსიკა. *დინოზავრები, ვეშაპები; ∇ აშენებს ძალიან რთული დი ზაინის ავტობუსებს, ავტოფურგონებს, სატვირთო მანქანებს Lego-ს კუბებით	*არ არის დიდად დაინტერესებული ანბანით, *ნაწილობრივ წერს თავის სახელს, ∇ უჭირს სახელის დაწერა ნატიფი მოტორული უნარების პრობლემები? ცნობს ზოგიერთ ასოს	* დამოუკიდებლად უფრო მოსწონს რაღაცის გაკეთება, ვიდრე სხვებთან ერთად, მაგრამ აქტივობაში მისი ჩართვა პროდუქტიულია, ∇ სურს გააკეთოს ყველაფერი სწორად - წონასწორობიდან გამოდის	*წონასწორობიდან გამოდის - ისვრის ნივთებს; *ძალიან დამოუკიდებელია, ∇ დამოუკიდებლობა არის ის ძალა, რომელიც ზოგჯერ ხელს უშლის სხვებს	*ყურის სხვადასხვა ინფექცია - ყურსაცობები, ძინავს, ჭამს კარგად. *სმენა? ∇ სმენა შემოწმებულია - არავითარი პრობლემა

კოლინის ჩანაწერი საბოლოო კონფერენციის დროს

თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: მარიბელა თარიღი: მიღება 9/5/11 წლის ბოლო5/5/12

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
*მექსიკელი - გადმოვიდა გასულ თვეში; *ოჯახი უნაწილებდა საკვებს ჯგუფს; ∇ წავიდა მექსიკაში თებერვალში... გვაჩვენა ფოტოები	*მექსიკის სოფლიდან - ჯერ კიდევ ძალიან მოჯაჭვულია ოჯახის წევრებზე; *იძენს ბაღის მეგობრებს	*დედა, მამა, ბებია, უფროსი ძმა (კარლოსი), უმცროსი ტყუპი დები; *ბიძა ჩამოვიდა მექსიკიდან	*ყველაფერს ადვილად აღიქვამს, უსმენს, ჯერ აკვირდება, შემდეგ ცდილობს თავად გააკეთოს; ∇ უფრო მეტად მოსწონს თავგადასავლები- დამოუკიდებელი, საკუთარ თავში დარწმუნებული მოსწავლე	ნატიფი მოტორული უნარები, ზოგადი კოორდინაცია, ესპანური ლექსიკონი და ენის გამოყენება. ∇ დაინტერესებულია წიგნებით, კითხვით, სიტყვებით, სოციალური უნარებით
ინტერესები	განვითარებადი სფეროები	სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე	ემოციური მდგომარეობა	ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები
*უყვარს ცეკვა -	*ინგლისური ჯერ კიდევ ცუდად	*უყვარს სიახლეების	*ძალიან მშვიდი და	*მიდრეკილია

∇ ეხმარება დედას ტყუპების გაზრდაში; *უფრო დაინტერესებულია წიგნებით და დრამატული თამაშით; ∇ შემოქმედებითი ხელოვნება; ხანგრძლივი დრამატული თამაშის ეპიზოდები აჩვენა მის საყვარელ ოჯახს	იცის; *ისწავლა ზოგიერთი ინგლისური სიტყვა; დედას უფრო ადვილად შორდება; ∇ ბევრი ინგლისური სიტყვის მარაგი, ზოგიერთ სიტყვას კითხულობს ესპანურად და ინგლისურად	სწავლა, *დიახ, ცნობისმოყვარეა; არ გამოდის წონასწორობიდან ∇ ის ცდის ყველაფერს	ბედნიერი ბავშვი *მიჰყვება ჯგუფის დინებას, რამდენიმე განსაკუთრებული მეგობარი ჰყავს; ∇ ყალიბდება როგორც ლიდერი	ასთმური შეტევების მიმართ, *ჩვენ მეთვალყურეობას გავუწევთ ზამთრის პერიოდის აქტივობების დროს; ∇ ასთმის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა გაზაფხულზე

მარიბელას ჩანაწერი საბოლოო კონფერენციის დროს

დააკვირდით, რამდენად სრულყოფილია ინფორმაცია. ეს მასწავლებლები მართლაც იცნობენ თავიანთ ბავშვებს, ხომ ასეა?

ბავშვის საბოლოო ჩანაწერში შეტანილი ინფორმაცია არის ფრთხილი დაგეგმვის და რეფლექსიის სრული წლის შედეგი. დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმები ეხმარება მასწავლებლებს წარმოადგინონ კურიკულუმის საუკეთესო მიდგომების ინტეგრაცია, რომელსაც ისინი ჯგუფში ყოველდღიურად იყენებენ ბავშვების საჭიროებებთან და სასწავლო თვისებებთან გასამკლავებლად. წარმატებული სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფის ცხოვრებაში წარმოუდგენელი რაოდენობის მორგება ხორციელდება თითოეული ბავშვისთვის. მოცემული ფორმები თითოეული ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერთან ერთად დაეხმარება მასწავლებლებს შეიმუშაონ მიმდინარე ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ უფარდებენ ისინი ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით თავის ცოდნას იმ ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებსა და ინტერესებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან.

მოდიფიკაციების, ცვლილებების და მორგების დაგეგმვა თითოეული ბავშვისთვის

ცვლილებების შეტანა ჯგუფში კონკრეტული ბავშვის მიმართ მათთან ურთიერთობების ჩამოყალიბების კიდევ ერთი გზაა. ველში წარწერით, „მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის,“ სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ფორმების ბოლო გვერდზე, მასწავლებელი წერს ცვლილებებს, რომლებიც უნდა შეიტანოს არსებულ აქტივობებში, რათა დაეხმაროს კონკრეტულ ბავშვს წარმატების მიღწევაში. ეს მართლაც გახლავთ კურიკულუმის ინდივიდუალიზაცია. თქვენ შესაძლოა დაგეგმოთ მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის ჯგუფის გარემოში, შეცვალოთ მასალები ან აქტივობები, რომლებიც ხელმისაწვდომია. ასევე დაგეგმავთ ბავშვების დახმარების გზებსაც, იმ შესაძლებლობების ასათვისებლად, რომელსაც გარემო სთავაზობს. სწორედ აქ წარმოიქმნება ინდივიდუალიზაცია. თქვენ აღარ ფიქრობთ აქტივობებზე *ყველა* ბავშვისთვის. ამ აქტივობების ფარგლებში ამჟამად უკვე ფიქრობთ *თითოეული ბავშვის* შესახებ.

ბავშვის გაცნობის შემდეგ ჯგუფში მის წარმატებასთან დაკავშირებით საკუთარ თავს ჰკითხავთ:

- წარმოდგენილია თუ არა ისეთი მასალები, რომელსაც ის სხვებთან შედარებით უფრო ხშირად ირჩევს? რატომ?
- შეეფერება თუ არა ეს მასალები მისი შესაძლებლობების დონეს?
- არის თუ არა ისინი იმ დონის შესატყვისი, როცა ის მონაწილეობს და თითქმის ეუფლება მათ?
- როდის და რომელ მასალებთან დაკავშირებით საჭიროებს დახმარებას?
- თავიდან იცილებს თუ არა ამა თუ იმ მასალებს? რატომ?
- სჭირდება თუ არა იმ მასალებს ისეთი უნარების გამოყენება, რომელსაც ის ჯერ არ დაუფლებია?

ბავშვის პიროვნების და სწავლისადმი მისი განწყობის ცოდნა განსაზღვრავს იმ მოდიფიკაციებს, რომელიც თქვენ უნდა განახორციელოთ. ურთიერთობების დამყარებისთვის გადასადგმელი ნაბიჯების შესაძლებლობებში მოცემული რამდენიმე შემოთავაზება, რომელზეც საუბარი იყო ამ თავში, შეიძლება გამოვიყენოთ ინდივიდუალური მოდიფიკაციებისთვისაც. მაგალითად, თუკი იცით, რომ ბავშვი მუდამ ლიდერია ჯგუფში, თქვენ უნდა ცდილობდეთ მისთვის ლიდერობის სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებას. ასევე უნდა გსურდეთ დაეხმაროთ ბავშვს ისწავლოს სხვა ბავშვებთან ერთობლივი მუშაობა და შესაძლოა შექმნათ სხვადასხვა სიტუაცია, სადაც ის იქნება მიმდევარი და არა ლიდერი.

ბავშვს, რომელიც ხშირად არ გვევლინება ლიდერად, შესაძლოა გსურდეთ შეუქმნათ მისთვის უსაფრთხო შესაძლებლობები, რათა დროდადრო თავი გამოიჩინოს ჯგუფის წინაშე.

რობინი: „ზოგჯერ ვთამაშობ ან განვიხილავ სწავლის უნარს და სტრატეგიებს იმ მოსწავლის მიმართ, რომელსაც ესაჭიროება განსხვავებული მიდგომა ან უფრო მეტი, გამეორება.“

ძალიან ცნობისმოყვარე ბავშვს გამოსაკვლევად სჭირდება შესაძლებლობები. ბავშვი, რომელიც არ გამოცდის სიახლეებს, შესაძლოა ბუნებრივად საჭიროებდეს აქტივობებში ჩაბმას. ყველა ეს ინდივიდუალური ცვლილება შესაძლოა ჩაიწეროს მოცემულ ფორმაში. არც ქვემოთ მოცემული ჩამონათვალია ყოვლისმომცველი, მაგრამ იძლევა რამდენიმე შესაძლებლობას. კიდევ რას დაამატებდით?

როზმარი: „უამრავი დიფერენციაცია წარმოიქმნება პატარა ჯგუფებშიც.“

ინდივიდუალური მოდიფიკაცია, ცვლილება და მორგება

- შესთავაზეთ მასალები, რომელიც უფრო წარმატებულია ბავშვისთვის.
- შესთავაზეთ მასალები, რომელიც უფრო რთულია ბავშვისთვის.
- დაეხმარეთ ბავშვს სთხოვოს მეორე ბავშვს, ითამაშოს ან გამოიყენოს მისი სიტყვები თავისი გრძნობების გამოსახატავად.
- დაეხმარეთ ბავშვს შეუერთდეს მეორე ჯგუფს, რომელიც უკვე ჩართულია თამაშში ან მუშაობაში.

- უზრუნველყავით ენობრივი კონსტრუქციების მოდელირება ბავშვისთვის („შეიძლება თქვენთან ერთად ვითამაშო? „არა, მე არ მომწონს ეს.“)
- შესთავაზეთ ლიდერობის შესაძლებლობები.
- დააწყვილეთ კონკრეტული ბავშვები, რათა დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს.
- შესთავაზეთ ახალი მასალები ან აქტივობები უფრო თავშეკავებულ ან თავისებურ ბავშვს.
- ეკამათეთ ცნობისმოყვარე ბავშვს, რათა რაღაც უფრო სრულყოფილად გამოიკვლიოს.
- გამოიცანით ბავშვის სენსო-მოტორული პასუხები (მაგალითად, არ დააძალოთ ნაკლებად მონდომებულ ბავშვს დახატოს თითებით; ამის ნაცვლად მიეცით მას ჩხირები, რომლითაც დახატავს, იმ ბავშვს კი, რომელსაც უყვარს ხატვით მიღებული შეგრძნებები, საშუალება მიეცით ხატოს მოშორებით).
- არ დაუშვათ ქცევითი პრობლემები მათი განჭვრეტის საშუალებით (არ დაუშვათ ორი სახასიათო ბავშვის ერთად დაჯდომა; წრის დროს გვერდით მიუჯექით ბავშვს, მოეფერეთ ზურგზე, ან შესთავაზეთ კალთაში ჩაჯდომა კომფორტისა და თვითკონტროლისთვის).
- დაეხმარეთ ბავშვს გაუმკლავდეს რთულ სიტუაციებს (შეუქმენით კომფორტი ჭექა-ქუხილის და ხანძრის დროს შეშინებულ ბავშვს; ჯგუფის საყვარელი ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში ესაუბრეთ ბავშვს ამ მწუხარების შესახებ).

რამდენიმე კვირის განმავლობაში თქვენს მიერ დაგეგმილი ინდივიდუალური ცვლილებები გასული კვირის განმავლობაში ბავშვებზე დაკვირვების შედეგია. ამიტომ ხშირად რეფლექსიის პროცესი დაგეხმარებათ წარმართოთ თითოეული მოდიფიკაციის დაგეგმვა. მოგვიანებით, მომდევნო კვირის რეფლექსიისას თქვენ შეაფასებთ, თუ რამდენად წარმატებული იყო თქვენს მიერ განხორციელებული ცვლილებები. თითოეული ბავშვის კარგად გაცნობა და მისი დახმარება და ხელშეწყობა ჯგუფში წარმატების მისაღწევად, არის მიმდინარე პროცესი, რომელიც შესაძლოა ნათლად არის დოკუმენტირებული როგორც დაგეგმვის, ისე რეფლექსიის მიზნით.

„ფოკუსირებული დაკვირვებების“ ნაწილი არის კიდევ ერთი ადგილი, სადაც ბავშვებს ინდივიდუალური ყურადღება დაეთმობა. ამ შეფასების კოორდინირება ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ნაბიჯებით და ინდივიდუალური ცვლილებებით მასწავლებელს დაეხმარება თითოეული ბავშვის განვითარების გაანალიზებისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფაში. დოკუმენტაციის გამოყენება შემდგომში შესაძლოა როგორც შეფასების ინფორმაციისა დაკვირვებებსა და პორტფოლიოებში. დაკვირვებისა და შეფასების პროცესს უფრო სრულყოფილად მე-8 თავში განვიხილავ.

აქ მოცემულია იმის მაგალითები, თუ როგორ დაგეგმეს მასწავლებლებმა ჯოსეფინმა და მარიმ მოცემული ფორმების ეს ნაწილი - „მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის“. აქ წარმოდგენილია გასული კვირის რეფლექსიის ფორმა, თითოეული

ბავშვისთვის ინდივიდუალური ცვლილებების გეგმა და რეფლექსიის ფორმა ცვლილების შედეგებით, რათა ნათლად დაინახოთ სრული ციკლი.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

დიდი დრამატული თამაში ამ კვირას! კემპინგის აქტივობები ყველაზე პოპულარული იყო.
ჯგუფური მუშაობა მართლაც რთულია აიდენისთვის - ცალკე აქტივობა ხომ არ სჭირდება მას?
ოსტინმა და დავიდმა დააგვიანეს ენის პასუხები, თუმცა როგორც ჩანს გაიგეს ყველა ის კითხვა და კომენტარი, რომელიც მათკენ იყო მიმართული. თუ თქვენ მათთან დარჩებით, საბოლოოდ გიპასუხებენ.

ჯოსეფინას და მარის გასული კვირის რეფლექსიები

მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის

ხელი შეუწყვეთ ჰილარის, მეისონს და ედუარდს, რათა უფრო მეტ ბავშვს შესთავაზონ კემპინგის დრამატულ თამაშში ჩაბმა.
შესთავაზეთ აიდენს მშვიდი მაგიდის აქტივობები ჯგუფური მუშაობის დროს.
ჯოსეფინა და მარი, ორივე გამოუყოფს დამატებით დროს ოსტინს და დავიდს პასუხისთვის და ასევე მისცემს მათ შესაძლებლობას, მიუთითონ, შეეხონ ან ისაუბრონ, როდესაც ეს შესაძლებელია.

ჯოსეფინას და მარის მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის ამ კვირის განმავლობაში

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

კემპინგში უფრო ბევრმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა - მოდით, დავიწყოთ დოკუმენტირება, თუ რას აკეთებენ ისინი, ფოტოებით და მათი კარნახით.
აიდენმა ჯგუფური მუშაობის დროს წყნარად იმუშავა პლასტელინებით - კვლავაც შესთავაზეთ მას ეს ვარიანტი.
ოსტინმა და დავიდმა უკეთ შეასრულეს მითითება და შეხების ფიზიკური ასპექტი. ესაუბრეთ ლოგოპედს, რათა დაეხმაროს ენის პასუხებში.
ხომ არ უნდა დავფიქრდეთ საკომუნიკაციო დაფაზე?

ჯოსეფინას და მარის რეფლექსიები ამ კვირის განმავლობაში

მოდიფიკაციები და მორგებები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლების ცენტრალური ნაწილია. აქ მოცემულია სპეციალურად შექმნილი ფორმა,

რომელზეც მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს ინდივიდუალური ცვლილებები მაქსიმუმ თექვსმეტი ბავშვისთვის ერთ ჯერზე.

ინდივიდუალური ცვლილებები

რომელი კვირისთვის: _____ მასწავლებელი: _____

ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები	ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები

ინდივიდუალური ცვლილებების ფორმა

ინდივიდუალური ცვლილებების ფორმის გამოყენება შეიძლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, ისევე როგორც ჩვეულებრივად განვითარებადი ბავშვებისთვის. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ეს ფორმა დანართში „ც“ და ონლაინ მისამართზე www.redleafpress.org. მეორე გვერდზე მოცემულია შევსებული ფორმა წინასასკოლო ჯგუფისთვის.

ინდივიდუალური ცვლილებები

რომელი კვირისთვის: 12 ნოემბერი, 2012 მასწავლებელი: ქ-ნი ვაგნერი

ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები	ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები
აუბრა	მიუჩინეთ კითხვის მეგობარი (სოლიდადი?) „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრის დროს	პენგი	დააწყვილეთ ის დევისთან და დაეხმარეთ მას თამაშისა/კვლევის უფრო წარმატებულად წარმართვაში
ბენჟამინი	შეურჩიეთ უფრო რთული მათემატიკური აქტივობები	სოლედადი	შეიტანეთ მისთვის ესპანური საკითხავი მასალები (ინგლისურის გარდა)
დევისი	უზრუნველყავით ზრდასრულის მხარდაჭერა თამაშის/კვლევის დროს გამაღიზიანებელი ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით	ტაიშა	დაეხმარეთ მას ციფრების ცნობაში და რაოდენობრივ სიდიდეებთან მათი კავშირის გაგებაში
ილია	შემოიტანეთ მე-2 და მე-3 კლასის საკითხავი მასალები მისთვის		
ჰეილი	დააწყვილეთ ის ილიასთან უფრო მაღალი დონის კითხვის მიზნით		
ჯესიკა	იმუშავეთ მასთან დანახული სიტყვის აღქმასთან დაკავშირებით		
მიქაილი	მიჰყევით მეცნიერებისადმი მის ინტერესებს - შეუძლია მას ექსპერიმენტების შემუშავება?		
პაულო	ხელი შეუწყვეთ მას გაიფართოოს თამაშის და სამუშაო პარტნიორების არეალი		

შევსებული ფორმა წინასასკოლო ჯგუფისთვის

დაგეგმვა ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებით

პირველ თავში უკვე განვიხილე ტერმინი *განვითარების უახლოესი ზონა* (ZPD) - ის, რისი გაკეთებაც ბავშვს შეუძლია უფროსის ან მეორე ბავშვის დახმარებით (ვიგოტსკი 1978). მასწავლებლის მნიშვნელობაზეც ვისაუბრე, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის *განვითარების უახლოეს ზონას*, ბავშვის სწავლის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, როცა ის ცდილობს გააკეთოს ისეთი რამ, რაც მისთვის რთული ან პრობლემურია. დაგეგმვა ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებით ინდივიდუალური მოდიფიკაციების განხორციელების კიდევ ერთი გზაა.

სუზანი: „ზოგჯერ სწავლის ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯები ბავშვებს მატებს გამბედაობას წინ თავისით იაროს.“

ზოგიერთი მასალები შესაძლოა ძალიან რთული იყოს ბავშვისთვის. თუკი შეამჩნევთ, რომ ბავშვი იმედგაცრუებულია თხუთმეტნაჭრიანი ფაზლის აწყობით, მასწავლებელს შეუძლია მას რვა ან ათ ნაჭრიანი ფაზლი შესთავაზოს. ან მასალები შესაძლოა არ იყოს საკმარისად რთული. თუკი ხედავთ, რომ ბავშვს მობეზრდა მარტივი ანბანის ასოთა შესაბამისობის თამაშები, მის ნაცვლად მასწავლებელს შეუძლია

შესთავაზოს ბავშვს შეუსაბამოს ჯგუფელების სახელობითი ბარათები. იდეა ითვალისწინებს განსაკუთრებული ყურადღების დათმობას ბავშვის განვითარების მიღწევების დონისთვის და კურიკულუმში კორექტირებების შეტანას არა მხოლოდ ამ დონესთან შესაბამისად, არამედ ბავშვის წახალისებას, რათა წინ წაიწიოს ცოდნის, უნარ-ჩვევების და ზოგადი წარმოდგენების თვალსაზრისით. ამის შემდეგ კი მასწავლებელი მზადაა უზრუნველყოს სასწავლო ხელშეწყობა და დახმარება.

სიო: „მე მომწონს პირველი „ნაპერწკალის“ დაფიქსირება - ბავშვის იმედგაცრუება რაღაცის გამო ან შეკითხვა ან აღფრთოვანება - რაც ამტკიცებს საკითხთან, ცოდნასთან ან მასალებთან დაკავშირებული ქმედების მნიშვნელობას.“

გამოწვევა პრაქტიკის მართლაც საუკეთესო ნაწილია. მაგრამ ხრიკი მდგომარეობს გამოწვევის ოდენობის განსაზღვრაში, რომელიც განკუთვნილია თითოეული ბავშვისთვის, რათა მან გამოცადოს ახალი უნარები ან გაიგოს ახლი კონცეფცია. თუკი გამოწვევა ძალიან რთულია, ბავშვი შესაძლოა დანებდეს, თავი განადგურებულად და იმედგაცრუებულად იგრძნოს ან გავიდეს თამაშიდან. იმ შემთხვევაში, თუ გამოწვევა ძალიან ადვილია, შესაძლოა ბავშვი არ დააინტერესოს, მობეზრდეს, ცუდად მოიქცეს, ან დანებდეს და გავიდეს თამაშიდან. ბავშვი, რომელიც ითვლის ოცამდე, შესაძლოა წაახალისოთ, უფრო მეტიც დათვალოს. ბავშვს, რომელსაც თითქმის შეუძლია წარმატებით შეიკრას ზონარი ფეხსაცმელზე, შესაძლოა მისცეთ სტიმული კიდევ უფრო კარგად დაეუფლოს ამ პროცესის უკანასკნელ ეტაპებს. ბავშვს, რომელიც ქმნის ფორმებს წერის ცენტრში, რომელიც გამოიყურება როგორც ასოები, შესაძლოა მისცეთ სტიმული გააკეთოს უფრო ზუსტი ფორმები. ბავშვს, რომელიც ყოველთვის მარტო თამაშობს, შესაძლოა მისცეთ სტიმული ითამაშოს ბავშვების პატარა ჯგუფთან ერთად. ინდივიდუალური გამოწვევები ასევე შესულია მოცემული ფორმის მოდიფიკაციების ნაწილში. კურიკულუმის ინდივიდუალიზაციისას მასწავლებელი გვარწმუნებს, რომ მიდგომა, „ერთი ზომა რგებს ყველას“, არ გამოიყენება.

ბრენდა: „წინასასკოლო ჯგუფების მასწავლებლები ხშირად გეგმავენ ჯგუფების შესაძლებლობებს და ამის გამო ინდივიდუალიზაცია ზოგჯერ არაადეკვატურად განიხილება. შემხვედრია ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ბავშვების მიერ შესრულებული სამუშაოს ერთ ან ორ ფრაგმენტს წარადგენდნენ კრებებზე, რათა განეხილათ რა დონეზე შეესაბამებოდა ბავშვი სასწავლო მიზანს და ასევე განეხილათ გზები ინდივიდუალიზაციისათვის და უზრუნველეყოთ სასწავლო ხელშეწყობა იმ კონკრეტული ბავშვისთვის.“

სწორედ ამ დროს უერთდება შეფასების პროცესი დაგეგმვისა და რეფლექსიის პროცესს. ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის განსაზღვრა მართლაც წარმოადგენს შეფასების ამოცანას. როცა აკვირდებით ბავშვს სამუშაოს შესრულების და თამაშის დროს, თქვენ ამჩნევთ, რომელი გამოწვევებია მისთვის შესაფერისი და სად სჭირდება მას თქვენი დახმარება. მე-8 თავში უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ შეფასების პრაქტიკას.

რამდენად ხშირად ადგენთ გეგმას თითოეული ბავშვისთვის?

გეგმის წერის სიხშირე თითოეული ბავშვისთვის ჯგუფში მასწავლებლების ცვლილების მიხედვით შეიცვლება. ფრთხილად იყავით, რათა თქვენი ინდივიდუალური მოდიფიკაციები არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ ბავშვებით, რომლებიც გამოირჩევიან უფრო რთული ქცევით. ინდივიდუალური ცვლილებები ასევე მოიცავს გამოწვევების შეთავაზებას იმ ბავშვებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით წარმატებულები არიან გარკვეულ უნარებში ან აქტივობებში, მაშასადამე მათ შეუძლიათ წინსვლა იმ უნარებით ან სხვა შესაძლებლობების შესწავლა საყვარელი მასალების გამოყენებით.

შესაძლოა მოისურვოთ დროის პერიოდის განსაზღვრა (წლის პირველი ნახევარი ან პირველი ორი თვე), რომლის განმავლობაშიც შეეცდებით მოახდინოთ როტაცია თქვენი ჯგუფის სიაში თითოეული სახელის მიხედვით, ველში „მოდიფიკაციები თითოეული ბავშვისთვის“. ყოველ კვირას შეგიძლიათ დაწეროთ ოთხი ან ხუთი ბავშვის შესახებ. ზოგიერთი ჩვენგანი საჭიროებს ამ ტიპის დავალებაზე ორიენტირებას, რათა დარწმუნდეს, რომ არცერთი ბავშვი არ გამოუტოვებია. ან უბრალოდ უნდა აწარმოოთ ბავშვების სახელების საკონტროლო სია მოხერხებულად და რეფლექსიის პროცესის განმავლობაში, შეამოწმოთ ყოველ ჯერზე, როცა აღნიშნავთ ურთიერთობის დამყარებისკენ ან თითოეული ბავშვისთვის გაკეთებული ინდივიდუალური ცვლილებებისკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯს. დროთა განმავლობაში დაინახავთ, რომ ვითარდება ნიმუშები და მეტს შეიტყობთ იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც იმსახურებენ მეტ ყურადღებას და იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც რჩებიან შეუმჩნევლები. შემდეგ შეგიძლიათ დაგეგმოთ შესაბამისად, ფოკუსირება მოახდინოთ სხვა ბავშვებზე მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ბავშვების გაცნობის შემდეგ ბევრ სხვადასხვა ცვლილებას შეიტანთ თითოეული მათგანისთვის. ეს მართლაც არის განვითარების შესაბამისი კურიკულუმის ძირითადი მიზანი. როცა მასწავლებლები დგამენ დაგეგმილ ნაბიჯებს ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ბავშვებთან და მათ ოჯახებთან, ისინი იყენებენ ცოდნას, რომელიც შეიძინეს ბავშვების შესახებ კურიკულუმის ინდივიდუალიზაციისთვის. თითოეული ბავშვი გრძნობს თავს დაცულად და ენდობა უფროსებს თავის გარშემო. უსაფრთხოების ამ შეგრძნების გათვალისწინებით ბავშვებს შეუძლიათ ისარგებლონ ჯგუფის გარემოთი მთელი მისი მიმზიდველი შესაძლებლობებით. ისინი შეისწავლიან ამ შესაძლებლობებს და საკუთარ თავზე აიღებენ რისკებს, როდესაც ეცოდინებათ, რომ მასწავლებლები მათ დიდი ყურადღებით აკვირდებიან და ახორციელებენ ცვლილებებს, რათა დაეხმარონ მათ წარმატების მიღწევაში.

შეგახსენებთ, გაითვალისწინეთ, რომ თუკი მოგეთხოვებათ საჯაროდ განათავსოთ თქვენი ყოველკვირეული გეგმები, ნუ გამოაქვეყნებთ მოცემული ფორმის უკანასკნელ გვერდს ან ინდივიდუალური ცვლილებების ფორმას, რომელიც მოიცავს პერსონალურ ინფორმაციას ბავშვების შესახებ. ინდივიდუალიზაცია არის თქვენი ყოველდღიური კურიკულუმის დაგეგმვის და განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ მისი გაზიარება არ არის მიზანშეწონილი ვინმესთან თქვენსა და თქვენი სასწავლო გუნდის და

თითოეული ბავშვის მშობლების ან ოჯახის წევრების გარდა მათთან კერძო განხილვების დროს.

მიმდინარე პროექტების დაგეგმვა ბავშვების ინტერესებზე დაყრდნობით

კურიკულუმის ინდივიდუალიზაციის მეორე გზაა აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს ბავშვების მიერ გამოხატულ ინტერესებზე. ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში ბევრი კურიკულუმის მიდგომა გვთავაზობს დაგეგმვის კონკრეტულ გზებს ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით. ეს მიდგომები მოიცავს პროექტის მიდგომას, გადაუდებელ კურიკულუმს და რეჯიო ემილიას მიდგომას. მგრძნობიარე და გულისხმიერი მასწავლებლები ყოველთვის აღიარებდნენ ბავშვების ინტერესებს თავიანთ ჯგუფში და სთავაზობდნენ მათ სპონტანურად ან დიდი სიფრთხილით დაგეგმილ აქტივობებს.

ბავშვები ყოველდღე გამოხატავენ თავიანთ ინტერესებს - ზოგჯერ ძალიან ირიბად. ერთხელ წინასასკოლო ჯგუფში ბავშვებთან ერთად ვიჯექი და ვკითხულობდი წიგნს დიდი ჯგუფის მუშაობის დროს. მახსოვს, მაისის ცხელი დღე იყო და ღია სანდლები მეცვა. ჩვენ ვიმღერეთ დასამშვიდებელი სიმღერები და გავაკეთეთ ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით, რათა მოვმზადებულიყავით მოსასმენად. შემდეგ ვაჩვენე წიგნის ყდა, განვიხილე ავტორის სახელი და შევეკითხე, მათი აზრით რაზე უნდა ყოფილიყო ეს წიგნი. უეცრად ჯესიკამ წამოიძახა: „ქ-ნო გრონულდ, თქვენ გაქვთ დიდი ფეხის თითები!“

მერი ბ.: „მე მივყვები ბავშვებისგან მომდინარე ინიციატივას ჩემს მიერ გაკეთებული რამდენიმე პროვოკაციის შემდეგ (როგორიცაა წიგნები კუბების სივრცეში ან ასაწყობი ანბანი). ჩვენ გავისეირნეთ და გადავუღეთ ფოტოები კონსტრუქციებს, რომელიც ემთხვეოდა ჩვენს მიერ აშენებულს.“

როგორ დამთავრდა ის ამბავი? შეიძლებოდა მეთქვა, „ჯესიკა, წყნარად იყავი. მოდი, ახლა ნუ ვილაპარაკებთ ამის შესახებ. ჩვენ ვაპირებთ წავიკითხოთ ეს ამბავი.“ თუმცა ეს ნაკლებად მოეწონებოდათ ოთახში მყოფ ხუთიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს. ამის ნაცვლად ისინი ერთად შეგროვდნენ, რათა შეემოწმებინათ ჩემი ფეხის თითები! მე გადავწყვიტე მივყოლოდი დინებას. დავხურე წიგნი და შევთავაზე შეგვეხედა ყველასათვის ფეხის თითებზე. ის დღე ფეხის აქტივობებით დავასრულეთ - გავზომეთ ფეხები და თითები, დავახარისხეთ ფეხსაცმელები და დავხატეთ ფეხებით. ფეხებთან დაკავშირებული ყოველი აქტივობა მაინც აკმაყოფილებდა პროგრამის განვითარების მიზნებს, ამიტომ იმ ფაქტს, რომ ფოკუსი შეიცვალა ჩემი თავდაპირველი გეგმებისგან განსხვავებით, არ მოუხდენია ზემოქმედება კურიკულუმის ხარისხზე იმ დღეს. მხოლოდ საგანი შეიცვალა - ჯესიკას და სხვა ბავშვების მიერ გამოხატულ ინტერესზე სპონტანური რეაქციით.

მერი ბ.: „თქვენ აღიზიანებთ/იწვევთ ბავშვების ინტერესებს. თქვენ და ბავშვი, ორივე მოტივირებული ხართ. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ერთმანეთს გარკვეულ დონეზე.“

სხვადასხვა აქტივობების და კვლევების დაგეგმვა ბავშვების ინტერესებზე დაყრდნობით არის კურიკულუმის ორგანიზების კიდევ ერთი მეთოდი.ზოგჯერ სიტუაცია თავად წარმოადგენს თავის თავს და მთელი ჯგუფი ინტერესდება. მე-2 თავში ქ-ნი ჩანგის მაგალითი მოვიყვანე, როდესაც ჩიტი ბუდეს პირდაპირ მისი საკლასო ოთახის გარეთ აშენებდა. მასწავლებლები და ბავშვები დაინტერესდნენ იმ მასალებით, რომელსაც ჩიტი იყენებდა და მის მიერ მიღწეული პროგრესით. რადგან ბავშვები ასე დაინტერესდნენ, მასწავლებლებმა აქტივობები ჩიტებზე და ბუდის მშენებლობაზე დაყრდნობით დაგეგმეს. დარიგდა დურბინდები ფრინველებზე დასაკვირვებლად. უზრუნველყოფილი იქნა მხარდაჭერა დაკვირვებების შესახებ ჩანაწერების და ჩანახატების გასაკეთებლად. ჯგუფის ბიბლიოთეკას დაემატა წიგნები ფრინველების შესახებ. ფრინველის ხმების ამსახველი ფირებით შეივსო სმენის სივრცე. ბუდეების ასაშენებელი მასალები მოთავსდა სენსორულ მაგიდაზე. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლებმა შეძლეს დაეგეგმათ სპონტანური შემთხვევიდან გამომდინარე.

სხვა დროს შესაძლოა ერთმა ან ორმა ბავშვმა გამოამჟღავნოს კონკრეტული ინტერესი. ბევრი სკოლამდელი ასაკის ბავშვია (განსაკუთრებით ბიჭები) მოხიბლული დინოზავრებით და მატარებლის ძრავებით. ისინი კარგად არიან გათვითცნობიერებულები ამ თემების შესახებ და როგორც ჩანს, ეს ინტერესი დომინირებს მათში. ასევე შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა ისარგებლოს ამ ძლიერი ინტერესით და კურიკულუმის სხვადასხვა სფეროს ბავშვის ინტერესიდან გამომდინარე მიუდგეს. დინოზავრის ექსპერტს შეიძლება დაწეროს დინოზავრის სახელების დაწერა უფრო სურდეს, ვიდრე ანბანის ასოების, საკუთარი სახელის ან სხვა სიტყვებისა. მატარებლის ძრავის მოყვარული კი შესაძლოა ჩაერთოს მათემატიკის აქტივობებში, დათვალოს მატარებლის ცისტერნების სიგრძე და განსაზღვროს ფორმები ლოკომოტივზე. ეს არის ინდივიდუალიზაციის მეორე გზა და აკმაყოფილებს თითოეული ბავშვის საჭიროებებს.

ფორმების გამოყენება

სკოლამდელი დაწესებულების ფორმის პირველი გვერდის დასაწყისში მოცემულია ველი მიმდინარე პროექტების ჩასაწერად. თუკი მასწავლებელმა იცის, რომ ის გავლენას მოახდენს ბავშვების ინტერესზე, მაშინ შეაქვს ეს საკითხი იმ ველში. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ეს იქნება ისეთი საკითხი, რომლის მიმართაც ბევრმა ბავშვმა გამოხატა ინტერესი და ამიტომ იმსახურებს ყურადღებას რამდენიმე სათამაშო სივრცეში და დაგეგმილი აქტივობების დროს. აქ მოცემულია ველი თემატური საკითხების ჩასაწერად წინასასკოლო ჯგუფის ფორმის პირველ და მე-3 გვერდებზე. მასწავლებელს მარტივად შეუძლია თავისი გეგმების კოორდინირება ცენტრალური თემის გარშემო „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრისთვის ან კვლევის დროისთვის. ხშირად მიმდინარე პროექტი ან თემა წინა კვირასთან დაკავშირებული რეფლექსიის შედეგად წარმოიქმნება. აქ მოცემულია ქ-ნი ჩანგის კომენტარები წინა რამდენიმე კვირასთან დაკავშირებით, როცა ფრინველების მიმართ ინტერესი წამოიშვა.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

სიტუაცია სახელის ცნობასთან დაკავშირებით უმჯობესდება.
საჭმლის მომზადების აქტივობას ზედმეტად დიდი დრო დასჭირდა - ის უფრო მეტად უფროსების და არა ბავშვების მონაწილეობით განხორციელდა.
ქვიშის მაგიდასთან ისევ გამოვლინდა ქვიშის დაყრის ფაქტები - ზომ არ არის საჭირო უფრო მეტი ყურადღება ზედამხედველობისას?
მოძრაობის აქტივობებზე ბავშვების უმეტესობას კარგი საპასუხო რეაქცია ჰქონდა - ჯოზის გარდა. ხომ არ აჯობებს, რომ საშუალება მივცეთ დააკვირდეს, სანამ მზად არ იქნება?
დიდი ინტერესი გამოიწვია ფრინველის ბუდის შენებამ ჯგუფის გარეთ.
ჯენიფერი და ჰარლანდი მას ყოველდღიურად ამოწმებდნენ. ხომ არ დავამატოთ ფრინველთან დაკავშირებული აქტივობები მომდევნო კვირასაც?

ქ-ნი ჩანგის რეფლექსიები

მასწავლებლები კონკრეტულ აქტივობებს მოცემული ფორმის სხვა ნაწილში ჩაწერენ, როგორც ვნახეთ ქ-ნი ჩანგის გეგმების მაგალითზე მე-2 თავში. უნდა გახსოვდეთ, რომ პროექტი ვერ უზრუნველყოფს ჯგუფში ყველა სივრცის კოორდინირებას. აზრი აქვს მხოლოდ იმ სივრცეების შეცვლას, რომლებიც დგანან თემასთან ახლოს. ჯგუფის გარემო ბავშვებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს იმ სასწავლო სივრცეებში, რომლებიც თემასთან არ არის დაკავშირებული

რეფლექსია გეგმის განხორციელების მიხედვით გაგრძელდება. მომავალი დაგეგმვა განსაზღვრავს, უნდა გაგრძელდეს თუ არა პროექტი ან არის თუ არა იმის დრო, რომ გადავიდეთ სხვა რამეზე. აქ მოცემულია ქ-ნი ჩანგის რეფლექსიის კომენტარები ფრინველთან დაკავშირებული პროექტის პირველი კვირის შემდეგ. მომდევნო გვერდზე მოცემულია შესასრულებელი გეგმა სათამაშო ადგილებისთვის, ჯგუფური მუშაობისთვის და ყოველდღიური საქმიანობებისთვის მომდევნო კვირის განმავლობაში. თქვენ ნახავთ, რომ მან და მისმა კოლეგებმა ფრინველთან დაკავშირებული აქტივობები ბავშვების გაუნელებელ ინტერესზე საპასუხოდ დაამატეს.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ბავშვები შეუჩერებლად განხილავდნენ ბუდის შენების პროცესს.
ბინოკლები და ფრინველის ხმების ამსახველი ფირები იყო ჰიტი! შეიქმნა რამდენიმე საოცარი კოლაჟი ბუმბულებისგან!
ჩვენს მიერ მიწოდებული ბუდის ასაშენებელი მასალები კარგად ვერ შეიკრა და ბავშვებმა დაკარგეს ინტერესი.
ჯენიფერი ფრინველის ექსპერტია, ძალიან მცოდნე ოჯახიდან, რომელიც ახორციელებს ფრინველებზე დაკვირვებას. ხომ არ მოვიწვიოთ ისინი, მეტი რომ გვასწავლონ?
ზოგიერთი ბავშვმა ჩვეულებისამებრ ხატვდა და აშენებდა. სემი, ნათანი, ენჯი და ჯესიკა იმდენად არ დაინტერესებულან ფრინველებით.

ქ-ნი ჩანგის რეფლექსიები ფრინველთან დაკავშირებული აქტივობების პირველი კვირის შემდეგ

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: სასწავლო დრო სკოლამდელ დაწესებულებაში თარიღი: 10/3/11

მასწავლებელი (ები): ქ-ნი ჩანგი და ქ-ნი ალენი

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ფრინველები და ბუდეები (მე-2 კვირა)

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	ჯგუფის ერთობის არსისგაგება (გზების და შენობების აგება)	საგზაო ნიშნები და რუკები, მსუბუქი და სატვირთო მანქანები	სამეზობლო, გზები, საავტომობილო გზები, ხიდები, გასაჩერებელი ნიშნები
დრამატული თამაში	თამაშის სწავლა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება		
სენსორული მაგიდა	გაზომვა	ფრინველებისთვის განკუთვნილი მარცვლეულის გაზომვა (გადათვლა, დაჯგუფება, შედარება და ა.შ.)	მეტი, ნაკლები
ხელოვნება	ხელისა და თვალის კოორდინაცია	გააკეთეთ ტუალეტის ქაღალდის მილისგან დურბინდები	დურბინდები, ფოკუსი, ლინზები
მანიპულაციური აქტივობები	სივრცითი ურთიერთობები	დააკომპლექტეთ ფაზლები სხვადასხვა რაოდენობის ნაწილებისაგან	
ჯგუფის ბიბლიოთეკა	ლექსიკის განვითარება	შეისწავლეთ ფრინველების შესახებ წიგნები და ჟურნალები	მიგრაცია
წერის ცენტრი	წერა	გამოჭერით ფრინველების შესახებ წიგნები მაკრატლით; დაამზადეთ ფრინველების სახელობითი ბარათები	კარდინალი, ბეღურა, მერცხალი, ხოხობი, იხვი, გედი
სხვა ცენტრი	მოსმენა	უსმინეთ ფრინველის ხმების ამსახველ ფირებს	ფრინველთა სიმღერა

ქ-ნი ჩანგის რეფლექსიები ფრინველთან დაკავშირებული აქტივობების მეორე კვირის შემდეგ

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი: 10/3/11		**ორშაბათი**	**სამშაბათი**	**ოთხშაბათი**	**ხუთშაბათი**	**პარასკევი**
დიდი ჯგუფი	სასწავლომი ზანი	წონასწორობა, კოორდინაცია და წაკითხულის აღქმა	ფონოლოგიური ცნობიერება	მოსმენა და ლექსიკის განვითარება	ბალანსი, კოორდინაცია	საუბრის და წერის უნარები
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	იმოქმედე როგორც „სემი“ ყოველდღიური საქმიანობა წაიკითხეთ “Brown Bear, Brown Bear”	„გინახავს ოდესმე გოგონა?“ ყოველდღიური საქმიანობა განსაზღვრე რითმები “Brown Bear”-ში როცა მოყვებით მას ფლანელის დაფასთან	ყოველდღიური საქმიანობა სპეციალური ვიზიტორი: ჯენიფერის მამა გიყვება ფრინველებზე დაკვირვების შესახებ	„გინახავს ოდესმე გოგონა?“ ყოველდღიური საქმიანობა იმოქმედე როგორც „სემი“ სხვადასხვა ბავშვების სახელების გამოყენებით (გამოიყენე პირადი ბარათები)	საყვარელი სიმღერები ყოველდღიური საქმიანობა დაწერეთ ჯგუფური ისტორია ფრინველებზე დასაკვირვებლად ჩვენი გასეირნების შესახებ და შეიტანეთ ნანახი ფრინველების სახელები ცხრილში
პატარა ჯგუფი	სასწავლო მიზანი	ნატიფი მოტორული უნარები	→	→	→	→
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	სილვია მთელი კვირის განმავლობაში სთავაზობს ბავშვებს გამოჭრან სურათები ჟურნალებიდან, აიღონ ღილები და კბილის ჩხირები პინცეტით და გამოიყენონ სახვრეტები	→	→	→	→

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული გეგმები	**გეგმები ეზოს კვლევების ჩასატარებლად**	**გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით**
დაავალეთ ბავშვებს ისაუბრონ თავიანთი საყვარელი ფრინველების შესახებ მთელი კვირის განმავლობაში და შეიტანონ ისინი ცხრილში.	იარეთ ფრინველების მოსაძებნად ყოველდღე. ხუთშაბათს წადით ფრინველების საძებნელად თქვენი დურბინდებით.	ყოველდღიურად გამოყავით ბავშვი, როგორც „ბუდის მეთვალყურე“ და დაავალეთ მას შეამოწმოს ბუდე ყოველი გარდამავალი პერიოდის დროს და მოგახსენოთ შესაბამისად.

ქ-ნი ჩანგის რეფლექსიები მეორე კვირის განმავლობაში ფრინველებთან დაკავშირებული აქტივობების მიმართ

მასწავლებლები ზოგჯერ პროექტს ან კვლევის თემას თავიანთ წარსულ გამოცდილებებზე და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ინტერესების ცოდნაზე დაყრდნობით გეგმავენ. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად ინტერესდებიან არიან ტრანსპორტის თემით. ტრანსპორტირების კვლევის ჯერ კიდევ დაგეგმვისას აღმოაჩენენ მასწავლებლები, რომ მათ რეაგირება უნდა მოახდინონ იმ კონკრეტულ მიმართულებაზე, რომელსაც ბავშვები ირჩევენ. თავის წინასასკოლო ჯგუფში მარკმა იზრუნა სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი მასალების ორგანიზებაზე და შეიმუშავა სხვადასხვა აქტივობები ბავშვებისთვის მონაწილეობის მისაღებად. როცა ჯგუფმა განიხილა სხვადასხვა საშუალებები - მსუბუქი და სატვირთო მანქანები, მატარებლები და თვითმფრინავები - ჯეკმა ამაყად გამოაცხადა, რომ მამამისი იყო თვითმფრინავის პილოტი. მარკმა შეამჩნია, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ჯეკი და მისი მეგობრები აწყობდნენ სკამებს და „მართავდნენ თვითმფრინავებს.“ ამ კვირის ასახვის შემდეგ მან, აღნიშნა ბავშვების ინტერესი ამ აქტივობების მიმართ. მარკმა გადაწყვიტა ხელი შეეწყო მათი ინტერესისთვის და შეიმუშავა გეგმები მომდევნო კვირისთვის როგორც „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრისთვის, ასევე კვლევის დროისთვის. მან შესთავაზა მასალები წერის ცენტრში, რათა ბავშვებს შეძლებოდათ გაეკეთებინათ ბილეთები და ასევე მისცა მათ მითითებები, როგორ ჩაერთოთ სხვა ბავშვები, რომლებიც იქნებოდნენ მგზავრები, ავიაბილეთების აგენტები და ბარგის დამმუშავებლები.მან ასევე მოიწვია ჯეკის მამა, რათა მოეთხრო ჯგუფისთვის თავისი სამუშაოს შესახებ. როცა ის მოვიდა პილოტის ფორმაში გამოწყობილი, ბავშვებს თვალები გაუბრწყინდათ. ჯეკი სულ იღიმოდა. თვითმფრინავების, პილოტების და აეროპორტების მიმართ ინტერესი ამ ჯგუფში დიდხანს გაგრძელდა. მომდევნო გვერდზე მოცემულია მარკის გეგმების ორი გვერდი „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრისთვის, ასევე კვლევის დროისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თვითმფრინავების მიმართ ინტერესები.

გაითვალისწინეთ, რომ ყველა აქტივობა არ შეეხება თვითმფრინავებს. არ არის აუცილებელი ყველა აქტივობა თემას შეესატყვისებოდეს: დაგეგმეთ მხოლოდ ისეთი აქტივობები, რომელსაც აქვს აზრი და ადვილად შესასრულებელია.

თავისი სკოლამდელი დაწესებულების პროგრამაში სუზი შეეცადა დაეინტერესებინა ბავშვები ტრანსპორტის თემით. ისინი არ გამოირჩეოდნენ დიდი ენთუზიაზმით, როცა აგებდნენ გზებს ორი სათამაშო მანქანისთვის და სატვირთო მანქანისთვის და ითვლიდნენ ბორბლებს სამშენებლო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. თავისი ზოგადი რეფლექსიის ფორმაში მან აღნიშნა, რომ ბავშვების რეაქცია სრულებით არ იყო ენთუზიაზმით აღსავსე. მაგრამ ბავშვებს თვალები აენთოთ და აქტიურად ჩაერთნენ, როცა საკლასო ოთახის ფანჯრიდან დაინახეს, როგორ დაეშვა ბატების გუნდი პატარა ტბორზე. ეს ასევე აღინიშნა სუზის რეფლექსიებში და შევიდა მის გეგმებში მომდევნო კვირისთვის. მომდევნო გვერდზე თქვენ ნახავთ სუზის რეფლექსიის კომენტარებს და მისი გეგმის პირველ ორ გვერდს აქტივობებთან ერთად.

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: დაწყებითი სკოლა Meadowbrook თარიღი: 12 მარტი, 2012 მასწავლებელი (ები)“:ქ-ნი მ. და ქ-ნი ტ.

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): თვითმფრინავები

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკის სიტყვები
მოსმენის ცენტრი	ლექსიკის განვითარება	წიგნის დათვალიერებისას მოუსმინე ფირს - ლიზას მოგზაურობას თვითმფრინავით	ბორტგამცილებელი, აეროპორტი, უსაფრთხოების ღვედი
დრამატული თამაში	თვითრეგულირება და წერა	დაეხმარე ბავშვებს იმოქმედონ, როგორც თვითმფრინავის ბილეთების ოპერატორებმა, გაფრინდნენ თვითმფრინავით, დაამზადონ ბილეთები და ა.შ.	ბილეთები, სკამები, უსაფრთხოება
ჟურნალის წარმოების ცენტრი	წერა	ღია წერა	
ანბანის ცენტრი	ასოების ცნობა	ანბანის თამაშები და ფაზლები	
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები	წაკითხულის გააზრება	არჩიეთ საყვარელი ისტორია ან პოემა მოსათხრობად	
ჯგუფის ბიბლიოთეკა	ლექსიკის განვითარება	წაიკითხეთ წიგნები თვითმფრინავების შესახებ	თვითმფრინავები, ფრთები, პილოტები, ბორტგამცილებლები, მგზავრები, მოგზაურობები, მარშრუტი, დანიშნულების ადგილი
მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა	დრამატული თამაშისას დახმარება		
წერის ცენტრი	წერა	მიაწოდეთ ბარათები თვითმფრინავთან დაკავშირებული სიტყვებით	იხილეთ ბიბლიოთეკა, დრამატული თამაში და მოსმენის ცენტრის სია
სხვა ცენტრი		ფოკუსირება მოახდინეთ თვითმფრინავებზე	

მარკის გეგმა თვითმფრინავების აქტივობების კვირისთვის

წინასასკოლო ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: დაწყებითი სკოლა Meadowbrook თარიღი: 12 მარტი, 2012 მასწავლებელი (ები)":ქ-ნი მ. და ქ-ნი ტ.

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): თვითმფრინავები

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკის სიტყვები
კუბები	მათემატიკური პრობლემის გადაჭრა	აეროპორტის მშენებლობა საფრენი ბილიკებით და ტერმინალით	საფრენი ბილიკი, ტერმინალი, გასასვლელები, პანდუსები, ბარგის ურიკები
მათემატიკის აქტივობა	გეომეტრია და სივრცითი ურთიერთობები	შაბლონებისა და გეომეტრიული დიზაინის შემუშავება კუბებით	
სენსორული მაგიდა	ექსპერიმენტი	ექსპერიმენტი სველი და მშრალი ქვიშის ტექსტურით, დაწერეთ სახელები და ასოები სველ ქვიშაზე	
ხელოვნება	წერა	გადაიღეთ ფოტოები თვითმფრინავებით დრამატული თამაშის დროს და შექმენით წიგნები ამის შესახებ (ბავშვები კარნახობენ და წერენ, რაც შეუძლიათ)	
სამანიპულაციო ცენტრი	დაკვირვება და ანალიზი	გააკეთეთ ქალალდის თვითმფრინავები	მანქანები, დაქანებები, მექანიზმები
სამეცნიერო ძიებანი	მეცნიერული პროგნოზების გაკეთება	წაიკითხეთ მოთხრობების წიგნები შუადღის ისტორიის საკითხავ დროს	ფრთის შლილი, რეისი, გადაადგილება
საინფორმაციო კითხვა	ცნობისმოყვარეობის და სიახლეების მიმართ ინტერესის გამომჟღავნება	ჩაატარეთ გამოკითხვა ბავშვებთან, რომლებმა იმგზავრეს თვითმფრინავით - გააკეთეთ ტრასპორტირების გრაფიკი	
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალი	მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა		
სხვა ცენტრი			

მარკის გეგმა თვითმფრინავების აქტივობების კვირისთვის

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ბავშვებს მოეწონათ შარფებით ცეკვა და ბუშტების დაჭერის თამაში.
ისინი არ დაინტერესდნენ მანქანების და სატვირთო მანქანების აქტივობებით - უმეტესწილად უმიზნოდ მოქმედებდნენ.
ისინი ძალიან დაინტერესდნენ ბატის გუნდის ტბორზე დაშვებით.
კაილინმა და ზაკმა პირველებმა შეამჩნიეს ისინი - ბევრი სხვა ბავშვიც დაინტერესდა. გავაკეთოთ ბატის შესახებ პროექტი?
კელის დედას ეყოლა ბავშვი!
ესაუბრეთ ლოგოპედს რამდენიმე ბავშვის არტიკულაციის საჭიროებებთან დაკავშირებით.

სუზის რეფლექსიები ბატებით დაინტერესებასთან დაკავშირებით

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: ბავშვის განვითარების ლაბორატორია სკოლა თარიღი: 7 ნოემბერი, 2011

მასწავლებელი (ები): სუზი

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): ბატი

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები	ემოციების გამოხატვა შესაბამისად	დაეხმარეთ ბავშვებს გამოხატონ გრძნობები, როცა მოაგვარებენ კონფლიქტებს კუბების სივრცეში	
დრამატული თამაში	საუბარი	იმოქმედეთ, როგორც სურსათის მაღაზიამ და გააკეთეთ საყიდლები	მოლარე, ხორცის პროდუქტები, გასტრონომი, წარმოება, რძის პროდუქტები
სენსორული მაგიდა	ოჯახის გაგება	დაბანეთ სათამაშო თოჯინები და მანიპულაციური სათამაშოები	საქმეები და პასუხისმგებლობები
ხელოვნება	ხელისა და თვალის კოორდინაცია და ინსტრუმენტების გამოყენება	შექმენით პიპეტით ნახატები, ქაღალდის ზოლებით კი კოლაჟები	
სამანიპულაციო ცენტრი	გაზომვა, ნატიფი მოტორული უნარები	პლასტელინები, როლერები და ა.შ. შეადარეთ და განასხვავეთ ნამუშევრების ზომები	
ჯგუფის ბიბლიოთეკა	ცნობისმოყვარეობის და სიახლეების მიმართ ინტერესის გამომჟღავნება	წაიკითხეთ და მოუსმინეთ წიგნებს ბატების და იხვების შესახებ (სხვა საყვარელ წიგნებთან ერთად)	
წერის ცენტრი	წერა, ბეჭდური პროდუქციის არსი/იდეა	დაეხმარეთ ბავშვებს დაწერონ სახელები პირადი ბარათების მეშვეობით	
სხვა ცენტრი	დათვლა და რაოდენობა, მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა	დაავალეთ ბავშვებს დათვალონ ბატები ტბორში ყოველდღე და გააკეთონ ჩანაწერი	

სუზის გეგმა ბატთან დაკავშირებული აქტივობების მიმართ

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი: 10/3/11		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლო მიზანი	უხეში მოტორული უნარები, თვითრეგულაცია, მოსმენა, წაკითხულის გააზრება				
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	ერთად შეკრება და დამშვიდება სიმღერებით და ხელების მოძრაობებით სიმღერის თანხლებით ყოველდღიური საქმიანობა წაიკითხეთ „The Ugly Ducking“	წაიკითხეთ „The Ugly Ducking“	წაიკითხეთ “Make Way for Ducklings”	წაიკითხეთ “Make Way for Ducklings”	განიხილეთ და ჩაიწერეთ, რა ვისწავლეთ ბატის შესახებ?
პატარა ჯგუფი	სასწავლო მიზანი	წერა, ინსტრუმენტების გამოყენება, დათვლა, ლექსიკის განვითარება				
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	კვირის განმავლობაში ბავშვების დახმარება წერის ცენტრში. ბატების დათვლა და ჩანაწერების გაკეთება				გამოაცხვეთ ბანანის პური

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული გეგმები	**გეგმები ეზოს კვლევების ჩასატარებლად**	**გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით**
მოამზადეთ დღის შეკითხვები ბავშვებისთვის, რათა უპასუხონ მოსვლისას: „როგორ ინარჩუნებენ ბატები სითბოს?“ რას ჭამენ? სად მიდიან ზამთარში? შემდეგ გაუზიარეთ პასუხები სხვებს შეკრების დროს.	ეწვიეთ ტბორს ყოველდღე, რათა დააკვირდეთ ბატებს (მაგრამ გაჩერდით მოშორებით, რომ არ გააღიზიანოთ შეაწუხოთ ისინი). ითამაშეთ „Duck, Duck, Goose“!	ჭამის დროს განიხილეთ საყვარელი ხილი და ბოსტნეული. წარმოადგინეთ „Hicklety, Picklety Rumblebee“ გარდამავალი პერიოდებისთვის

სუზის გეგმა კვირის განმავლობაში ბატებთან დაკავშირებული აქტივობების მიმართ

სუზიმ აქცენტი ტრანსპორტირებიდან ბატებზე გადაიტანა და დაეხმარა ბავშვებს მოეძებნათ გზები, რათა ყოველდღიურად დაეთვალათ და ჩაეწერათ ბატების რაოდენობა. მან შეიტანა წიგნები ჯგუფის ბიბლიოთეკაში და ბავშვები გარეთ გაიყვანა, რომ უფრო ახლოდან დაკვირვებოდნენ ბატებს ტბორზე. აღნიშნეთ ის ფაქტი, რომ ის შეეცადა

ყველაფერი შეეცვალა ჯგუფში და ბატებისთვის დაეკავშირებინა. „შოუ“ პირდაპირ ჯგუფის გარეთ, ფანჯარაში, ტბორზე მიმდინარეობდა!

ეს არის გადაუდებელი კურიკულუმის მაგალითები - მასწავლებლებმა უპასუხეს ბავშვების ინტერესებს და შესაბამისად გადაწყვიტეს აქტივობების ადაპტაცია. დაგეგმვისა და რეფლექსიის ერთ ფორმაში კომბინირების საშუალებით იქმნება ჩანაწერი მომხდარის შესახებ, რომლის ნახვა სხვებსაც შეუძლიათ.

ზოგიერთი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პედაგოგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არის თემების ან პროექტების ჩამონათვალი, რომელსაც მასწავლებლები ახორციელებენ წლის განმავლობაში. მცდარია ის აზრი, რომ სხვადასხვა პროექტების ან კვლევების თემები წარმოადგენს კურიკულუმის წყაროს.

მიუხედავად ამისა, თემა ან საკითხი კი არ არის სასწავლო პროცესის დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ცენტრში, არამედ სასწავლო მიზნები.

თემა ან საკითხი ბავშვების ჩართვის საშუალებაა - მათი ინტერესის და ყურადღების მისაპყრობად, იმისათვის, რომ სწავლა სასიამოვნო და სახალისო იყოს, განვითარების ყველა მნიშვნელოვანი მიზნის მუდმივად სამოქმედოდ. სკოლამდელი და წინასასკოლო კურიკულუმი ფოკუსირებულია ბავშვების განვითარებაზე: სტრატეგიები, რომელსაც ისინი იყენებენ იმისათვის, რათა ისწავლონ მეტი თავიანთი სამყაროს შესახებ და უნარები, რომელსაც ისინი ივითარებენ დასააკვირვებლად, სასაუბროდ და იმის წარმოსადგენად, თუ რას სწავლობენ სხვადასხვა მასალებით. ამის გაკეთებას მათ სთხოვენ ჯგუფში, სადაც არიან სხვა ბავშვები, ვისთანაც მათ უნდა დაამყარონ კარგი ურთიერთობა. არა აქვს მნიშვნელობა თემას ან საკითხს, ეს მიზნები (უფრო მეტიც, მათ შორის ნატიფი და უხეში მოტორიკა, ადრეული ასაკის შესაფერისი მათემატიკა და კითხვა და ასე შემდეგ) წარმოადგენს ფოკუსს.

რამდენად ხშირად გეგმავთ პროექტს? არ არის საჭირო, რომ კვლევის თემა ყოველკვირეულად გეგმოთ. როგორც მე-2 თავში აღვნიშნე, თუკი მოაწყობთ მდიდარ ჯგუფის გარემოს და შეიტანთ ბევრ მასალას თითოეულ სასწავლო სივრცეში, ჯგუფის შესწავლა შესაძლოა იყოს ფოკუსი დიდი ხნის განმავლობაში და მას შესაძლოა დაუბრუნდეთ, როგორც ფოკუსს მთელი წლის მანძილზე.

თქვენ შეგიძლიათ შემოიტანოთ ახალი ან შეცვალოთ არსებული პროექტი, როცა ხედავთ, რომ ბავშვები მთელი არსებით აღარ არიან ჩართულები ან დაინტერესებულები იმით, რაც მათთვის უკვე ხელმისაწვდომია. შეგიძლიათ გამოიყენოთ კრიტერიუმები ჯგუფში განლაგების ან წარმოდგენილი მასალების შესაცვლელად, რათა გადაწყვიტოთ, როდის შეცვალოთ პროექტიც. კრიტერიუმები უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- ბავშვები არ ირჩევენ პროექტზე მუშაობას ან ჯგუფში ისეთ სივრცეებში თამაშს, რომელიც ეთმობა პროექტს.
- ბავშვებს ბეზრდებათ კონკრეტული თემა (მათ შეუძლიათ თქვან, რომ მობეზრდათ, ისინი შესაძლოა ჩანდნენ შეწუხებულები პროექტთან დაკავშირებული აქტივობების დროს, შესაძლოა თავადაც შეცვალონ აქტივობები).

- ბავშვების ქცევა არ არის ნაყოფიერი ან პოზიტიური, როცა ისინი მუშაობენ პროექტზე.
- ინტერესის სხვა თემა წარმოიქმნება ჯგუფში და იპყრობს ზოგიერთი ან ყველა ბავშვის ყურადღებას.

ბავშვებმა მზარდი ინტერესი შესაძლოა მასალების ახლებურად გამოყენების საშუალებითაც აჩვენონ. შესაძლოა უზრუნველყონ მთელი საკვების ორგანიზება დრამატული თამაშის სივრცეში და ყიდვა-გაყიდვის სცენა გაითამაშონ. აქტივობების შეცვლა, რომელიც დაკავშირებულია სასურსათო მაღაზიასთან, სასურსათო მაღაზიაში ექსკურსიის დაგეგმვა და მასალების, ისტორიების და სიმღერების დამატება, რომელიც კავშირშია ამ მნიშვნელოვან საოჯახო გამოცდილებასთან, გარანტირებული იქნება.

ზოგჯერ პროექტის ან კვლევის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ექსკურსია ან სპეციალური ვიზიტი ველზე. ეს შესაძლოა არ მოდიოდეს კონკრეტულად ბავშვების ინტერესებიდან, არამედ დაიგეგმოს მასწავლებლის მიერ (ხშირად წინასწარ, ტრანსპორტირებისა და მშობლების დახმარების უზრუნველსაყოფად), რადგან მან იცის, რომ ვიზიტის ფოკუსი დააინტერესებს ბავშვებს და შეუძლია ძალიან კარგად უხელმძღვანელოს მიმდინარე კვლევებს და პროექტზე მუშაობას.

სკოლამდელი ასაკის პროგრამა, სადაც შარონი ასწავლიდა, განთავსებული იყო უმაღლესი სკოლის კამპუსში. შარონი წავიდა და ესაუბრა ავტომაღაზიის მასწავლებელს, და ჰკითხა, როგორ ფიქრობდა, მაღაზიაში ვიზიტი შესაფერისი იქნებოდა თუ არა მისი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. ავტომაღაზიის მასწავლებელმა მზაობა გამოთქვა, მიეღო აუცილებელი უსაფრთხოების ზომები და ენთუზიაზმით განაცხადა, რომ შერონს თავისი მოსწავლეების მუშაობას გაუზიარებდა. ვიზიტმა ძალიან წარმატებულად ჩაიარა და ბავშვების ჩართულობა მანქანების შეკეთებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში შერონის ჯგუფში დიდხანს გაგრძელდა

რამდენ ხანს ანდომებს ადამიანი კონკრეტული თემის დაგეგმვას? შეგახსენებთ, მასწავლებელი დიდი ყურადღებით უნდა დააკვირდეს ბავშვებს და შეაფასოს მათი მიმდინარე ინტერესი და ჩართულობა. ბარბარამ შეამჩნია, რომ მისი ბავშვები დრამატული თამაშის სივრცეში ვეტერინარული კლინიკის განსახიერებისთვის რბილ სათამაშო ცხოველებს და სტეტოსკოპებს იყენებდნენ. გადაწყვიტა რეაგირება მოეხდინა და მიაწოდებინა მასალები და აქტივობები, რათა მიყოლოდა მათ ამ ინტერესს. ბავშვებმა ცხოველებზე ზრუნვის თამაში სამიდან ოთხ კვირამდე ითამაშეს. მათ წაიკითხეს წიგნები ვეტერინარების შესახებ, ეწვივნენ ვეტერინარულ კლინიკას, მონაწილეობა მიიღეს ცხოველების გასინჯვაში, შეუხვიეს ფეხები. ერთ დღეს ბარბარამ შეამჩნია, რომ ბავშვებმა აალაგეს ვეტერინარის აღჭურვილობა და დრამატული თამაშის სივრცეს დაუბრუნეს სახლის და სამზარეულოს იერსახე. ის მიხვდა, რომ მისი პროექტი დასრულდა. თავისი გეგმის ფოკუსი მან ისევ ჯგუფის გარემოს შესწავლით და ბავშვებზე დაკვირვებით შეცვალა, რათა შეეტყო რა ახალი თემები წარმოიქმნებოდა, როცა ისინი სასწავლო სივრცეს მთლიანად გამოიყენებდნენ.

მოქნილობა, როგორც ამ მასწავლებლებს, გეხმარებათ, რომ არჩეული თემები ან პროექტები მართლაც აკმაყოფილებდნენ ბავშვების ინტერესს. მასწავლებლებმა იციან, რომ საუკეთესო პრაქტიკა ის არის, რომელიც შეიძლება პირდაპირ გამოცადონ ბავშვებმა

და დაკავშირებულია მათ ცხოვრებასთან. ისინი გვამცნობენ, რომ ქვემოთ მოცემული პროექტები ან კვლევის თემები ხშირად წარმატებულია სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებისთვის:

- ნებისმიერი რამ, რაც უკავშირდება ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებას, მაგალითად, მისი სხეული, მისი ოჯახი, რისი ჭამა მოსწონთ, დედის და მამის სამსახური, მისი გრძნობები
- ნებისმიერი რამ ბუნებაში, რაც შესაძლოა საკუთარ თავზე გამოცადოთ, მაგალითად, ამინდი და სეზონური მახასიათებლები იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობთ.
- ჯგუფი და/ან ოჯახის შინაური ცხოველები
- ცხოველები, მწერები და მცენარეები, რომლებთანაც პირდაპირი შეხება გაქვთ ან ხედავთ გარეთ (სასურველია თქვენს სათამაშო მოედანზე და ბაღის ტერიტორიაზე)
- ადგილობრივი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები (თუკი წყალთან ახლოსცხოვრობთ, შეისწავლეთ ისინი. გამოქვაბულები? ეწვიეთ მათ და გაიგეთ მეტი მათ შესახებ)
- თქვენი ჯგუფის ერთობა (ქალაქში? მაღალი შენობები და მეტრო; სოფლად? ფერმები და სიდრის ქარხნები)
- მიმდებარე სერვისები (სურსათის მაღაზია, რესტორანი, ფოსტა, სახანძრო და ა.შ.)
- მანქანები და მექანიკური ობიექტები, რომელიც აინტერესებს ბავშვებს
- სპეციალური დღესასწაულები და ღონისძიებები თქვენს ტერიტორიაზე (როდეო, Powwow და იასამნების ფესტივალი და ა.შ.)

გახსოვდეთ, არ არის აუცილებელი ჯგუფში თითოეული აქტივობის კონკრეტულს თემასთან მორგება! თავს ნუ იტეხთ, თემასთან დაკავშირებულ ყველა სივრცეში მასალების შეტანით. ამის ნაცვლად დაგეგმეთ მნიშვნელოვანი და აზრიანი აქტივობები. ჯგუფის გარემოს დანარჩენი ნაწილი იქნება მდიდარი და კომფორტული ადგილი.

ფიქრი ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვების შესახებ

კურიკულუმის ინდივიდუალიზაციისას მასწავლებლები ხშირად აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთი ბავშვი, ქცევის პრობლემების გამო, სხვა ბავშვებთან შედარებით მეტ ყურადღებას მოითხოვს. რადგან ეს წიგნი არ არის სიღრმისეული გზამკვლევი ბავშვების ქცევის სამართავად, მასში შესულია კურიკულუმის ბევრი ასპექტი, რომელსაც შეუძლია თავიდან აგვაცილოს „ცუდი“ ქცევა. კურიკულუმის ჩემს მიერ განსაზღვრული ელემენტები განკუთვნილია ბავშვების დასახმარებლად, რათა მათ ჯგუფში თავი იგრძნონ დაცულად, განუვითარდეთ ნდობა და შეძლონ რისკზე წასვლა. როცა ყველა ეს ელემენტი განხორციელებულია, ბავშვები აცნობიერებენ, რომ უფროსები იმისთვის არიან, რომ გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა, აღმოუჩინონ დახმარება და მიაწოდონ სტრუქტურა. მათთვის დასახული მიზნები და ჯგუფის ფუნქციონირების მეთოდი ეფუძნება სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების ცოდნის გამოცდილებას. დროთა განმავლობაში ბავშვები სწავლობენ, რომ მათი მასწავლებლები აკვირდებიან და შეაქვთ ცვლილებები, როცა ისინი ვერ აღწევენ წარმატებას, რომ მათი მიზანი ბავშვების დამარცხება კი არ არის, არამედ

პირიქით, აძლევენ მათი შესაძლებლობების, სასწავლო სტილის და პიროვნებების შესაფერის დავალებებს. ეს სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებს უკეთესად მოქცევაში ეხმარება. მე-9 თავში განვიხილავთ გზებს, რომელთა საშუალებითაც განვსაზღვრავთ, სასწავლო პროცესის რომელი ელემენტია გამოტოვებული ან საჭიროებს მეტ ყურადღებას. ახლა კი მოდით, განვიხილოთ რთული ქცევის მქონე ბავშვები.

როცა ადრეული ასაკის ბავშვები ცუდად იქცევიან, მასწავლებლები უნდა ჩაერიონ, რათა დაიცვან ისინი და დაეხმარონ ისწავლონ საკუთარი ქცევის კონტროლი. მათ ალბათ არ იციან, როგორ გამოხატონ თავიანთი გრძნობები სათანადოდ და როცა იმედი უცრუვდებათ, ბრაზდებიან ან ღიზიანდებიან, იბუტებიან ან იყენებენ გულსატკენ სიტყვებს. მათ ალბათ არ გააჩნიათ იმის შეგრძნება, როდი არის უსაფრთხო რისკზე წასვლა და როდის არა. ალბათ ეგოცენტრიზმი დომინირებს მათ გადაწყვეტილებაში, როცა ხელში იგდებენ მასალებს ან უფროსობენ სხვა ბავშვებზე (რომლებიც ამის უნებური მონაწილეები არიან). ასეთ სიტუაციებში მასწავლებლებმა უნდა მოახდინონ რეაგირება. მაგრამ ნაცვლად უბრალოდ რეაგირებისა, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მასწავლებლებმა უნდა ასახონ და სიტუაცია იმგვარად გააანალიზონ, რომ მათი ჩარევა სასარგებლო აღმოჩნდეს ბავშვისთვის. მიზანმიმართული და მზრუნველი მასწავლებლები რეფლექსიის უნარის მქონენი უფრო არიან, ვიდრე რეაქტიულები.

ბავშვების ცხოვრების ასახვა: ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაში დებ კურტისი და მერჯი კარტერი (2011) ვარაუდობენ, რომ მასწავლებლები განიხილავენ საკუთარ აღქმას რთული ქცევის შემთხვევაში:

> თუკი მიგაჩნიათ, რომ ბავშვები კომპეტენტურები უნდა იყვნენ და გჯერათ, რომ მათ ქცევას აქვს მნიშვნელოვანი მიზანი, რომელსაც პატივი უნდა სცეთ, თქვენ რეაგირებას ახდენთ მოთმინებით და სწავლით. თუკი ხედავთ, რომ ბავშვები ცელქობენ ან კარგავენ კონტროლს, მაშინ ნაკლები დრო გჭირდებათ მათი პრობლემების გადასაჭრელად. თქვენ შეგიძლიათ გარდაქმნათ თქვენი შეხედულებები ბავშვებთან დაკავშირებით .... როცა ასეთი მომენტები წარმოიშობა. (84-85)

ისინი განაგრძობენ ბავშვების ერთი და იგივე ქცევის კონტრასტული შეხედულებების სასარგებლო შედარების გაზიარებას:

ნეგატიური შეხედულება	კომპეტენტური შეხედულება
ბავშვს წარმოდგენა არ აქვს, რა არის უსაფრთხო.	ბავშვი არის ენერგიული მკვლევარი, დაუღლელი ექსპერიმენტატორი ან თავდადებული მეცნიერი.
ბავშვს არ აქვს მოთმინების უნარი.	ბავშვს ძალიან დიდი სურვილი აქვს ისწავლოს თითოეული გამოცდილებიდან და ურთიერთობიდან, რომელიც მას გააჩნია.
ბავშვს არ შეუძლია არ შეეხოს საგნებსა და ნივთებს.	ბავშვი იწყებს იმაში გარკვევას, თუ როგორ აკონტროლოს საკუთარი ქცევა და მიაქციოს ყურადღება საკუთარ თავს, სხვებს და სამყაროს მის გარშემო.
ბავშვს შეუძლია წუთიერი გაცხარება.	ბავშვი გადადის დამოკიდებულებიდან დამოუკიდებლობაზე. (85)

როგორც რეფლექსიის უნარის მქონე და მოაზროვნე პრაქტიკოსები, მასწავლებლები უკეთ იგებენ ბავშვის „ცუდი“ ქცევის ძირითად მიზეზებს. დიახ, თქვენ მყისიერად უნდა ჩაერთოთ და არ დაუშვათ დაზიანება ან მისცეთ სახელმძღვანელო მითითებები. ბავშვის პერსპექტივისა და სიტუაციის სხვადასხვა კუთხიდან განხილვისთვის დროის დათმობა და სიტუაციის გაანალიზება გადამწვეტი იქნება იმისათვის, რომ ისწავლოთ, როგორ აიცილოთ თავიდან ბავშვის გამოხტომები მომავალში და დაეხმაროთ ბავშვს ყველაზე ეფექტიანად გრძელვადიან პერსპექტივაში.

მე-2 თავში უკვე ვისაუბრე იმის თაობაზე, რომ გარემოს რეგულარულად უნდა დავაკვირდეთ. როცა ბავშვი ცუდად იქცევა, უნდა დაისვას კითხვა, ეს ჯგუფის რომელ სივრცეში ხდება? შემდეგ ამ სივრცეს უფრო ყურადღებით დააკვირდით. ხომ არ არის იქ შეზღუდული სივრცე იმ რაოდენობის ბავშვებისთვის, რომლებიც იქ თამაშობენ? არის თუ არა იქ საკმარისი მასალები ყველასთვის, რათა ის აკეთონ, რისი კეთებაც სურთ? ალბათ პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს სივრცის გაფართოებას, მასალების დამატებას ან ბავშვების რაოდენობის შეზღუდვას. პრობლემა შესაძლოა არაკონტროლირებადი ბავშვი კი არ იყოს, არამედ თავად სათამაშო სივრცე, რომელიც საჭიროებს მასწავლებლის ყურადღებას.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ, როცა ბავშვი ცუდად იქცევა, არის დღის რომელ მონაკვეთში ან ყოველდღიური გრაფიკის რომელ მონაკვეთში იქცევა ის ასე? თამაშის და კვლევის დრო შესაძლოა რთული იყოს იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც უჭირთ დაწყება და დამშვიდება. გარდამავალი პერიოდები შესაძლოა ძალიან რთული იყოს ზოგიერთი ბავშვისთვის. აქტივობის დასრულება, რომელშიც ისინი მთელი არსებით არიან ჩაფლულები, შესაძლოა ძნელი იყოს მათთვის. პერიოდები, როცა ბავშვი ელოდება საკუთარ რიგს ან მუშაობს პატარა ჯგუფში, შესაძლოა გახდეს პრობლემის წარმოქმნის მიზეზი ზოგიერთი ბავშვისთვის. ქცევის პრობლემების წარმოქმნისას მნიშვნელოვანია დააკვირდეთ და განიხილოთ, რისი შეცვლა შეგიძლიათ თქვენ და თქვენს კოლეგებს ამ კონკრეტულ დროს კონკრეტული ბავშვისთვის.

ქცევის ბევრი პრობლემა წარმოიქმნება ჯგუფური მუშაობის დროს. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უჭირთ დიდხანს წყნარად გაჩერება. ისინი ყოველთვის არ არიან კარგი მსმენელები ან ინფორმაციის პასიური მიმღებები. მე-6 თავში ჩვენ გავაანალიზებთ დიდი და პატარა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის გზებს, რაც ბავშვებს უფრო აქტიურიდან ნაკლებად აქტიურ აქტივობაზე გადასვლაში დაეხმარება. ხარისხიანი დიდი და პატარა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის კარგად გააზრება დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ ქცევასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა ასეთი პერიოდების განმავლობაში.

ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მეორე გზა გახლავთ იმის გააზრება, თუ რამდენჯერ ეუბნებით ბავშვებს „არა“-ს ან რამდენი მოთხოვნა გაქვთ შეტანილი ყოველდღიურ გრაფიკში, რომელიც უკრძალავს ბავშვებს ისეთი რამის გაკეთებას, რაც მათ აინტერესებთ. კეტრინ კერსი და მარი მასტერსონი (2011) გვირჩევენ, რომ მასწავლებლები უნდა ფლობდნენ დათანხმების („დიახ“) ძალას.

> თუკი ჩვენს მიზანს თანამშრომლობის შექმნა და წინააღმდეგობის შემცირება წარმოადგენს, ეს დაგვეხმარება შევცვალოთ *„არა“ ისეთი* სტრატეგიებით, რომელიც წარმატებით გადაამისამართებს ქცევას. ეფექტიან

სტრატეგიებს შეუძლია წინააღმდეგობის თანამშრომლობად გადაქცევა იმ ბავშვების შემთხვევაშიც კი, რომლებთანაც მასწავლებელს, როგორც წესი, ბრძოლა უწევს. თქვა „დიახ“ ხშირად განაპირობებს წარმატებას და ასუსტებს წინააღმდეგობას. სიტუაციები, რომლებიც გვაიძულებს ვთქვათ „არა“, გადაიქცევა შესაძლებლობად, ვთქვათ „დიახ“. (41)

ისინი გვთავაზობენ ოთხ სტრატეგიას, რომლის ადაპტირებაც მოვახდინე „დათანხმების ძალის“ დასაუფლებლად:

1. *„დიდი საქმის კეთების“ სტრატეგია,* როცა მასწავლებლები ყურადღებას უთმობენ, მადლობას უხდიან, განსაკუთრებულად აქებენ, აღიარებენ და მხარს უჭერენ.
2. *შესაბამისი ალტერნატიული სტრატეგია,* რომლის დროსაც მასწავლებელი ავალებს „ბავშვს მისაღებ ქცევას, რომელიც განაპირობებს მიუღებელი ქცევის შეწყვეტას(მაგალითად, თუკი ბავშვი დარბის ოთახში, მასწავლებელი მას სთხოვს დაეხმაროს წიგნების დარიგებაში) ან მასწავლებელი ეუბნება ბავშვს *რა გააკეთოს*, ვიდრე *რა არ გააკეთოს.*
3. *არჩევანის სტრატეგია,* როცა მასწავლებელი აწესებს სასურველ მიზანს და აძლევს ბავშვს ორ პოზიტიურ და მისაღებ არჩევანს მის განსახორციელებლად.
4. *როცა/შემდეგ სტრატეგია,* რომელიც გულისხმობს თანამშრომლობის შეთავაზებას (მაგალითად, მასწავლებელი ამბობს, „როცადაალაგებთ, შემდეგ შეგიძლიათ ითამაშოთ ქვიშაში.“). (41-43)

იყო რეფლექსიური ნაცვლად რეაქტიულისა და იფიქრო თქვა „დიახ“, ვიდრე „არა“, არის შეგნებული გადაწყვეტილება, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ბავშვების ქცევაზე და მოაქვს გრძელვადიანი, პოტენციურად პოზიტიური შედეგები.

თვითრეგულირება

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მთავარი ამოცანა არის ბავშვებში თვითრეგულირების, ემოციების და ქცევის განვითარება. თვითრეგულირება არ ნიშნავს იგივეს, რასაც თვითკონტროლი. თვითრეგულირება გულისხმობს განვითარების ყველა ასპექტს ემოციური და შემეცნებითი განვითარების ჩათვლით, რადგან ბავშვმა უნდა იფიქროს სიტუაციის შესახებ და შემდეგ იმოქმედოს იმგვარად, რომ შეასუსტოს თავისი იმპულსები.

ფიქრი ზემოქმედებს ემოციებზე, ემოციები კი ზემოქმედებს კოგნიტურ განვითარებაზე (Blair & Diamond 2008). ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ ეფექტიანად არეგულირონ შფოთვის და გულგატეხილობის ტენდენცია, არ ჩაეფლონ მასში და თავი დააღწიონ, სირთულეებს ქმნიან სასწავლო აქტივობების დროს. პირიქით, როცა ბავშვები არეგულირებენ უსიამოვნო ემოციებს, მათ

შეუძლიათ მოდუნდნენ და ფოკუსირება მოახდინონ კოგნიტური უნარების შეძენაზე. ბავშვები უკეთეს ემოციურ რეგულირებას განიცდიან მაშინაც, როცა ჩაანაცვლებენ ფიქრს, „მე ეს არ გამომდის“, ფიქრით „ეს რთულია, მაგრამ მე შევძლებ ამის გაკეთებას, თუკი შევეცდები.“ შფოთვის რეგულირება და დაფიქრება ბავშვებს ეხმარება რთული აქტივობების დროს შეუპოვრობაში ეხმარება, რაც ზრდის მათ შესაძლებლობებს დაეუფლონ იმ უნარებს, რომელიც აუცილებელია კონკრეტული აქტივობისთვის. (ფლორეზი 2011, 47)

მასწავლებლებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბავშვების დახმარების თვალსაზრისით ამ დავალების შესრულებისას. ისინი უზრუნველყოფენ სწავლის ხელშეწყობას ან „თანარეგულირებას“, ეხმარებიან ბავშვს ინტერნალიზებული, დამოუკიდებელი თვითრეგულირებისკენ სვლაში.“ ამგვარად, თვითრეგულირების უნარის განვითარებისთვის ბავშვებმა უნდა გამოცადონ უამრავი შესაძლებლობა და ივარჯიშონ უფროსებთან და თვითრეგულირების უნარის მქონე თანატოლებთან ერთად“ (ფლორეზი 2011, 48).

მასწავლებლებს შეუძლიათ თვითრეგულირების გზების მოდელირება თავიანთი საკუთარი დათრგუნვის პროცესის მეშვეობით: „მეუნდა გავჩერდე, რადგან ახლა შენი ჯერია, რომ ილაპარაკო.“ მათ შეუძლიათ მიაწოდონ ბავშვებს თავიანთი იმპულსების კონტროლის სტრატეგიები: „როცა გაბრაზებული ხართ თქვენს მეგობარზე, შეგიძლიათ თავად უთხრათ მას, შეგიძლიათ გაეცალოთ ან მოხვიდეთ და სთხოვოთ ერთ-ერთ მასწავლებელს დაგეხმაროთ.“ უსაფრთხო ადგილის უზრუნველყოფის საშუალებით, სადაც ბავშვებს შეუძლიათ გამოეყონ ჯგუფს, როცა თავს დათრგუნულად ან უკონტროლოდ გრძნობენ, არის ინტერნალიზებული თვითრეგულირებისკენ მიმავალი გზა. თქვენ შეგიძლიათ ასევე მოაწყოთ სამშვიდობო მაგიდა, სადაც ბავშვებს ასწავლიან კონფლიქტის მოგვარებას, სადაც თითოეული მხარე წარმოადგენს თავის პრობლემას. ისინი უსმენენ ერთმანეთს და ცდილობენ მივიდნენ შესაფერის გადაწყვეტილებამდე. ამ პროცესმა შესაძლოა ცოტა ხნით მოითხოვოს უფროსის დახმარება, თუმცა შესაძლოა წარმატებით დასრულდეს, რადგან ბავშვები ხედავენ მოდელს მოქმედებაში და სწავლობენ პროცესის გამოყენებას საკუთარი თავისთვის.

და ბოლოს, თვითრეგულირების მოქმედებაში ხილვის მდიდარი და ჩინებული საშუალება გახლავთ იმიტირებული თამაში. რადგან ბავშვები თამაშობენ კონკრეტულ როლს, მათ უნდა არეგულირონ კიდეც თავიანთი იმპულსები. როცა ასახიერებენ „კატებს და ძაღლებს“, ბავშვი, რომელიც აცხადებს, „მე ვარ ძაღლი“ და შემდეგ კნავის, სერიოზულ რეაქციას გამოიწვევს სხვა ბავშვებში. ის არ ასახიერებს კატებს და ძაღლებს მიღებული წესების თანახმად, როცა კატა კნავის და ძაღლები ყეფენ. ბავშვების იმიტირებულ თამაშს ყოველთვის აქვს თავისი დამახასიათებელი წესები და ბავშვები უნდა დადგნენ შესაფერის სიმაღლეზე და ეს წესები უფრო ხშირად დაიცვან იმიტირებული თამაშის დროს, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებაში. შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ როცა ბავშვი ასახიერებს მასწავლებელს, რომელიც უკითხავს წიგნს მოსწავლეების ჯგუფს, ისინი მას უფრო

ყურადღებით უსმენენ, ვიდრე თავად მასწავლებელს. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ასახიერებენ მოსწავლეებს. ისინი თამაშობენ „მოსწავლის წესებით.“

> თუ ბავშვებს სურთ ჩაერთონ ამ თამაშში, მათ უნდა არეგულირონ კიდეც თავიანთი ქცევა, რათა ისე ითამაშონ როლი, როგორც ეს ზემოთ იქნა შეთანხმებული ჯგუფის მიერ .....
>
> ბავშვები ხელს უწყობენ ერთმანეთს სწორად თამაშში და მოქმედებენ იმ მეთოდის თანახმად, რომელიც შეესაბამება მათ წარმოდგენებს როლების შესახებ. ვიგოტსკი ამბობს, რომ საბავშვო ბაღის დასრულებისას თვითრეგულირების უნარის მქონე ბავშვები ჯერ ფიქრობენ და შემდეგ მოქმედებენ. მათ შეუძლიათ შეიკავონ თავიანთი იმპულსები... თვითრეგულირების განვითარება იმდენად მნიშვნელოვანია მოგვიანებით აკადემიური წარმატების მისაღწევად და ზოგადად, ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად, რომ მასწავლებლები ვალდებულები არიან დაეხმარონ ბავშვებს მიაღწიონ თამაშის ამ მაღალ დონეს (გრონლუნდი 2010, 17-18).

ბავშვებს თქვენს ჯგუფში, რომლებიც ამჟღავნებენ რთულ ქცევას, შეგიძლიათ სთხოვოთ განასახიერონ რომელიმე როლი, რათა შეძლონ თავიანთი იმპულსების უკეთ დათრგუნვა. იმის მიხედვით, თუ რა არის თქვენი მიზანი, ირჩევთ როლს, რომელიც დაეხმარება ბავშვს ამ მიზნის წარმატებით მიღწევაში. აქ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

- როდესაც ბავშვი ხშირად არიდებს თავს დალაგების პროცესში მონაწილეობას, მას შეგიძლიათ შესთავაზოთ განასახიეროს უფროსი ადამიანი, რომელიც სადილად მეგობრებს ელოდება და სურს დაალაგოს სახლი მათ მოსვლამდე.
- როდესაც ერთ ბავშვს დახმარება სჭირდება და მეორე ბავშვი არ ამჟღავნებს თანაგრძნობას ან მზრუნველობას, მას შეგიძლიათ შესთავაზოთ განასახიეროს უფროსი და, რომელიც აჩვენებს თავის უმცროს დას, როგორ მოიქცეს ჭამის ან დამოუკიდებელი კითხვის დროს.

> **მერი ბ.:** „მასწავლებელი ამჩნევს ნაპერწკალს, მოტივაციას, ფოკუსს, რომელიც წარმართავს ბავშვს გამოცადოს და გაუჩნდეს სურვილი გაიგოს მეტი. ბავშვი ხშირად გვაგებინებს ამას არავერბალური მინიშნებებით. სწორედ ამას ამჩნევს მასწავლებელი. საინტერესოა, რომ სწორედ ეს წარმართავს დაგეგმვის ციკლს.“

- დერეფანში გავლისას ამჩნევთ, რომ ბავშვი ხმაურობს და წესრიგს არღვევს. ამ დროს რამე ისეთი უნდა შესთავაზოთ, რაც მას სჭირდება იმისათვის, რომ იყოს ისევე წყნარად, როგორც ლეოპარდი, როცა ეპარება თავის მსხვერპლს. თქვენ ეხმარებით მას წავიდეს იქ, სადაც მას სურს (გარეთ, სპორტულ დარბაზში) და შემდეგ მონაწილეობა მიიღოს იმიტირებულ თამაშში. „ო, თქვენ მე მიმიხვდით, ბ-ნო ლეოპარდ! თქვენ ისე წყნარად მომეპარეთ.“

დასკვნა

პრევენციის გარდა, კურიკულუმის განხორციელებისას, როცა საუბარია ქცევის პრობლემების მქონე ბავშვებზე, რეფლექსიის პროცესი მნიშვნელოვანია. კოლეგებთან საუბარი, საჭიროების შემთხვევაში ყოველდღიურად და რა თქმა უნდა ყოველკვირეულად, მომდევნო კვირის გეგმების განხილვისას დაეხმარება მასწავლებლებს იმის განსაზღვრაში, თუ რა შეძლება გააკეთონ თავიანთ გარემოსთან, ყოველდღიურ გრაფიკთან, ჯგუფურ მუშაობასთან და თამაშის დროსთან დაკავშირებით, რომ ხელი შეუწყონ თითოეულ ბავშვს წარმატებაში.

მომდევნო თავში განვიხილავთ პატარა და დიდი ჯგუფის მუშაობას და მათი დაგეგმვის ყველაზე ეფექტიან გზებს ბავშვებისთვის.

თავი 6 ორიენტირება ბავშვის და არა უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობების დაგეგმვაზე

.....

ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგებს მუდმივად უწევთ გადაწყვეტილების მიღება, როდის მიჰყვნენ ბავშვის ინიციატივას და როდის აიღონ საკუთარ თავზე უფრო მეტად დირექციული როლი. ეს არის ერთ-ერთი მიმდინარე მორგება და ცვლილებები, რომელსაც მასწავლებლები ახორციელებენ და წარმოადგენს დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლის მნიშვნელოვან ელემენტს. მნიშვნელოვანია ბავშვის მიერ ინიცირებულ და მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს შორის ბალანსის დაცვა. ადრეული ასაკის ბავშვების შემთხვევაში ეს ბალანსი უფრო მეტად უნდა იხრებოდეს ბავშვის მიმართულებით.

მაღალი ხარისხის სკოლამდელ და წინასასკოლო ჯგუფებში, მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ბავშვებისთვის არჩევანის შეთავაზება განაპირობებს უფრო მეტ მონაწილეობას და უფრო ღრმად ჩართულობას აქტივობებში. ადრეულის ასაკის ბავშვებს არ მოსწონთ, როცა მუდმივად ეუბნებიან რა უნდა აკეთონ. როგორც ერიკ ერიკსონი (1950) აღნიშნავს, ისინი ინიციატივის გამოხატვის ეტაპზე იმყოფებიან - ცდიან საკუთარ თავს. მათი განვითარებადი დამოუკიდებლობა და სწრაფვა უფრო დიდი კომპეტენციისკენ, უბიძგებს მათ ცხოვრებაში მყოფი უფროსებისგან წამოსული მუდმივი მითითებების უარყოფისკენ. თუმცა ისინი მაინც არ ცდილობენ უფროსების სახელმძღვანელო მითითებისგან სრულად გათავისუფლებას. ბავშვები ენდობიან უფროსებს და იღებენ მათგან გონივრულ რჩევებს ზრდასრული ადამიანის სახელმძღვანელო მითითების უსაფრთხოების ფარგლებში.

მასწავლებლები დიდი სიფრთხილით გეგმავენ შესაძლებლობებს, რომელთა შორის შეუძლიათ ბავშვებს არჩევანის გაკეთება და გზებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ხელს შეუწყობენ ბავშვების ურთიერთობას მასალებთან და სხვა ბავშვებთან. არასოდეს რჩება დღის რომელიმე მონაკვეთი დაუგეგმავი. თუმცა ამ დაგეგმვის ფარგლებში, მასწავლებლები მეტ შესაძლებლობას სთავაზობენ ბავშვის მიერ ინიცირებული და არა უფროსების მიერ მართული აქტივობებისთვის. დღის ძირითად ნაწილში მასწავლებლები ნებას რთავენ ბავშვებს თავად აირჩიონ, როდის და რომელ აქტივობებს შეასრულებენ, ასევე იპოვონ სხვადასხვა გზები, რომელთა საშუალებითაც ისინი გამოიყენებენ მასალებს და გადაწყვეტენ ვისთან ჰქონდეთ ურთიერთობა ამ აქტივობების შესრულებისას. მასწავლებელი ასევე სთავაზობს მათ ზოგიერთ აქტივობას, რომლის დროსაც ის თავად არის ლიდერი და ინიციატორი და არა ბავშვი. ყურადღების გამახვილება ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებზე არ ნიშნავს ჯგუფში ქაოსის დასადგურებას, არც იმას, რომ სწავლება აღარ წარმოადგენს მთავარ ფოკუსს.

რადგან მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წონასწორობის დაცვას ბავშვის მიერ ინიცირებულ და უფროსის მიერ მართულაქტივობებს შორის, ისინი ასაკთან ერთად

ითვალისწინებენ ბავშვების განვითარების დონესაც. ბალანსი განსხვავებული იქნება სამი წლის ასაკის და წინასასკოლო ასაკის ბავშვების შემთხვევაში. მასწავლებლები ასევე ითვალისწინებენ ბავშვების პიროვნებებს, სწავლის მიმართ დამოკიდებულებას, წარსულ გამოცდილებებს და კულტურულ წარმომავლობას.

გაწონასწორებული შესაძლებლობების შეთავაზება

პირველი ნაბიჯი ამ ბალანსის განსაზღვრისთვის არის დღის მთლიანი გრაფიკის გადახედვა. აქტივობების ფოკუსი მთელი დღის განმავლობაში (ან ნახევარი დღე, სიტუაციის მიხედვით) იცვლება, ზოგჯერ მასწავლებელია აქტივობის ინიციატორი, ზოგჯერ კი ბავშვი. მასწავლებლის მიერ მართული აქტივობების დროს ბავშვები უფრო პასიურ როლს თამაშობენ. ისინი არიან ინფორმაციის, იდეების ან წინადადებების მიმღებები. ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობების დროს კი ბავშვები თავად წყვეტენ და მიმართავენ შესაბამის ზომებს.

ლაურა: „მე მინახავს ბავშვის მიერ ინიცირებული უამრავი აქტივობა, როგორც საგანმანათლებლო გეგმის და პროცესის შესახებ სწავლების შედეგი. პრობლემა ის არის, რომ ზოგიერთი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ მასწავლებლის მიერ ინიცირებული აქტივობები უფრო მნიშვნელოვანია „ნამდვილი“ სწავლისთვის.“

თავის წიგნში, *„მასწავლებელი“*, სილვია აშტონ-უორნერი (1963) საუბრობს ბავშვებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ, რათა „ჩაისუნთქონ“ და „ამოისუნთქონ“ ან შეასრულონ გარედან მიმართული და მათგან მომდინარე აქტივობები. ის განსაზღვრავს *ამოსუნთქვას,* როგორც საკუთარი თავის გამოხატვას. ასეთ გამოხატვას შესაძლოა ჰქონდეს საუბრის, სიმღერის, ცეკვის, მოძრაობის, წერის, ხატვის, შექმნის ან შენების ფორმა. აშტონ უორნერი ტირილს, ჩხუბს, დღის ძილს და სიყვარულს მათგან მომდინარე, ანუ „ამოსუნთქულ“ აქტივობად განიხილავს. მეორე მხრივ, „ჩასუნთქვას“, განსაზღვრავს როგორც ახალი ინფორმაციის მიღებას: მოსმენას, ახალი კონცეფციის სწავლას, ჩვენების ყურებას ან ფიქრს. ეს შესაძლოა პირდაპირ იყოს დაკავშირებული ბავშვებისთვის არჩევანის შეთავაზებასთან. როცა ბავშვები არიან ინიციატორები, ისინი „ამოისუნთქავენ“ და პირიქით, როცა მასწავლებლები არიან ინიციატორები, ბავშვები „ჩაისუნთქავენ“. კრიტიკული ზღვარი, რომელსაც აშტონ ვორნერი ავლებს, შემდეგში მდგომარეობს, ბავშვებს ჯერ ამოსუნთქვის შესაძლებლობა უნდა მიეცეთდა მერე, როცა ამისთვის მზად იქნებიან, ჩასუნთქვის.

მერი მ.: „მასწავლებლებს დროსჭირდებათ იმისთვის, რომ მათ მიერ მართულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ სასწავლო აქტივობებს შორის მუდმივი გადასვლების (ხტუნაობის) დროს თავი კომფორტულად და საკუთარ თავში დარწმუნებულად იგრძნონ.“

აშტონ-უორნერი ჯგუფის ყოველდღიურ გრაფიკს განიხილავს, როგორც „ყოველდღიურ რიტმს“, რომელიც ამოსუნთქული აქტივობებიდან ჩასუნთქული აქტივობებისკენ მიედინება. ის ამბობს, რომ ამ ყოველდღიური რიტმით დინების შემთხვევაში „მასწავლებელი ბოლოს და ბოლოს მოძრაობს დინების მიმართულებით და არა მის საწინააღმდეგოდ: ბავშვების შეუქცევადი შემოქმედებითი ნაკადი“ (93). თუკი ამოსუნთქვა წინ უსწრებს ჩასუნთქვას, ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა გააფართოონ როგორც ფიზიკური, ისე შემოქმედებითი ენერგია, ვიდრე სთხოვდნენ დაჯდომას და წყნარად ყოფნას. მათ ასევე აქვთ დრო იმისათვის, რომ გამოხატონ და დაამუშაონ ნებისმიერი გრძნობა ან გამოცდილება, რომელიც მათ იმ კონკრეტულ დღეს შეიტანეს ჯგუფში. ისინი უფრო მეტად არიან მზად ინფორმაციის მისაღებად, ისტორიების მოსასმენად ან მითითებების შესასრულებლად.

როზინი: „ეს არ არის საბოლოო და უცვლელი გადაწყვეტილება - არჩევანი შესაძლოა მიეცეთ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობის დროსაც. ეს ეხმარება ბავშვებს უფრო მეტად ჩაერთონ აქტივობაში. მასწავლებელს შეუძლია მისცეს არჩევანი მოსწავლეებს ისევე, როგორც თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მათემატიკის თამაში ლურჯი თაროდან მათემატიკის პატარა ჯგუფის აქტივობის დროს.“

შეხედეთ ქვემოთ მოცემულ ყოველდღიურ გეგმას სკოლამდელი დაწესებულების ნახევარდღიანი პროგრამისთვის და იფიქრეთ მის ყოველდღიურ რიტმზე. დააკვირდით, სად ხედავთ ბავშვებისთვის ჩასუნთქვის შესაძლებლობების ნაცვლად ამოსუნთქვის შესაძლებლობებს. ამოსუნთქვა ხომ არ უსწრებს წინ ჩასუნთქვას? ჯგუფის დასუფთავების/მილაგების ყოველდღიური საქმიანობები, ჭამისთვის მზადება ან სახლში წასვლა არ მიეკუთვნება არც ჩასუნთქვის და არც ამოსუნთქვის აქტივობებს - ისინი უბრალოდ უნდა შესრულდეს, ხომ ასეა?

.....

ყოველდღიური გეგმის ნიმუში ნახევარდღიანი სკოლამდელი დაწესებულებისთვის

დილის 8:00 – 8:25 მოსვლის დრო

ბავშვები აწყობენ თავიანთ ზურგჩანთებს და ქურთუკებს და მიდიან მაგიდებთან, სადაც ხვდებათ პრაქტიკული მასალები (მისალმებები და საუბრები; წერა და ხატვა; პატარა მანიპულატივები კონსტრუქციებისთვის, მაგალითად, Lego-ს ასაწყობი კუბები და პლასტელინები). (*ამოსუნთქვა).*

დილის 8:25 – 8:45 დიდი ჯგუფის მუშაობა

ბავშვები ერთვებიან მოძრაობის თამაშებში, მღერიან და სიმღერას ხელებს აყოლებენ *(ამოსუნთქვა),* შემდეგ, დღის დაგეგმვის დაწყებამდე, უსმენენ განხილვებს და ისტორიებს *(ჩასუნთქვა).*

დილის 8:45 – 10:00 მუშაობის ან აქტივობის დრო

ბავშვები სათამაშო სივრცეებს შორის ერთ-ერთს ირჩევენ. მასწავლებელმა ისინი შეიძლება პატარა ჯგუფის მის მიერ მართული აქტივობის შესასრულებლად მიიწვიოს, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე (*მეტი ამოსუნთქვა ვიდრე სხვა რამ; პატარა ჯგუფმა შესაძლოა ამოისუნთქოს ან ჩაისუნთქოს).*

დილის 10:00 – 10:15 დალაგების დრო

ბავშვები ეხმარებიან მთელი ჯგუფის დალაგებაში.

დილის 10:15 – 10:30 კვების დრო

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ საჭმელს (*ამოსუნთქვა).*

დილის 10:30 – 11:00 გარე აქტივობები

ბავშვები ერთვებიან უხეში მოტორიკის განმავითარებელ გარე აქტივობებში, თუკი ამინდი იძლევა ამის საშუალებას (*ამოსუნთქვა).*

დილის 11:00 – 11:15 სახლში წასასვლელად მომზადება

მასალების, ზურგჩანთის, ქურთუკის აღება და ასე შემდეგ. ყოველდღიური აქტივობების გადახედვა და გეგმების შედგენა მომდევნო დღისათვის.

დილის 11:15 წასვლა

……

ჩემი სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფში სხვადასხვა გრაფიკის გამოყენება მომიწია, სანამ გავაცნობიერებდი, თუ როგორ დამებალანსებინა საუკეთესოდ აქტივობები ისე, რომ ისინი დაწყებულიყო თვითგამოხატვით და დასრულებულიყო ახალი ინფორმაციის მიღებით. ბავშვები ჩემს ჯგუფშიმოდიოდნენ სხვადასხვა დროს თხუთმეტწუთიანი პერიოდის განმავლობაში. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ დღე დიდი ჯგუფის აქტივობით ან წრით უნდა დაგვეწყო. ეს აზრი იმით დავასაბუთე, რომ ასეთი ჯგუფური გამოცდილება დამშვიდებაში დაეხმარებოდათ და ისინი მაშინვე ჯგუფის შემადგენელ ნაწილად იგრძნობდნენ თავს. ჩემი გეგმა გულისხმობდა ბავშვების წყნარად ჯდომას მათი დასწრების გადამოწმებისას, ისტორიის წაკითხვას და დღის გეგმების შედგენას. ყველა ეს აქტივობა აშტონ-უორნერის შეფასების თანახმად, ჩასუნთქვის აქტივობები იყო. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვცდილობდი ამ აქტივობების განხორციელებას, ვთხოვდი ბავშვებს, რომლებიც პირველები მოვიდნენ, რომ დამსხდარიყვნენ და დალოდებოდნენ მათი ჯგუფელების მოსვლას. ლოდინი მტანჯველი იყო ამ ბავშვებისთვის! მათთვისაც კი, რომლებიც შედარებით მოგვიანებით მოდიოდნენ, დიდი ჯგუფის აქტივობა არ იყო წარმატებული. ბავშვები მეც და თავიანთ მეგობრებსაც

წინა საღამოს ამბებს გვიყვებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ჯგუფისთვის საჩვენებლად მოჰქონდა საგნები/ნივთები და დაუყოვნებლივ სურდა ამის გაკეთება. “Wiggles and Giggles” და ზოგადად, აშკარა იყო მოძრაობის და საუბრის აუცილებლობა, როცა ვცდილობდი მათ დაწყნარებას.

ამ სიტუაციის განხილვისას, აშტონ უორნერის თვალთახედვიდან გამომდინარე, ბაღში მოსვლისას ბავშვებს არ მივეცი ამოსუნთქვის შესაძლებლობა. ამიტომ შევცვალე გრაფიკი და მოსვლის დრო გავწერე გახანგრძლივებულ პერიოდად. როცა ბავშვები მოდიოდნენ, აწყობდნენ თავიანთ ზურგჩანთებს და ქურთუკებს და ირჩევდნენ მაგიდის სხვადასხვა აქტივობიდან ერთ-ერთს (წერა, მანიპულატივები, ხატვა და წიგნები), ბავშვებს შორის საუბარი რეკომენდირებული იყო. ჩემი თანაშემწე და მე ვმოძრაობდით ბავშვებს შორის, ვესალმებოდით მათ, ვისმენდით მათ მიერ სახლიდან მოყოლილ ისტორიებს, ვათვალიერებდით საგნებს/ნივთებს, რომელიც მათ მოიტანეს ბაღში და ხელს ვუწყობდით მათ თვითგამოხატვას აქტივობების მეშვეობით. როცა ახალი ბავშვები მოდიოდნენ, ისინი მარტივად გვიერთდებოდნენ მაგიდებთან. ჩვენ ვაძლევდით ყველა ბავშვს საუბრის, წერის ან ხატვის შესაძლებლობას მინიმუმ ათი წუთის განმავლობაში. შემდეგ კი ვასრულებდით დიდი ჯგუფის აქტივობას. ამ დროისთვის, ბავშვები უკვე მზად იყვნენ ჩასასუნთქად. ჯგუფურ მუშაობაზე უფრო უმტკივნეულოდ გადავდიოდით, ვიდრე ადრე. ბავშვები სხდებოდნენ და უფრო იოლად ისმენდნენ.

წინასასკოლო პროგრამებში ბავშვები ხშირად რჩებიან მთელ დღე. ამოსუნთქვის და ამოსუნთქვის შესაძლებლობების გაანალიზება სრულდღიანი წინასასკოლო გრაფიკის შემთხვევაშიც ამგვარადვეა შესაძლებელი.

……

ყოველდღიური განრიგის ნიმუში სრულდღიანი წინასასკოლო პროგრამისთვის

დილის 8:00 – 8:25 მოსვლის დრო

ბავშვები აწყობენ თავიანთ ზურგჩანთებს და ქურთუკებს და მიდიან მაგიდებთან, სადაც ხვდებათ პრაქტიკული მასალები (მისალმება და საუბრები; წერა და ხატვა; პატარა მანიპულატივები კონსტრუქციებისთვის, მაგალითად, Lego-ს ასაწყობი კუბები და პლასტელინები). (*ამოსუნთქვა).*

დილის 8:25 – 8:50 დიდი ჯგუფური მუშაობა

ბავშვები ერთვებიან მოძრაობის თამაშებში, მღერიან და სიმღერა ხელებს აყოლებენ (*ამოსუნთქვა),* შემდეგ, დღის დაგეგმვის დაწყებამდე, უსმენენ განხილვებს და ისტორიებს (*ჩასუნთქვა).*

დილის 8:50 – 10:15 „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

ბავშვები ირჩევენ წიგნიერების აქტივობებიდან ერთ-ერთს (უსმენენ წიგნებს ფირზე, წერენ და ხატავენ თავიან ჟურნალებში, თამაშობენ როლებს დრამატულ თამაშში, იყენებენ ფლანელის დაფას და ჯიბის ცხრილებს ისტორიების მოსაყოლად, წერენ წერილებს ჯგუფელებს და ოჯახის წევრებს). ბავშვები მიწვეულები არიან მონაწილეობის მისაღებად პატარა ჯგუფის აქტივობაში, რომელსაც წარმართავს მასწავლებელი და გრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე (*მეტი ამოსუნთქვა ვიდრე სხვა რამ; პატარა ჯგუფმა შესაძლოა ამოისუნთქოს ან ჩაისუნთქოს).*

დილის 10:15 – 10:30 დალაგების დრო

ბავშვები მონაწილეობენ მთელი ჯგუფის დალაგებაში.

დილის 10:30 – 10:45 კვების დრო

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ საჭმელს (*ამოსუნთქვა).*

დილის 10:45 – 11:30 განსაკუთრებული აქტივობები

ბავშვები ერთვებიან სპორტული დარბაზის, მუსიკის, ბიბლიოთეკის ან სხვა განსაკუთრებულ აქტივობებში (*ამოსუნთქვა და ჩასუნთქვა).*

დილის 11:30 ლანჩი

ბავშვები საუბრობენ და ჭამენ (*ამოსუნთქვა).*

დღის 12:00 შესვენება (*ამოსუნთქვა).*

დღის 12:30 დიდი და პატარა ჯგუფების მუშაობა

ისტორიის წაკითხვა და მშვიდი დრო

ბავშვები უსმენენ მასწავლებლებს, რომლებიც უკითხავენ ისტორიებს დიდ და პატარა ჯგუფებში (*ჩასუნთქვა).*

დღის 1:00 ძიების/კვლევის დრო

ბავშვები ირჩევენ მათემატიკის, მეცნიერების და სხვადასხვა სათამაშო აქტივობებს (დახარისხება, კლასიფიცირება და დათვლის მანიპულატივები, ფორმების შექმნა პატარა და დიდი კუბებით, საგნების გაზომვა ოთახში, მიმდინარე მეცნიერულ ექსპერიმენტში მონაწილეობა, შინაურ ცხოველებზე ზრუნვა, მათემატიკის და/ან მეცნიერების ჟურნალში წერა, პუბლიცისტური წიგნების კითხვა ბუნების შესახებ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, სენსორულ მაგიდასთან თამაში, ნამუშევრების/ნაწარმოებების შექმნა ხელოვნების სივრცეში). ისინი შესაძლოა მასწავლებლის მიერ მართულ პატარა ჯგუფის აქტივობაში მონაწილეობის მისაღებადაც მიიწვიონ, რაც გრძელდება დაახლოებით ათიდან თხუთმეტ წუთამდე (*მეტი ამოსუნთქვა ვიდრე სხვა რამ; პატარა ჯგუფმა შესაძლოა ამოისუნთქოს ან ჩაისუნთქოს).*

დღის 2:00 დალაგების დრო

ბავშვები მონაწილეობენ მთელი ჯგუფის დალაგებაში.

დღის 2:15 სახლში წასასვლელად მომზადება

მასალების, ზურგჩანთის, ქურთუკის აღება და ასე შემდეგ. დღის აქტივობების გადახედვა და გეგმების შედგენა მომდევნო დღისათვის.

დღის 2:30 სახლში წასვლა

……

გადახედეთ თქვენს ყოველდღიურ გრაფიკს ამ თვალთახედვიდან გამომდინარე. როდის სთავაზობთ ბავშვებს ამოსუნთქვის და ჩასუნთქვის შესაძლებლობებს? გეგმავთ თუ არა აქტიურ, ექსპრესიულ/გამომსახველობით დროს, ვიდრე სთხოვდეთ ბავშვებს წყნარად ისხდნენ და მოგისმინონ და მიიღონ ინფორმაცია? თუ ხედავთ პრობლემებს დღის სხვადასხვა მონაკვეთში, შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ბავშვებს სჭირდებათ მეტი შესაძლებლობები, რათა ამოისუნთქონ, აქტიურად გამოხატონ საკუთარი თავი ხატვის, წერის, შენების, ცეკვის, სიმღერის, შექმნის და საუბრის მეშვეობით, ვიდრე სთხოვდეთ წყნარად ისხდნენ, მოგისმინონ და გიყურონ.

აქტიური გამოცდილებების დაგეგმვა

მე-2 თავში განვიხილე ბევრი შესაძლებლობა ბავშვებისთვის, რათა მათ ჰქონოდათ კარგად ორგანიზებული, მდიდარი ჯგუფის გარემო. ამჟამად განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: ბავშვის მიერ ჩატარებული რამდენი კვლევა უნდა ეფუძნებოდეს მათივე არჩევანს და რამდენი - მასწავლებლის წინადადებას ან მითითებას? შეგახსენებთ, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტი ბალანსის დაცვაა საჭირო ბავშვების სასარგებლოდ (მასწავლებლის მიერ დაგეგმილ არჩევანთა ნაკრების ფარგლებში).

გახსოვდეთ, რომ ყურადღებით დაგეგმილი ჯგუფის გარემოს ფარგლებში უზრუნველყოფილია სტრუქტურა სხვადასხვა შესაძლო არჩევანისთვის. ჯგუფის წყობა ეხმარება ბავშვებს იცოდნენ, სად მდებარეობს მასალები და როგორ შეუძლიათ მათი გამოყენება. ჯგუფის წესებსა და საქმიანობებში მათ დამატებით არკვევენ მასწავლებლები. ასეთი გარემოს უზრუნველყოფით მასწავლებლებს აღარ სჭირდებათ სათამაშო დროის სტრუქტურის დამატება ბავშვებისთვის, სადაც ნათქვამი იქნება რა უნდა გააკეთონ ან სად უნდა ითამაშონ. თუკი შესთავაზებთ მათ არჩევის საშუალებას, ნებას დართავთ მიიღონ გადაწყვეტილებები და შემდეგ მისცემთ სახელმძღვანელო მითითებებს, როცა ისინი ჩაერთვებიან აქტივობებში, რომელიც თავად აირჩიეს, უკეთ იმუშავებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების შემთხვევაში. მათ ექნებათ უფრო მეტი მოტივაცია და სურვილი ღრმად ჩართვისთვის.

ბევრი მასწავლებელი წარმოადგენს თავის სათამაშო დროს დღის განმავლობაში (ზოგჯერ მას უწოდებენ ძიების დროს, აქტივობის დროს, ფოკუსირებული არჩევანის ან კვლევის დროს) და საშუალებას აძლევენ ბავშვებს აირჩიონ სათამაშო სივრცე, სადაც მათ სურთ ითამაშონ. ისინი აღწერენ ხელმისაწვდომ მასალებს, ურჩევენ, რა შეიძლება აკეთონ ბავშვებმა თითოეულ სივრცეში და ეკითხებიან თითოეულ მათგანს, პირველ რიგში სად სურს თამაში. ბავშვებს შეუძლიათ ვერბალურად განსაზღვრონ გეგმა თავიანთი თამაშისთვის ან დაწერონ ან დახატონ თამაშის გეგმა, რომელშიც ნაჩვენები იქნება მათი არჩევანი. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ ბავშვები ხშირად ირჩევენ სივრცეებს პოზიტიური მიზეზით:

- სივრცე შესაძლოა წარმოადგენდეს კონკრეტული ბავშვის ძლიერ მხარეს ან ინტერესს.
- იქ შესაძლოა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვმა პრაქტიკაში გამოიყენოს ცოდნა, რომელსაც ის ცდილობს, რომ დაეუფლოს.
- ეს შესაძლოა იყოს მეგობრის საყვარელი ადგილი.
- იქ შესაძლოა იყოს ისეთი რამ, რაც მას მანამდე არ უცდია.

არსებობს არჩევანის გაკეთების პროცესის სტრუქტურირების გზები ბავშვებისთვის, რომლებიც შესაძლოა დაეხმაროს მათ იყვნენ უფრო წარმატებულები, დაიწყონ და შეინარჩუნონ თავიანთი ჩართულობა თამაშში. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მათი მიზანია, ბავშვებმა გააკეთონ არჩევანი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ იყვნენ დამოუკიდებლები და პასუხისმგებლები ამავდროულად. ბავშვებს შესაძლოა დასჭირდეთ მცირედი დახმარება ამ პროცესში.

ზოგიერთი მასწავლებელი განსაზღვრავს, რამდენ ბავშვს შეუძლია იმუშაოს კონკრეტულ სათამაშო ადგილას ერთდროულად. ბევრი მასწავლებელი გვამცნობს, რომ ბავშვების რაოდენობის შეზღუდვა განაპირობებს ქცევასთან დაკავშირებულ ნაკლებ პრობლემას და მეტ პოზიტიურ ჩართულობას აქტივობების თვალსაზრისით. როცა საუბარია ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე, მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ შემდეგს:

- რამდენი კვადრატული მეტრია ფართობი (სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად საჭიროებენ პირადი სივრცის წრეს, რომელიც არის დაახლოებით ჰულა ჰუპის (რგოლი) ზომის, რომლის ფარგლებშიც ისინი მოქმედებენ)
- ხელმისაწვდომი მასალების რაოდენობა, რათა ბავშვებმა შეძლონ აქტივობაში სრული მონაწილეობა (მაგალითად, თუკი თამაშში არის ოთხი ბარათი, შესაფერისი იქნება მხოლოდ ოთხი ბავშვისთვის; თუკი ხელმისაწვდომია ორი მოლბერტი, მხოლოდ ორ ბავშვს შეუძლია ხატოს)
- სკამების რაოდენობა, რომელიც კომფორტულად განთავსდება მაგიდასთან (ექვსი სკამი ხელოვნების მაგიდასთან ნიშნავს, რომ მხოლოდ ექვსი ბავშვი უნდა იყოს ხელოვნების სასწავლო სივრცეში)

არჩევანის გაკეთების პროცედურა ამ ჯგუფებში გულისხმობს იმის გათვალისწინებასაც, თუ რამდენი ბავშვია უკვე წარმოდგენილი კონკრეტულ სივრცეში და აღიარებული ნიშნის გამოყენებას, რომელიც შეახსენებს ყველას, თუ რამდენ ბავშვს შეუძლია იმუშაოს ამ კონკრეტულ სივრცეში ერთდროულად. ზოგიერთი მასწავლებელი იყენებს არჩევანის დაფას, სადაც ბავშვები ათავსებენ პირად ბარათებს ან ფოტოს ჯგუფის კონკრეტული სივრცის აღმნიშვნელ კაუჭებზე ან ჯიბეებში. ამგვარად ბავშვები იყენებენ წერის უნარს და ამავდროულად სწავლობენ რიგის დაცვას და ელოდებიან საყვარელი ადგილის გათავისუფლებას.



სურათი 6.1.

სურათი 6.2.

სურათი 6.3.

არჩევანის უზრუნველყოფის მეორე მეთოდი გულისხმობს მისცეთ ბავშვებს საშუალება რამდენ ხანსაც მოისურვებენ, აკეთონ კონკრეტული აქტივობა. დროის განსაზღვრა ბავშვებისთვის და სხვადასხვა სასწავლო სივრცეებში მათი როტაცია არ აძლევს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ გეგმა და მიყვნენ მას დასრულებამდე. უფროსის მიერ დაწესებული დღის წესრიგი „თხუთმეტი წუთი კონკრეტულ სივრცეში“ ზღუდავს ბავშვების ჩართულობას გარედან. სკოლამდელი ასაკის ბევრ ბავშვს, თუ ეს მის მიერ არჩეული აქტივობაა და მართლა აინტერესებს, შესანიშნავად შეუძლია შეასრულოს იგი უფრო ხანგრძლივადაც, ვიდრე თხუთმეტი წუთის განმავლობაში. წინასასკოლო ჯგუფის ბავშვებს კი შეუძლიათ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ აქტივობებს, რომელიც აირჩიეს და რთულად ესახებათ. როცა მასწავლებლებს ახსოვთ, რომ ასეთი ჩართულობა წარმოადგენს მნიშვნელოვან სასწავლო მიზანს ამ ასაკის ჯგუფისთვის, მათ შეუძლიათ მოდუნდნენ და არ ინერვიულონ იმის შესახებ, რომ ბავშვები ყოველდღიურად ვერ აღწევენ ყველა სივრცემდე. ამის ნაცვლად, შეუძლიათ დაინტერესდნენ კუბების სერიოზული ამწყობით, რომელიც მეგობრებთან ერთად მუშაობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ქმნის საინტერესო სტრუქტურებს, რომელიც მოიცავს სიმეტრიას და მიზიდულობის დაძლევის წონასწორობას ან მათ შეუძლიათ განცვიფრდნენ იმ ბავშვის სოციალურ აქტივობებში ჩართულობით, რომელიც ბევრ დროს უთმობს საჭმლის მზადებას და ავითარებს ოჯახურ სცენარებს დრამატული თამაშის სივრცეში.

სუზანი: „გასულ წელს დავამატეთ „გეგმები დღის განმავლობაში“, სადაც ბაშვები იყენებენ გრაფიკს სამი აქტივობის ასარჩევად, რომელსაც ისინი შეასრულებენ მთელი დილის განმავლობაში. ეს დაეხმარა ბავშვებს გაეკეთებინათ აზრიანი და კარგი არჩევანი. ეს ასევე ძალიან სასარგებლო იყო როგორც რეფლექსიის ინსტრუმენტი.“

ბავშვებით სავსე აქტიური ჯგუფის მართვა, რომლებიც ირჩევენ აქტივობებს, ზოგჯერ გულისხმობს მათი არჩევანის შეზღუდვას. ბავშვები, რომლებიც ისვრიან ქვიშას ქვიშის მაგიდასთან, არ იცავენ იმ კონკრეტული სასწავლო სივრცისათვის დაწესებულ საქმიანობებს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია ჩაერიოს, შეახსენოს ბავშვს ქვიშის სროლასთან დაკავშირებული საფრთხე და თვალყური ადევნოს, რომ მათ ფრთხილად გამოიყენონ მასალები. თუ ბავშვი განაგრძობს ქვიშის სროლას, მასწავლებელს შეუძლია შეზღუდოს ბავშვის არჩევანი და უთხრას რაღაც ამის მსგავსი:

> *„მე უკვე აგიხსენი როგორ გამოიყენება ქვიშა უსაფრთხოდ. როგორც ვხედავ გიჭირს ამის გაგება. შენი ქცევით ამტკიცებ, რომ არ შეგიძლია იმუშაო ქვიშის მაგიდასთან. ხვალ შეგიძლია მაჩვენო, დაიმახსოვრე თუ არა როგორ გამოიყენო ქვიშა უსაფრთხოდ. ახლა კი აირჩიე ფაზლების აწყობა ან მოისმინე ისტორია ყურსასმენებით. რომელი გირჩევნია გააკეთო?“*

ამ შემთხვევაში მასწავლებელმა წაართვა ბავშვს ქვიშის გამოყენების არჩევანი და შესთავაზა მას ორი სხვა ვარიანტი, რომლიდანაც მას შეეძლო აერჩია. ეს არის ბავშვების არჩევანის სტრუქტურირების ერთ-ერთი მეთოდი.

მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ იპოვონ წონასწორობა ბავშვის მიერ ინიცირებულ და მასწავლებლის მიერ მართულ აქტივობებს შორის. არ აქვს მნიშვნელობა ჯგუფის ასაკს, შესაძლოა გონივრული იყოს ხანდახან ნაკლები არჩევანი შესთავაზო. მაგალითად, დიდი დღესასწაულის შემდეგ, როგორიცაა ჰელოუინი, ქაოსი ისადგურებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. ერთი ან ორი დღე შეზღუდულმა არჩევანმა უფრო მშვიდი აქტივობების გათვალისწინებით, შესაძლოა უკეთესი ქცევითი შედეგი მოგვცეს, ვიდრე ბევრმა ხმაურიანმა და აქტიურმა არჩევანმა. თუმცა შესაძლოა ამის საპირისპირო უფრო მართებული იყოს სხვა დროს. თუკი მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვები დასეირნობენ და არ ერთვებიან მის მიერ დაგეგმილ აქტივობებში, ან არ აქცევენ ყურადღებას მასწავლებლის მიერ მართულ განხილვებს ან ისტორიებს, შესაძლოა ჰკითხოს ბავშვებს, „ამის შემდეგ რის გაკეთება გსურთ?“ მას შეუძლია შესთავაზოს რამდენიმე შესაძლებლობა განსაკუთრებული არჩევანისთვის, რომელიც ხშირად არ არის ხელმისაწვდომი, მაგალითად, *ტვისტერი* ან ცეკვა შარფებით. ან მას შეუძლია ყურადღებით მოუსმინოს ბავშვების წინადადებებს და მიჰყვეს ერთ ან მეტ მათგანს. ბალანსის დაცვის მცდელობა არის ყოველდღიური მოვლენა, რომელსაც ჯგუფში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს

სარა: „როცა თავს ვანებებთ ბავშვებისთვის მითითებების მიცემას და ნაცვლად ამისა ვიწყებთ მათთან ერთად მუშაობას ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების განსახორციელებლად, სადაც მოცემულია ბალანსი უფროსის და ბავშვის მიერ მართულ აქტივობებს შორის, აღმოვაჩინე, რომ ხშირად მასწავლებლებისთვის სასარგებლოა ღია შეკითხვების დოკუმენტირება, რომლის გამოყენებასაც გეგმავენ ბავშვებთან თამაშის და კვლევის დროს. მე შემხვედრია მასწავლებლები, რომლებიც ამას აკეთებენ პირდაპირ საგანმანათლებლო გეგმაში, რათა ახსოვდეთ ეს შეკითხვები წერის და პრაქტიკაში გამოყენების დროს და მაშინაც, როცა ასახავენ იმას, თუ როგორ ჩაიარა ყველაფერმა კვირის განმავლობაში. ეს ასევე დამტკიცებულია, რომ სასარგებლოა კოლეგებთან, ოჯახის მოხალისეებთან და ჯგუფის ვიზიტორებთან მუშაობისას.“

დაგეგმვა უფროსის მიერ მართული დიდი და პატარა ჯგუფების აქტივობებისთვის

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ნაკლებ დროს უნდა უთმობდეს მასწავლებლის მიერ მართული, ჩასასუნთქი აქტივობების შესრულებას. სამი წლის ბავშვები მეტ დროს საჭიროებენ ამოსასუნთქად, ვიდრე ხუთი წლის ბავშვები. და ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომელიც ეხმარება ბავშვებს დამშვიდებაში, სანამ მათ სთხოვენ, რომ წყნარად უსმინონ, ხელს შეუწყობს დიდი და პატარა ჯგუფების აქტივობის უფრო ხარისხიანად განხორციელებას.

დიდი ჯგუფის აქტივობის დროს მასწავლებელი, როგორც წესი, წარმოადგენს ფოკუსს. ბავშვები უნდა ისხდნენ ჯგუფურად და მიიღონ ინფორმაცია დღის შესახებ, მოუსმინონ ისტორიას და დაიცვან რიგი ხელის აწევით, კომენტარების გაკეთებით ან კითხვების დასმით. მასწავლებლები ხშირად რწმუნდებიან იმაში, რომ დიდი ჯგუფის აქტივობა ეხმარებათ შემდეგნაირად:

- აყალიბებს გუნდურობას ბავშვებს შორის
- ეხმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში

- ბავშვები იძენენ მოსმენის და მითითებების შესრულების გამოცდილებას
- ავითარებს წაკითხულის აღქმის უნარს
- აძლევს ბავშვებს ექსპერიმენტირების შესაძლებლობას რიგის დაცვის საშუალებით

რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს დიდი ჯგუფის აქტივობა? სამიდან ხუთ წლამდე ბავშვების შემთხვევაში არ არსებობს განსაზღვრული დრო. თუმცა არსებობს ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული წერტილი, რომელზეც დიდი ჯგუფის აქტივობა უნდა დასრულდეს: როცა ბავშვები აღარ გამოხატავენ ინტერესს!

ეს ნიშნავს, რომ დიდი ჯგუფური აქტივობა შესაძლოა ყოველდღიურად იცვლებოდეს. წლის დასაწყისში ის შესაძლოა იყოს უფრო ხანმოკლე, ვიდრე წლის ბოლოს. როცა ბავშვები არიან განსაკუთრებით წყნარად და ჯგუფში მათი საყვარელი ისტორიის დროა, დიდი ჯგუფის აქტივობა შესაძლოა ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს გაგრძელდეს. ჯგუფის მუშაობის დროს მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვების სხეულის ენას. სხედან თუ არა ისინი წყნარად, ან ხომ არ ცქმუტავენ? ხელები გაჩერებული აქვთ თუ არა, რაღაცნაირად ხომ არ ცუღლუტობენ გვერდით მსხდომ სხვა ბავშვებთან? არიან თუ არა ბავშვები აქტიურად ჩართულები აქტივობაში ან საუბარში, ან აქეთ-იქით ხომ არ იყურებიან ოთახში და კითხულობენ როდის დასრულდება წრე ან თითქოს იყურებიან მორჩილად და ელოდებიან ამ „განსაცდელის“ დასრულებას? მასწავლებლებმა უნდა წაიკითხონ ეს სიგნალები, რათა განსაზღვრონ როდის დაასრულონ ჯგუფის აქტივობა, თუნდაც შეწყვიტონ ისტორია შუა გზაზე საჭიროების შემთხვევაში.

ზოგიერთი მასწავლებელი საერთოდ არ ატარებს დიდი ჯგუფის ა ქტივობას. მათ იციან, რომ ჯგუფის ერთობისჩამოყალიბების, მოსმენის და აღქმის, რიგის დაცვის უნარის განვითარება და ა.შ. დღის განმავლობაში შესაძლებელია სხვა საშუალებებითაც. ანალინს, სტეფანის და კრისტინას ჯგუფში თვრამეტი სამიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავდათ. ისინი მიხვდნენ, რომ დიდი ჯგუფის აქტივობა არ იყო პროდუქტიული, რადგან ძალიან ბევრი ბავშვი იყო ჩართული და დაგეგმეს პატარა ჯგუფის აქტივობა სხვადასხვა დროს დღის განმავლობაში, რათა ჩაერთოთ ბავშვები მუსიკის და მოძრაობის აქტივობებში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და ისტორიის კითხვაში.

ხარისხიანი ჯგუფური მუშაობა ნიშნავს ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებას. ბავშვების და პროგრამის მიხედვით შესაძლოა, რომ არც ხანმოკლე ჯგუფური მუშაობა იყოს წარმატებული, არც ხანგრძლივი და თუნდაც არავითარი ჯგუფური მუშაობა არ იყოს წარმატებული. მასწავლებელი, რომელსაც ესმის ეს და გეგმავს ჯგუფურ მუშაობას, რომელიც წარმატებულია თავისი ჯგუფის ბავშვებისთვის, მეტყველებს მის სენსიტიურობაზე; მან იცის, როგორ დაგეგმოს საუკეთესოდ სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებისთვის.

ფორმებზე მოცემულია გრაფა სახელწოდებით „დიდი ჯგუფი“. ეს არის ის ადგილი, სადაც მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაწერონ სასწავლო მიზნები და აქტივობები, რომლებიც დაგეგმილია ჯგუფური მუშაობისთვის. (ორი მოდელი მოცემულია დანართში „ა“ ან ვებგვერდზე www.redleafpress.org ერთი არის ყოველდღიური, მეორე კი ყოველკვირეული დაგეგმვისთვის). განხილვის თემები, დემონსტრაციები, ან ისტორიები,

შესაძლოა ჩაიწეროს აქ სასწავლო სტრატეგიებთან ერთად განსაზღვრული მიზნების განსახილველად. ზოგიერთ ჯგუფში მასწავლებლებს აქვთ დავალებები, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ასრულებენ დიდი ჯგუფების აქტივობის დროს. ეს შესაძლოა მოიცავდეს დასწრების შემოწმებას, ჯგუფის დამხმარეების განსაზღვრას, კალენდრის მიხედვით დღის გეგმების შემუშავებას. მოცემულ ფორმაზე არ არის საკმარისი ადგილი ყველა ამ ყოველდღიური პროცედურის ჩასაწერად. შესაძლოა მასწავლებლისთვის საუკეთესო იყოს ჩაწეროს უფრო ზოგადი ტერმინი „ყოველდღიურისაქმიანობები.“ აქვე მოცემულია ვალერიას გეგმის მაგალითები დიდი ჯგუფის აქტივობებისთვის. დააკვირდით, როგორ იწყებს ვალერია დიდი ჯგუფის აქტივობის თითოეულ დღეს. ის იწყებს ხალისიანი სიმღერით და გარკვეული მოძრაობებით, რომელიც იზიდავს მთელ ჯგუფს.

თარიღი: 12/12/11		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლომიზანი	მოსმენა, საუბარი, უხეში მოტორიკა	→	→	→	→
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	ყოველდღიური საქმიანობები თამაში “Knee to Knee”, “My Thumbs Go Up” წაიკითხეთ “It Looked Like Splilled Milk”	→	ითამაშეთ “Simon Says”, “Where Is Thumbkin?” წაიკითხეთ “Jump, Frog, Jump”	→ ბავშვები ირჩევენ საყვარელ ისტორიას	“Give Yourself a Hug”, “Who Stole the Cookie?” ხელმეორედ წაიკითხეთ „Spilled Milk“, ბავშვები პროგნოზირებენ და კითხულობენ ერთად

ვალერიას გეგმები დიდი ჯგუფის აქტივობებისთვის

შემდეგ ის გადადის უფრო წყნარ აქტივობებზე და ხელების მოძრაობებზე სიმღერის თანხლებით (fingerplays). ყოველდღიურსაქმიანობებს მოჰყვება ან დიდი ჯგუფის სასწავლო აქტივობა ან ისტორია. ბავშვებმა ზუსტად იციან, რას უნდა ელოდონ ყოველდღიურად, რადგან ვალერიას ყოველდღიური საქმიანობები იგივე რჩება.

ვალერია ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ უზრუნველვყოთ უფრო ხანგრძლივი ჩართულობა წრის დროს შესასრულებელ აქტივობებში: ის იყენებს ამოსუნთქვისა და ჩასუნთქვის კონცეფციებს. დიდი ჯგუფური მუშაობის დაწყება სიმღერებით და მოძრაობის თამაშებით, რომელიც აძლევს ბავშვებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი თავი ფიზიკურად, ეხმარება მათ ამოსუნთქვაში. წინსვლა და ნაკლები ფიზიკური აქტივობა ეხმარება ბავშვებს მოემზადონ ჩასასუნთქად და უფრო ყურადღებით უსმინონ განხილვებს და ისტორიებს.

დიდი ჯგუფის აქტივობა იწყება ბავშვების მოხმობით ისეთი სამოძრაო სიმღერების საშუალებით, როგორიცაა „The More We Get Together,“ რომელიც იპყრობს

ბავშვების ყურადღებას. ისინი დგებიან წრეში და ხარჯავენ ენერგიას სხეულის მოძრაობით:

სიმღერა: The More We Get Together

გარდა ამისა შესაძლებელია დაამატოთ ლექსები ბავშვების სახელების გამოყენებით და მისცეთ თითოეულ მათგანს იმის საშუალება, რომ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა მოძრაობა გაიმეოროს ჯგუფმა. ყველა ეს მოძრაობა ფეხზე მდგომებმა უნდა შეასრულონ. ბავშვებმა უნდა შესთავაზონ აწიონ ხელები, ამოძრაონ/აქნიონ ფეხები, ახტნენ და დახტნენ ან შეეხონ ფეხის თითებს:

ანდრეა მოძრაობს ამგვარად

და ჯოზეფი მოძრაობს იმგვარად,

იოლანდა მოძრაობს ამგვარად,

და არი მოძრაობს იმგვარად.

ასეთ აქტიურ მოძრაობებს უნდა მოჰყვეს ნაკლებად აქტიური სიმღერა ან თამაში, რის შედეგადაც ბავშვები წყნარად დასხდებიან. მაგალითად, ქვემოთ მოცემული ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით იწყება ისე, რომ ბავშვები დგანან ფეხზე და სრულდება მათი დაჯდომით:

ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით (fingerplay)

ახლა ბავშვები შესაძლოა უფრო მეტად ივნენ მზად განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოითხოვს მოსმენას და პასუხის გაცემისას რიგის დაცვას, ან ისტორიის მოსმენას. თუკი ვინმე ჯერ კიდევ ვერ ისვენებს, დაამატეთ სიმღერა, რომლის დროსაც ისინი დასხდებიან ან ხელების მოძრაობები სიმღერის თანხლებით მინიმალური მოძრაობით (როგორიცაა „Open, Shut Them“ ან “Eeensy, Weensy Spider”). ეს ატივობები დაიწყება ამოსუნთქვით (აქტიური, თვითგამოხატვა) და დასრულდება (წყნარად ახალი ინფორმაციის მიღებით). ბევრი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ეს მიმდინარეობა ახანგრძლივებს ბავშვების ყურადღებას და ზრდის მათი დიდი ჯგუფის მუშაობის ხარისხს. შემდეგ რიტუალის ან ყოველდღიური საქმიანობის ჩატარება ბავშვების დიდი ჯგუფის აქტივობიდან მომდევნო აქტივობაზე გადასაყვანად (ჭამა, სათამაშო ცენტრი, გარე აქტივობები ან ნებისმიერი სხვა რამ) დაეხმარება ბავშვებს ამ გადასვლას უფრო უმტკივნეულოდ გაუმკლავდნენ. მე-3 თავში შევიტანეთ ზოგიერთი სიმღერა და ლექსი, სადაც გამოყენებულია ბავშვების სახელები. ამ სიმღერების გამოყენება შეიძლება ჯგუფის აქტივობის დასასრულებლად და ერთდროულად სამი ბავშვის გასაგზავნად, რათა დაიბანონ ხელები, აირჩიონ სათამაშო სივრცე, ან მოემზადონ გარე აქტივობისთვის,

ხარისხიანი ჯგუფური აქტივობა, რომელიც იწყება ამოსუნთქვის აქტივობებით და სრულდება ჩასუნთქვის აქტივობებით, უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- შეკრიბეთ ბავშვები ერთად რიტუალის ან რუტინული პროცედურის მეშვეობით
- გადაიყვანეთ უფრო აქტიურიდან უფრო პასიურ აქტივობებზე
- ჯგუფური მუშაობა უნდა გაგრძელდეს იმდენხანს, რამდენ ხანსაც ბავშვების უმეტესობა ამჟღავნებს ინტერესს და ჩართულია აქტივობაში და დაასრულეთ, როცა ბავშვების უმეტესობას ვეღარ ამჩნევთ ინტერესს
- განახორციელეთ ყოველდღიური საქმიანობა მომდევნო აქტივობაზე გადასასვლელად

ამ თავის დასასრულს მე ჩავრთე სიტყვები სხვადასხვა სიმღერებიდან. ზოგიერთი საუკეთესოდ მუშაობს ბავშვების მოსახმობად ჯგუფის აქტივობის შესასრულებლად ან გადაჰყავს ისინი მომდევნო აქტივობაზე. სხვები კი იწყებენ ბავშვების ფეხზე აყენებით და ასრულებენ მათი დაჯდომით. და მაინც, სხვებს ეწელებათ ბავშვების დამშვიდების პროცესი მას შემდეგ, რაც ბავშვები დასხდებიან დიდ ჯგუფად. მადლობა ყველა მასწავლებელს, ვინც წლების განმავლობაში მიზიარებდა ამ სიმღერებს, ლექსებს და ხელების მოძრაობებს სიმღერის თანხლებით.

მასწავლებლის მიერ მართული პატარა ჯგუფების აქტივობა

მასწავლებლები ხშირად მიიჩნევენ, რომ მეტ ყურადღებას დაუთმობენ თითოეულ ბავშვს და უკეთ მიხვდებიან რისი გაკეთება შეუძლიათ მათთან პატარა ჯგუფების აქტივობის დროს. მასწავლებლებს შეუძლიათ დაგეგმონ კონკრეტული ცოდნისთვის ყურადღების დათმობა ასეთ დროს ან მისცენ ბავშვებს შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოცადონ ისეთი რამ, რის გაკეთებასაც სწავლობენ. მასწავლებლებმა პატარა ჯგუფების მუშაობის განხორციელება შესაძლოა თამაშის დროს (სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის), „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრის და კვლევის დროს დაგეგმონ წინასასკოლო ჯგუფის ბავშვებისთვის. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ არ შევუშალოთ ხელი პროდუქტიულ აქტივობებში ჩართულ ბავშვებს, რათა ჩავაბათ ისინი პატარა ჯგუფურ აქტივობაში. ნაცვლად ამისა, როდესაც სთავაზობთ ბავშვებს გააკეთონ არჩევანი, პატარა ჯგუფის აქტივობაში ჩართვა მათ ხელს უწყობს იმაში, რასაც ისინი აკეთებდნენ და ადასტურებს მის მნიშვნელობას. ბევრი მასწავლებელი გეგმავს ყოველდღიურ გრაფიკში თხუთმეტიდან ოც წუთამდე დროს პატარა ჯგუფის აქტივობისთვის. შემდეგ ბავშვის მონაწილეობა არ არის არჩევითი. ჯგუფი იყოფა ორ ან სამ ჯგუფად, თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს მასწავლებელი ან სასწავლო ასისტენტი (და ალბათ მესამე პიროვნება, ვინც ჩართულია დამოუკიდებელ მუშაობაში). წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლებმა შესაძლოა მიიჩნიონ, რომ პატარა ჯგუფის აქტივობის დაგეგმვა ისევე როგორც დილით, შუადღითაც (პატარა ჯგუფური არჩევანის გარდა უფრო აქტიურ პერიოდებში) დაეხმარება თავიანთი მიზნების უფრო სიღრმისეულად განხორციელებაში და შეფასების ინფორმაციის მიღებაში იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს და ვითარდება თითოეული ბავშვი.

რობინი: „ჩვენ ვქმნით სამ მოძრავ პატარა ჯგუფს დილით და სამს შუადღეს. ზოგჯერ ბავშვებს ვყოფთ მათი შესაძლებლობის დონის მიხედვით კითხვის და მათემატიკის ჯგუფებისთვის.“

მოცემულ ფორმაში არის ველი, სადაც იწერება გეგმები მასწავლებლის მიერ მართულიპატარა ჯგუფების აქტივობებისთვის (რაც შეეხება დიდი ჯგუფის აქტივობას, ორი მოდელია მოცემული, ერთი ყოველდღიური, ხოლო მეორე ყოველკვირეული გეგმებისთვის). პატარა ჯგუფის აქტივობის მიზნის გარკვევით ახსნა და დროის ლიმიტების დაწესება უზრუნველყოფს, რომ ბავშვებმა შეიძინონ გამოცდილება და არა უბრალოდ გაატარონ დრო. კონკრეტული პროექტის შემთხვევაში, როგორიცაა ექსპერიმენტი ან საჭმლის მომზადება, პატარა ჯგუფის აქტივობა შესაძლოა გაგრძელდეს პროექტის დასრულებამდე.

როზმარი: „ჩვენ გვყავს იგივე სამი პატარა ჯგუფი მთელი კვირის განმავლობაში და მოსწავლეები მოძრაობენ მათ შორის. ჩვენ, როგორც წესი, შეგვაქვს დიალოგური კითხვის გამოცდილება, მათემატიკის ან მეცნიერების აქტივობა, ან თამაში მოხალისე მშობელთან ერთად და ასევე ვქმნით წიგნიერების უნარების ჯგუფს. ჩვენ გვყავს სამი, ოთხი და ხუთი წლის ასაკის ბავშვები ჩვენს ჯგუფში, ამიტომ შესაძლოა არსებობდეს დიდი განსხვავება ჩვენს მიზნებში პატარა ჯგუფურ გამოცდილებებთან დაკავშირებით.“

თუკი აქტივობა მოიცავს კონკრეტულ უნარებზე მუშაობას, მასწავლებელი შესაძლოა იყოს სენსიტიური იმის მიმართ, თუ რამდენ ხანს რჩებიან ბავშვები დაინტერესებულები და აქტიურად ჩართულები. არ არის აუცილებელი, მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად განსხვავებული პატარა ჯგუფის აქტივობები იგეგმებოდეს. ფაქტობრივად, მასწავლებლების უმეტესობა ფიქრობს, რომ თუკი მათ მიერ დაგეგმილი აქტივობა საკმარისად მდიდარია შესაძლებლობების თვალსაზრისით, ბავშვები მასში რამდენჯერმე მონაწილეობითაც დაინტერესდებიან. შესაძლოა ადვილად მოერგოთ ყველა ბავშვთან მუშაობას პატარა ჯგუფების აქტივობის დროს, თუკი ყოველდღიურად მხოლოდ ცოტა მათგანთან მუშაობთ.

ლორელმა გააცნობიერა, რომ ზოგჯერ განსაზღვრავდა ძალიან კონკრეტულ მიზანს, ან აწვდიდა ძალიან შეზღუდულ მასალებს. ის და მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ ეს დაეხმარა მათ პატარა ჯგუფის აქტივობების დაგეგმვაში, რომელსაც ჰქონდა ბევრი შესაძლებლობა ბავშვების ინტერესის მისაზიდად. მაგალითად, როცა განსაზღვრა მიზანი ბავშვებისთვის, რომ გამოყენებინათ მაკრატელი ერთ ხაზზე გასაჭრელად, მან აღმოაჩინა, რომ ბევრ ბავშვს შეეძლო ამის სწრაფად გაკეთება და მზად იყვნენ გადასულიყვნენ შემდეგ აქტივობაზე, მაშინ როცა სხვები ვერ ახერხებდნენ იმაზე მეტს, რომ ქაღალდზე შემთხვევითი ჩანაჭერი გაეკეთებინათ და იმედგაცრუება ეგრძნოთს. როცა ასახა ეს სიტუაცია თავის კოლეგებთან ერთად, ლორელმა გადაწყვიტა, რომ ერთ ხაზზე ჭრა ძალიან კონკრეტული მიზანი იყო. მან იცოდა, რომ ჭრის უნარი არის ხელისა და თვალის კოორდინაციის ნაწილი და არსებობს უამრავი გზა ამ უნარის გამოსავლენად. აქ მოცემულია ლორელის გეგმის მაგალითი პატარა ჯგუფის აქტივობის კვირისთვის, რომელიც აქცენტს ხელებისა და თვალის კოორდინაციაზე აკეთებს.

პატარა ჯგუფი	სასწავლო მიზანი	ხელების და თვალების კოორდინაცია და ინსტრუმენტების გამოყენება
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია	მიეცით ბავშვებს არჩევანი: ან მძივების აცმა, ბარათების აკინძვა, ჭრა და ქაღალდი, პატარა სამაგრებიანი დაფა და პატარა დასაკავშირებელი კუბები.

ლორელის გეგმა დდი ჯგუფების აქტივობისთვის

მე-3 თავში აღვწერე რამდენიმე იდეა ხარისხიანი პატარა ჯგუფის აქტივობებისთვის. აქ მოცემულია რამდენიმე მათგანი შესაძლო სასწავლო მიზნებთან ერთად, რომლებიც ასევე განსაზღვრულია. ყველა იდეა, რომელსაც აღვწერ, შესაძლოა რამდენჯერმე იქნას გამოყენებული ბავშვებთან ერთი კვირით ან მეტი ხნითაც. თქვენ შეგიძლიათ გაიმეოროთ ციკლი და ხელმეორედ დაუბრუნდეთ მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ.

სახელის კვლევა

ეს აქტივობა მოითხოვს გარკვეულ მომზადებას თქვენი მხრიდან, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც შესაძლებელია ბავშვებთან ბევრჯერ გააკეთო. დაამზადეთ პირადი ბარათი თითოეული მოსწავლისთვის და დაბეჭდეთ თითოეული მათგანის სახელი წინადადების ზოლში. შეეცადეთ დარწმუნდეთ, რომ ასოები ერთი და იგივე ზომისაა და მოჭერით ზოლი ზუსტად სახელის უკანასკნელი ასოს შემდეგ (იხილეთ ფოტო მომდევნო გვერდზე). ამის შემდეგ პირადი ბარათები შეიძლება ადვილად დაალაგოთ და შეადაროთ ერთმანეთს. მრავალჯერადი გამოყენებისთვის მათ შეგიძლიათ ლამინირებაც გაუკეთოთ. შესთავაზეთ ბავშვებს ჩაატარონ „სახელის კვლევა“ შემდეგნაირად: „რამდენნაირად შეგიძლიათ დაალაგოთ ეს ბარათები, რათა შეადაროთ ისინი?“ თქვენვე შეგიძლიათ მიუთითოთ ბავშვებს, როგორ დაალაგონ ისინი სხვადასხვანაირად:

- თითოეული სახელის ასოების რაოდენობის შედარებით (მოკლე სახელიდან გრძელ სახელამდე)
- სახელებით, რომლებიც იწყება ან მთავრდება ერთი და იგივე ასოთი
- სახელებით, რომლებიც შედგება ერთი და იგივე მარცვლისგან
- სახელებით, რომლებიც შედგება ასოებისგან, რომლებიც ჰკიდია ხაზს ქვემოთ
- სახელებით, რომლებშიც არის ერთზე მეტი ერთი და იგივე ასო
- ერთი ასოს არჩევით და ყველა იმ სახელის პოვნით, რომელშიც არის ეს ასო
- ნებისმიერი სხვა გზით, რომელიც შესაძლო თქვენ და ბავშვებმა მოიფიქროთ.

სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს ასოს იდენტიფიკაციას, სახელის ცნობას, ასოს ბგერის ცნობას, ბეჭდური ტექსტის იდეის გაცნობიერებას, დათვლას და რაოდენობის და გაზომვის ცოდნას.



სურათი 6.4

წარწერა ოთახზე

ეს აქტივობა ასევე მოითხოვს ქაღალდის ვიწრო ზოლებს წინადადების დასაწერად (მასალა, რომლის გარეშეც არცერთი მასწავლებელი არ უნდა იყოს!), რომელიც კეთდება ბავშვებთან ერთად პატარა ჯგუფური აქტივობის დროს. შესთავაზეთ ბავშვებს აირჩიონ საგანი ან ადგილი თქვენს ჯგუფში წარწერის გასაკეთებლად. თქვენ თავად დაწერეთ სიტყვა ქაღალდის ზოლზე (ისე, რომ ის იკითხებოდეს და ბეჭდვითი ასოებით). როცა ამას გააკეთებთ, ესაუბრეთ ბავშვებს იმ ასოების შესახებ, რომელსაც წერთ, გამოთქვით თითოეული მათგანი, განიხილეთ როგორ გამოიყურება ის ფურცელზე და ა.შ. შემდეგ ბავშვი დაგეხმარებათ წარწერის მიმაგრებაში (სუფთა კონტაქტური ქაღალდით ან შესაფუთი ლენტით) საგანზე (თარო, სკამი, აბაზანა, მაგიდა და ა.შ.). მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი მიამაგრებს წარწერას საგანზე, დაბრუნდით და შეხედეთ წარწერებს ხელმეორედ, დაასახელეთ ისინი. შეადარეთ და განიხილეთ ისინი, რათა ოთახში წარწერების კითხვა ბავშვებს დაამახსოვრდეთ მომდევნო პატარა ჯგუფის აქტივობისთვის. სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს ასოების ცნობას, ასო ბგერების ცოდნას, ბეჭდური ტექსტის იდეის გაცნობიერებას, ლექსიკის განვითარებას და მეხსიერებას.

ოთახში წარწერების კითხვა

მას შემდეგ, რაც ბავშვს მიეცემა შესაძლებლობა აირჩიოს საგანი, რომელზეც უნდა მიამაგროს წარწერა, შეცვალეთ პატარა ჯგუფის აქტივობა ამ წარწერების კითხვის აქტივობით. ბევრი მასწავლებელი ამატებს დამხმარე საშუალებებს, რათა სახალისო გახადოს აქტივობა. ბავშვები იყენებენ დამხმარე საშუალებებს, რათა შეხედონ და

მიუთითონ წარწერაზე და შემდეგ წაიკითხონ სიტყვა ხმამაღლა. აქ ჩამოთვლილია რამდენიმე ტიპის დამხმარე საშუალებები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ:

- საჩვენებელი ჯოხი
- ჯადოსნური ჯოხი
- დიდი სათვალეები ან მზის სათვალეები
- პლასტიკური თითი (სავარაუდოდ ჯადოქრის კოსტიუმის აქსესუარი)
- საჩვენებელი ჯოხი, რომელზეც წამოცმულია ფქვილით სავსე ლატექსის ხელთათმანი
- სპეციალური ქუდი

სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს იგივე მიზნებს, რომლებიც წინა აქტივობის დროს განისაზღვრა.

ოთახის გაზომვა

გაზომეთ თითოეული ბავშვის სიგრძე ზონარით და გაჭერით ის მათი სიმაღლის შესაბამისად. შემდეგ დაავალეთ მათ ოთახში იპოვონ საგნები, რომელიც ზუსტად შეესაბამება ზონრის სიგრძეს. ისინი კიდევ ერთხელ აღმოაჩენენ იმას, რაც უკვე აღმოაჩინეს ხატვის მეშვეობით და დაითვლიან რამდენი ისეთი საგანი ან ნივთი იპოვეს, რომელიც შეესაბამებოდა მათ სიმაღლეს. იგივეს გაკეთება შეიძლება, თუკი ზონარს გავჭრით მათი ფეხის, ხელის სიგრძეზე ან თავის გარშემოწერილობის მიხედვით. სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს მოსმენას, საუბარს, დათვლის და რაოდენობის ცოდნას, გაზომვას, მათემატიკური პრობლემის გადაჭრას, მათემატიკური ინფორმაციის წარდგენას, სხეულის კოორდინაციის გამოყენებას და გაცნობიერებას და წერის ინსტრუმენტის კონტროლს.

ბუნებაში გასეირნება და გრაფიკი

გაიყვანეთ ბავშვები გარეთ სასეირნოდ, მიეცით თითოეულ მათგანს ჩანთა, რომელშიც შეუძლია შეაგროვოს ჯოხები, ფოთლები, პატარა ქვები, ბუმბულები და სხვა საგნები. შემდეგ დაუბრუნდით პატარა ჯგუფის აქტივობის სივრცეს და ეს ყველაფერი დაახარისხეთ და დააწყვეთ კატეგორიის მიხედვით. დათვალეთ შეგროვებული საგნების რაოდენობა. შეიტანეთ აღმოჩენები გრაფიკში და წაიკითხეთ გრაფიკი ბავშვებთან ერთად. თქვენ შეგიძლიათ გაართულოთ აქტივობა, თუკი დაწერთ ჯგუფურ ისტორიას, რომელიც შეიცავს წინადადებებს, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა აღმოაჩინა თითოეულმა ბავშვმა: „მარისამ იპოვა 2 ბუმბული, 1 ჯოხი და 5 ფოთოლი.“ „ჯორჯმა იპოვა 6 დიდი ჯოხი.“ შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ ივარჯიშონ ისტორიის კითხვაში. სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს მოსმენას, საუბარს, ლექსიკის განვითარებას, დათვლის და რაოდენობის ცოდნას, დახარისხებას და კატეგორიზაციას, მათემატიკური

ინფორმაციის წარმოდგენას, დაკვირვების განვითარებას და ანალიზის უნარს და სხეულის კოორდინაციის გამოყენებას.

გემოების, სუნების და ტექსტურების შესწავლა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მოსწონთ სამყაროს შესწავლა თავიანთი შეგრძნებებით. გემოსთან და სუნთან ან საინტერესო ტექსტურების ერთმანეთთან შედარებასთან დაკავშირებული აქტივობის დაგეგმვა კარგი იქნება პატარა ჯგუფის აქტივობისთვის. თუკი ხელს შეუწყობთ ბავშვებს ისაუბრონ, დახატონ ან დაწერონ თავიანთი გამოცდილების შესახებ, ეს აქტივობას მეტ სიღრმეს და ჩართულობას შემატებს. საყვარელი და ნაკლებად საყვარელი გემოების ან ტექსტურების გამოსახვა მოითხოვს შედარებას და მათემატიკურ აზროვნებასაც. სასწავლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს სენსორულ კვლევას, ლექსიკის განვითარებას, დათვლას და რაოდენობის გაგებას.

პროექტზე მუშაობა

სხვა შესაძლებლობა, რომელიც უნდა განვიხილოთ პატარა ჯგუფის აქტივობის დაგეგმვისას, არის პროექტზე მუშაობა, რომელსაც შესაძლოა ასრულებდეთ ბავშვების ინტერესთან ან მოსალოდნელ ექსკურსიასთან დაკავშირებით. როდესაც თქვენი კურიკულუმის ფოკუსს წარმოადგენს თემის შესწავლა ბავშვებთან ერთად, აღმოაჩენთ, რომ პატარა ჯგუფის აქტივობები ძალიან სასარგებლოა. პროექტის დაწყებამდე შეგიძლიათ ჩართოთ ბავშვები განხილვებში იმასთან დაკავშირებით, თუ რა იციან თემის შესახებ, ჩაიწეროთ მათი კომენტარები და შეინახოთ გრაფიკში მოგვიანებით დასაბრუნებლად. შემდეგ შეგიძლიათ დაგეგმოთ აქტივობები, რომელიც მოითხოვს მათგან პროგნოზის გაკეთებას, ექსპერიმენტების ჩატარებას და შედეგების ჩაწერას. კვლევის დასასრულს, თქვენ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ პროექტის დასაწყისში გაკეთებულ გრაფიკს და განიხილოთ, რა ისწავლეს ბავშვებმა ამ კვლევების შედეგად. ეს არის ჩინებული გზა პატარა ჯგუფის აქტივობის სრული პოტენციალით გამოსაყენებლად.

რეფლექსიის ფორმის გამოყენება

რეფლექსიის ფორმას ან ზოგადი რეფლექსიის ფორმას შეუძლია უზრუნველყოს თქვენი, მასწავლებლის მიერ მართული დიდი და პატარა ჯგუფების აქტივობის წარმატების გაანალიზების საშუალება. აქ თქვენ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ რამდენ ხანს იყვნენ ბავშვები ჩართულები აქტივობაში. თუკი ჩაიწერთ, კონკრეტულად რომელ ბავშვს გაუჭირდა ჯდომა ისტორიის თხრობის დროს ან თავისი რიგის დალოდება ფუნთუშის ცომის მოსარევად, დაგეხმარებათ უკეთესი გეგმის შედგენაში როგორც ჯგუფისთვის, ისე თითოეული ბავშვისთვის. შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ დიდი ჯგუფის აქტივობა უფრო წარმატებულია, როცა ჯგუფი იყოფა ორ პატარა ჯგუფად (ერთს მართავს მასწავლებელი, ხოლო მეორეს მისი ასისტენტი). „დაყავი და იბატონე“ შესაძლოა იყოს

ჭკვიანური სტრატეგია ბავშვების ზოგიერთი ჯგუფისთვის. ან შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ დიდი ჯგუფის აქტივობისთვის შეკრების დრო ძალიან რთულია ბავშვისთვის, კონკრეტულად კი მისთვის, ვინც განსაკუთრებით მგრძნობიარეა მის პირად სივრცეში შეჭრის მიმართ. ქვემოთ მოცემულია ისტორია ჩემი პირადი გამოცდილებიდან სამი წლის ასაკის ბიჭთან:

> *ეიდენს არ მოსწონდა, როცა სხვა ბავშვები მასთან ძალიან ახლოს ისხდნენ. ჩვენი დიდი ჯგუფის აქტივობის სივრცე არ იყო დიდი და ბავშვების მჭიდროდ ჯდომას მოითხოვდა, რათა დაენახათ სურათები მოთხრობების წიგნში ან დაკვირვებოდნენ რას აჩვენებდა მასწავლებელი. ეიდენი ხშირად ურტყამდა ბავშვებს, რომლებიც ეხებოდნენ მას და ფეხებს აწმენდდნენ. ჩვენ მას ჩვენს კალთაში დაჯდომა შევთავაზეთ, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა მისთვის მოსახერხებელი. შემდეგ ვცადეთ სკამის დადგმა ჯგუფის უკან, რომ იქ დამჯდარიყო, მაგრამ მას არც ეს ვარიანტი მოეწონა. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ეიდენს შეეძლო წყნარად გაეკეთებინა რაღაც მაგიდასთან დიდი ჯგუფის აქტივობის დროს. ჩვენ მას მივეცით არჩევანის უფლება ფაზლების აწყობასა და მანიპულატივებს ან ხატვას შორის. ამ სტრატეგიამ თითქოს გაამართლა გარკვეული დროის განმავლობაში, რადგან ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით მას ჯგუფის აქტივობის მიმდინარეობის დროს. ერთ დღესაც ეიდენი მოეწყო მაგიდასთან, მე და ჩემი ასისტენტი ამ დროს დაკავებულები ვიყავით დიდი ჯგუფის აქტივობით და გადაგვავიწყდა მისი მეთვალყურეობა. როცა ყურადღება მივაქციეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ეიდენი წასულიყო კუბების ასაწყობ სივრცეში (რომელიც მდებარეობდა დიდი ჯგუფის აქტივობის სივრცის უკან) და თავის გარშემო კუბებით კედელი აეშენებინა. ის იჯდა კედლის შიგნით და მღეროდა ყველა იმ სიმღერას, რომელსაც მღეროდა ბავშვების დიდი ჯგუფი. ის ასევე ისმენდა ისტორიას და იძლეოდა შესაბამის პასუხებს ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე. მან იპოვა დიდი ჯგუფის აქტივობაში მონაწილეობის ისეთი გზა, რომლის საშუალებითაც ინარჩუნებდა პირად სივრცეს, რომელიც მას სჭიდებოდა. მას შემდეგ ჩვენ ხელს ვუწყობდით მას, რომ აეშენებინა კუბების კედელი დიდი ჯგუფების აქტივობის დაწყებამდე. სხვა ბავშვები გაგებით ეკიდებოდნენ მის საჭიროებებს და არასოდეს ითხოვდნენ იგივეს. ეიდენმა თავად იპოვა პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი გზა!*

როცა ასახავთ პატარა ჯგუფის აქტივობებს, შეიძლება გააცნობიეროთ, რომ ისინი არ იცავენ ბავშვების ინტერესს. ან შესაძლოა ბავშვებმა გითხრან, რომ მათ სურთ დაუბრუნდნენ გასული კვირის აქტივობას (როგორიცაა სახელის კვლევა ან ოთახის გაზომვა). შესაძლოა გსურდეთ ბავშვების შერევა პატარა ჯგუფებად, რათა მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ სხვადასხვა თანატოლებთან და ისწავლონ კიდეც მათგან.

აქ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, როცა სკოლამდელი ასაკის მასწავლებლებმა ხუანმა და შავნამ და წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლებმა ლუსინდამ და კერიმ გააკეთეს თავიანთი მასწავლებლის მიერ მართული აქტივობების ასახვა და შეცვალეს თავიანთი მიდგომები მთელი ჯგუფისთვის ან თითოეული ბავშვისთვის.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

კარგი კოოპერატიული თამაში ბევრ სივრცეში ამ კვირის განმავლობაში.
გაზომვის აქტივობები - დაწყებული არასტანდარტული გასაზომი ერთეულების რაოდენობის დათვლით (როგორიცაა კუბურები და ა.შ.), კარგად წარიმართა.
დიდი ჯგუფი: Hokey Pokey რთული აღმოჩნდა, რადგან ცოტა ბავშვმა იცოდა მარჯვენა და მარცხენა. საჭიროა უფრო მეტად დაწყნარება, ისტორიის კითხვის დაწყებამდე. მეტი ცეკვა? თითებით თამაში? წყნარი თამაშები?

ჯერ კიდევ აკლია დაკვირვებები ლაილაზე, ზოაზე, მიხაილზე და რობერტზე.

კომენტარები ხუანის რეფლექსიის შესახებ

შედეგად, ხუანმა დაგეგმა ისეთი მოძრაობის აქტივობები, რომელიც არ მოითხოვდა მარცხენას და მარჯვენას ცოდნას, მათ შორის ცეკვა და სიმღერა, შარფებით ცეკვა და „Under the Spreading Chestnut Tree“-ის განსახიერება. მან ასევე წარმოადგინა სიმღერა „One, Two, What Do We Do“, რათა დახმარებოდა ბავშვებს დგომიდან ჯდომით მდგომარეობაში გადასვლაში.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ჟურნალის წარმოება მიმდინარეობს ძალიან კარგად - ბავშვებს აქვთ თავიანთი საყვარელი სიტყვების კოლექცია და იყენებენ მათ, ასევე უზიარებენ ერთმანეთს.
ჩვენ უნდა შევხედოთ უფრო მეტად ცოდნაზე ორიენტირებულ პატარა ჯგუფებს, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ მათემატიკის უნარის განვითარებას.
ზოგიერთი ბავშვი ვერ იღებს ამას.
დიდი ჯგუფური აქტივობა საჭიროებს დაჩქარებას - ძალიან ბევრი დრო ეთმობა კალენდარს და არასაკმარისი დრო ეთმობა გუნდურობის ჩამოყალიბებას და ისტორიებს.
მელისა, ენდრიუ, სარა და კოლი მზად არიან გახდნენ უფრო მაღალი დონის მკითხველები.

კომენტარები შავნას რეფლექსიის შესახებ

შავნამ გადაწყვიტა წარმოუდგინოს ბავშვებს გუნდურობის ჩამოყალიბების შესახებ ორი სიმღერა, „The More We Are Together“ და „Friends, 1, 2, 3.“ მან შეამცირა დრო, რომელიც იხარჯებოდა კალენდარზე და ნაცვლად ამისა, დაამატა უფრო აქტიური მათემატიკის თამაში, რომელიც მოითხოვდა ბავშვებისგან შეექმნათ უცვლელი განტოლება დამსწრე და დაუსწრებელი ბავშვების რაოდენობების გამოყენებით. მან შეიტანა რამდენიმე ისტორიის კითხვის აქტივობა (მაგალითად, ერიკ კარლის *“I Can Do That*”), რომელიც ასევე იყო აქტიური.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ბავშვები მართლაც იკვლევენ გზებს, თუ როგორ გაზომონ წყალი სენსორულ მაგიდასთან და გამოიყენონ წყლის ბორბალი. შესაძლოა კუბების ცოტათი შეცვლა - ვთქვათ მსუბუქი და სატვირთო მანქანების დამატება?
მარმარილოს ფერწერა ძალიან პოპულარული იყო სამანიპულაციო სივრცეში - ალბათ უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო სია და ყველამ გამოცადოს ეს მომდევნო კვირას.
ფოთლების დახარისხებამ პატარა ჯგუფის აქტივობის დროს ვერ მიიპყრო ბავშვების ინტერესი - ისინი უფრო დაინტერესებულები არიან ცხოველებით. ამ ბავშვებმა დაახარისხეს 3 ტიპის ფოთოლი და მოახდინეს მისი კლასიფიცირება: ერიკი, იესენია, დიანა, ვილიამი, ალექსი, ხუანი, ვანესა და მირიამი.

კომენტარები ლუსინდას რეფლექსიის შესახებ

ლუსინდა მიჰყვა ბავშვების დაინტერესებას ცხოველებით და მიაწოდა მათ ცხოველების კლასიფიკაციის ბარათები და თამაშები: ცხოველების ლოტო და თევზაობა, ასევე მეხსიერების თამაშები ბავშვებთან პატარა ჯგუფური აქტივობის დროს.

რეფლექსიები: რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

„მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა მართლაც კარგად წარიმართა - ბავშვები არიან დამოუკიდებლები და სწრაფად ერთვებიან აქტივობებში.
ხომ არ დავამატოთ ფოსტის აქტივობა ერთმანეთისთვის წერილების მისაწერად წერის ცენტრში?
საჭიროა მეტი წიგნი ჯგუფის ბიბლიოთეკაში, რომელსაც ბავშვები ფაქტობრივად „წაიკითხავენ“ -გამოავლინეთ დამწყები მკითხველები და პირველი დონის მკითხველები.
პატარა ჯგუფის მათემატიკის აქტივობა საჭიროებს მეტ ყურადღებას - როგორც ჩანს ის უნდა გადაიზარდოს თამაშში, რომელიც უფრო მეტად ეხება კონსტრუირებას, ვიდრე მათემატიკას.
სუზანა, ჰარლი, მაჰელა და კარლოსი მზად არიან უფრო დიდი გამოწვევებისთვის წერაში - ხომ არ ჩაატარებთ პატარა ჯგუფების მუშაობას მათთან?

კომენტარები კერის რეფლექსიის შესახებ

კერიმ შეცვალა თავისი მიზანი, პატარა ჯგუფის აქტივობები კვირაში სამ დღეს ჩაეტარებინა. მან მისცა ბავშვებს ასაწყობი მძივები და კუბების ნიმუშები. ასევე მისცა ბავშვებს ქაღალდის ფორმები, რათა შეექმნათ ნიმუშები კოლაჟებად. დანარჩენ ორ დღეს მთლიანად შეცვალა აქტივობა წერის გამოცდილებით, რომელიც მიზნად ისახავდა კონკრეტული ბავშვებისთვის მუშაობას (და მოიცავდა სხვებს, ვისაც სურდათ მონაწილეობის მიღება).

დასკვნა

ბავშვის მიერ ინიცირებული და უფროსის მიერ მართულიაქტივობების დაგეგმვა სკოლამდელ და წინასასკოლო ჯგუფებში მოიცავს ადრეული ასაკის ბავშვების თვისებების ცოდნას და მათ თვისებებთან მუშაობას. ეს ასევე გულისხმობს ბავშვების ჯგუფის კარგად ცნობას. და ისევ, ბალანსი კვლავ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობებისკენ იხრება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლება უგულებელყოფილია. პირიქით, ეს ნიშნავს, რომ მასწავლებლები მიზანმიმართულად განსაზღვრავენ გზებს, თუ როგორ უზრუნველყონ დამახასიათებელი სტრუქტურა, შეუწყონ ხელი სასწავლო მიზნებს, როცა ბავშვები აკეთებენ არჩევანს და დაგეგმონ ბავშვებისთვის მიმზიდველი და საინტერესო ჯგუფური აქტივობები.

შემდეგ თავში შევისწავლით ოჯახებთან მზრუნველი, პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზებს.

.....

თავი 7 ოჯახებთან ურთიერთობის დამყარება და მათთან კომუნიკაცია

.....

სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების ბავშვები მარტოები არ მოდიან ჯგუფის კართან. ისინი მოდიან თავიანთი ოჯახების სიყვარულით და მზრუნველობით გარშემორტყმულები. უამრავი პრობლემის მქონე ოჯახებსაც კი უყვართ თავიანთი შვილები. და თავიანთი ბავშვების მსგავსად, მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმაც უნდა ისწავლონ თავიანთი შვილების მასწავლებლების და პროგრამის ნდობა. მათ უნდათ იცოდნენ, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად იცავენ მათი ბავშვების ინტერესებს. უნდათ, ესმოდეთ, რომ მათი ბავშვი სწავლობს. უნდათ, იცოდნენ, რომ მათი ბავშვი მიღებულია თავისი უნიკალურობით და რომ მას დაეხმარებიან მისი პოტენციალის სრულად განვითარებაში; მათ უნდათ იგრძნონ პატივისცემა და იყვნენ ინფორმირებულები. ისინი ეძებენ გზებს, რომელთა საშუალებითაც ხელს შეუწყობენ თავიანთი შვილების სასწავლო გამოცდილებას და რეგულარული კონტაქტი ექნებათ მასწავლებლებთან.

ოჯახებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება არის ბავშვებთან ურთიერთობის დამყარების მეორე მხარე. მოცემული ფორმები არ შეიცავს სპეციალურ ველს ამ ოჯახური ურთიერთობებისთვის. თუმცა ეს არ უარყოფს ან უგულებელყოფს მის მნიშვნელობას. სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების უმეტესობა უზიარებს ოჯახებს მოცემული ფორმის პირველ ორ გვერდს, წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლები კი პირველ სამ გვერდს. ისინი ასევე აქვეყნებენ ამ ინფორმაციას მშობლის განცხადებების დაფაზე, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ათვალიერებენ ბავშვების მოყვანის და წაყვანის დროს. ისინი ასევე აქვეყნებენ ამ ინფორმაციას ონლაინ ან ყოველკვირეულ საინფორმაციო ბიულეტენში, რათა ოჯახის წევრებმა იცოდნენ რა ხდება საბავშვო ბაღში.

თქვენ შეგიძლიათ შეიმუშაოთ პროგრამის სხვა დებულებები, რათა ფოკუსირება მოახდინოთ თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების ოჯახებზე. საბედნიეროდ ბევრი მათგანი უკვე წარმოადგენს თქვენი პროგრამის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს. ისინი ხელს უწყობენ ხარისხიანი გამოცდილების განვითარებას როგორც ბავშვებისთვის, ისე მათი მშობლებისთვის. ეს დებულებები მოიცავს შემდეგს:

- ბავშვების და მათი ოჯახების უკეთ გაცნობას
- ღია კარის პოლიტიკას
- რეგულარული წერილობითი კომუნიკაციის უზრუნველყოფას
- ბევრი შესაძლებლობის უზრუნველყოფას ოჯახის მონაწილეობისთვის
- შესაძლებლობის უზრუნველყოფას რეგულარული ვერბალური კომუნიკაციისთვის
- ოჯახისა და მასწავლებლის ოფიციალური კონფერენციების დაგეგმვას

- პრობლემების მოგვარების მკაფიო პოლიტიკის შექმნას და ინფორმირებას ამის თაობაზე

მოდით, ოჯახური პოლიტიკის თითოეული დებულება უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ.

ბავშვების და ოჯახების გაცნობა

ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ უფრო კარგად გაიცნონ ბავშვები და მათი ოჯახები სახლში ვიზიტების და/ან ჯგუფშიგაცნობითი ვიზიტების დაგეგმვის მეშვეობით, ბავშვის პროგრამაში ჩარიცხვისას. ბევრი სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის და ზოგიერთი წინასასკოლო ასაკის ბავშვისთვის სახლის დატოვება და ისეთ ადგილას წასვლა, სადაც უცნობი ადამიანები არიან, რთული გამოცდილებაა. უცნობის შიშმა და ახლობლებთან განცალკევებასთან დაკავშირებულმა წუხილმა შესაძლოა იმოქმედოს ბავშვის ქცევაზე და სკოლასთან შეგუებაზე. როცა მასწავლებელი ეწვევა სახლში ბავშვს და მის ოჯახს, მას შეუძლია მეტი შეიტყოს მათ შესახებ, დაარწმუნოს ისინი და დაიწყოს მათთან მზრუნველი და პატივსაცემი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. მას შეუძლია გამოიყენოს ინდივიდუალური ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი (იხილეთ მე-5 თავი), როგორც საუბრის ამოსავალი, გაიცნოს ყველა, ვინც ცხოვრობს იმ სახლში და შეიტყოს ბავშვის გამოცდილებების შესახებ. მას შეუძლია შესთავაზოს ბავშვს აჩვენოს თავისი საყვარელი სათამაშოები ან საქმიანობა. მასწავლებელს შეუძლია დაარწმუნოს მშობლები თავის კეთილ ზრახვებსა და მიზნებში ბავშვთან დაკავშირებით. მას ასევე შეუძლია შესთავაზოს მშობლებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და დაუსვან შეკითხვები პროგრამასთან დაკავშირებით.

სახლში ვიზიტებს ბევრი მასწავლებელი თავის კოლეგასთან ერთად არჩევს, ერთმანეთის მხარდაჭერის და უსაფრთხოების მიზნით. ეს გონივრული პოლიტიკაა. არავის უნდა თავი იგრძნოს უხერხულად ან უსაფრთხოდ. ვიზიტის დროის გარკვევით განსაზღვრა მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ დაუკავშირდეთ ოჯახებს ვიზიტის დროსთან და თარიღთან დაკავშირებით და დაარწმუნოთ ისინი, რომ არ არის საჭირო, იზრუნონ მასწავლებლების გართობაზე ან დაგეგმონ რამე განსაკუთრებული, იქნება ეს საჭმელი, თუ სხვა რამ.

გარდა ამისა, ბევრი მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს და მათ მშობლებს წინასწარ ეწვიონ ჯგუფს, სანამ ბავშვი დაიწყებს რეგულარულ დასწრებას. უმეტესობა მათგანი ასეც იქცევა, ინიშნება ინდივიდუალური შეხვედრები, რათა ეს ბავშვი არ დაითრგუნოს სხვა ბავშვების გამო. თუ ეს არ არის შესაძლებელი, უკეთესი იქნება ვიზიტორების პატარა ჯგუფის ორგანიზება, ვიდრე მთელი ჯგუფის ვიზიტი ერთდროულად. ვიზიტი ხანმოკლეა - დაახლოებით თხუთმეტიდან ოც წუთამდე და გულისხმობს ჯგუფის ტურს, სავარაუდოდ პირადი ბარათის განთავსებას, ფოტოს გადაღებას დასწრების დაფისთვის, ჯგუფის შინაურ ცხოველთან შეხვედრას და ხანმოკლე თამაშს მაგიდაზე განთავსებული რამდენიმე მასალის გამოყენებით. ასეთ ვიზიტს სასწაულის მოხდენა შეუძლია. ის განმუხტავს ბავშვების და მშობლების შიშს ახალი პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით.

ღია კარის პოლიტიკა

მეორე მნიშვნელოვანი პოლიტიკა სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის არის ღია კარის პოლიტიკა. გააგებინეთ ოჯახის წევრებს, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოვიდნენ, რათა თავად იხილონ რა ხდება ჯგუფში.კეთილგანწყობით დახვდით დებს და ძმებს და დიდ ოჯახებს. მიუხედავად იმისა, რომ რთულია გყავდეს ოთახში ადრეული ასაკის ბავშვები, ოჯახთან თბილი ურთიერთობის დამყარების უპირატესობა გადაწონის ამ სირთულესთან დაკავშირებულ პოტენციურ პრობლემებს. თქვენ შეგიძლიათ აუხსნათ უფროსებს, რომ თუ ადრეული ასაკის ბავშვს მოიყვანენ, თავად არიან პასუხისმგებლები მის ზედამხედველობაზე. თქვენ შეგიძლიათ მისცეთ რამდენიმე უსაფრთხო მასალა ბავშვისთვის და გამოუყოთ სპეციალური ადგილი, სადაც ის შეძლებს თამაშს. უფროსებისთვის შეიძლება უზრუნველყოთ კომფორტული, მოზრდილი ზომის სკამები შორიახლოს, რათა შეძლონ დააკვირდნენ, რას აკეთებს თავიანთი უფროსი შვილი და თან თვალყური ადევნონ პატარასაც.

სუზანი: „ჩემს საზოგადოებაში უფრო ადვილი იქნება ჩემთვის ოჯახების გაცნობა, ვიდრე სხვებისთვის. მე ვცხოვრობ სკოლამდელ დაწესებულებასთან ახლოს. მაშასადამე ვხედავ ამ ოჯახებს სანაპიროზე, მაღაზიაში და ფოსტაში. ეს მოულოდნელი მომენტები შესაძლოა გამოსადეგი იყოს, როცა ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს „რეალურ ცხოვრებაში“. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გააცნობიერო და შეიტანო კორექტირება ოჯახებში არსებული განსაკუთრებული გარემოებების მიხედვით. ხშირად, მოკლე, არსებითი კომუნიკაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს.“

მთელ ჯგუფს წარუდგინეთ ყველა ვიზიტორი. აუცილებლად შეეკითხეთ, როგორ ურჩევნიათ, რომ მიმართონ. იზეიმეთ იმ ბავშვთან ერთად, რომლის ოჯახიც არის სტუმრად. გაიზიარეთ მისი სიხარული და აღფრთოვანება. ნება მიეცით ჩაეხუტოს მშობლებს, დაათვალიერებინეთ ჯგუფი, ან აჩვენეთ რაზე მუშაობს მათი შვილი. შემდეგ გარკვევით აუხსენით, რის გაკეთებას აპირებთ დღის განმავლობაში. შესთავაზეთ მშობლებს დასხდნენ და უყურონ წყნარად ან ჩაერთონ კონკრეტულ აქტივობაში. შესთავაზეთ სპონტანური მოხალისეობრივი დახმარების გაწევა. თუკი ვიზიტი იწვევს დიდ არეულობას, აუხსენით პატივისცემით და თავაზიანად. შეეკითხეთ, ხომ არ სურთ სხვა დროს, განსაკუთრებულ აქტივობაში, ექსკურსიის ან გარე გამოცდილების დროს დასახმარებლად, კიდევ გეწვიონ. ესაუბრეთ მაქსიმალურად პოზიტიურად.

რეგულარული წერილობითი კომუნიკაციის უზრუნველყოფა

საინფორმაციო ფურცლები, განცხადებების დაფები, ბავშვების ნამუშევრების გამოფენები და დოკუმენტაციის დაფები ეუბნება მშობლებს ყველაფერს იმის შესახებ, რაც ხდება საბავშვო ბაღში. ტექნოლოგიური უნარების მქონე მასწავლებელები აქვეყნებენ ბავშვების ფოტოებს, როცა ისინი არიან მოქმედებაში. ჯგუფის ვებგვერდები წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების ადგილს. და მასწავლებლები და ოჯახები ერთმანეთს უგზავნიან ელექტრონულ შეტყობინებებს ელ. ფოსტის მეშვეობით.

თქვენი შვილი ივარჯიშებს:

- მეტყველებას
- თამაშისა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის უნარებს
- თვით-რეგულაციის უნარებს
- საზოგადოების არსის გაგებას

სურათი 7.1

როგორიც არ უნდა იყოს თქვენი წერილობითი კომუნიკაციის სტილი, შეიტანეთ ინფორმაცია სასწავლო მიზნების შესახებ, რომელზეც ბავშვებთან ერთად მუშაობთ. გამოაქვეყნეთ თქვენი ნამუშევრების მაგალითები და მათი კავშირი სასწავლო მიზანთან. ბევრ მშობელს არ ესმის, რომ თამაშით გამოცდილებები შესაძლოა მოიცავდეს სწავლას. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ და აჩვენოთ დრამატული თამაშის სცენარის ფოტო და აუწეროთ ის გზები, რომლებიც დაგანახებთ, რომ ბავშვები სწავლობენ ამ აქტივობის დროს. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ იგივე ბავშვის ნახატთან ან ბატიფეხურ ნაწერთან დაკავშირებით. თქვენ ქმნით კავშირს მათთვის და ეხმარებით უკეთ გაიგონ თქვენი კურიკულუმის მიდგომა.



თქვენი შვილი:

- სწავლობს წიგნებისა და ბეჭდური პროდუქციის შესახებ
- ეუფლება წერის უნარებს

სურათი 7.2

მერი ბ.: „ბავშვების ინტერესების ასახვის ერთ-ერთი გზა არის დოკუმენტაცია. დოკუმენტაციაში ხედავენ ოჯახები, თუ რა არის ღირებული მასწავლებლისთვის.“

ზოგიერთი მასწავლებელი ფოტოებს და ნამუშევრების ნიმუშებს ჯგუფში განცხადებების დაფებზე (ან ონლაინ) აქვეყნებს, ისევე სასწავლო მიზნებს, რომელზეც გაკეთდა აქცენტი. რათა გააადვილონ ეს პროცესი, ისინი ქმნიან დოკუმენტს და ეტიკეტებზე ბეჭდავენ ყველა სასწავლო მიზანს. Redleaf-ის ვებგვერდზე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ მისამართის ეტიკეტზე დასაბეჭდად გამზადებული შაბლონი (8160 საფოსტო ეტიკეტი ან მისი ექვივალენტი). ეს დოკუმენტი ასევე შეიცავს ეტიკეტებს, რომლებზეც მოცემულია ჩვენს მიერ ამ წიგნში გამოყენებული სასწავლო მიზნები (იხილეთ მე-3 თავი). თქვენ ასევე შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი საკუთარი ეტიკეტები თქვენი სახელმწიფო სტანდარტებიდან გამომდინარე მიზნების ან კურიკულუმის ამოცანების გამოყენებით. ადვილად შეგიძლიათ მიამაგროთ ეტიკეტები ბავშვების ნამუშევრის ნიმუშებს ან ბავშვების ფოტოებს, როცა ისინი რაღაცას აკეთებენ. ონლაინ გამოსაქვეყნებლად, გადაიღეთ ამ გამოსახულებების ფოტოები ან ატვირთეთ ფოტოები თქვენი ჯგუფის ბლოგზე ან ვებგვერდზე. ყოველთვის უზრუნველყავით ბავშვების ნამუშევრების მაგალითების გამოქვეყნება, რომელიც კავშირშია ადრეული სწავლის სტანდარტთან ან კურიკულუმის მიზანთან. ამ გზით თქვენ აშკარას ხდით სწავლას სხვებისთვის, ვინც შესაძლოა ისე ნათლად და იოლად ვერ ხედავდეს, როგორც ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგები.

რეგულარული ვერბალური კომუნიკაციის ხელშეწყობა

რეგულარული ვერბალური კომუნიკაცია არის ოჯახის წევრებთან მზრუნველი ურთიერთობების ჩამოყალიბების არსებითი ნაწილი. მასწავლებლებს შეუძლიათ მშობლების ნახვა და მისალმება ბავშვების მოსვლისას და დამშვიდობება წასვლისას. ამ დროს მათ შეუძლიათ მიაწოდონ მოკლე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას აკეთებს ბავშვი. ისინიც თავის მხრივ უკავშირდებიან ტელეფონით ან პირადად უფრო ხანგრძლივი საუბრისთვის, როცა ეს საჭიროა.

მასწავლებლების უმეტესობა ფიქრობს, რომ არ არის გონივრული ჩაება საუბარში, რომლის დროსაც აფასებ ბავშვის ქცევას დღის ბოლოს. „ო, მას ჰქონდა კარგი ან ცუდი დღე დღეს.“ ასეთი ზოგადი განცხადება არ არის ინფორმაციული და შესაძლოა არასწორად იქნას გაგებული ოჯახის მიერ. „ცუდი დღის“ გამო ბავშვი შეიძლება რაიმე ფორმით დაისაჯოს კიდეც სახლში. თუკი „კარგი დღე“ იყო, არც მშობელმა და არც ბავშვმა არ იცის დღის რომელი ნაწილი იყო უკეთესი სხვასთან შედარებით. უმჯობესია თქვენი დადებითი შეფასება რაიმე კონკრეტულთან იყოს დაკავშირებული. აქ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

> *„ჯოშუამ კარგად იმუშავა დღეს მილაგების აქტივობის დროს. შენ იყავი ჩემი განსაკუთრებული დამხმარე, ხომ ასეა, ჯოშუა?“*
>
> *„საბრინა, ხომ არ აჩვენებ დედას, სად დაკიდე შენი ნახატი კედელზე?“*
>
> *„თომასმა მართლაც გამოიყენა თავისი სიტყვები დღეს, როცა მეგობარს უბრაზდებოდა.“*

მიაქციეთ ყურადღება ჯოშუას და თომასს, ორივე შემთხვევაში გამოხატულია მხარდაჭერა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთმა განაგრძოს იყოს კარგი დამხმარე დალაგების დროს და მეორემ გამოიყენოს სიტყვები, როცა გაბრაზდება. რაც შეეხება საბრინას, როცა მასწავლებელი აჩვენებს დედას მის ნახატს (და ალბათ რამდენიმე ეტიკეტსაც, რომელზეც მიმაგრებულია სასწავლო მიზანი), ის ცდილობს აჩვენოს მშობელს კავშირი შემოქმედებით გამოხატვასა და სწავლას შორის.

როცა კონკრეტული საკითხები აუცილებელს ხდის ხანგრძლივ საუბრებს, მასწავლებლები აწყობენ პირისპირ შეხვედრებს საბავშვო ბაღის საათების შემდეგ. ხშირია საკითხები, რომელთა განხილვაც ბავშვების თანდასწრებით არ შეიძლება. მნიშვნელოვანია მიხვდეთ, როდის დგება ასეთი საუბრების საჭიროება და გქონდეთ სამი მიზანი საუბრისთვის:

1. პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება ოჯახის წევრთან
2. ერთობლივი მუშაობა საკითხის გადასაწყვეტად
3. ერთმანეთთან კომუნიკაცია პროგრესის მიღწევასთან დაკავშირებით

განხილვის ვადების განსაზღვრა დროის ლიმიტის დაწესებით („მოიცლით ათწუთიანი სატელეფონო საუბრისთვის ამ საღამოს?“ თუ „შეძლებთ დარჩენას დღეს თხუთმეტი წუთით?“) თქვენ ეუბნებით, რომ საუბარი კონკრეტული საკითხისკენ იქნება მიმართული და რომ პატივს სცემთ არა მარტო მშობლის დაკავებულ დროს, არამედ საკუთარსაც.

შემდეგ იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება საუბარი, აკონტროლეთ დრო და სამართლიანად გააფრთხილეთ მშობელი დროის ამოწურვასთან დაკავშირებით. წინასწარ შეჯერდით, თუ როგორ იკონტაქტებთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ალბათ საუკეთესო საშუალებად ჩაითვლება ელ.ფოსტა ან წერილობითი შენიშვნები.

ბევრი შესაძლებლობის უზრუნველყოფა ოჯახის მონაწილეობისთვის

ხშირად ოჯახის წევრები შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ნებაყოფლობითი მონაწილეობით ჯგუფის საქმიანობაში ან განსაკუთრებულ ღონისძიებებში, მაგრამ არ იციან როგორ გააკეთონ ეს და რა დაევალებათ ამ დროს. მნიშვნელოვანია, რომ გარკვევით აუხსნათ მათ მოხალისის შესაძლებლობები ჯგუფშიდა განსაკუთრებული საოჯახო ღონისძიებების დროს, როგორიცაა ექსკურსიები, სადილების გამართვა, ღია კარის დღე და ასე შემდეგ. ზოგიერთი მშობელი თავისუფალი და ხალასი ადამიანია. მათ არ გაუჭირდებათ ბავშვებთან ურთიერთობა, ჯგუფში მოსვლა, მათი დახმარება და ბავშვებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა. ზოგიერთს კი სჭირდება მითითებების მიცემა. ისინი შესაძლოა ჩაერთონ ისეთ აქტივობაში, რომელიც არ გულისხმობს ბავშვებთან პირდაპირ მუშაობას, მაგალითად, მასალების მომზადება, ბუფეტის ორგანიზება ან ჭამის დროს მათი ზედამხედველობა. თქვენი მიზანია სხვადასხვა გზების უზრუნველყოფა, რათა ყველა ტიპის ოჯახმა შეძლოს მონაწილეობის მიღება.

ჩემი კარიერა სკოლამდელი დაწესებულებიდან იწყება, როგორც ერთადერთი პროფესიონალისა, რომელიც მუშაობდა კოოპერატიულ წინასასკოლო დაწესებულებაში. ამ დაწესებულებაში სწავლის გადასახადი ნაკლები იყო, რადგან მშობლები იყვნენ ჩემი სასწავლო კოლეგები გეგმიურად გაწერილი გრაფიკის მიხედვით. ეს მართლაც იყო საოჯახო მიდგომა, რომელსაც ჰქონდა ბევრი დადებითი მხარე ბავშვებისთვის. მე ბევრი რამ შემძინა ამ გამოცდილებამ და ყოველთვის მადლობელი ვიქნები იმ ოჯახის წევრებისა, ვისთანაც მომიწია მჭიდრო თანამშრომლობა.

ჩვენ თვალში გვეცა ერთი საინტერესო ტენდენცია: როდესაც მშობელი მოდიოდა სკოლამდელ დაწესებულებაში სამუშაოდ, ბავშვი განსხვავებულად იქცეოდა. ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა. ზოგიერთი ბავშვი მეტ ყურადღებას ითხოვდა ჩემგან და აკეთებდა ისეთ რაღაცას, რაც მშობლების არყოფნაში არასოდეს გაუკეთებია. ზოგიერთი ბავშვი კი უფრო მეტად ეწებებოდა თავის მშობლებს და მოითხოვდა მათგან ბევრ რამეს, იმის მიუხედავად, რომ სხვა დროს ეს ბავშვები კომფორტულად გრძნობდნენ თავს და სავსებით დამოუკიდებლები იყვნენ. ზოგიერთი ბავშვი კი თავს აჩვენებდა ოჯახის წევრს, მიუხედავად იმისა, რომ არ იქცეოდა სათანადოდ, მაინც ელოდა მათ მხარდაჭერას მთელი დღის მანძილზე. ჩვენი შემაჯამებელი შეხვედრების დროს ყოველთვის ვარწმუნებ ჩემს თანაშემწეებს სხვადასხვა ოჯახებიდან, რომ ეს ტენდენცია შეიმჩნევა ყველა ბავშვის შემთხვევაში და რომ ამან ისინი არ უნდა შეაშფოთოს. ბავშვი შეიძლება აღფრთოვანდეს ან ანერვიულდეს, როდესაც ხედავს მშობელს ჯგუფში,ან შეიძლება მიიჩნიოს, რომ მშობელი შემოიჭრა მის ტერიტორიაზე. მშობლების ინფორმირება მათი ბავშვების მხრიდან

სხვადასხვა ქცევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მანამდე, ვიდრე ჩაერთვებიან მოხალისედ ჯგუფის აქტივობებში, დაეხმარება მათ თავი უფრო კომფორტულად და მშვიდად იგრძნონ.

ოჯახისა და მასწავლებლის ოფიციალური კონფერენციების დაგეგმვა

წელიწადში მინიმუმ ორჯერ უნდა დაიგეგმოს ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენცია, რათა გადავხედოთ ბავშვის პროგრესსა და განვითარებას ჯგუფში, გავაცნოთ ოჯახებს მათი პორტფოლიო და ნამუშევრების კოლექცია და განვსაზღვროთ მიზნები ბავშვის შემდგომი წარმატებისთვის. ეს მნიშვნელოვანი დროა ორივე მხარისთვის, რათა მათი კომუნიკაცია მთლიანად ბავშვისკენ იყოს მიმართული. ხარისხიანი საუბრის გამართვისთვის და ბავშვის განვითარების შესასწავლად და განსახილველად საჭიროა მინიმუმ ოცდაათწუთიანი კონფერენციის დაგეგმვა. მოზრდილებისთვის შესაფერისი სკამების და მაგიდის, ასევე გამაგრილებელი სასმელების გათვალისწინებამ (ლიმონათი და ნამცხვრები ან რამე მარტივი) შეიძლება უფრო შეარბილოს ეს გამოცდილება.

განხილვა იწყება იმით, რომ სთავაზობთ მშობლებს გაგიზიარონ თავიანთი იმედები და ოცნებები ბავშვთან დაკავშირებით, ისევე როგორც პრობლემები და შეკითხვები, რომელიც მათ შესაძლოა ჰქონდეთ. ბავშვის წარმატება და მიღწევები წარმოადგენს მასწავლებლის დისკუსიის მთავარ ფოკუსს. მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემების და საკითხების განხილვისას ის იჩენს გულისხმიერებას, სთავაზობს სტრატეგიებს, რომელიც მან და მისმა კოლეგებმა უნდა განახორციელონ, რათა ხელი შეუწყონ ბავშვის ზრდას და განვითარებას. ის სთავაზობს მშობელს შეიტანოს თავისი წვლილი და ეკითხება მას, თუ როგორ უმკლავდება ამა თუ იმ საკითხს სახლში. ისინი ერთად გეგმავენ ბავშვის შემდგომი ხელშეწყობის გზებს და სამომავლო ურთიერთობებს.

და ისევ, მნიშვნელოვანია დროის მკაფიოდ განსაზღვრა კონფერენციებისთვის. თუკი დროის ლიმიტი ნახევარი საათით არის განსაზღვრული, მასწავლებელი პატივს სცემს ამ გადაწყვეტილებას და იცავს დროს, ატყობინებს მშობლებს, როცა ათი წუთი რჩება. ამით ის საშუალებას აძლევს მათ გამოხატონ ნებისმიერი მოსაზრება ან დასვან შეკითხვები, რომლებსაც განიხილავენ და კონფერენციაც დროულად დასრულდება. ამით ის ასევე იცავს საკუთარ დროს და ემზადება მომდევნო ოჯახთან შეხვედრაზე ან სწავლის ახალ ამოცანაზე გადასართველად.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მასწავლებელთან კონფერენცია შესაძლოა საშიში გამოცდილება იყოს ზოგიერთი მშობლისთვის. მათ შესაძლოა არ აკავშირებდეთ თბილი მოგონებები სკოლასთან ან არ გამოუცდიათ დიდი წარმატება თავიანთ საგანმანათლებლო საქმიანობაში. შესაძლოა აწუხებდეთ ისეთი ფიქრები, რომელთა გამოთქმაც ვერ გაბედონ პროფესიონალ პედაგოგთან. შესაძლოა თავდაცვითი პოზიცია დაიკავონ ან შესაძლოა ეგონოთ, რომ მათ განსჯიან მშობლის უნარებიდან გამომდინარე. სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებმა ბევრი უნდა იმუშაონ, რათა დაამყარონ ღია და კეთილგანწყობილი ურთიერთობა და გააცნობიერონ ის

ემოციური ატმოსფერო, რომელიც შესაძლოა შეიქმნას ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენციების დროს.

გრინვიჩის დასახლებაში, კონექტიკუტში, სკოლამდელი დაწესებულების ყველა პროგრამამ შეიმუშავა სკოლამდელი დაწესებულების პროფილი, რომელსაც ის უზიარებს ოჯახის წევრებს და შემდეგ, მაისის დასაწყისში, წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებლებს წარუდგენს. აქ მოყვანილია ოჯახებსა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებს შორის ასეთი კომუნიკაციის განხორციელების ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს კეტი სტუარტი, მაცხოვრის სახელობის ტაძართან არსებული წინასასკოლო დაწესებულების დირექტორი:

> *ერთი პრაქტიკული წარმატება რაიონის მასშტაბით გულისხმობს კონექტიკუტის სკოლამდელი დაწესებულების შეფასების ფორმის გამოყენებას, როგორც სამი-ოთხი წლის ასაკის ბავშვების ოჯახებთან კონფერენციის ფორმის საფუძველს (გამოიყენება შემოდგომის და გაზაფხულის თვეებში) და სკოლამდელი დაწესებულების პროფილს, რომელიც წარედგინება წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებს მაისის დასაწყისში. ოჯახები იღებენ განათლებას თავიანთი ბავშვებისთვის შესაბამის სასწავლო მიზნებთან და თითოეულ სასწავლო მიზანში გათვალისწინებული განვითარების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. და სკოლამდელი დაწესებულების პროფილი აწვდის წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ მზა ჯგუფების უზრუნველყოფაში მათი მოსწავლეებისთვის. სხვადასხვა პროგრამაში მონაწილე მშობლები გვამცნობენ, რომ ეს ფორმატი აბსოლუტურად გამჭვირვალეა და აძლევს მათ სრულ ინფორმაციას თავიანთი შვილების მოსალოდნელი და ფაქტობრივი სწავლების და სტრატეგიების შესახებ, რომელიც შემოთავაზებულია მათი პროგრესისთვის. წელს სკოლამდელი დაწესებულების ოთხასამდე პროფილი იქნა მიღებული დაწყებით სკოლებში, უკუკავშირი კი მათი მნიშვნელობის შესახებ მიღებული იქნა ამჟამად წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებისგან.*

მომდევნო თავში გაგაცნობთ ანგარიშის ფორმას, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს ოჯახისა და მასწავლებლის ოფიციალურ კონფერენციებს. უფრო დეტალურად განვიხილავ კურიკულუმის ინტეგრაციას და დოკუმენტაციის პორტფოლიოს ორგანიზების გზებს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა შეუძლიათ ბავშვებს და რის გაკეთებას სწავლობენ.

პრობლემების მოგვარების მკაფიო პოლიტიკის შექმნა და ინფორმირება ამის თაობაზე

მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ოჯახის წევრებთან ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების შესახებ. მშობლები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულები იმის თაობაზე, თუ როგორ დააყენონ პრობლემატური საკითხები. მას შემდეგ რაც ამას გააკეთებენ, მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ პატივისცემით მოისმინონ მშობლების მიერ მათ წინაშე დაყენებული პრობლემები და ითანამშრომლონ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მოსაძებნად. მასწავლებლები

და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის ამჟღავნებენ პატივისცემას, კულტურული თავისებურებების მიმართ მგრძნობელობას და „ორმხრივად მომგებიან“ დამოკიდებულებას, როცა ოჯახებთან ერთად მუშაობენ პრობლემის მოგვარებაზე.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ხშირად, ოჯახის წევრები შესაძლოა არ იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ თავში, როცა ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგებთან აყენებენ სხვადასხვა საკითხს. ისინი შესაძლოა წუხდნენ იმაზე, რომ მათი აღზრდის სტილს ან ცოდნას მათივე ბავშვების თანდასწრებით შეაფასებენ. მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა პედაგოგებმა არ დაიკავონ თავდაცვითი პოზიცია, როდესაც მათ მიმართავენ მშობლები სხვადასხვა პრობლემით. ასეთი დისკუსიების დროს ორივე მხრიდან წარმოიქმნება დიდი ემოციები. პროფესიონალიზმის შენარჩუნება და ეთიკის დაცვა მოითხოვს ცივ გონებას და გააზრებულ დისკუსიას. თუკი ეს ნებისმიერ დროს არ იქნება შესაძლებელი, საუბარი უნდა დასრულდეს და განახლდეს მოგვიანებით. მესამე მხარის ჩარევამ, როგორიცაა ადმინისტრატორი ან სხვა მასწავლებელი, შესაძლოა ითამაშოს შუამავლის როლი კონკრეტულ სიტუაციაში. შეთანხმება მეტი ინფორმაციის მოპოვებაზე და ბავშვზე უფრო მეტ დაკვირვებაზე,ზოგჯერ შეიძლება კარგი გამოსავალი იყოს. თუკი ბავშვზე მზრუნველი ყველა ზრდასრული ადამიანი თანაბრად განვიხილავთ ურთიერთობებს, ამით ხელს შევუწყობთ ყველა მოთამაშის თანაბარ მონაწილეობას. აქ მოცემულია მშობლებსა და პროფესიონალებს შორის რთული საუბრის მაგალითი.

მიგელის დედამ შეათანხმა შეხვედრა ტერეზასთან, თავისი შვილის სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებელთან. „მიგელის მამას და მე მნიშვნელოვანი სალაპარაკო გვაქვს,“ უთხრა მან ტერეზას ტელეფონით. შეხვედრა დაიგეგმა მეორე დღეს ნაშუადღევს. ტერეზა ესაუბრა თავის კოლეგას, სერხიოს და შეეკითხა, ხომ არ ჰქონდა რამე იდეა, რაზე შეიძლებოდა მშობლებს მასთან ესაუბრათ. სერხიომ (დაწყებითი ჯგუფის ესპანურენოვანი მასწავლებელი) უპასუხა, რომ შეამჩნია, რომ ესპანურენოვანი ბავშვები უხეშ სიტყვებს წარმოთქვამდნენ Lego-ს და კუბების აწყობისას. ის ბევრჯერ ჩარეულა მიგელისა და სხვა ბიჭების ჩხუბში ერთი და იგივე სათამაშოსთან დაკავშირებით.

ტერეზა ნერვიულობდა შეხვედრის დრო რომ ახლოვდებოდა. როცა მიგელის მშობლები მოვიდნენ, ის მიესალმა მათ, შესთავაზა დამსხდარიყვნენ დიდ სკამებზე მაგიდასთან და სთხოვა მოეყოლათ თავიანთი პრობლემების შესახებ. მიგელის დედამ დაიხედა მუხლებზე დაწყობილ ხელებზე. მიგელის მამამ კი განუმარტა, რომ მათ შვილს სცემეს, წიხლები ჩაარტყეს და ფეხები ურტყეს სათამაშო მოედანზე სხვა ბიჭებმა. მისი ხმა იყო ძლიერი, საუბრისას მუშტები ჰქონდა შეკრული. ინგლისურად საუბარი უჭირდა, მაგრამ ძალიან გარკვევით გამოხატა თავისი აზრი. „ეს არ არის მისაღები. თქვენ ეს უნდა შეაჩეროთ.“ ტერეზამ უთხრა, „მე ვწუხვარ, ეს არ ვიცოდი და გპირდებით, რომ ჩემი კოლეგა სერხიო და მე მეტ ყურადღებას დავუთმობთ მიგელს, როცა ის გარეთ სათამაშოდ გავა. მართალი ხართ, ეს არ არის მისაღები. ჩვენ არ გვსურს, რომ რომელიმე ჩვენი ბავშვი თავს დაუცველად გრძნობდეს ან დაშავდეს რაიმე სახით ჩვენს დაწესებულებაში.“ ტერეზამ დაარწმუნა ოჯახი, რომ ის და მისი კოლეგა ყურადღებას მიაქცევდნენ მიგელის ურთიერთობებს სხვა ბავშვებთან როგორც შენობის შიგნით, ისე მის გარეთ. ის დაჰპირდა, რომ დაუკავშირდებოდა ტელეფონით და იმის შესახებ, საქმე როგორ მიდიოდა, რეგულარულად გაუგზავნიდა შეტყობინებებს სახლში. ის ასეც მოიქცა და საქმის კურსში აყენებდა მშობლებს იმის თაობაზე, რომ ბევრად ნაკლები პრობლემები იქმნებოდა და ის და მისი კოლეგა ყოველთვის ერთვებოდნენ ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში.

მასწავლებლებს არა აქვთ მშობლებზე მეტი ძალაუფლება და მშობლებს ასევე არა აქვთ მასწავლებლებზე მეტი ძალაუფლება. ისინი თანამშრომლობენ ბავშვის საკეთილდღეოდ. ზოგჯერ უფრო სასარგებლოა დაიკავო ახსნა-განმარტებითი პოზიცია და არა თავდაცვითი. როდესაც მშობლები სვამენ შეკითხვებს ჯგუფში თამაშის ოდენობის ან ქაღალდის და ფანქრის ნაკლებობის შესახებ, მასწავლებლებს შეუძლიათ აუხსნან თამაშის მნიშვნელობა და მისი კავშირი სწავლასთან. თუკი ოჯახებთან ურთიერთობის ყველა ზემოთ აღწერილი პოლიტიკა განხორციელდა, ასეთი დისკუსიები აღარ უნდა წარმოიშვას. თქვენ შექმნით საფუძველს იმისათვის, რომ გასაგები იყოს თქვენი კურიკულუმის მიდგომები და შესაძლებელი იყოს ოჯახებთან გუნდური მუშაობა.

დასკვნა

ოჯახებთან მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბება აძლიერებს თავად პროგრამას. ოჯახებს შეუძლიათ საუკეთესო მოკავშირეები და რეკლამის განმთავსებლები გახდნენ. მათ ასევე შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ბავშვის წარმატებაში. თუკი ოჯახი ჯგუფში ბავშვის დატოვების დროსნერვიულობს, , ხშირად ბავშვსაც გადაედება ხოლმე ეს ნერვიულობა. თუკი ოჯახს უჭირს ბავშვის მასწავლებელთან ურთიერთობა, ხშირად ბავშვი გრძნობს ამას და შესაძლოა ეს გამოამჟღავნოს მასწავლებელთან ურთიერთობისას. თუკი მოახერხებთ მკაფიო კომუნიკაციის დამყარებას, ნამდვილად კეთილგანწყობილ და პატივსაცემ დამოკიდებულებას, ეს ძალიან სასურველ შედეგს გამოიღებს ბავშვებისთვის და ადრეული განათლების პროგრამისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. მასწავლებლები და ოჯახის წევრები ერთი და იგივე გუნდის, ბავშვის გუნდის წევრები არიან.

მომდევნო თავში შევისწავლით ავთენტური შეფასების და კურიკულუმის ინტეგრაციას.

თავი 8 ავთენტური შეფასების და კურიკულუმის ინტეგრაცია

კურიკულუმის დაგეგმვის ინტეგრაცია ბავშვების სწავლის შეფასებასთან კარგი სწავლებისთვის უმთავრესი გასაღებია. მასწავლებლები აკვირდებიან, თუ როგორ პასუხობენ ბავშვები და მონაწილეობენ აქტივობებში, რომლებიც მათ დაგეგმეს. ისინი აღნიშნავენ, სად გამოამჟღავნეს ბავშვებმა ძლიერი მხარეები და ინტერესები და რომელი აქტივობების დროს იჩენენ ძალისხმევას ან რომელს იცილებენ თავიდან. შეფასება მიმდინარე პროცესია. ის არ შემოიფარგლება პერიოდული შეფასების აქტივობით ან ერთი ერთზე შეფასების სესიებით. ამიტომ შეფასების პროცესების განხორციელებას, დაგეგმვის პროცესებისთვის ხელშესაწყობად არსებითი მნიშვნელობა აქვს.

> **სარა:** „ციკლი კი არ მთავრდება დაგეგმვის დასრულებისას, არამედ გრძელდება, როცა ხდება მისი განხორციელება (დაკვირვებების, ურთიერთობების და სწავლების ხელშეწყობით), შეფასება და ჩართვა მომავალ გეგმებში. ეს შეიძლება ძალიან სასიამოვნო იყოს, როცა ბავშვების პროგრესი და სწავლა ცხადი ხდება.“

ადრეული განათლების სფეროში რეკომენდებულია ავთენტური შეფასების პროცესები, თუკი ისინი ეფუძნება ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის ყოველდღიურ ურთიერთობებს:

შეფასების მეთოდები სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარების სტატუსის და გამოცდილებების შესაფერისია და ისინი აღიარებენ ინდივიდუალურ განსხვავებებს მოსწავლეებში და საშუალებას აძლევენ ბავშვებს გამოამჟღავნონ თავიანთი კომპეტენცია სხვადასხვა გზით. ამიტომ ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფის შეფასების შესაფერისი მეთოდები მოიცავს მასწავლებლების დაკვირვებებს ბავშვებზე, კლინიკურ ინტერვიუებს, ბავშვების ნამუშევრების კოლექციებს და მათ მიერ ავთენტური აქტივობების შესრულებას (NAEYC 2009, 22).

ადრეული ასაკის ბავშვების შემოწმება ძნელია. მოთხოვნის შესაბამისი (on-demand assessment) იმგვარი შეფასებების გაკეთება, როგორიცაა ტესტები, იძლევა ცვალებად შედეგებს და ამიტომ ვერ იძლევა სანდო ინფორმაციას. ყველაზე სანდო მონაცემები შეიძლება მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სიტუაციებში ბავშვების ყოველდღიური დაკვირვების შედეგად შეგროვდეს. ამ გზით მასწავლებლებს შეუძლიათ დაინახონ ბავშვების მიერ აქტივობების შესრულების ტენდენციები და გამორიცხონ ის დრო, როცა ბავშვი თავს ვერ გრძნობდა კარგად ან ვერ დაუთმო სათანადო ყურადღება დავალებას.

რადგან დაკვირვება მიმდინარე პროცესია, მასწავლებლებმა დოკუმენტურად უნდა ასახონ რაც ნახეს და გაიგონეს. ისინი არ იწერენ ყველაფერს - ასე რომ მოქცეულიყვნენ სხვა არაფრისთვის დარჩებოდათ დრო (მოგვიანებით ამავე თავში მოგცემთ რამდენიმე რჩევას დაკვირვებების ეფექტიან დოკუმენტირებასთან დაკავშირებით დროის თვალსაზრისით). ისინი ფოკუსირებას ახდენენ კონკრეტული

დაკვირვებების დოკუმენტირებაზე ისეთ დროს, როცა შეიძლება შესრულდეს დავალება. და ფოკუსირებული დაკვირვებები არის ბავშვის პროგრესის და განვითარების ავთენტურად შეფასების პროცესის ნაწილი. დაკვირვებების ფოკუსირება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად:

- განვითარების მიმართულებებისა და სასწავლო მიზნების მიხედვით
- თითოეული ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის მიხედვით
- სათამაშო სივრცის ან აქტივობის მიხედვით

ლაურა: „მე მინახავს მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ბავშვების მიმართ მეტ ავთენტურ ერთი ერთზე დაკვირვებებს ბავშისათვის ბუნებრივ სათამაშო გარემოში და აცნობიერებენ, რომ ამ დაკვირვებების მეშვეობით ისინი იღებენ მეტ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა იციან ბავშვებმა და იმ წარმოდგენების/იდეების შესახებ, რომელსაც ისინი სწავლობენ წყვილებში ურთიერთობის დროს, ცენტრებში განთავსებული პრაქტიკული მასალების მეშვეობით და პატარა და დიდი ჯგუფებისი აქტივობების დროს.“

მოცემული ფორმა შეიცავს ველს, სადაც უნდა განისაზღვროს ფოკუსი დაკვირვებებისთვის. თუკი თქვენი დაკვირვების ფოკუსი იქნება კონკრეტული ბავშვი პერსონალის თითოეული წევრისთვის ყოველდღიურად, სწორედ აქ შეიძლება დაიწეროს სია. თუკი თქვენი ფოკუსი იქნება კონკრეტული ჯგუფი ან აქტივობები თითოეული კოლეგისთვის, ამას ველში აღნიშნავთ. ხოლო თუკი თქვენი ფოკუსი იქნება განვითარების კონკრეტული სასწავლო მიზანი, თქვენ უნდა აღნიშნოთ ეს მოცემული ფორმის შესაბამის ნაწილში. მოდით შევხედოთ დაკვირვების პროცესს ზემოთ მოცემული ბიულეტენის თითოეული საკითხის გათვალისწინებით.

დაკვირვებების ფოკუსირება განვითარების სფეროებსა და სასწავლო მიზნებზე

ბავშვის პროგრესის შეფასებისთვის მასწავლებლებს სჭირდებათ თავიანთი დაკვირვებების ფოკუსირება, რათა ბავშვის შესახებ მიიღონ სრული ინფორმაცია. ამიტომ ისინი ყურადღებას აქცევენ განვითარების მიმართულებებს, ენის ხელოვნების, მათემატიკის, სოციალური მეცნიერების და მეცნიერების, სოციალურ/ემოციური განვითარების, სწავლების მიმართ მიდგომების და ფიზიკური განვითარების ჩათვლით. მოცემული ფორმა ეხმარება ამ პროცესს. რადგან განსაზღვრულია სასწავლო მიზნები ბავშვის მიერ ინიცირებული სათამაშო აქტივობებისთვის, ისევე როგორც უფროსის მიერ მართული ჯგუფური მუშაობისთვის, მასწავლებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ თითოეული სფეროს განხილვა. შემდეგ, როცა ისინი ხელს შეუწყობენ ბავშვების თამაშს და ჯგუფურ მონაწილეობას, მათი ფოკუსი იქნება დაკვირვებების და დოკუმენტაციის წარმოება. შეფასებასა და კურიკულუმს შორის კავშირი მოცემულია დაგეგმვის პროცესში.

პემის ინკლუზიური სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფში, ის და მისი თანაშემწეები ხშირად განსაზღვრავენ განვითარების მიმართულებას, რომელზეც ისინი ფოკუსირებას ახდენენ ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. მათი დაკვირვებები

ექსკლუზიურად იმ კონკრეტულ მიმართულებას შეეხება. მაგალითად, ერთი კვირა შესაძლოა კონცენტრირება მოახდინონ ბავშვების მზარდ ენობრივ უნარებზე. მეორე კვირას შესაძლოა ფოკუსირება მოახდინონ ნატიფი მოტორული უნარების განვითარებაზე. ეს მათ შეფასებას თითოეული ბავშვის ზრდისა და სწავლის შესახებ უფრო სრულყოფილს გახდის და არ იქნება დაფუძნებული მხოლოდ ქცევის, ან მოტორულ თუ შემეცნებით უნარებზე. ისინი ამ ფოკუსს წერენ მოცემული ფორმის მესამე გვერდზე ველში სახელწოდებით „ფოკუსირებული დაკვირვებები.“

ფოკუსირებული დაკვირვებები
ყურადღება მიაქციეთ ყველა ბავშვის მიერ ენის/ლექსიკის გამოყენებას, როცა ისინი საუბრობენ ან წერენ თავიანთ ციტატებს ან როცა ესაუბრებით თამაშის ან ჭამის დროს.

პემის დაკვირვებები

ფოკუსირებული დაკვირვებები
ყურადღება მიაქციეთ ბავშვების ნატიფ მოტორულ უნარებს და გააკეთეთ შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ავლენენ ისინი ხელისა და თვალის კოორდინაციას, იყენებენ საჭრელ და საწერ ინსტრუმენტებს, იყენებენ თვითმომსახურების უნარებს, როგორიცაა ღილის შეკვრა ან ელვაშესაკრავის შეკვრა

პემის დაკვირვებები

რა თქმა უნდა თუკი ისინი დამატებით სხვა მნიშვნელოვან რამესაც ხედავენ, ამის შესახებ მოკლედ მიუთითებენ. მაგრამ ისინი ცდილობენ ფოკუსირება მოახდინონ განსაზღვრულ მიმართულებაზე ან სასწავლო მიზნებზე. შემდეგ ცვლიან მათ ყოველ კვირას ან ორ კვირაში, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ ფოკუსში მოხვდა ყველა მათგანი.

როცა მასწავლებლებს არა აქვთ განსაზღვრული ფოკუსი დაკვირვებებისთვის კონკრეტული სასწავლო მიზნებით ან მიმართულებებით, შესაძლოა გამორჩეთ რომელიმე მათგანი. მათ შესაძლოა იპოვონ ცარიელი ადგილები თავიანთ დოკუმენტაციაში თითოეული ბავშვის შესახებ. შესაბამისად, მათთვის არცთუ ისე ადვილი იქნება მიყვნენ შეფასების პროცესს, რათა საბოლოოდ მიიღონ სრულყოფილი, კარგად დასაბუთებული სურათი იმის შესახებ, თუ რა შეუძლია თითოეულ ბავშვს.

ამ პრობლემის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა განსაზღვროთ რისი გაკეთება მოგწონთ ყველაზე მეტად ბავშვებთან ერთად. ყველა მასწავლებელს აქვს საყვარელი სფერო ან აქტივობა.ზოგიერთი ჩვენგანი უფრო არტისტულია, ზოგი კი უფრო მათემატიკური. ზოგიერთ ჩვენგანს მართლაც მოსწონს დაეხმაროს ბავშვებს თვითკონტროლის განვითარებაში. თუკი ჩვენ ფოკუსირებას ვახდენთ მხოლოდ იმ სფეროებზე, რომელიც ჩვენთვის მიმზიდველია, ვერ მივიღებთ ბავშვის შესახებ სრულ სურათს. ამის ნაცვლად, უნდა ვაიძულოთ საკუთარი თავი ვიფიქროთ განვითარების და სწავლების ყველა სფეროს შესახებ.

აქ მოცემულია ორი გზა იმის გასაანალიზებლად, თუ რაზე უნდა მოახდინოთ ფოკუსირება ბავშვებზე დაკვირვებისას. როდესაც დაწერთ თქვენს დაკვირვებებს, გადახედეთ მათ. როცა ამას გააკეთებთ, გულახდილად შეეკითხეთ საკუთარ თავს: „რა არის ამ დაკვირვების მთავარი ფოკუსი? ქცევის და სოციალურ/ემოციური განვითარება? მათემატიკა და მეცნიერება? ენა? კითხვა და წერა? ნატიფი და უხეში მოტორული უნარები?“ ყველა დაკვირვებაში ცალ-ცალკე განვითარების თითოეულ ამ კატეგორიას დაუსვით შესატყვისი ნიშანი. ერთ რომელიმე კატეგორიაში ხომ არ განხორციელებულა მეტი დაკვირვებები სხვებთან შედარებით?

აქ მოცემულია სხვა გზაც საკუთარი თავის შესაფასებლად. გადახედეთ განვითარების სფეროების ჩამონათვალს. შემდეგ დაახარისხეთ ეს სია და მიაწერეთ ციფრი 1 იმ სფეროს, რომელსაც თქვენი აზრით მიაქციეთ ყველაზე მეტი ყურადღება (ან საუკეთესო იყო თქვენი სწავლების პრაქტიკაში), ციფრი 2 მიაწერეთ თქვენს მეორე არჩევანს და ასე შემდეგ. გადახედეთ რეიტინგს. უფრო სავარაუდოა, რომ თქვენი დაკვირვებები უფრო მეტად ფოკუსირებული იყო თქვენს პირველ, მეორე და მესამე არჩევანზე და ნაკლებად თქვენთვის არცთუ ისე საყვარელ სფეროებზე.

განვითარების სფეროები

- სოციალურ/ემოციური განვითარება
- მეტყველების/ენის განვითარება
- წერის და კითხვის განვითარება (წიგნიერება)
- მათემატიკა
- მეცნიერება
- სოციალური მეცნიერება
- სწავლისადმი მიდგომები
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- უხეში მოტორული უნარების განვითარება

მასწავლებლებთან ჩემი საუბრების დროს, ბევრი მათგანი აღიარებს, რომ ისინი უფრო დიდი ინტენსივობით აკვირდებიან სოციალურ/ემოციურ სფეროს. ენა არის მეორე ადგილზე, რაზეც ადრეული ასაკის ბავშვების მასწავლებლები ახდენენ ფოკუსირებას. წერა და კითხვა არის დომინანტი სფერო წინასასკოლო ჯგუფებში. ამას მნიშვნელოვანი საფუძვლიანი მიზეზი აქვს! ადრეული ასაკის ბავშვები სწავლობენ სხვა ბავშვებთან და

უფროსებთან ურთიერთობას და მუშაობას და ხშირად პირველად იმყოფებიან თავიანთი სახლებიდან მოშორებით. მათი ენობრივი განვითარება მართლაც გასაოცარი და საინტერესოა. მათ მიერ ასოების, ბგერების და დაწერილი სიტყვების აღქმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი კითხვის უნარის განვითარებაში. თუკი ფოკუსირებას მოვახდენთ მხოლოდ სოციალურ/ემოციურ და ენობრივ განვითარებაზე, ბევრს გამოვტოვებთ და ვერ შევიტყობთ ბავშვის მიღწევების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ჩვენი დაკვირვებების ფოკუსირება დასარწმუნებლად, რომ ყურადღებას ვაქცევთ ყველა სფეროს, მოგვცემს უფრო დეტალურ, ზუსტ და სრულ სურათს თითოეული ბავშვის უნიკალური შესაძლებლობების შესახებ.

ბავშვების განსაზღვრა დაკვირვების მიზნით

ბავშვებზე დაკვირვების მიზნით კონკრეტული ბავშვების შერჩევა მასწავლებლებს ეხმარება, რომ არცერთი ბავშვი არ გამორჩეთ. ბევრი სასწავლო გუნდი ყოფს ჯგუფს სხვადასხვა პატარა ჯგუფებად დაკვირვების მიზნით. შემდეგ თითოეული მასწავლებლის ან სასწავლო თანაშემწის გულისყური მიმართულია ოთხი ან ხუთი ბავშვისკენ ყოველდღიურად. ყველა ბავშვზე დაკვირვებასთან დაკავშირებული სამუშაო დატვირთვა გაზიარებულია. სხვადასხვა უფროსი ადამიანი ხშირად ამჩნევს სხვადასხვა რაღაცას ბავშვების ქცევაში და აქტივობების შესრულებისას.

სკოლამდელი დაწესებულების ზოგიერთი პროგრამა ითვალისწინებს ბავშვების მთავარი აღმზრდელების დანიშვნას, რომლებიც მართლაც სრულყოფილად იცნობენ თითოეულ ბავშვს და შეუძლიათ ოჯახთან ძირითადი საკონტაქტო პირები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში მთავარი აღმზრდელი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც აკვირდება იმ ბავშვებს, რომლებზეც ის არის პასუხისმგებელი. სასწავლო კოლეგები, რომლებიც ხედავენ, როგორ მოქმედებს ბავშვი, შემდეგ ანგარიშს აბარებენ ბავშვის მთავარ აღმზრდელს, ინფორმაციის გასაზიარებლად და დაკვირვებების ჩასანიშნად.

დაკვირვებების ფოკუსირება კონკრეტულ ბავშვზე ყოველდღიურად, ეხმარება მასწავლებლებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რის გაკეთება შეუძლია და რის გაკეთებას ცდილობს იგი. ფოკუსის გარეშე ბავშვები, რომლებსაც აქვთ მეტი პრობლემები სხვა ბავშვებთან, ხშირად ხვდებიან ყურადღების ცენტრში. მათ ესაჭიროებათ უფროსების ჩარევა, და ისინიც ერევიან, რათა დაიცვან სხვა ბავშვები და დაეხმარონ მათ თვითკონტროლის გამომუშავებაში. თუმცა თუკი მასწავლებლები ფოკუსირებას ახდენენ მხოლოდ ასეთ ბავშვებზე, ბევრი სხვა ყურადღების მიღმა დარჩება. სურათი, რომელსაც მივიღებთ იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებსაც სჭირდებათ მეტი ყურადღება, ცალმხრივი იქნება მათი ნეგატიური ქცევის მიმართ.

ზოგიერთი ბავშვი ითხოვს დიდ ყურადღებას - არა ნეგატიური ქცევისთვის, არამედ პოზიტიური ურთიერთობისთვის მასწავლებელთან, რომელსაც ისინი იცნობენ და უყვართ. თუმცა, ვიმეორებ, ასეთ ბავშვებზე ფოკუსირება ადვილია, რადგან ისინი ამას ითხოვენ. ბავშვები, რომლებიც ხშირად რჩებიან ყურადღების მიღმა, არიან ისინი, ვინც არ ითხოვენ ნეგატიურ ან პოზიტიურ ყურადღებას. მათ შეუძლიათ ადვილად გახდნენ

შეუმჩნეველნი, თუკი არ მიიღებთ სპეციალურ ზომებს იმაში დასარწმუნებლად, რომ მათზეც ხორციელდება დაკვირვება.

ზოგჯერ მასწავლებლები ყოფენ ბავშვებს ჯგუფში და თითოეული მათგანი აკვირდება ბავშვების ერთსა და იმავე ჯგუფს გარკვეული დროის განმავლობაში და ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ სასწავლო მიზანზე. თქვენ და თქვენმა კოლეგებმა გარკვევით უნდა ისაუბროთ თქვენი სწავლების ამ ასპექტის შესახებ. მისი ჩაწერა მოცემულ ფორმაში მას ისეთსავე მნიშვნელობას მიანიჭებს, თითქოს ეს მოვალეობა თქვენზე ყოფილიყო დაკისრებული. მოვალეობების დაკისრება შესაძლებელია რეფლექსიის შესახებ შეხვედრების დროს, როცა თქვენ განიხილავთ, თუ რას აკეთებდნენ ბავშვები და ამის შემდეგ რომელს უნდა დააკვირდნენ.

აქ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ გაანაწილეს მასწავლებლებმა სამუშაო დატვირთვა დაკვირვებისთვის და დოკუმენტაციისათვის კონკრეტული ბავშვების შესახებ.

ფოკუსირებული დაკვირვებები

ლარი:

ორშაბათი - ჯოზეფი, ალისა, მარიელა, ჰეიდენი
სამშაბათი - ჯემი, ლიზა, მიქელე, ბერნარდო
ოთხშაბათი - ალანი, დერეკი, სინი, ქლოა
ხუთშაბათი - ჯესი, ალანა, ბენჟამინი, კეტი

სუზანი:

ორშაბათი - ჯესი, ალანა, ბენჟამინი, კეტი
სამშაბათი - ალანი, დერეკი, სინი, ქლოა
ოთხშაბათი - ჯემი, ლიზა, მიქელე, ბერნარდო
ხუთშაბათი - ჯოზეფი, ალიზა, მარიელა, ჰაიდენი

ლარის და სუზანის გეგმა თავიანთი დაკვირვებების გასაყოფად.

ფოკუსირებული დაკვირვებები:

იესენია - ფოკუსირება და ყურადღების დათმობა
ერიკი - გაჭრა და დათვლა
ვანესა - წერა და ხატვა
დერეკი - სახელების, ფორმების და ფერების ცნობა

დაკვირვებების გეგმები ფოკუსირებულია კონკრეტულ ბავშვებზე.

ფოკუსირებული დაკვირვებები:

საჭიროა სასაცილო ამბავი (პატარა ჯგუფების აქტივობების დროს?) ციფრების წერისა და ცნობის შესახებ

მარიასთვის, ანტონისთვის, სკოტისთვის, შარონისთვის, კეიტისთვის და ანასთვის

საჭიროა სასაცილო ამბავი (დიდი ჯგუფების აქტივობის დროს? „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრის დროს?) წაკითხულის აღქმის შესახებ

პიტერისთვის, სელინასთვის, კეიონასთვის, ლაილასთვის და მაქსისთვის

ლარის და სუზანის გეგმა თავიანთი დაკვირვებების გასაყოფად.

ჯგუფის სათამაშო სივრცეებზე დაკვირვება

როგორც სასწავლო გუნდმა, თქვენ და თქვენმა კოლეგებმა ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლოა გადაწყვიტოთ, რომ ფოკუსირება მოახდინოთ კონკრეტულ სათამაშო სივრცეზე ჯგუფში, სხვადასხვა აქტივობების დროს. და ისევ, რადგან სასწავლო მიზნები განსაზღვრულია გეგმაში, ამ სივრცეებში დოკუმენტურად ასახული დაკვირვებები სავარაუდოდ დაკავშირებული იქნება ამ მიზნებთან. თქვენ ფაქტობრივად ორ დავალებას ასრულებთ ასეთი ტიპის მოვალეობების დაკისრებისას: დოკუმენტურად ასახავთ დაკვირვებებს და უზრუნველყოფთ უფროსი ადამიანის მხრიდან ზედამხედველობას თამაშის დროს. აქ მოყვანილია ისტორია ორი მასწავლებლის შესახებ, თუ როგორ მოახდინეს მათ თავიანთი დაკვირვებების ფოკუსირება ბავშვების თამაშის დროს.

გლენას ჯგუფში, გლენა და მისი თანაშემწე, დები განიხილავენ, თუ როგორ შეუწყონ ხელი ბავშვების თამაშს. რამდენიმე კვირა ორივე მათგანი „ტივტივებდა“, როგორც ამას ამბობდნენ. ეს ნიშნავდა, რომ არცერთი მათგანი არ იყო კონცენტრირებული რომელიმე კონკრეტულ სივრცეზე, არამედ მოძრაობდნენ ჯგუფში და ეხმარებოდნენ ბავშვებს საჭიროებისამებრ. საჭირო იყო თუ არა ახალი მასალები, ჯგუფის დაინტერესების შესანარჩუნებლად სამანიპულაციო სივრცეში? საჭირო იყო თუ არა ბავშვების დახმარება კუბების ასაწყობ სივრცეში მეტი სივრცის უზრუნველსაყოფად მათ ისედაც მუდმივად მზარდ კონსტრუქციასა და კუბების თაროებს შორის? საჭირო იყო თუ არა, რომ ბავშვისთვის შეეთავაზებინათ კალთაში ჩაჯდომა და წიგნის წაკითხვა ბიბლიოთეკაში?

იმ რამდენიმე კვირის განმავლობაში, როცა გლენა და დები, ორივენი „ტივტივებდნენ“ (არ იყვნენ კონცენტრირებულნი კონკრეტულ მიზანზე), ხელმისაწვდომები იყვნენ სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად, ეხმარებოდნენ ბავშვებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აკვირდებოდნენ მათ სხვადასხვა აქტივობების შესრულების დროს. თითოეულ მათგანს ყოველთვის თან ჰქონდა საქაღალდე დაფა ჯგუფის სიით, წებოვანი ჩასანიშნი ფურცლები და კალამი ან ფანქარი. ამ გზით მათ შეეძლოთ სწრაფად ჩაენიშნათ ყველაფერი, რასაც ბავშვები აკეთებდნენ და გაეკეთებინათ აღნიშვნა ბავშვის სახელის გასწვრივ თავიანთი დაკვირვების დოკუმენტურად ასახვის შემდეგ. ჯგუფის სია დაეხმარა მათ არ გამორჩენოდათ ის ბავშვებიც კი, რომლებიც არ ითხოვდნენ პირდაპირ ყურადღებას.

ერთი რამ, რაც ყოველთვის ახსოვდათ, ის იყო, რომ არ გაჩერებულიყვნენ ოთახის მხოლოდ ერთ კუთხეში. ისინი ცდილობდნენ ისე ემოძრავათ, რომ ერთ-ერთ მათგანს ყოველთვის შეძლებოდა ეყურებინა მთელი ჯგუფისთვის. ამგვარად უზრუნველყოფილი იქნა უსაფრთხოება და ბავშვებიც მიხვდნენ, რომ უფროსები მზად იყვნენ დახმარებოდნენ მათ პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი მუშაობდა, როგორც „ტივტივა“. მაგალითად, თუკი ისინი გეგმავდნენ ხელოვნების აქტივობას, რომელიც საჭიროებდა მჭიდრო მონიტორინგს ან საჭმლის მომზადების აქტივობას, რომელიც მოითხოვდა ყურადღებას, ერთ-ერთი მათგანი კისრულობდა ამ მოვალეობას, ხოლო მეორე იყო „ტივტივა“. ეს ასევე დაეხმარა მათ ფოკუსირებული დაკვირვებების განხორციელებაში. თუკი გლენა წარმართავდა პატარა ჯგუფის აქტივობას ფორმის და ფერის ცნობის შესახებ, მას შეეძლო ადვილად ჩაენიშნა თითოეული ბავშვის ცოდნა საქაღალდე დაფაზე ბავშვის სახელების მიხედვით. თუკი დები საჭმელს ამზადებდა ბავშვებთან ერთად, მას შეეძლო თავისი დაკვირვებების ფოკუსირება მათ შესაძლებლობებზე, ან მათ ნატიფ მოტორულ უნარებზე პატარა საზომი კოვზების და კვერცხის სათქვეფის გამოყენებისას.

როდესაც დაკვირვებები ფოკუსირებულია სათამაშო სივრცეებზე, შედეგად ვიღებთ კიდევ ერთ სარგებელს, ვსწავლობთ, რომელია თითოეული ბავშვის საყვარელი ადგილი. ჩვენი წიგნის მეორე გამოცემაში *ფოკუსირებული დაკვირვებები: როგორ დავაკვირდეთ ბავშვებს მათი შეფასების და კურიკულუმის დაგეგმვის მიზნით* (2013), მერლინ ჯეიმსმა და მე გავაკეთეთ სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის შესახებ ჩანაწერი, რომელიც იძლევა ფორმატს ჯგუფში არსებული სათამაშო სივრცეების შესახებ ინფორმაციის ჩასაწერად. თქვენ იხილავთ ფორმას დანართში „ც“ და Redleaf Press-ის ვებგვერდზე www.redleafpress.org, ასევე ფორმას წინასასკოლო ჯგუფში გამოსაყენებლად, სადაც გამოყოფილია ადგილები „მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრისთვის.

მასწავლებლებს ამ ჩანაწერის გამოყენება შეუძლიათ იმისათვის, რათა აღნიშნონ ის სივრცეები, სადაც ბავშვი ატარებს მეტ დროს და ავლენს მეტ ჩართულობას. ბავშვის სახელის ინიციალების ჩაწერა, როცა ის ირჩევს იმ სივრცეს და რჩება იქ თხუთმეტიდან ოც წუთამდე ან უფრო დიდხანს, გვიჩვენებს მის არჩევანში არსებულ ტენდენციებს. რატომ არის ეს ინფორმაციული ან მნიშვნელოვანი? არსებობს სამი მიზეზი:

1. ბავშვები ხშირად ირჩევენ ისეთ რაღაცას, რაშიც ისინი კომპეტენტურები არიან, რაც ნიშნავს თავიანთი განვითარების ძლიერი მხარეების გამოვლენას.
2. ბავშვები ზოგჯერ ირჩევენ ისეთ რაღაცას, რის გაკეთებასაც ამჟამად სწავლობენ და სურთ რომ გამოსცადონ.
3. ბავშვები თავიდან იცილებენ ისეთ ადგილებს ან აქტივობებს, რომელშიც არ არიან კომპეტენტურები, რაც ნიშნავს თავიანთი განვითარების სუსტი მხარეების გამოვლენას.

ამ ჩანაწერში შეიძლება ასევე გაკეთდეს შენიშვნა იმის შესახებ, თუ რამდენჯერ უზრუნველყავით სწავლის ხელშეწყობა ან აღმოუჩინეთ ბავშვს დახმარება, როცა ის ცდილობდა რაღაცის გაკეთებას სათამაშო სივრცეში. ამ გზით თქვენ დააკვირდებით და ჩაიწერთ, თუ რის გაკეთება შეუძლია ბავშვს თქვენი დახმარებით.

თქვენი დაკვირვებების ჩაწერა

მასწავლებლები მუდმივად აკვირდებიან ბავშვებს თავიანთ ჯგუფში. თუმცა ყოველთვის არ იწერენ და არც დოკუმენტურად ასახავენ, რასაც აკვირდებიან. მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გადაიქცეს ჩვევად, იმ პატარა პრობლემის დასაძლევად, რომელიც უმეტესობა ჩვენგანს აქვს - ცუდი მეხსიერება!

ჯგუფში ყოფნისას, ვგრძნობ, რომ ჩემი გონება მუშაობს ვიდეო-კამერასავით მუდმივ რეჟიმში. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიწერ ყველაფერს, რასაც ვხედავ, ვიმახსოვრებ მას მენტალურად. და ის ხშირად მიბრუნდება მოგვიანებით დღის განმავლობაში, ღამით, ან სიზმრებში. ზოგჯერ ჩემი ვიდეო-კამერის მეხსიერება იწერს იმდენად ბევრ ინფორმაციას, რომ თავს ვგრძნობ გადავსებულად. ბევრი მასწავლებელი საუბრობს თავიანთი ბავშვების დაკვირვებაზე, მაგრამ არ არიან დარწმუნებულები, ზუსტად რას უნდა დააკვირდნენ. ისინი იმდენ რამეს ხედავენ, რომ იმისთვის, რომ მიხვდნენ რა არის მნიშვნელოვანი და დაგეგმონ რეაგირებები და ინტერვენციები კონკრეტული ბავშვის მიმართ, აუცილებლად უნდა გაფილტრონ შეგროვებული ინფორმაცია.

ჩანაწერი სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის შესახებ

(მისი გამოყენება შესაძლებელია ერთი ბავშვის არჩევანის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის ჩასაწერად)

ბავშვი(ები): _____ თარიღი: _____

ხელოვნება	კუბები	დრამატული თამაში
სამანიპულაციო ცენტრი	მეცნიერება/მათემატიკა	მუსიკა/მოძრაობა
ბიბლიოთეკა	სენსორული მაგიდა	წერის ცენტრი

ჩანაწერი სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის შესახებ

ჩანაწერი წინასასკოლო ჯგუფის ბავშვების არჩევანის შესახებ

(მისი გამოყენება შესაძლებელია ერთი ბავშვის არჩევანის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის ჩასაწერად)

ბავშვი(ები): _____ თარიღი: _____

მოსმენის ცენტრი	დრამატული თამაში	ჟურნალის წარმოების ცენტრი	ანბანის ცენტრი	ფლანელის დაფა და ჯიბაკებიანი ცხრილები
ჯგუფის ბიბლიოთეკა	წერის ცენტრი	კუბები	მათემატიკის აქტივობა	სენსორული მაგიდა

ხელოვნება	სამანიპულაციო ცენტრი	მეცნიერული ექსპერიმენტი	საინფორმაციო კითხვა	მათემატიკა და მეცნიერული ჟურნალის წარმოება

ჩანაწერი წინასასკოლო ასაკის ბავშვის არჩევანის შესახებ.

არ გირჩევთ მოცემულ ფორმებში ყველა დაკვირვების ჩაწერას. იქ არ არის საკმარისი ადგილი ამისთვის, განსაკუთრებით როცა შეიცავს ბავშვის ციტატებს და სხვა დეტალებს. იქ მოცემულია ადგილი თქვენი დაკვირვებების ფოკუსირებისთვის და არა მათი დოკუმენტირებისთვის. ბევრ მასწავლებელს ურჩევნია მოათავსოს თავისი საქაღალდე დაფა ჯგუფში წებოვანი ჩასანიშნი ფურცლებით, ფანქრებით და კალმებით. თამაშის დროს ბავშვებთან ურთიერთობისას მათ ადვილად შეუძლიათ აიღონ საქაღალდე დაფა და გააკეთონ მოკლე შენიშვნა იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ან ამბობენ ბავშვები. მათ შეუძლიათ ჩაწერონ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, როგორიცა „ჯერემი, კუბების ზონა.“ ეს იქნება შეხსენება, როცა ისინი გადახედავენ შენიშვნებს დღის ბოლოს. შემდეგ შეუძლიათ უფრო დეტალურად შეავსონ დოკუმენტაცია ჯერემის სიმეტრიული კონსტრუქციის და ფორმების ცნობის შესახებ კუბების აწყობის დროს.

ჯერემი - კუბების სივრცე 11/14

დღეს ჯერემიმ ოც წუთზე მეტი გაატარა კუბების სივრცეში ჯოსთან და თეოდორასთან ერთად. მათ ააშენეს კონსტრუქცია - სიმეტრიული კოშკი. ჯერემიმ დიდი სიფრთხილით დაალაგა კუბები, რათა არ ჩამოვარდნილიყო. ის აღნიშნავდა, როცა რაღაც არ ემთხვეოდა - „აქ ერთი მრგვალი კუბი გვჭირდება“, თან მიუთითებდა ცილინდრზე, „ერთი სამკუთხედი კი იქ.“

მეხსიერების ჯოგერში დამატებული ინფორმაცია

ფოტოები შეიძლება ასევე გახდეს მეხსიერების სტიმულატორი. ციფრული კამერა ასევე გამოდგება ბავშვების ქმედებების დოკუმენტირებისთვის. შემდეგ დღის ბოლოს (ან კვირის) შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ფოტოები, გადახედოთ მათ და გააკეთოთ უფრო დეტალური აღწერა იმისა, თუ რას აკეთებდნენ ბავშვები.



სურათი 8.1

ჯულიანა 1/17/12

დღეს ჯულიანამ აირჩია ემუშავა მაგნიტურ ასოებთან. მან დიდი დრო გაატარა მაგიდასთან, აწყობდა მათ მარცხნიდან მარჯვნივ. როცა დაასრულა, დამიძახა და მითხრა, „მის ბრუკ, მე დავალაგე ასოები ფერების მიხედვით.“ მე ვკითხე, შეეძლო თუ არა ფერების ცნობა და მან მიპასუხა, „მწვანე, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი, ლურჯი და ეს ასოები ვარდება.“ (ჩვენ სულ ახლახან წავიკითხეთ წიგნი „Chicka Chicka Boom Boom“.)

ფოტოზე დამატებული ინფორმაცია

ბავშვის ნამუშევრის ნიმუშები შესაძლებელია ასევე გამოდგეს მეხსიერების სტიმულატორებად. სკოლამდელი და წინასასკოლო ჯგუფის ბავშვები ქმნიან ნახაზებს, წერის და ხელოვნების ნიმუშებს, როგორიცაა ნახატები და კოლაჟები. თქვენ შეგიძლიათ დაგეგმოთ მათემატიკის აქტივობა, რომლის დროსაც ბავშვები ჩაწერენ, რა გააკეთეს მანიპულატივებით, როცა ითვლიდნენ ან მუშაობდნენ რაოდენობებთან. ფოტოზე მოცემულია წინასასკოლო ჯგუფში მცირე ჯგუფის აქტივობის მაგალითი. ბავშვებს სთხოვეს აეგოთ კონსტრუქციები პატარა ფერადი კუბებით. მასწავლებელმა ფოტო გადაუღო მათ მიერ აგებულ კონსტრუქციებს. შემდეგ ბავშვები ესაუბრნენ მასწავლებელს და აღუწერეს კუბების განლაგება. საბოლოოდ, მათ სთხოვეს დაეხატათ თავიანთი კუბების კონსტრუქცია. ყველაფერი ეს შეინახეს როგორც დოკუმენტაცია, რომელსაც შემდეგ დაურთავენ მიმოხილვით ან დაკვირვების შენიშვნას, რომელიც აღწერს, თუ რა გააკეთა და რა თქვა თითოეულმა ბავშვმა.

სურათი 8.2. ნამუშევრის ნიმუშზე დამატებული დეტალური ინფორმაცია

თქვენ ნახავთ, რომ არის დღეები, როცა თამაშის დრო ჯგუფში იმდენად კარგად მიედინება და ბავშვებიც ისე ღრმად არიან ჩაფლულები პროდუქტიულ თამაშში, რომ მათ არ სჭირდებათ თქვენგან იმდენი ხელშეწყობა, რამდენიც სხვა დროს. ეს არის ჩინებული სიგნალი და თქვენ უნდა ჩაიწეროთ ყველაფერი, რასაც ბავშვები აკეთებენ და ამბობენ. თქვენ ყოველთვის მზად იქნებით საჭიროების შემთხვევაში ბავშვების დასახმარებლად, მაგრამ ისარგებლებთ შემთხვევით, აიღებთ მომენტალურ პაუზას და კარგად გამოიყენებთ თქვენს დროს. აქ მოცემულია დაკვირვების მაგალითი, რომლის დოკუმენტირება მოახდინა მასწავლებელმა ბავშვების თამაშის დროს.

ლუსია, მარკო და რობერტი თამაშობენ „კემპინგს“. 4/05

ლუსია, მარკო და რობერტი სამზარეულოში თამაშობდნენ. ლუსიამ თქვა, „ჰეი, მოდით წავიდეთ კემპინგზე!“ ბიჭები დაეთანხმნენ და დაიწყეს ჭურჭლის ჩანთაში ჩალაგება. რობერტმა თქვა, „ცეცხლიუნდა დავანთოთ.“ ლუსიამ თქვა, „და ტენტი!“ მე შევთავაზე მათ გადაეფარებინათ მაგიდაზე გადასაფარებელი და აეღოთ გრძელი კუბები „ცეცხლის“ დასანთებად. „რას ამზადებ ცეცხლზე?“ შევეკითხე მე. მარკომ თქვა, „ზეფირი“. რობერტმა თქვა, „ოუ, შოკოლადით. და კრეკერებით.“ ლუსიამ დაასხა „ცხელი შოკოლადი“ ფინჯნებში, და სამი მათგანი დასხდა ცეცხლის გარშემო, შემდეგ შეძვრნენ ტენტში და დაიძინეს. მათი თამაში ოცდაათი წუთი გრძელდებოდა.

დაკვირვების შენიშვნა თამაშის დროს

მიაქციეთ ყურადღება, რომ მან დაამყარა ურთიერთობა ბავშვებთან, როცა აკვირდებოდა მათ და შეიტანა ეს ინფორმაცია თავის დოკუმენტაციაში. არაფერია ცუდი ბავშვებთან საუბარში, მათთვის შეკითხვების დასმასა და შემდეგ ამ ინფორმაციის გამოყენებაში შეფასების მიზნით. თქვენ ასევე შეგიძლიათ დოკუმენტურად ასახოთ ბავშვების სწავლის ხელშეწყობის და დახმარების გზები, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ მიმოხილვით ჩანაწერში.

სუზანა 2/24/12

სუზანამ იატაკზე ორმოცდახუთ ნაჭრიანი ფაზლით თამაში აირჩია. მან ამოიღო ფაზლები ყუთიდან და გაშალა იატაკზე. მე ვხედავდი, როგორ იღებდა სხვადასხვა ნაჭერს და უყურებდა მათ, შემდეგ დებდა მათ ისევ ძირს. მან ვერ ააწყო ვერცერთი მათგანი. შევთავაზე ყუთზე დახატული სურათისთვის შეეხედა და დაკვირვებოდა, რა ხდებოდა სურათის ქვედა მხარეს. ერთად ვიპოვეთ შესაბამისი ნაჭრები, რომელზეც გამოსახული იყო წყალი ლურჯი ფერით და ჰქონდა ბრტყელი ძირი. სუზანამ აღმოაჩინა რამდენიმე ნაჭერი, რომელიც დაწყვილდა და დაასრულა ძირის აწყობა. შემდეგ ვაჩვენე როგორ უნდა ეპოვა კუთხის ნაჭრები. ჩვენ ერთად მოვათავსეთ ისინი და დავიწყეთ გვერდითი და ზედა ნაჭრების ძებნა ბრტყელი გვერდებით. ჩვენ, ორი სხვა მეგობრის დახმარებით, დავასრულეთ ფაზლის აწყობა დაახლოებით ოც წუთში. ყველა ჩვენგანმა გაიხარა!

დაკვირვების შენიშვნა, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მხრიდან სწავლის ხელშეწყობას და დახმარებას

დღის სხვა პერიოდი დაკვირვებების ფოკუსირებისთვის

წრის დრო, ჭამის დრო და გარე აქტივობები კოლეგებისთვის ასევე სავსეა სასწავლო შესაძლებლობებით, რათა თავიანთი დაკვრივებები კონკრეტული აქტივობის სხვადასხვა ასპექტებზე მიმართონ. წრის დროს თუკი ერთი კოლეგა კითხულობს ისტორიას, მეორეს შეუძლია ჩაინიშნოს, თუ რომელი ბავშვები უგდებენ ყურს, რომელი მათგანი აღიქვამს წაკითხულს და აკეთებს პროგნოზებს და რომელს არა აქვს აღქმის უნარი. ჭამის დროს, სხვადასხვა მაგიდასთან ჯდომა საშუალებას აძლევს თითოეულ მასწავლებელს ურთიერთობა დაამყაროს სხვადასხვა ბავშვებთან. ლექსიკა შეიძლება მარტივად აღინიშნოს, როგორც კი მეგობრული საუბარი წარმოიქმნება ბავშვებსა და უფროსებს შორის. გარე აქტივობების დროს გუნდის ერთ წევრს შეუძლია დადგეს ყველაზე მაღალ ასასვლელ კონსტრუქციასთან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეორეს კი შეუძლია აქეთ-იქით იმოძრაოს („ტივტივა“) სათამაშო მოედანზე და დააკვირდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ორი მასწავლებლის დაკვირვებები განსხვავებული იქნება ფოკუსის თვალსაზრისით. ის, რომელიც ასასვლელ კონსტრუქციასთან იდგება, სავარაუდოდ უფრო აშკარად დაინახავს მოსალოდნელ რისკს (ან პირიქით) და პრობლემის გადაჭრის გზებს იმ დროს, როცა ბავშვები ელოდებიან საკუთარ რიგს სასრიალოზე ასასვლელად. „ტივტივამ“ შესაძლოა უკეთესად დაინახოს უხეში მოტორული უნარები, როგორიცაა სირბილი და ხტომა და მეტი შეიტყოს ბავშვების ინტერესების შესახებ ბუნების და ამინდის მიმართ (შეგახსენებთ, გარე აქტივობების დროს არ დაგავიწყდეთ თან წაიღოთ საქაღალდე დაფა, შენიშვნების წებოვანი ფურცლები და კალამი).

ანტონიო5/3/12
დღეს, გარე აქტივობების დროს ანტონიომ საინტერესო აზრი გამოთქვა კარუსელზე დასაჯდომად რიგის დაცვასთან დაკავშირებით. „მე ვიცი“, უთხრა მან ხუთ ბავშვს, რომლებიც ცდილობდნენ ოთხ ადგილზე დაჯდომას. „მე“ ვიქნები დამთვლელი - და დავითვლი ათამდე - როცა ვიტყვი „დავიწყეთ“, რომელიმე თქვენგანი უნდა ჩამოვიდეს და ჩემი ჯერი იქნება, რომ დავჯდე“. დანარჩენი ბავშვები დაეთანხმნენ და იკავებდნენ რიგს ამ წესის მიხედვით საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

დაკვირვების შენიშვნა გარე აქტივობის დროს

ამჩნევთ თუ არა, რომ ზემოთ აღწერილი დაკვირვების შენიშვნები არის ფაქტობრივი აღწერა იმისა, თუ რა გააკეთა ბავშვმა და/ან რა თქვა ბავშვმა? ისინი არ იძლევა არც შეფასებას და არც განსჯას. ნაცვლად ამისა, მასწავლებელი წერისას მუდმივად აკონტროლებს საკუთარ თავს, რომ დარწმუნდეს, რომ მისი სიტყვები მხოლოდ აღწერს ბავშვის ქმედებას ან უზრუნველყოფს ბავშვის გამოთქმების ციტირებას. შეფასების პროცესის ამ ნაწილში არ არის ადგილი ინტერპრეტაციისთვის ან მოსაზრების გამოსახატავად. ეს არის მტკიცებულებების ან დოკუმენტაციის კოლექცია, რომელიც მოგვიანებით გამოიყენება განსჯისა და შეფასებებისთვის ანგარიშების შეჯამების და ოჯახსა და მასწავლებელს შორის კონფერენციების დროს.

ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც მუშაობს თქვენთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია დაკვირვებების ჩაწერისას. დრო ყოველთვის არის გასათვალისწინებელი ფაქტორი სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის. მასწავლებლის ყურადღების და დახმარების მიმართ მოთხოვნა დიდია. შეიძლება დროის თვალსაზრისით რთული იყოს იპოვო ეფექტიანი გზები სრული დოკუმენტაციის შესაგროვებლად და თითოეული ბავშვის პროგრესის შესაფასებლად. და ისევ, ფოკუსირებულ დაკვირვებებში (Gronlund and James 2013) ნახავთ უამრავ სტრატეგიას შეფასების მიზნით დაკვირვებების დოკუმენტირებისათვის.

დროის მონაკვეთი, რომელიც შეიძლება დაუთმოთ დოკუმენტაციის განხილვას, არის დღის ბოლოს, ბავშვების წასვლის შემდეგ. მე მას ვუწოდებ - „აიღე ხუთი წუთი“. გამოყავით ხუთი წუთი იმისათვის, რათა დაჯდეთ სასწავლო გუნდთან ერთად და განიხილოთ განვლილი დღე. რა გააკეთეს ბავშვებმა ან რა თქვეს? აიღეთ ჯგუფის სია, რათა გაიხსენოთ ყველა ბავშვი (მაგრამ არ არის აუცილებელი დაწეროთ ყველა მათგანზე - თქვენ ხომ მხოლოდ ხუთი წუთი გაქვთ!). თქვენ ცდილობთ არ მოახდინოთ ფოკუსირება მხოლოდ ყველაზე მომთხოვნ ბავშვზე ან ვისაც ჰქონდა ყველაზე რთული დღე. ნაცვლად ამისა, ცდილობთ ყურადღება დაუთმოთ ყველაზე წყნარ და თავშეკავებულ ბავშვებს. როგორც გუნდმა, თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ რომელი წევრი ჩაიწერს თქვენს მიერ განხილულ თითოეულ დაკვირვებას. ხუთ წუთში, სავარაუდოდ, შეგიძლიათ განიხილოთ სამი დაკვირვება ან ესტუმროთ სამ მეხსიერების ჯოგერს (მოკლე შენიშვნები, ფოტოები ან ნამუშევრის ნიმუშები), რომელიც საჭიროებს მეტ დეტალურ ინფორმაციას.

ლორენი: კონცეფცია „გამოყავით ხუთი წუთი“, არის იდეა, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს გამონახონ დრო ჩანაწერების გასაკეთებლად რეფლექსიის გვერდზე მთელი კვირის განმავლობაში.“

აქ მოცემულია ასეთი განხილვის მაგალითი და შედეგად მიღებული დოკუმენტაცია.

ემბერი, ტაშა და პერი დღის ბოლოს თავიანთ წინასასკოლო ჯგუფის ოცდახუთ მოსწავლესთან ერთად შეიკრიბნენ. ემბერმა თქვა, „მოდით, ჯერ არ მივალაგოთ ოთახი და გავმართოთ ხუთწუთიანი განხილვა. ტაშა, მასწავლებლის თანაშემწე და პერი, სტუდენტი მასწავლებელიც შეუერთდნენ მას მაგიდასთან. ემბერმა იკითხა, „რა მოხდა დღეს ისეთი, რაც არ გვსურს რომ დაგვავიწყდეს? რაც დოკუმენტურად უნდა ავსახოთ? მოდით, ვიფიქროთ და გავიხსენოთ.“ პერიმ დაიწყო ლაპარაკი და უთხრა ემბერს: „დღეს, როცა მოთხრობას კითხულობდით, ჰელენი აკეთებდა სწორ პროგნოზებს. ის მართლაც სწორად აღიქვამდა წაკითხულს.“ „კარგია, პერი, თუ შეიძლება ჩაინიშნე ეს.“ ტაშამ თქვა, „ემბერ, თქვენ არ მითხარით, რომ რაიანმა რაღაც გააკეთა დღეს მათემატიკაში?“ „ო, დიახ. ეს მართლაც სასიამოვნო იყო. მან მითხრა, რომ სურს უკეთ ისწავლოს მათემატიკა და დაწერა ყველა განტოლება. სადღაც შევინახე ფურცელი. აი, აქ არის. მე ჩავიწერ ამ დაკვირვებას, თქვა ემბერმა. „და რას იტყვით ზოოპარკის მოწყობის შესახებ კუბების ზონაში? „ხომ არ იყო იქ ისეთი ვინმე, ვის შესახებაც არ გვაქვს შეგროვებული ბევრი დოკუმენტაცია?“ „დიახ, თქვენ მართალი ხართ,“ თქვა ტაშამ. „ეს იყო თეოდორა. მე ჩავინიშნავ, თუ როგორ გააკეთა მან ჟირაფის გალია, სურათიც კი გადავუღე. მან დიდხანს იმუშავა ამაზე კლეიტონთან ერთად. ალბათ კლეიტონის შესახებაც ჩავინიშნავ.“ სამმა მასწავლებელმა მოამზადა დოკუმენტაცია, შეავსეს ის და წავიდნენ თავიანთი ყოველდღიური სამუშაოს შესასრულებლად - ოთახის მისალაგებლად. მათი ყოველდღიური ხუთწუთიანი განხილვის შედეგად კვირის ბოლოსთვის მზად იყო დოკუმენტაცია თითოეული ბავშვის შესახებ (დოკუმენტაციის გარდა მათ გააკეთეს ჩანაწერები დღის განმავლობაშიც).

ჰელენი 1/25/12

დიდი ჯგუფების აქტივობის დროს ჩვენ წავიკითხეთ წიგნი “Mrs. Wishy Washy”. ჰელენი უსმენდა და პასუხობდა ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებს. „როგორ ფიქრობთ რა მოხდება?“ ჰელენმა თქვა, „ის ყველას აბანავებს. ისინი ისეთი ბინძურები არიან!“ როცა მართლაც მივედით ამ ადგილამდე, ჰელენმა წამოიძახა, „აი, ხომ ვთქვი. ახლა ისინი ყველანი სუფთები იქნებიან და ნაძლევს ვდებ, რომ შემდეგ კვლავ მოინდომებენ ტალახში ჩახტომას!“

დაკვირვების შენიშვნა ხუთწუთიანი განხილვიდან



ფოტო 8.3

რაიანი 1/25/12

ჩვენ ვთხოვეთ ბავშვებს ეფიქრათ იმის შესახებ, თუ რისი სწავლა სურდათ უკეთ. რაიანი მივიდა საწერ მაგიდასთან და დაახლოებით ოცი წუთი წერდა განტოლებებს. შემდეგ კი დაწერა შემდეგი წინადადება, „მე მსურს უკეთ ვისწავლო მათემატიკა“.

კიდევ ერთი დაკვირვების შენიშვნა ხუთწუთიანი განხილვიდან

თეოდორა 1/25/12

ჩვენს პროვოკაციაზე პასუხად კუბების სივრცეში ზოოპარკის აგებასთან დაკავშირებით. თეოდორმა და კლეიტონმა ერთად იმუშავეს და ააგეს „ჟირაფის გალია.“ ისინი საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა დასჭირდებოდათ. თეოდორმა თქვა, „ხეებიუნდა დავდგათ, რადგან ჟირაფები ჭამენ ფოთლებს.“ მან იპოვა გრძელი კუბები და შეკრა ერთად. „რა იქნება ფოთლები?“ იკითხა ხმამაღლა. შემდეგ იპოვა ორი ქაღალდის თეფში და დაადო თავზე. ბიჭებმა ერთად იპოვეს კუბები, რათა შემოეფარგლათ ტერიტორია. ისინი დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში მუშაობდნენ.

ორიდან ერთ-ერთი დაკვირვების შენიშვნა ხუთწუთიანი განხილვიდან

ფოტო 8.4

კლეიტონი 1/25/12

ჩვენს პროვოკაციაზე პასუხად კუბების ზონაში ზოოპარკის აგებასთან დაკავშირებით თეოდორმა და კლეიტონმა ერთად იმუშავეს და ააგეს „ჟირაფის გალია.“ ისინი საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა დასჭირდებოდათ. თეოდორმა დადგა ხეები, ჟირაფებისთვის, რომ ფოთლები შეეჭამათ. კლეიტონმა შენიშნა, რომ ჟირაფის გამოსახულება ვერ მიწვდებოდა ხეებს. „საჭიროა ჟირაფი დავაყენოთ კუბებზე, რათა მიწვდეს ხის წვერს.“ მან ერთმანეთზე დააწყო კუბები და მათზე მოათავსა ჟირაფი. ბიჭებმა ერთად იპოვეს კუბები, რათა შემოეფარგლათ ტერიტორია. ისინი მუშაობდნენ დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში.

ორიდან ერთ-ერთი დაკვირვების შენიშვნა ხუთწუთიანი განხილვიდან

რაში იყენებთ დოკუმენტაციას?

დაკვირვებების დოკუმენტირება აწვდის მასწავლებლებს მტკიცებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების დასკვნების მხარდაჭერას და ეხმარება მათ გაიხსენონ, თუ როდის რა გააკეთეს ბავშვებმა. მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დოკუმენტაცია, რათა უპასუხონ ისეთ შეკითხვებს, როგორიცაა:

- როგორ ამჟღავნებს ბავშვი იმას, რისი კეთება შეუძლია? რა მიღწევები აქვს მას?
- სად შეიმჩნევა კონკრეტული პროგრესი?
- რომელი სფეროს ან უნარების განვითარებაზე მუშაობს ის ან საჭიროებს შემდგომ მხარდაჭერას?

დოკუმენტაციის ორგანიზება სასარგებლოა პირველ რიგში თითოეული ბავშვისთვის. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ეს, როცა შეაგროვებთ დოკუმენტაციას თითოეული ბავშვის შესახებ, რათა უზრუნველყოთ, რომ მოპოვებული გაქვთ მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ბავშვის კომპეტენციას ყველა მიმართულებაში. ამის გაკეთების ერთი გზა არის პორტფოლიოს შეგროვების პროცესის შემოღება, რომელიც გულისხმობს წერილობით დაკვირვებებს, ნამუშევრების ნიმუშებს და ფოტოებს.

ჩვენს წიგნში, *„ფოკუსირებული პორტფოლიოები: ადრეული ასაკის ბავშვების სრული შეფასება“* (2001), ბევ ენჯელმა და მე ვაჩვენეთ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ფოკუსირებული დაკვირვებები ბავშვების ზრდის შესახებ და დაუკავშირდეს ეს დაკვირვებები განვითარების ეტაპებს. მისი წარმოდგენის შემდეგ ამ პორტფოლიოების ფორმა მიღებული და ადაპტირებული იქნა ადრეული ასაკის ბავშვთა ბევრი სხვადასხვა პროგრამის მიერ. მომდევნო გვერდზე თქვენ ნახავთ უკანასკნელ ადაპტაციას, რომელიც ეფუძნება ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც ამჟამად იყენებენ სხვადასხვა პროგრამები ნიუ მექსიკოში. გთავაზობთ გამოცადოთ პორტფოლიოს ეს კოლექცია და მოახდინოთ მისი ადაპტირება იმგვარად, რომ პროცესმა იმუშაოს თქვენთვის (თქვენ იხილავთ ამ ფორმას დანართში „ც“ და ასევე RedleafPress-ის ვებგვერდზე www.redleafpress.org).

თქვენ ნახავთ, რომ პორტფოლიოს შეგროვების ეს ფორმა მასწავლებლის დაკვირვებების სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან ან ძირითად ეტაპებთან დასაკავშირებლად შემუშავდა. აზრი ასეთია, მასწავლებელი იწერს ბავშვების მოქმედების დროს მომხდარ მოვლენებს/ამბებს, თან ურთავს ფოტოებს და/ან ნამუშევრების ნიმუშებს საჭიროებისამებრ. ის წერს ამ შენიშვნებს წებოვან ფურცლებზე, სააღრიცხვო ბარათებზე ან საფოსტო ეტიკეტებზე და შემდეგ თან ურთავს მათ პორტფოლიოს შეგროვების ფორმას (ზოგიერთი მასწავლებელი წერს შენიშვნებს ან ბეჭდავს მათ ფორმებში. ეს მოითხოვს დამატებით დროს და ძალისხმევას და არ არის რეკომენდებული. ნაცვლად ამისა, შეეცადეთ დაწეროთ აკურატულად პირველივე ჯერზე, რათა თავიდან აიცილოთ ზედმეტი დავალება).

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა		
ბავშვის სახელი: _____ თარიღი: _____ დამკვირვებელი: _____ განვითარების სფერო(ები): _____ ამ დოკუმენტაციაში დემონსტრირებული სასწავლო მიზანი(ები):_____		
მონიშნეთ ის უჯრა, რომელიც მიესადაგება ამ დაკვირვების კონტექსტს:		
□ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა □ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა □ ახალი დავალება ბავშვისთვის □ ნაცნობი დავალება ბავშვისთვის	□ გააკეთა დამოუკიდებლად □ გააკეთა უფროსის მითითებით □ გააკეთა წყვილში	□ დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5 წუთზე მეტი)
მიმოხილვითი შენიშვნა: აღწერეთ რას აკეთებდა და/ან ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში საჭიროების შემთხვევაში).		

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა შეიცავს ბავშვის და დამკვირვებლის სახელს და დაკვირვების თარიღს. მოქმედებაში მყოფი ბავშვის ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში, რომელიც ბავშვმა გააკეთა, შესაძლოა თან ახლდეს მოკლე მიმოხილვას. ეს მოკლე მიმოხილვა შესაძლოა ცალკეც იყოს, როგორც ბავშვის მუშაობის დამადასტურებელი საბუთი. შემდეგ შეგაქვთ დამატებითი ინფორმაცია პორტფოლიოს შეგროვების ფორმაში - ინფორმაციის, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, განვითარების ან სწავლის შესახებ რომელი ინფორმაციაა მასწავლებლის აზრით მნიშვნელოვანი ამ დაკვირვების დროს. მაგალითად, მოკლე მიმოხილვა, რომელიც შეიცავს ბავშვის პირდაპირ ციტირებას, შესაძლოა ჩაითვალოს ბავშვის მზარდი ენობრივი შესაძლებლობების მტკიცებულებად. შემდეგ მასწავლებელი აღნიშნავს პორტფოლიოს შეგროვების ფორმაში ბავშვის კონკრეტული ენის ცოდნას, რომლის დემონსტრირებასაც ახდენს ეს დაკვირვება. ის ასევე აღნიშნავს რომელი დამატებითი სასწავლო მიზნები, სტანდარტები ან ძირითადი ეტაპები ჩართო დაკვირვებაში. ბავშვები იშვიათად ავლენენ მხოლოდ ერთ უნარს ან მიზანს ერთ ჯერზე. ნაცვლად ამისა, ისინი ინტეგრირებას ახდენენ და იყენებენ ყველაფერს, რაც იციან და შეუძლიათ, რომ გააკეთონ კონკრეტულ სიტუაციაში. ბევრად უფრო სასარგებლოა მდიდარი დოკუმენტაციის შეგროვება ბავშვის შესახებ, ვიდრე შეზღუდულისა მხოლოდ ერთი მიზნით ან ეტაპით. მომდევნო გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ, თუ როგორ გამოავლინა აკილამ ბევრი სასწავლო მიზანი პლასტელინებით მუშაობისას.

პროგრამას შეუძლია გამოიყენოს დაკვირვებითი შეფასების ნებისმიერი ინსტრუმენტი და მაინც მოახერხოს დაკვირვებების დოკუმენტურად ასახვა პორტფოლიოს შეგროვების ამ ფორმაში. სასწავლო მიზნები ან სტანდარტები, რომელსაც მასწავლებელი მიმართავს როგორც თავის გეგმებში, ისე თავისი პორტფოლიოს

შეგროვების ფორმებში, ჰაერიდან არ მოდის. პირიქით, ის მიმართავს ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლების ან წინასასკოლო განათლების სახელმწიფო სტანდარტებს (ან ეროვნულ საერთო ძირითად სტანდარტებს წინასასკოლო დაწესებულებებისთვის). წყარო, როგორიცაა მიზნის დაწესება და შეფასების მიზნები, შესაძლოა ადვილად იქნას ინტეგრირებული დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმებში და ასევე გამოყენებული იქნას პორტფოლიოს შეგროვების ფორმებში. ან მასწავლებელი შესაძლოა მიუბრუნდეს ნაცნობ განვითარების საკონტროლო ფურცლებს, როგორიცაა ადრეული სწავლის სკალა (Early learning scale), კრეატიული კურიკულუმის განვითარების კონტინუუმი, High/Scope ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერი, ან ნამუშევრის ნიმუშის სისტემა. ეს კარგად არის ცნობილი და ასახავს საუკეთესო მიდგომას ბავშვის განვითარების შესახებ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროდან.

იმის მიუხედავად, იყენებთ თუ არა ამ წიგნში მოცემულ პორტფოლიოს შეგროვების ფორმას, თქვენ მოგიწევთ დაკვირვებების შესახებ დოკუმენტაციის ორგანიზება, რომელიც შეავსეთ თითოეული ბავშვის შესახებ და ასევე მოგიწევთ გადაინაცვლოთ რეფლექსიისა და შეფასების პროცესზე, რათა შეაფასოთ თითოეული ბავშვის ზრდა და სწავლა. ეს არის მტკიცებულებების კოლექცია, რომელსაც გამოიყენებთ განსჯისა და შეფასებისთვის შემაჯამებელ ანგარიშებში. ამ მტკიცებულებას აჩვენებთ ოჯახის წევრებს ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენციაზე. მართლაც, ოჯახებს ხშირად სურთ წაიღონ ბავშვის პორტფოლიო, რადგან ის აძლევს მათ მდიდარ, ინფორმაციულ დოკუმენტაციას იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ბავშვი საბავშვო ბაღში. მასწავლებლები აძლევენ მათ პორტფოლიოს სასწავლო წლის ბოლოს და აღნიშნავენ, რომ ეს არის უაღრესად ღირებული საჩუქარი.

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: აკილა თარიღი: 10/14/11 დამკვირვებელი: მარგარეტი

განვითარების სფერო (ები): ნატიფი მოტორული უნარების განვითარება, ენა, წიგნიერება, სოციალური/ემოციური

ამ დოკუმენტაციაში დემონსტრირებული სასწავლო მიზანი(ები): ხელისა და თვალის კოორდინაცია, ინსტრუმენტების გამოყენება, საუბარი, ასოების ცნობა, სხვა ბავშებთან ერთად თამაში

მონიშნეთ ის უჯრა, რომელიც მიესადაგება ამ დაკვირვების კონტექსტს:

✓ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა □ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა □ ახალი დავალება ბავშვისთვის ✓ ნაცნობი დავალება ბავშვისთვის	✓ გააკეთა დამოუკიდებლად □ გააკეთა უფროსის მითითებით ✓ გააკეთა წყვილში	□ დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე) ✓ დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5 წუთზე მეტი)

მიმოხილვითი შენიშვნა: აღწერეთ რას აკეთებდა და/ან ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში საჭიროების შემთხვევაში).

დღეს აკილამ პლასტელინების მაგიდასთან მუშაობა აირჩია. მან დაიწყო პლასტელინების დამრგვალება გასაბრტყელებლით, დაჭრა და დაანაწევრა ისინი მაკრატლით და დააწვა ხელებით. თამარა შეუერთდა და თან საუბრობდნენ და თან ამრგვალებდნენ და ჭრიდნენ. აკილამ ჰკითხა,"სად არის ანბანის ასოების ფორმის ორცხობილის ფორმები?" მე დავეხმარე მას ფორმების თაროდან ჩამოღებაში, და მან თქვა, „აი, თამარა. შენ იპოვე შენი ასოები და მე ვიპოვი ჩემსას." ორმა გოგომ ერთად იპოვა თავისი სახელების ასოები, ჩადეს მათში პლასტელინი და გააკეთეს ასოები.

აკილას პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

გირჩევთ გააკეთოთ მტკიცებულებების კოლექცია თითოეული ბავშვისთვის, რომელიც შეიცავს მინიმუმ ქვემოთ მოცემულს:

- შესაძლოა გსურდეთ გქონდეთ პორტფოლიოს შეგროვების ერთი ფორმა, სადაც მოცემული იქნება პირველადი დაკვირვება თითოეულ მიმართულებასთან დაკავშირებით. თუკი იყენებთ იმ სიას, რომელსაც მე ვიყენებდი ამ წიგნში, მიიღებთ რვა ფორმას (ენის ხელოვნება, მათემატიკა, მეცნიერება, სოციალური მეცნიერება, სოციალური/ემოციური, სწავლის მიმართ მიდგომები, ნატიფი და უხეში მოტორიკის განვითარება).
- ან შესაძლოა აირჩიოთ სხვადასხვა დაკვირვებები (ვთქვათ, მინიმუმ ოთხი ან ხუთი), რომელიც დოკუმენტურად ასახავს რამდენიმე მიმართულებას და სასწავლო მიზნებს ყველა სფეროს განსახილველად.
- არ არის აუცილებელი, რომ პორტფოლიოს შეგროვების ყველა ფორმას დაერთოს ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში, მაგრამ აუცილებელია ფაქტობრივი აღწერა იმისა, თუ რა გააკეთა ან რა თქვა ბავშვმა. მშობლებს უყვართ ფოტოები, ამიტომ რამდენიმე მათგანი გააუმჯობესებს

პორტფოლიოს. ბავშვებს კი საინტერესო და ინფორმაციული ნამუშევრები აქვთ. ასე რომ მოიფიქრეთ, სად დაურთავთ მათ.

თქვენი დოკუმენტაციის გამოყენება რეფლექსიისთვის და ოჯახებთან უკუკავშირისთვის

რეფლექსიის პროცესში ჩართვისას გამოიყენებთ თქვენს დაკვირვების შენიშვნებს და პორტფოლიოს შეგროვების ფორმებს. როცა მოცემულ ფორმაში შესულია რეფლექსია, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა გადახედონ დაკვირვებებს და კოორდინაცია გაუწიონ დაგეგმვას, მუდმივად შეაფასონ, რამდენად უწყობს ხელს კურიკულუმის აქტივობები თითოეული ბავშვის ზრდას და განვითარებას. მთელი ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია შეფასების პროცესისთვის. მასწავლებლები დაინახავენ მათ მიერ ოთახის მოწყობასა და აქტივობის დაგეგმვას და ბავშვების მიერ მიღწეულ პროგრესს შორის კავშირებს. პორტფოლიოები იქნება ამ პროგრესის მტკიცებულება.

ქვემოთ მოცემულია ორი მასწავლებლის რეფლექსიები კვირის განმავლობაში თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით. მომდევნო გვერდზე მოცემულია ორი პორტფოლიო, რომელიც მათ დაწერეს, რათა დოკუმენტურად აესახათ ეს რეფლექსიები და დაკვირვებები.

რა იყო წარმატებული? რა არა? რა ისწავლეთ თითოეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?

ბავშვებმა შეცვალეს დრამატული თამაში, მათ აღარ სურდათ საავადმყოფოს იმიტირება - მათ თავისით აალაგეს სამედიცინო აღჭურვილობა და სახლობანას თამაში განაახლეს.

ბავშვები ჯერ კიდევ დაინტერესებულები არიან მწერებით და ობობებით. რეზინის ჭიები და ქოთნის ნიადაგი იყო ჰიტი! ჩვენი მწერების კოლექცია იზრდება, მაგრამ მეტი გამადიდებელი შუშა გვჭირდება გარეთ მწერებზე დასაკვირვებლად. ჯგუფური მუშაობის დროს ბავშვებმა გვთხოვეს რამდენჯერმე წაგვეკითხა მათთვის „Hungry Caterpillar“ და „Gorucy Ladybug“ - და ისინი წყნარად ისხდნენ ამ ისტორიების ორჯერ წაკითხვისას.
როზმარი იჯდა ჯესისთან წერის ცენტრში და ეხმარებოდა მას.
სხვა ბავშვებმა შეაქეს ჯესი და დაუწერეს მას წერილები.
ჯოანამ დაითვალა 100-მდე.

ანას და როზმარის რეფლექსიები და გეგმები

მე-5 თავში მე წარმოვადგინე ინდივიდუალური ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი, როგორც თითოეული ბავშვის შესახებ ინფორმაციის ჩაწერის და ამ ინფორმაციის განახლების საშუალება, როცა მას უკეთ გაიცნობთ. პორტფოლიოს ინფორმაციასთან ერთად ინდივიდუალური ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერი გაძლევთ სახელმძღვანელო

მითითებებს შემაჯამებელი ანგარიშის დასაწერად ბავშვის პროგრესის შესახებ და ასევე მომდევნო ნაბიჯებისთვის, რომელიც დაგეგმილია კონკრეტული ბავშვის განვითარების სტიმულირების და გაუმჯობესების მიზნით. ის შეიძლება შეიტანოთ ოჯახისთვის მომზადებულ საკონფერენციო პრეზენტაციაში. ინდივიდუალური ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერის გადახედვა ოჯახსა და მასწავლებელს შორის კონფერენციამდე საშუალებას აძლევს მასწავლებელს წაიკითხოს ოჯახის კომენტარები წლის დასაწყისში და შეადაროს, თუ რა შეიტყო ბავშვის შესახებ რამდენიმე თვის განმავლობაში. მას შეუძლია დაადასტუროს, რაც მშობლებმა უთხრეს მას და დაამატოს ინფორმაცია.

შემდეგ ის ამზადებს ოჯახებთან კონფერენციას, იყენებს პორტფოლიოს ელემენტებს და საინფორმაციო ჩანაწერს, რათა დაწეროს ანგარიში, რომელიც შეაჯამებს ბავშვის შესაძლებლობებს, ძლიერ მხარეებს და სისუსტეებს ან პრობლემებს. მასწავლებელი არ აკეთებს აქცენტს ნეგატიურ მხარეზე, როცა ანგარიშს აბარებს მშობლებს. ნაცვლად ამისა, უკეთესია აქცენტის გაკეთება პოზიტიურ მხარეებზე და მშობლებთან ერთად მიზნების განსაზღვრა, რომელიც დაეხმარება ბავშვს გამოწვევებთან გამკლავებაში და პროგრესის მიღწევაში იმ სფეროებში, რომელიც უფრო რთულია მისთვის. მშობლების უმეტესობა ოჯახისა და მასწავლებლის კონფერენციაზე მიდის ერთი მთავარი კითხვით: „როგორ სწავლობს ჩემი შვილი?“ ისინი ხშირად ამატებენ სიტყვებს, „სხვა ბავშვებთან შედარებით.“ როგორც მასწავლებლებმა, ჩვენ ვიცით, რომ ბავშვების ერთმანეთთან შედარება ყოველთვის არ არის გამართლებული. თუმცა რადგან ვიყენებთ კარგად ჩამოყალიბებულ სასწავლო მიზნებს ან სტანდარტებს, როგორც ჩვენი კურიკულუმის და შეფასების პროცესის საფუძველს, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ, „ნება მომეცით გითხრათ, როგორი მიღწევები აქვს თქვენს შვილს გონივრული მოლოდინების გათვალისწინებით. მე მაქვს დოკუმენტაცია, სადაც ნაჩვენებია, თუ რას სწავლობს თქვენი შვილი კარგად და რის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ მასთან ერთად.“ შემდეგ თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ მშობლებს გადახედონ თქვენს მიერ მომზადებული პორტფოლიოს შინაარსს და ინდივიდუალური ბავშვის საინფორმაციო ჩანაწერს და მოგაწოდონ თავიანთი მოსაზრებები მიზნების განსაზღვრისთვის და თავიანთი შვილის შემდგომი წინსვლის ხელშესაწყობად.

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: ჯესი თარიღი: 4/30/11 დამკვირვებელი: ანა და როზმარი

განვითარების სფერო (ები): ნატიფი მოტორული უნარების განვითარება და წიგნიერება

ამ დოკუმენტაციაში დემონსტრირებული სასწავლო მიზანი(ები): წერის ინსტრუმენტების გამოყენება, ბეჭდური ტექსტის იდენტიფიკაცია და გაგება, ასოების ცნობა.

მონიშნეთ ის უჯრა, რომელიც მიესადაგება ამ დაკვირვების კონტექსტს:

□ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა ✓ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა ✓ ახალი დავალება ბავშვისთვის □ ნაცნობი დავალება ბავშვისთვის	□ გააკეთა დამოუკიდებლად ✓ გააკეთა უფროსის მითითებით □ გააკეთა წყვილში	□ დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე) ✓ დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5 წუთზე მეტი)

მიმოხილვითი შენიშვნა: აღწერეთ რას აკეთებდა და/ან ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში საჭიროების შემთხვევაში).

როზმარიმ ჯესის შესთავაზა წერის ცენტრში მასთან ერთად მისულიყო ორ სხვადასხვა დღეს ამ კვირაში. მან ადვილად იპოვა თავისი პირადი ბარათი. როზმარი დაეხმარა მას მოეძებნა ასოები თავის ბარათზე როგორც თითით, ისე მსხვილი ფანქრით. თავდაპირველად მან ფანქარი მუშტში დაიჭირა. როზმარიმ შეუსწორა და წერის მანერა ბევრად უფრო გაუმჯობესდა. მან ფართოდ გაიღიმა და უჩვენა ყველას ოთახში, როგორ დაწერა თავისი სახელი!

პორტფოლიოს დოკუმენტაცია ჯესის შესახებ

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: ჯოანა თარიღი: 4/30/11 დამკვირვებელი: როზმარი

განვითარების სფერო (ები): მათემატიკა

ამ დოკუმენტაციაში დემონსტრირებული სასწავლო მიზანი(ები): დათვლა და რაოდენობები

მონიშნეთ ის უჯრა, რომელიც მიესადაგება ამ დაკვირვების კონტექსტს:

□ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა ✓ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა ✓ ახალი დავალება ბავშვისთვის □ ნაცნობი დავალება ბავშვისთვის	✓ გააკეთა დამოუკიდებლად □ გააკეთა უფროსის მითითებით □ გააკეთა წყვილში	□ დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე) ✓ დახარჯული დრო (5 წუთზე მეტი)

მიმოხილვითი შენიშვნა: აღწერეთ რას აკეთებდა და/ან ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში საჭიროების შემთხვევაში).

ბავშვებისთვის ამ კვირას შეთავაზებული დავალება: „რამდენი მწერი (რეზინის) შეგიძლია დაითვალო?“ ჯოანამ გამოიღო ასის ჩათვლით რიცხვების პოსტერის დაფა და ფრთხილად მოათავსა ერთი მწერი თითოეულ რიცხვზე, ითვლიდა ხმამაღლა, სანამ 100-ს არ მიაღწია. ის სწორად ასახელებდა რიცხვებს. ჩვენ მანამდე გაგვიგონია, რომ ასე ხმამაღლა დაეთვალა.

პორტფოლიოს დოკუმენტაცია ჯოანას შესახებ

მშობლების უმეტესობას სურს რაიმე სახის წერილობითი ანგარიშის სახლში წაღება. მათ სჭირდებათ რაღაც, რათა ხშირად გადახედონ და დაიმახსოვრონ მასწავლებლის მიერ დასმული მთავარი საკითხები და გაიაზრონ, თუ რას აკეთებს მათი ბავშვი. ნაცვლად იმისა, რომ მშობლებს მისცენ ანგარიში ბავშვის მიღწევების შესახებ, სადაც მოცემულია შეფასებები, პლუსები და მინუსები, ან რაიმე სახის საკონტროლო ფურცლები, ადრეული ასაკის ბავშვთა ხარისხიანმა პედაგოგებმა დაადგინეს, რომ ოჯახისა და მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში უფრო სასარგებლოა. თხრობითი აღწერა მიმართულებების მიხედვით ეხმარება მშობლებს არ შეადარონ თავიანთი ბავშვები სხვებს და უფრო ნათლად დაინახონ თავიანთი შვილის მიღწევები და გაიხარონ ამით. მომდევნო გვერდებზე მოცემულია მოდელი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სასწავლო მიზნებისთვის, სტანდარტებისთვის ან ძირითადი ეტაპებისთვის, რომელსაც იყენებთ თქვენს პროგრამაში. თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ მოახდინოთ მისი ადაპტირება თქვენი საჭიროებების მიხედვით, რათა წარმატებული ურთიერთობა დაამყაროთ ოჯახებთან თქვენი პროგრამის ფარგლებში.

რას წერს მასწავლებელი ამ ანგარიშში? ის წერს მოკლე აღწერას, შეეხება კონკრეტულად სასწავლო მიზნებს ან სტანდარტებს, რომელსაც დოკუმენტურად ასახავს თავის დაკვირვებებში. ძირითადად სხვადასხვა კატეგორიებად ყოფს მიზნებს იმის მიხედვით, რომელ მიაღწია ბავშვმა, რომელში აჩვენა პროგრესი და რომლის მიღწევაზეც მასწავლებლები ჯერ კიდევ მუშაობენ მასთან ერთად. უკანასკნელი კატეგორიაა, სადაც ვლინდება სისუსტეები ან სირთულეები. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ როგორ პოზიტიურად არის წარმოდგენილი ეს ინფორმაცია ოჯახებისთვის ამ ფორმაში. აქცენტი იმაზე კი არ კეთდება, რომ ბავშვმა ამ მიზნების მისაღწევად იმუშაოს, არამედ კეთდება მასწავლებლის გეგმებზე, როგორ დაეხმაროს მას ამ მიზნების მიღწევაში. აქ კი გეძლევათ საოცარი შესაძლებლობა შესთავაზოთ მშობლებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, თუ როგორ იმუშაონ ბავშვებთან სახლში ამ მიმართულებით. ახლა ნამდვილი პარტნიორული ურთიერთობა მასწავლებლებსა და ოჯახის წევრებს შორის მიღწეულია. მომდევნო გვერდებზე მოცემულია ოჯახისა და მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიშის მაგალითი ალბერტოსთან დაკავშირებით, რომელსაც შეგიძლიათ გადახედოთ.

ლაურა: „ოჯახის შემაჯამებელი ანგარიშის ფორმა დიდი წარმატებაა. მასწავლებლები ამბობენ, რომ ოჯახებს მოსწონთ ეს ფორმა. მასში მოცემულია ბავშვის ძლიერი მხარეები და აქვს პოზიტიური ტონი იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებს ბავშვი კარგად.“

როცა პროგრამები უზრუნველყოფს ანგარიშის კომბინირებას პორტფოლიოს კოლექციასთან, ისინი ინახავენ ანგარიშის ასლებს თავიანთ ფაილებში და თან ატანენ ანგარიშის დედანს და პორტფოლიოს ოჯახებს. ამგვარად, ინფორმაცია ბავშვის პროგრესის შესახებ გააზრებულად მიეწოდება მშობლებს.

ოჯახის და მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში

ბავშვის სახელი: _____ თარიღი: _____

მასწავლებელი: _____ პროგრამა: _____

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	

ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	

ოჯახის / მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში

ბავშვის სახელი: ალბერტო თარიღი: 2011 წლის 15 ნოემბერი

მასწავლებელი: მის ჰერნანდესი და ქ-ნი ბლიტი პროგრამა: სკოლამდელი დაწესებულება

სფერო: ენა და წიგნიერება	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო საუბრობს ჩვენთან და სხვა ბავშვებთან როგორც ინგლისურად, ისე ესპანურადაც. ის გამოხატავს თავის საჭიროებებს, უსმენს სხვებს და ასრულებს ორსაფეხურიან მითითებებს. ის იწყებს თავისი სახელის ცნობას და გამოხატავს ინტერესს წიგნების მიმართ. იხილეთ ალბერტოს ნაწერის ნიმუში მის პორტფოლიოში.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	დახმარების შედეგად ალბერტო უფრო მეტად დაინტერესდა წერით, ასო-ბგერების ცნობით და რითმული სიტყვების აღქმით.
სფერო: მათემატიკა	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო ითვლის ხუთამდე და მიუთითებს თითოეულ მათგანზე. ის აწყობს კუბებს და ცნობს ფორმებს. იხილეთ მისი მათემატიკის ნამუშევარი.

ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	ათამდე დათვლა, ვმუშაობთ გაზომვის დავალებების შესრულებაზე და მათემატიკური პრობლემების მოგვარებაზე.
სფერო: მეცნიერება	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო ძალიან დაინტერესებულია გამადიდებელი შუშებით და სასწორით. ის ხშირად ირჩევს თამაშს სენსორულ მაგიდასთან - განსაკუთრებით, როცა გვაქვს წყლის მილაკები და წყლის ბორბლები. ის ახორციელებს დაკვირვებებს, როცა ვესაუბრებით თამაშის დროს. იხილეთ მისი მეცნიერული ნამუშევრის ნიმუში.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	აღწერა და პროგნოზირება, როცა ის მუშაობს სხვადასხვა მასალებთან და იყენებს სამეცნიერო ინსტრუმენტებს.
სფერო: სოციალური მეცნიერება	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო გახდა ჩვენი ჯგუფის სასარგებლო წევრი. ის ხშირად არის ხოლმე მოხალისე საოჯახო საქმეების დროს და ეხმარება სხვებს მილაგებაში. ის ასახიერებს სხვადასხვა როლს დრამატული თამაშის დროს, ხშირად არის პოლიციელი ან მეხანძრე.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	ხელს ვუწყობთ ალბერტოს იზრუნოს სხვებზე და ჩვენს ჯგუფზეი
სფერო: სოციალური/ემოციური	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო სწავლობს თავისი გრძნობების გამოხატვას, სხვა ბავშვებთან ერთად თამაშს და თავისი რიგის დალოდებას ყოველდღიური საქმიანობების შესრულებისას.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	ვეხმარებით ალბერტოს მოაგვაროს კონფლიქტები სხვა ბავშვებთან და გამოხატოს თავისი გრძნობები შესაბამისად.
სფერო: სწავლისადმი მიდგომა	
ზრდა და მიღწევები	ალბერტოს მართლაც შეუძლია თავისი ყურადღების ფოკუსირება, როცა რაღაც აინტერესებს. ის მუშაობს სენსორულ მაგიდასთან ან კუბების სივრცეში მთელი თამაშის განმავლობაში, აქტივობებში ნაყოფიერად ერთვება. ის ავლენს ცნობისმოყვარეობას და სიახლეების მიმართ ინტერესს.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	მეტი რაღაცის პოვნა, რაც ალბერტოს დააინტერესებს და დაეხმარება მას განივითაროს თვითრეგულირების უნარი მუშაობის და თამაშის დროს.
სფერო: ნატიფი და უხეში მოტორიკის განვითარება	
ზრდა და მიღწევები	ალბერტო დარბის, ხტუნაობს და ადვილად ცოცავს გარე აქტივობების დროს, იცავს წონასწორობას და კოორდინაციას. ის მუშაობს ფანქრის სწორად დაჭერაზე

	და სწავლობს მაკრატლის გამოყენებას.
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	ფანქრის დაჭერა და მაკრატლის გამოყენება.

ოჯახისა და მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში ალბერტოს შესახებ

დასკვნა

დაკვირვება და დოკუმენტაციის მომზადება ნებისმიერი ჯგუფის სამუშაო დღის რეგულარული ნაწილია და იმის განსაზღვრა, სასწავლო გუნდის რომელი წევრი რომელ ბავშვზე მოახდენს თავისი დაკვირვებების ფოკუსირებას, ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვების შეფასებების გასაკეთებლად. დაკვირვებების ფოკუსირება, ფაქტობრივი და აღწერითი შემთხვევების ჩაწერა და განვითარების სტანდარტებზე რამდენიმე მითითების გამოყენება, კარგად შეესატყვისება დაგეგმვას და რეფლექსიის პროცესს მართლაც ინდივიდუალიზებული კურიკულუმისთვის.

მომდევნო და უკანასკნელ თავში ხელმეორედ დავუბრუნდები დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლს და გადავხედავ შედეგებს, როცა რომელიმე მნიშვნელოვანი ელემენტი გამოტოვებულია.

თავი 9
დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის ციკლი

ამ წიგნში ჩვენ განვიხილეთ სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვების კურიკულუმის ყოვლისმომცველი ერთიანი ხედვა. წარმოვადგინეთ სასწავლო პროცესის განმავლობაში განსახორციელებელი ის ნაბიჯები, რომლებიც დაკავშირებულია ასაკის შესაბამის სასწავლო მიზნებთან და მოიცავს ექვს ელემენტს ეფექტიანი განხორციელებისთვის. აქ გთავაზობთ დიაგრამას, რომელზეც ნაჩვენებია ჩვენს მიერ წინა თავებში სიღრმისეულად განხილული ყველა ასპექტი.

კურიკულუმის პროცესის ელემენტები



როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა ნაბიჯი და ელემენტი პროცესის განმავლობაში მუშაობს ერთად, რათა შექმნას წარმატებული პრაქტიკა სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების სწავლებისთვის. როგორ ხვდება მასწავლებელი როდის ხორციელდება ეს კურიკულუმი წარმატებულად? რას ამჩნევს ის, როცა რომელიმე ელემენტი გამოტოვებულია? ამ თავში ჩვენ ვხედავთ წარმატებული განხორციელების ნიშნებს, ისევე როგორც იმის ნიშნებს, რომ რომელიღაც ელემენტი გამოტოვებულია ან საჭიროებს მეტ ყურადღებას.

სუზანი: „პროცესის ვერცერთი ელემენტი ვერ იქნება წარმატებული თავისით. ისინი ერთმანეთზეა დაფუძნებული.“ ფრთხილი დაკვირვების და რეფლექსიის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ხარისხიან დაგეგმვას. შეფასების გარეშე ციკლის ფარგლებში, ჩვენ ვერ შევძლებთ წინსვლას გარკვეული და ლოგიკური მიმართულებით.“

წარმატებული განხორციელება

პირველ რიგში, მოდით, განვიხილოთ რას ნიშნავს წარმატებული განხორციელება. სკოლამდელი და წინასასკოლო ჯგუფები ბედნიერი ადგილები უნდა იყოს. ბავშვებს უნდათ იქ ყოფნა. მათ სურთ საბავშვო ბაღში წასვლა და მოუთმენლად ელიან ნახონ, რა დაგეგმეს მასწავლებლებმა მათთვის. ხანმოკლე დროის შემდეგ ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს ოჯახის წევრებისგან მოშორებით და ჯგუფში ყოფნისას. მათ იციან ყოველდღიური საქმიანობები და ენდობიან ყოველდღიური გრაფიკის თანმიმდევრობას. ისინი ასევე ენდობიან თავიანთ მასწავლებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათთვის უსაფრთხო და მხარდამჭერ ატმოსფეროს. ისინი სიამოვნებას იღებენ სწავლის დროს, რადგან ეძლევათ უამრავი შესაძლებლობა, გაერკვნენ ბევრ რამეში, ისწავლონ თამაშის გზით და მიიღონ ისეთი გამოწვევები, რომელიც ზუსტად შეეფერებათ.

ლორენი: „კურიკულუმის ექვსი ელემენტის განხილვისას აღმოვაჩინე, რომ ყველა ეს საჭიროება წარმოდგენილია სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების წარმატებული პროგრამის უზრუნველსაყოფად. მე ასევე აღმოვაჩინე, რომ თუკი ერთ-ერთი ამ ელემენტიდან არ არის წარმოდგენილი, ძნელი იქნება დანარჩენი ხუთის შენარჩუნება. მაგალითად, თუკი თქვენ არ მისცემთ ბავშვებს საკმარის დროს თამაშისთვის, ძალიან გაგიჭირდებათ მათი სწავლის ხელშეწყობა და დახმარება. ასევე, თუკი თქვენი დღე შედგება უმეტესად უფროსის მიერ მართული აქტივობებისგან, თქვენ უფრო გაგიძნელდებათ მზრუნველი ურთიერთობების ჩამოყალიბება ბავშვებთან. ყველა ეს ელემენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამიტომ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი მათგანი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დანარჩენი სხვა.“

წარმატებული განხორციელება ნიშნავს აქტიურ, დაკავებულ ჯგუფს- და დიახ, ხმაურიანსაც. ადმინისტრატორებმა და მშობლებმა უნდა შეამჩნიონ აქტივობის გუგუნი, რომელიც გაჯერებულია ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის ბევრი საუბრით. მაგრამ როგორც კი ეს გუგუნი იქცევა გრუხუნად, მასწავლებლები ერევიან და შეახსენებენ ბავშვებს (სავარაუდოდ სიმღერით ან ტაშის შემოკვრის სპეციალური თამაშით) ხმას დაუწიონ. წარმატებულ ჯგუფში ბავშვები ადვილად ემორჩილებიან მათ.

წარმატებული განხორციელება ასევე ახდენს ფოკუსირებას გრძელვადიან სწავლებაზე. სკოლამდელი ასაკის წლები არის დრო ბავშვებისთვის, როცა ისინი ეუფლებიან ფუნდამენტურ ცოდნას, რომელიც ემსახურება მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამიტომ მასწავლებლები

აქცენტს აკეთებენ ისეთ კონკრეტულ უნარებზე, როგორიცაა ანბანის ცნობა და დათვლა, მაგრამ ისინი ასევე დიდ დროს უთმობენ ბავშვებთან მუშაობას, რათა მათ ისწავლონ იყონ მოსწავლეები. ისინი ეხმარებიან მათ ფოკუსის და ყურადღების განვითარებაში, სხვებთან ერთად მუშაობაში, საკუთარი თავის გამოხატვასა და ახალი აქტივობების განხორციელებაში. ისინი ეხმარებიან მათ ისწავლონ, თუ რას ნიშნავს იყო დემოკრატიული მოქალაქე, რაც გულისხმობს ჯგუფის ცხოვრებაში წვლილის შეტანას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იყო პასუხისმგებელი და სხვებზე მზრუნველი. ქვემოთ მოცემული ციტატა შეგვახსენებს ბავშვებში სწავლის სიყვარულის საზრდოობის მნიშვნელობას. ის შეეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, მაგრამ ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სკოლამდელი და წინასასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაც:

> ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ამ ასაკისთვის არის სწავლის ენთუზიაზმის განვითარება. დაწყებით კლასებში აუცილებელია, რომ ბავშვებმა ისწავლონ კითხვა, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვანია მათში კითხვის *სურვილის* განვითარება. ანალოგიურად მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, რომ იყვნენ *მოტივირებულები*, რათა მოაგვარონ მათემატიკური პრობლემები, ისევე როგორც ისწავლონ მიმატება, გამოკლება ან სახაზავით გაზომვა. მასწავლებლები აყალიბებენ ბავშვების მოტივაციას, როცა ისინი ამჟღავნებენ, რომ ზრუნავენ თითოეული ბავშვის მოთხოვნილებების და ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ავლენენ ჭეშმარიტ ენთუზიაზმს კონკრეტული დისციპლინის მიმართ და სარგებლობენ სწავლების მომენტებით დაგეგმილი კურიკულუმის ფარგლებში (Copple and Bredekamp 2009, 257-58).

დროთა განმავლობაში მასწავლებელი ხვდება, რომ მისი კურიკულუმი წარმატებულია, თუკი ის ხედავს შემდეგს:

- ბავშვები ადვილად აგვარებენ უთანხმოებას და კონფლიქტს ყველა მონაწილე მხარესთან. ზოგჯერ სჭირდებათ უფროსის დახმარება და შესაძლოა ითხოვონ ეს (მოწიფულობის ნიშანი მათი მხრიდან). შემდეგ ისინი იღებენ უფროსის სახელმძღვანელო მითითებებს და განაგრძობენ ერთმანეთთან აქტიურ ურთიერთობას.
- ბავშვები აკეთებენ პოზიტიურ არჩევანს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენონ თავიანთი დრო სათამაშო სივრცეებში, უფრო ღია აქტივობების დროს, როგორიცაა „მკითხველების“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა და გარე აქტივობები.
- ბავშვები ერთვებიან აქტივობებში გაზრდილი დროის პერიოდის განმავლობაში.
- ბავშვები იყენებენ თავიანთ მზარდ ცოდნას სხვადასხვა აქტივობებში. მაგალითად, პატარა ჯგუფების აქტივობის დროს მასწავლებელმა შესაძლოა იმუშაოს საგნებთან ერთად რაოდენობების დამატებაზეც. შემდეგ ის ხედავს, რომ ბავშვები თამაშობენ და ამატებენ რაოდენობებს სამანიპულაციო სივრცეში მუშაობის დროს ან განასახიერებენ სურსათით ვაჭრობას.

- ბავშვები მშვიდდებიან უფროსის მიერ მართული აქტივობების დროს, რადგან მათ ჰქონდათ უამრავი შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ამოსუნთქვის აქტივობებში. წონასწორობა ბავშვის მიერ ინიცირებულ და უფროსის მიერ მართულაქტივობებს შორის უფრო მეტად იხრება პირველის სასარგებლოდ.
- ბავშვები ამბობენ, „მე მიყვარს სკოლა!“

როცა რომელიმე ელემენტი გამორჩენილია

მასწავლებლები ამჩნევენ, რომ ბავშვები განსხვავებულად იქცევიან, როცა წინასწარ განსაზღვრული რომელიმე ელემენტი გამორჩენილია ან საჭიროებს მეტ ყურადღებას. ისინი ხედავენ, რომ მათ უწევთ მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით, უფრო ხშირი ჩარევა და ბავშვებთან თავიანთი დროის სხვაგვარად გამოყენება. მოდით, შევხედოთ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, როცა თითოეულ ამ ელემენტს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

მდიდარი, კარგად ორგანიზებული გარემო

როცა ჯგუფის გარემო არ არის კარგად ორგანიზებული და მდიდარი შესაძლებლობებით, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ბავშვები დარბიან, რადგან ტერიტორია დიდი და გაშლილია ნაცვლად იმისა, რომ იყოს კარგად ორგანიზებული თაროებით და მაგიდებით, რომელთა შორისაც დატოვებულია სარბენი ბილიკები.
- ბავშვები უმიზნოდ დახეტიალობენ, რადგან არ იციან რა არის კონკრეტული ტერიტორიის დანიშნულება ან იქ საკმარისად არ არის წარმოდგენილი მათთვის საინტერესო საგნები.
- ბავშვები ცუდად უვლიან მასალებს, არ დებენ მათ კოხტად თავის ადგილას, რადგან ჯგუფი არ არის კარგად ორგანიზებული, რაც გულისხმობს თაროების და აბაზანების მარკირებას.
- ბავშვები კამათობენ სათამაშოებთან, თამაშებთან და მასალებთან დაკავშირებით, რადგან არ არის ყველა ბავშვისთვის საკმარისი რაოდენობა თამაშისა და სწავლისთვის.
- ბავშვები ამბობენ, „მე მოვიწყინე,“ ან ეკითხებიან მასწავლებელს, „ახლა რა გავაკეთო?“
- ბავშვები მუდმივად აკეთებენ ერთსა და იმავეს, ასრულებენ მარტივ, განმეორებით ქმედებებს, რადგან არ აწვდიან ახალ მასალებს ან იდეებს.

საკმარისი დრო თამაშისთვის და კვლევისთვის ბავშვების არჩევანის მიხედვით

როცა არ არის საკმარისი დრო თამაშისთვის და კვლევისთვის, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ბავშვები უმიზნოდ დახეტიალობენ, რადგან ჯერ კიდევ ფიქრობენ, სად ითამაშონ ან წუხან იმის თაობაზე, რომ მათ მალე შეაწყვეტინებენ თამაშს და მათი აზრით არ ღირს ღრმად ჩაერთონ.
- ბავშვები ეჯიბრებიან ერთმანეთს, რათა ითამაშონ თავიანთ საყვარელ სივრცეში, რადგან იციან, რომ მათი დრო შეზღუდულია, ამასთან, ყველა ბავშვს არც უწევს ყველა სივრცეში თამაში კვირის განმავლობაში.
- ბავშვები ღრმად არ ერთვებიან თამაშში, ამიტომ ის არის ზედაპირული და შეუსრულებელი და ითვალისწინებს მხოლოდ მცირეოდენ სწავლებას.
- ბავშვები არ გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს მილაგების დროს ან სხვა აქტივობებზე გადასვლისას, რადგან სურთ უფრო დიდი დრო დაუთმონ თამაშით გამოცდილებას.

მასწავლებლები ხელს უწყობენ და ეხმარებიან ბავშვებს თამაშის დროს

როცა ხელშეწყობა და დახმარება არ არის უზრუნველყოფილი ბავშვებისთვის თამაშის დროს, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ბავშვები ერთვებიან ნაკლებად პროდუქტიულ თამაშში (ქაოტური ან უბრალო, განმეორებითი ჩართულობა).
- ბავშვებს შორის წარმოიქმნება მეტი კონფლიქტი.
- ნაკლები სწავლა, პრობლემის გადაჭრა და ლექსიკის განვითარება.
- ბავშვები თავიდან იცილებენ ზოგიერთ აქტივობას, ხოლო ზოგს უთმობენ უფრო ნაკლებ დროს.

ბავშვის მიერ ინიცირებული მეტი აქტივობა, უფროსის მიერ მართულთან შედარებით

როცა ბავშვის მიერ ინიცირებულ და უფროსის მიერ მართულაქტივობებს შორის წონასწორობა ამ უკანასკნელისკენ იხრება, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ბავშვები ცელქობენ უფროსის მიერ მართულიაქტივობების დროს, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივი დროით ჯდომას, ვიდრე აქტიურ ჩართულობას (ან ამოსუნთქვის და ჩასუნთქვის კომბინაციას).
- ბავშვები უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ ზოგიერთ აქტივობაში ან უგულოდ მონაწილეობენ.
- ბავშვები ამბობენ, „მე მომწყინდა,“ ან „როდის შეიძლება .....?“
- ბავშვები სულელურად იქცევიან მხიარულების თვალსაზრისით.

პატივისცემასა და მზრუნველობაზე აგებული ურთიერთობა ბავშვებთან და ოჯახებთან

როცა ყურადღება არ ექცევა ბავშვებთან და ოჯახებთან პატივსაცემი, მზრუნველობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ბავშვებს არ უნდათ საბავშვო ბაღში წასვლა, რადგან მათ ან მათი ოჯახის წევრებმა ვერ დაამყარეს სანდო ურთიერთობა მასწავლებლებთან.
- ბავშვები არიან უფრო მეტად მომთხოვნები, ცდილობენ მასწავლებლის ყურადღების მიქცევას წუწუნით, ჩაბღაუჭებით ან არასათანადო ქცევით.
- ბავშვები არიან დაძაბულები, ეშინიათ რისკზე წასვლა ან ახალი აქტივობების შესრულება.
- ოჯახის წევრები შეშფოთებას პროგრამასთან ან თავიანთ შვილებთან დაკავშირებით გამოხატავენ ნეგატიური ან კრიტიკული გზით ნაცვლად იმისა, რომ ითანამშრომლონ მასწავლებლებთან.

ავთენტური შეფასების და კურიკულუმის ინტეგრაცია

როცა კურიკულუმი და ავთენტური, დაკვირვებითი შეფასება არ არის ინტეგრირებული, მასწავლებლებმა შესაძლოა მიიღონ შემდეგი სურათი:

- ისინი ვერ გაიცნობენ კარგად თითოეული ბავშვის პიროვნულ თვისებებს და განვითარების შესაძლებლობებს.
- მოთხოვნის მიხედვით გაკეთებული შეფასებები იძლევა ნაკლებად სანდო ინფორმაციას თითოეული ბავშვის შესახებ, ვიდრე ყოველდღიური აქტივობების დროს გაკეთებული.
- შეფასება იქცევა დამატებით დავალებად, ნაცვლად იმისა, რომ გაკეთდეს ყოველდღიურად, მთელი დღის განმავლობაში მასწავლებლების ბავშვებთან ურთიერთობის შედეგად.

დასკვნა

ხარისხიანი კურიკულუმი ახდენს შეფასების, ისევე როგორც წინასწარ განსაზღვრული ყველა ნაბიჯის და ელემენტის ინტეგრირებას. ამის შედეგად ბავშვების მოთხოვნები უფრო სრულად კმაყოფილდება. ისინი აღწევენ უფრო მეტ წარმატებას და გამოხატავენ სურვილს გამოსცადონ სიახლეები, რომელიც შესაძლოა რთული აღმოჩნდეს. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მათი სამუშაო ღირებულია, რადგან ბავშვები უფრო ბედნიერები და უფრო მეტად ჩართულები არიან. მშობლებს და ოჯახის წევრებს შეუძლიათ დაინახონ თავიანთი ბავშვის კმაყოფილება სკოლამდელი და წინასასკოლო დაწესებულების პროგრამით. ავთენტური შეფასების პროცესის მეშვეობით მასწავლებლები უჩვენებენ ოჯახებს სწავლის მტკიცებულებასაც, როდესაც ბავშვები თამაშობენ, იკვლევენ და სწავლობენ იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც შესაფერისია სწორედ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. როგორც აღვნიშნე:

საუკეთესო მასწავლებლებმა იციან . . . ეს არის როგორც მხიარულება, ისე სწავლა ..... ისინი მხარდამხარ მიდიან..... მასწავლებლები ყოველთვის უფრო ხარისხიანები არიან, როცა ეხებიან სწავლების ამ ბუნებრივ სიყვარულს, ვიდრე სამუშაოსა და მხიარულების გაყოფისას. როგორც ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგიერთი პედაგოგი იტყოდა: ბავშვებს არაფერი უყვართ უფრო მეტად, ვიდრე „მთელი გულით მხიარულება“ (Copple ad Bredekamp 2009, 50).

დაგეგმვის/დაკვირვების/ინდივიდუალიზაციის მიდგომა კურიკულუმის მიმართ ეხმარება მასწავლებლებს უზრუნველყონ „მთელი გულით მხიარულება“ და მხიარული სასწავლო გამოცდილებები. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ამაზე ნაკლებს ნამდვილად არ იმსახურებენ.

დანართი „ა“ დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმები

.....

- სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა
- წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა
- ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა
- ყოველკვირეული დაგეგმვისა და რეფლექსიის ფორმა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშებისათვის

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები			
დრამატული თამაში			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო კუთხე			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	გეგმები ეზოს აქტივობებისა და კვლევების ჩასატარებლად	გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაციები და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

„მკითხველებისა“ და „მწერლების“ სამუშაო შეხვედრა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
სმენის ცენტრი			
დრამატული თამაში			
ჟურნალის წარმოების ცენტრი			
ხელოვნება			
ანბანის ცენტრი			
ფლანელის დაფა/ჯიბაკებიანი ცხრილები			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
მასწავლებლის მიერ მართული წიგნიერების აქტივობა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
შუადღის ისტორიის თხრობა	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	გეგმები ეზოს აქტივობებისა და კვლევების ჩასატარებლად	გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

კვლევის დრო

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბები			
მათემატიკის აქტივობა			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
სამეცნიერო ძიებანი			
საინფორმაციო კითხვა			
მათემატიკისა და მეცნიერების ჟურნალის წარმოება			
სხვა ცენტრი			

წინასასკოლო ჯგუფის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი:_____ მასწავლებელი (ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო): _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები

ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

თარიღი:		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დიდი ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
პატარა ჯგუფი	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					
შუადღის ისტორიის თხრობა	სასწავლომიზანი					
	აქტივობა და მასწავლებლის სტრატეგია					

ჯგუფის ერთობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გეგმები	გეგმები ეზოს აქტივობებისა და კვლევების ჩასატარებლად	გეგმები კვებისა და გარდამავალ პერიოდებთან დაკავშირებით

ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?

ჩვილის და ახლადფეხადგმული ბავშვის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი: _____ მასწავლებელი (ები):_____

სასწავლო მიზნები (ზოგადი მიზნები თითოეულ სფეროში)_____

_____

ყოველდღიური საქმიანობებით სწავლა		
საფენების გამოცვლა/ტუალეტი	მოსვლა/წასვლა	კვება
ხელების დაბანა	თვითმოვლა	ძილი

გამოცდილებით სწავლა		
სენსორული	მოძრაობა (შენობაში და ეზოში)	ნატიფი მოტორული უნარები (მათემატიკა, წერა)
შემოქმედებითი თამაში	მეცნიერული კვლევა	წიგნიერება (სიმღერები, ამბები, თითებით თამაში)

ჩვილის და ახლადფეხადგმული ბავშვის ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

(დაკვირვებები, მოდიფიკაცია და რეფლექსიები)

ურთიერთობების ჩამოყალიბება და ოჯახის მონაწილეობა:	ფოკუსირებული დაკვირვებები:	მოდიფიკაციები ცალკეული ბავშვისთვის:
რეფლექსიები: რა იყო წარმატებული ? რა არა? რა ისწავლეთ ცალკეული ბავშვის და ჯგუფის ინტერესების შესახებ?	გეგმები: თქვენს რეფლექსიაზე დაყრდნობით რას შეცვლით მომავალ კვირას?	

დანართი „ბ“ სასწავლო მიზნები სათამაშო ადგილებისთვის

.....

ქვემოთმოცემული სასწავლო მიზნები შეიძლება განხილებოდეს (და ჩაიწეროს მოცემულ ფორმაში) თითოეულ სათამაშო სივრცეში სკოლამდელი დაწესებულების და წინასასკოლო ჯგუფებში.

კუბურები

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება და წერა (მაგალითად ნიშნების დამზადება)
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება), თვლა და რაოდენობა, გეომეტრია და სივრცითი კავშირები, მათემატიკური პრობლემის გადაჭრა და გაზომვა
- სოციალური მეცნიერება: სხვებთან ურთიერთობის დამყარება და ჯგუფის ერთობის გაგება (როგორც სამეზობლოების ჩამოყალიბება)
- მეცნიერება: დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარება და მეცნიერული პროგნოზირება და ექსპერიმენტირება
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და ბავშვებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება და ემოციების სათანადოდ გამოხატვა
- სწავლისადმი მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოხატვა და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვრობა დავალებების შესრულებისას
- უხეში მოტორიკის განვითარება: წონასწორობისა და კონტროლის ჩვენება
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება

დრამატული თამაში

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება, წიგნების და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა (როგორცთოჯინებისთვის წაკითხვის ან სურსათის კატალოგების დათვალიერების დროს) და წერა (როგორც სურსათის ჩამონათვალის გაკეთებისას ან ასოების წერისას)
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (როგორც ჭურჭლის დალაგების დროს), დათვლა და რაოდენობა და გაზომვა

- სოციალური მეცნიერება: ოჯახის არსის გაგება (როგორც ოჯახის წევრთა როლების იმიტაციის დროს), სხვებთან ურთიერთობის დამყარება და ჯგუფის ერთობისგაგება (როგორც რესტორნის, სასურსათო მაღაზიის, საავადმყოფოს და ა.შ. განსახიერების დროს)
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება, ემოციების სათანადოდ გამოხატვა და თვითრეგულირების განვითარება
- სწავლის მიმართ მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა, და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვრობა დავალებების შესრულებისას
- უხეში მოტორიკის განვითარება: წონასწორობისა და კონტროლის დემონსტრირება და სხეულის კოორდინაციის ჩვენება სიარულის, სირბილის, ხტუნვის და კიბეებზე ასვლის დროს
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალების კოორდინაციის დემონსტრირება წერის და ჭრის ინსტრუმენტების გამოყენებით, და თვითმომსახურების უნარების გამოყენება, როგორიცაა ელვაშესაკრავის და ღილების შეკვრა.

სენსორული მაგიდა

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება, წიგნების და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (როგორც ჭურჭლის დალაგების დროს), დათვლა და რაოდენობა და გაზომვა
- სოციალური მეცნიერება: სხვებთან ურთიერთობის დამყარება
- მეცნიერება: დაკვირვების და ანალიზის უნარის განვითარება, მეცნიერული პროგნოზების გაკეთება და ექსპერიმენტირება
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება, ემოციების სათანადოდ გამოხატვა
- სწავლის მიმართ მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამომჟღავნება სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოხატვა, და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვრობა დავალებების შესრულებისას
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალების კოორდინაციის დემონსტრირება და ინსტრუმენტების გამოყენება

ხელოვნება

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება და წაკითხულის გააზრება (როგორც მოთხრობის საყვარელი ნაწილის ხატვისას) და წერის უნარი
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება), თვლა და რაოდენობა, გეომეტრია და სივრცითი კავშირები, მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა

- სოციალური მეცნიერება: ოჯახის არსის გაგება (როგორც ოჯახის წევრებისთვის რაღაცის გაკეთება)
- მეცნიერება: დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარება (როგორც მარმარილოს ფერწერის დროს) და მეცნიერული პროგნოზირება და ექსპერიმენტირება
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება და ემოციების სათანადოდ გამოხატვა
- სწავლისადმი მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვრობა დავალებების შესრულებისას
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება და ინსტრუმენტების გამოყენება წერისა და ჭრისთვის

სამანიპულაციო კუთხე

- ენის ხელოვნება: მოსმენა, საუბარი, ლექსიკის განვითარება
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (დალაგება და მოდელირება), თვლა და რაოდენობა, გეომეტრია და სივრცითი კავშირები, მათემატიკური პრობლემის მოგვარება, გაზომვა და მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა
- მეცნიერება: დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარება (როგორც მარმარილოს ფერწერის დროს) და მეცნიერული პროგნოზირება და ექსპერიმენტირება
- სოციალური/ემოციური: თამაშის სწავლა და ბავშვებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება და ემოციების სათანადოდ გამოხატვა
- სწავლისადმი მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვრობა დავალებების შესრულებისას
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება და ინსტრუმენტების გამოყენება წერისა და ჭრისთვის, თვითმომსახურების უნარი, როგორიცაა ღილის და ელვაშესაკრავის შეკვრა

ჯგუფის ბიბლიოთეკა

- ენის ხელოვნება: მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ხმების და მარცვლების ფონოლოგიური ცნობიერება, საუბარი, ლექსიკის განვითარება, წიგნების და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა
- მათემატიკა: დახარისხება და კატეგორიზაცია (როგორც წიგნების შედარებისას), თვლა და რაოდენობა (როგორც რაოდენობების შესახებ წიგნების კითხვისას)
- სოციალური მეცნიერება: ოჯახისა და გუნდურობის არსის გაგება
- მეცნიერება: მეცნიერული პროგნოზირება (მეცნიერული წიგნების კითხვისას)
- სოციალური/ემოციური: მასწავლებლების მითითებების მოსმენა და შესრულება, ემოციების სათანადოდ გამოხატვა და თვითრეგულირების განვითარება

- სწავლისადმი მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვროზა დავალებების შესრულებისას
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება

წერის ცენტრი

- ენის ხელოვნება: მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ხმების და მარცვლების ფონოლოგიური ცნობიერება, საუბარი, ლექსიკის განვითარება, წიგნების და ბეჭდური ტექსტის შესახებ ცოდნა
- მათემატიკა: გეომეტრია და სივრცითი კავშირები, გაზომვა (როგორც სიტყვების, სახელების, ასოების ზომების შედარებისას) და მათემატიკური ინფორმაციის წარმოდგენა
- სოციალური მეცნიერება: ოჯახების (როგორც ოჯახის წევრებისთვის წერისას და გუნდურობის არსის გაცნობიერებისას)
- სოციალური/ემოციური: ემოციების სათანადოდ გამოხატვა (მათ შესახებ წერის და ხატვის დროს)
- სწავლისადმი მიდგომები: ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა სიახლეების მიმართ, ინიციატივის გამოჩენა და ყურადღების ფოკუსირება და შეუპოვროზა დავალებების შესრულებისას
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ხელებისა და თვალის კოორდინაციის დემონსტრირება და ინსტრუმენტების გამოყენება წერისა და ჭრისთვის.

დანართი „გ“ შეფასების ფორმები

.....

- ბავშვის ინდივიდუალური საინფორმაციო ჩანაწერი
- ინდივიდუალური ცვლილებები
- ჩანაწერი სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის შესახებ
- ჩანაწერი წინასასკოლო ჯგუფში ბავშვის არჩევანის შესახებ
- პორტფოლიოს შეგროვების ფორმა
- ოჯახის/მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში

ბავშვის ინდივიდუალური საინფორმაციო ჩანაწერი

ბავშვი: თარიღი:

კულტურა	ცხოვრებისეული გამოცდილება	ოჯახი	სწავლის სტილი	განვითარების ძლიერი მხარეები
ინტერესები	განვითარებადი სფეროები	სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე	ემოციური მდგომარეობა	ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები

ინდივიდუალური ცვლილებები

რომელი კვირისთვის: _____ მასწავლებელი: _____

ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები	ბავშვის სახელი	დაგეგმილი ცვლილებები

ჩანაწერი სკოლამდელი დაწესებულების ჯგუფის ბავშვების არჩევანის შესახებ

(შესაძლოა გამოიყენებოდეს ერთი ბავშვის არჩევანის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის ჩასაწერად)

ბავშვი(ები): _____ თარიღი: _____

ხელოვნება	კუბურები	დრამატული თამაში
სამანიპულაციო ცენტრი	მეცნიერება/მათემატიკა	მუსიკა/მოძრაობა
ჯგუფის ბიბლიოთეკა	სენსორული მაგიდა	წერის ცენტრი

ჩანაწერი წინასასკოლო ჯგუფის ბავშვების არჩევანის შესახებ

(შესაძლოა გამოიყენებოდეს ერთი ბავშვის არჩევანის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის ჩასაწერად)

ბავშვი(ები): _____ თარიღი: _____

მოსმენის ცენტრი	დრამატული თამაში	ჟურნალის წარმოების ცენტრი	ანბანის ცენტრი	ფლანელის დაფა და ჯიბაკიანი ცხრილები
ჯგუფის ბიბლიოთეკა	წერის ცენტრი	კუბურები	მათემატიკის აქტივობა	სენსორული მაგიდა
ხელოვნება	სამანიპულაციო ცენტრი	მეცნიერული ექსპერიმენტი	საინფორმაციო კითხვა	მათემატიკა და მეცნიერული ჟურნალის წარმოება

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: _____ თარიღი: _____ დამკვირვებელი: _____

განვითარების სფერო (ები): _____

ამ დოკუმენტაციაში დემონსტრირებული სასწავლო მიზანი(ები): _____

მონიშნეთ ის უჯრა, რომელიც მიესადაგება ამ დაკვირვების კონტექსტს:

□ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა □ მასწავლებლის მიერ მართული აქტივობა □ ახალი დავალება ბავშვისთვის □ ნაცნობი დავალება ბავშვისთვის	□ გააკეთა დამოუკიდებლად □ გააკეთა უფროსის მითითებით □ გააკეთა წყვილში	□ დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე) □ დახარჯული დრო (5 წუთზე მეტი)

მიმოხილვითი შენიშვნა: აღწერეთ რას აკეთებდა და/ან ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევრის ნიმუში საჭიროების შემთხვევაში).

ოჯახის და მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში

ბავშვის სახელი: _____ თარიღი: _____

მასწავლებელი: _____ პროგრამა: _____

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ განვაგრძობთ ამაზე მუშაობას:	

გამოყენებული ლიტერატურა

Ashton-Warner, Sylvia. 1963. Teacher. New York: Simon and Schuster.

Bergen, D., and D. Mauer. 200. "Symbolic Play, Phonological Awareness, and Literacy Skills as Three Age Levels." In *Play and Literacy In Early Childhood: Research from Multiple Perspectives,* edited by K. A. Roskos and J. F. Christi, 45-62.Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.

Berk, L. E. 2006b."Make-Believe Play: Wellspring for Development of Self–Regulation." In *Play = Learning: How Play Motivates and Enhances Children's Cognitive and Social-Emotional Growth,* edited by D. Singer, K. Hirsh-Pasek, and R. Golinkoff. New York: Oxford University Press.

Blair, C., and A. Diamond. 2008. "Biological Processing in Prevention and Intervention: The Promotion of Self-Regulation as a Means of Preventing School Failure." *Development and Psychopathology, no. 20: 899-911.*

Bodrova,E., and D. J. Leong. 2003. "Chopsticks and Counting Chips: Do Play and Foundational Skills Need to Compete for the Teacher's Attention in an early Childhood Classroom?" *Young Children* 58 (3): 10-17.

----------. 2007. *Tools of the Mind: The Vygotskian Approach to Early Childhood Education.* 2nd ed. Upper Saddle River, NJ: Pearson/Merrill Prentice Hall.

Brown, Stuart. 2009. Play: How It Shapes the Brain, Opens the Imagination, and Invigorates the Soul. New York: Penguin.

Copple, Carol, and Sue Bredekamp, edc. 2009. *Developmentally Appropriate Practices in Early Childhood Programs Serving Children from Birth through Age 8.* 3rd ed. Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

Csikszentmihalyi, Mihaly. 1997. Finding Flow: *The Psychology of Engagement with Everyday Life.* New York : Basic Books.

Curtis, Deb, and Margie Carter. 2011. *Reflecting Children's Lives: A Handbok for Planning your Child-Centered Curriculum.* 2nd ed. St. Paul, MN: Redleaf Press.

Elias, C., and L. E. Berk 2002. "Self-Regulation in Young Children: Is There a Role for Sociodramatic Play?" Early Childhood Research Quarterly 17 (1): 216-38.

Erikson, Erik. 1950. *Childhood and Society*. New York: W. W. Norton.

Espinosa, L. 2002. "High Quality Preschool: Why We Need it and What it Looks Like." NIEER Policy Briefs. http://nieer.org/resources/policybriefs/1.pdf.

Florez, Ida Rose. 2011. "Developing Young Children's Self-Regulation through Everyday Experience." Young Children 66 (4): 46-51.

Genishi, Celia, and Anne Haas Dyson. 2009. *Children, Language, and Literacy: Diverse Learners in Diverse Times.* New York: Teachers Colege Press.

Ginsburg, Kenneth R. 2007. "The Importance of Play in Promoting Healthy Child Development and Maintaining Strong Parent-Child Bonds." Pediatrics 119 (1): 182-91. Doi:10.15421peds.2006-2697.

Gronlund, Gaye. 2003. *Focused Early Learning: A Planning Framework for Teaching Young Children.* St. Paul, MN: Redleaf Press.

----------.2010. *Developmentally Appropriate Play: Guiding Young Children to a Higher Level. St. Paul. MN:* Redleaf Press.

Gronlund, Gaye, and Bev Engel. 2001. Focused Portfolios: A Complete Assessment for the Young Children. St. Paul: Redleaf Press.

Gronlund, Gaye, and Marlyn James. 20013. Focused Observations: How to Observe Children for Assessment and Curriculum Planning. 2nd ed. St. Paul, MN: Redleaf Press.

Hampton, Rick. 2010. "A Watershed' Case in School Bullying?" USA Today, April 5. www.usatoday.com/news/nation/2010-04-04-bullying_N.htm.

Isenberg, Joan Parker, and Nancy Quisenberry. 2002. "Play: Essential for All Children. A Position Paper of the Association for Childhood Education International." Childhood Education (1): 33-39.

Kavanaugh, R. D., and S. Engel. 1998. "The Development of Pretense and Narrative in Early Childhood." In Multiple Perspectives on Play in Early Childhood Education, edited by O.N. Saracho and B. Spodek, 80-99. Albany, NY: State University of New York.

Kersey, Katherine C., and Marie L. Masterson. 2011. "Learn to Say Yes! When You Want to Say No! To Create Cooperation instead of Resistance: Positive Behavior Strategies in Teaching." Young Children 66 (4): 40-44.

Lindsey, E. W,. and M. J. Colwell. 2003. "Preschoolers' Emotional Competence: Links to Pretend and Physical Play." Child Study Journal, no. 33: 39-52.

Miller, Edward, and Joan Almon. 2009. Crisis in the Kindergarten: Why Children Need to Play in School. College Park, MD: Alliance for Childhood.

Montie,J. E., Z Xiang, and L. J. Schweinhart. 2006. "Preschool Experience in 10 Countries: Cognitive and Language Performance at Age 7." Early Childhood Research Quarterly, no. 313-31.

NAEYC (National Association for the Education of Young Children). 2009. *Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs Serving Children from Birth through Age 8.* Position Statement. www. naeyc.org/positionstatement/dap.

NAEYC and NAECS (National Association for the Education of Young Children and National Association for Early Childhood Specialists in State Departments of Education). 2003.

Early Childhood Curriculum, Assessment, and Program Evaluation: Building and Effective Accountable System in Programs for Children Birth through Age 8. Position Statement. www. naeyc.org/positionstatement/cape.

Perry, Bruce D., Lea Hogan, and Sarah J. Marlin. 2000. "Curiosity, Pleasure and Play: A Neurodevelopmental perspective." HAAEYC Advocate. www.childttrauma.org/ctamaterials/curiosity.asp. (Web page discontinued.)

Roskos, Kathleen, and James Christie. 2004. "Examining the Play-Literacy Interface: A Critical Review and Future Directions." In Children's Play: *The Roots of Treading,* edited by Edward F. Zigler, Dorothy G. Singer, and Sandra J. Bishop-Joseph, 95-123. Washington, DC: Zero to Three Press.

Ruff, H. A., and M. C. Capozzoli. 2003. "Development of Attention and Distractibility in the First 4 Years of Life." *Developmental Psychology, no* 39:877-90.

Vygotsky, Lev S. 1978. Mind in Society: The Development of Higher Psychological Processes. Edited by Michael Cole, et al. Cambridge, MA: Harvard University Press.

Wenner, Melinda. 2009. "The Serious Need for Play". Scientific American Mind. February/March.